

ნენა მამაჩიუშვილი

უაიანსი  
უუასსუკუნეთა  
სამართველთუი



« მ ე ზ ნ ი ე რ ე ბ ე »

1976



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

არქეოლოგიური კომისია

ნანა შაბაიაშვილი

# ფაიანსი უზანსუკუნეთა საქართველოში



გამომცემლობა „მცხეთა-მთიანეთი“

თბილისი

1976

902.6 (C 41)  
502.6 (47.922)  
გ 231)

ნაშრომი წარმოადგენს ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარებისა, თუ სხვა ძეგლების (თბილისი, რუსთავი, დმანისი, გუდარები, უჯარმა, ყარაჯალი, მცხეთა, ბათუმი, სოხუმი) არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული ფაიანსის მასალის ერთობლივი შესწავლის პირველ ცდასა და პუბლიკაციას. მასში მოცემულია ფაიანსის მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, გამოყოფილია ადგილობრივი ფაიანსის ნაწარმი, აღგენილია შემოტანილის სადაურობა და სხვა.



## წიგნის ტყვეობა

ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური კვლევა მრავალ ახალ ცნობას გვაწვდის ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსულის შესასწავლად. თხრობი მოპოვებული მასალა გვიჩვენებს და გვივსებს წერილობით წყაროთა ცნობებს და გვაძლევს საშუალებას, ახალ-ახალ მეტყველ ფაქტებზე დაყრდნობით, მეტი დამაჯერებლობით ვიმსჯელოთ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ვითარების შესახებ ამა თუ იმ ხანაში.

განათხარ მასალებში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ფაიანსის ნაწარმს. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფაიანსის შესახებ ნამდვილად მხოლოდ არქეოლოგია გვიქმნის პირველ წარმოდგენას.

საქართველოში აღმოჩენილ ფაიანსის მრავალფეროვან ნაწარმს, მიუხედავად მასალის ფრაგმენტულობისა, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შუასაუკუნეთა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისა თუ სრულიად ახლებურად გააზრებისათვის.

განათხარი ფაიანსის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიცნოთ ფეოდალური საქართველოს მხატვრული ხელოსნობის კიდევ ერთი დარგი და აღვადგინოთ ამჟამად მივიწყებული ფაიანსის ქურჭლის წარმოების ადგილობრივი ტრადიციები. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ფაიანსის გამოყოფას შემოზიდულისაგან. არანაკლებ საყურადღებო ჩანს შემოზიდული ფაიანსის წარმომავლობის გარკვევა, რაც გვეხმარება დავაზუსტოთ იმდროინდელი საქართველოს სავაჭრო კავშირები სხვადასხვა ქვეყნებთან.

განსაკუთრებით ღირებული ხდება ფაიანსის მასალის დათარიღება, რაც ხშირად იქცევა საყრდენად ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარებისა თუ სხვა ტიპის ძეგლთა განათხარი მასალის ქრონოლოგიური კუთვნილების განსაზღვრისათვის. ეს გაპირობებულია იმით, რომ შემოზიდული ფაიანსი შედარებით კარგად თარიღდება (ვინაიდან უკეთესად შესწავლილი ცენტრებიდან მომდინარეობს) და საკმაოდ საიმედო საფუძველს გვიქმნის ჩვენ ნაქალაქართა კულტურული ფენების ასაკის დასადგენად.

საქართველოს ფეოდალური ხანის ნაქალაქარებზე (სადაც აღმოჩენილია ფაიანსის ნაწარმის დიდი უმეტესობა), სათანადო ქალაქების რთული ისტორიის შესაბამისად, კულტურული ფენები ხშირად არეულია და მიმოხედილი. არქეოლოგიური მონაპოვრის დათარიღება პარალელური მასალის მოშველიებით თუ ხერხდება.

ფაიანსის ნაწარმის ძირითადი ნაწილი სადღესოდ აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში (დმანისი, კუხეთის რუსთავი, თბილისი, მცხეთა, გუდარეხი, უჯარმა, გრემი, კახეთის ყარაღაჯი), დასავლეთ საქართველო კი ამ მხრივ ნაკლებადაა შესწავლილი; იქ სულ რამდენსამე განათხარში (ბათუმის „თამარის ციხეზე“, გონიოში, სოხუმსა და ვანში) თუ გამოერევა ფაიანსის ქურჭლის თითო-ორი ნატეხი, რაც ეტყობა, იქაური არქეოლოგიური ძეგლების გათხრას შესწავლილობის ნაკლებობით უნდა აიხსნას.

1 ფაიანსის ნაწარმიდან ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს მხოლოდ ქურჭელი.

შუასაუკუნეთა ნაქალაქარებში ფაიანსის ნაწარმი აღმოჩენილია ბევრად უფრო ცოტა, ვიდრე წითელკეციანი და სხვა კერამიკული ნაწარმი. თანაც ზოგჯერ იგი წარმოდგენილია იმდენად პატარა ნატეხებით, რომ ძნელდება ჭურჭლის ფორმის დადგენა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მასალა მეტად მრავალფეროვანია და მისი კლასიფიკაცია კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

წინამდებარე ნაშრომში კლასიფიკაციისას მთავარი ყურადღება ექცევა ჭურჭლის შემკობის ტექნიკას და არა ნაწარმის კეცს, რომელიც ხშირად სხვადასხვა აქვს ერთსა და იმავე ფორმისა და მოხატულობის მქონე ჭურჭელს.

წამოჭრილი საკითხების კვლევისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჭირო შეიქნა საქართველოში მოპოვებული ფაიანსის ნაწარმის სადაურობის გაკვლევა.

ნაწარმის დამამზადებელი ცენტრების დადგენისას ვიშველიებთ ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარებისა თუ სხვა ძეგლების გათხრისას მოპოვებულსა და აგრეთვე სპარსულ, ბიზანტიურ, თურქულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა იმავდროულ მასალებს, რომელთა გათვალისწინება ხელს გვიწყობს ფაიანსის ჭურჭელში ადგილობრივი ნაწარმის გამოცნობასა და შემოზიდული ნაწარმის სადაურობის გარკვევაში. აქ, სხვა თავისებურ ნიშნებთან ერთად, კეცის რაგვარობასაც ექცევა ყურადღება. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ჯეროვანი ადგილი ეთმობა მასალის დათარიღებასაც.

დათარიღებას ვაწარმოებთ როგორც პარალელური მასალის მოშველიებით, ისე აღმოჩენის ადგილის მიხედვით. საქართველოს მოკლე დროით კარგად დათარიღებული ძეგლები (ყარაღაჯი და სხვ.) ხშირად გვეხმარება არა მარტო ჩვენში აღმოჩენილი ნაწარმის დათარიღებაში, არამედ უცხოური პარალელური მასალის თარიღების დაზუსტებაშიც.

ნაშრომში წარმოდგენილი, ჩვენ მიერ შესწავლილი, ფაიანსი დაყოფილი გვაქვს სამ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფად — ადრეფეოდალურ, შუაფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანათა შესაბამისად.

მეშაობისას შესწავლილ იქნა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, აჭარის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, აფხაზეთის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული ფაიანსის ჭურჭელი. გავეცანით აგრეთვე მოსკოვის ისტორიული და აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმების, ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის, აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის, ნიზამის მუზეუმის და სომხეთის ისტორიული მუზეუმის ფაიანსის ჭურჭლის კოლექციებს.

დასასრულ, დიდი მადლიერების გრძნობით გვინდა გავიხსენოთ ჩვენი შეცნაირი-ხელმძღვანელი გიორგი ლომთათიძე, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა მისი მეთაურობით მომუშავე ექსპედიციების მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული, თითქმის გამოუქვეყნებელი მასალა. მისი მადლიერი ვართ აგრეთვე გეზის მიმცემი მითითებების, საქმიანი შენიშვნებისა და წარმოდგენილი ნაშრომის საფუძვლიანად გაცნობისა და რედაქციისათვის.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თიხის ქურქლის წარმოებას ადამიანი ეუფლება უკვე ახალი ქვის ხანიდან მოკლებული და დღემდე ამ ნაწარმს მის ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ამდენად, ბუნებრივია, რომ საზოგადოებისა და კულტურის ისტორიის კვლევისას მისი განვითარების ყველა საფეხურზე კერამიკული წარმოების შესწავლას ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

კერამიკის ერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს ფაიანსი. იგი აღნიშნავს თეთრი, ნასვრეტოვანი კეცის მქონე მოქიქულ ნაწარმს. სახელწოდება ფაიანსი (ფრანგ. faïence) მომდინარეობს იტალიის ქალაქ ფაენცადან. რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში კერამიკული წარმოების ერთი ცნობილი ცენტრთაგანი იყო<sup>1</sup>.

ფაიანსის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ბუნებრივად თეთრი თიხა, რომელსაც კაოლინი ეწოდება და რომელიც შედგება მინერალ კაოლინიტისაგან<sup>2</sup>.

სხვადასხვაგვარი კაოლინი საქართველოში საკმაოდ მრავლად მოიპოვება.

აქარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ განაპირა ნაწილებში გვხვდება მრავალი ბუდობი თიხისა, რომელიც კაოლინის ტიპს მიეკუთვნება. ასეთები გვაქვს მაკვანეთში, უჩხუბში, გოგოლურში, გოგეითში, მთისპირში და სხვ.<sup>3</sup>

კაოლინური თიხის ბუდობები არის აგრეთვე ტყიბულისა და ქუთაისის რაიონებში და ძირულას ხეობაში (ჯვარისა, სორმონი, რიონი, ზარათი, კოდი, გურნა, თამარისეული, ორპირი, ოჯოლი და მაჩიტაძეები)<sup>4</sup>.

1 Г. Гехт, Керамика, М.-Л., 1938, გვ. 249. Наставление о делахнии фаянсовой посуды, по препоручению Вольнаго Экономического общества, из достоверных сочинений, собрано членом онаго К. С. Вас. Джунковским, Санкт Петербург, 1814, გვ. 1. ა. ფიციხელაური, დეკორატიული კერამიკა, თბილისი, 1954, გვ. 115. ტერმინ „ფაიანსი“ ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. ფართო გაგებით იგი გულისხმობს ნასვრეტოვანი კეცის მქონე, გამჭვირვალე ჰიქურით დაფარულ ყოველნაირ მაღალხარისხოვან კერამიკას. თიხის, ნაწარმს, დაფარულს გაუმჭვირვალე კალიანი ჰიქურით „ნამდვილ ფაიანსს“ უწოდებენ, სოლო ნაწარმს, დაფარულს ტყვიის ჰიქურით — „ნახეარფაიანსს“ (А. Н. Куде. История фаянса, Берлин, 1923, გვ. 5. II; Э. К. Кверфельдт. Керамика Ближнего Востока, Л., 1947, გვ. 8).

2 М. Л. Роква, Каолин, Природные ресурсы Грузинской ССР, т 11, Л., 1959, გვ. 210.

3 იქვე, გვ. 210.

4 იქვე, გვ. 213.

მოიპოვება კაოლინები სამხრეთ ოსეთსა (რუსთავი, ოჯორა, ნაბაკევი, ლსი, ჩრდილეთი და ბატკინეთი) და ბოლნისის რაიონშიც (უცაშინი, დარბაზი და ლოქ-ჩაი).

კაოლინის სხვა საბადოების მარაგი შედარებით ნაკლებია. ასეთები არის ზედა ცხნორში, კითხიჯში, ანტორში, ჭვარისაში, ოჯორაში, მეჩხერში, ზემო ბუეთში, ახალდაბაში, სამშვილდეში (ბოლნისიდან 10 კმ.) და სხვ.<sup>5</sup>

ამგვარად, საქართველოში ფაიანსის წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი ნედლეული სავესებით საკმარისად უნდა ვიგულისხმოთ, მით უმეტეს, თუ ვივარაუდებთ, რომ შუა საუკუნეებში წარმოებას, დღევანდელთან შედარებით, უფრო მცირე მასშტაბი ექნებოდა.

მიუხედავად ამისა, რომ ფეოდალური ხანის საქართველოში არქეოლოგიები აღრევე გულისხმობდნენ ფაიანსის ადგილობრივ წარმოებას, განათხარი მასალების არასაკმარისი შესწავლილობის გამო, ეს მოსაზრება ბოლო წლებამდე მხოლოდ ვარაუდად რჩებოდა და დადგენილი არ იყო.

ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრით მოპოვებულ ფაიანსის ნაწარმს მრავალი ავტორი შეხებია (ლ. მუსხელიშვილი<sup>7</sup>, გ. ლომთათიძე<sup>8</sup>, ვ. ჯაფარიძე<sup>9</sup>, ი. გძელიშვილი<sup>10</sup>, ლ. კილაშვილი<sup>11</sup>, მაგრამ იგი საგანგებოდ შესწავლის საგნად დღემდე არავის გაუხდია და მხოლოდ მცირე ადგილს უთმობდნენ სხვა საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებსა და ანგარიშებში.

მიუხედავად ამისა, ზოგ ავტორს ფრიად არსებითი დაკვირვება-მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ცალკეული მასალის შესწავლის საფუძველზე. მათ ქვემოთ, საქირების მიხედვით, დაწვრილებით შეეხებით, მათდამი ჩვენი დამოკიდებულების ჩვენებით.

წინამორბედთა მიერ ყველაზე სრულად და უკეთესად შესწავლილია

<sup>5</sup> А. Л. Роква, Каолин, Каолин, Природные ресурсы Грузинской ССР, т. 11, Л., 1959, гл. 213—224.

<sup>6</sup> Л. Мусхелишвили, Раскопки в Дманиси, СА, VI, 1940, гл. 283, 284; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბილისი, 1956, გვ. 36—38.

<sup>7</sup> ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), შ. რუსთაველის ეპოქის მეტერიალური კულტურა, თბილისი, 1938. ლ. მუსხელიშვილი, შ. ხილაშვილი, ვ. ჯაფარიძე, გუდარების პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბილისი, 1954.

<sup>8</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზაფხულში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1, თბილისი, 1955. მისივე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

<sup>9</sup> ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ., 1956. მისივე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969. მისივე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVIII—B, თბ., 1969. მისივე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წ. მუშაობის ანგარიში, XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის სავსელ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1966.

<sup>10</sup> ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მეტერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961; ი. გძელიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჭურჭელი და ფაიანსი, ხელნაწერი.

<sup>11</sup> ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.

დმანისში 1936—1937 წწ. მოპოვებული ფაიანსი. კერძოდ, აღსანიშნავია ვ. ჯაფარიძის მონოგრაფიის „სათანალო თაგები“<sup>12</sup>. განათხარი მასალიდან იგი გამოკყოფს XI—XIII სს. ფაიანსს, როგორც ადგილობრივს, ისე შემოტანილს, აჯგუფებს და იძლევა მათ დახასიათებას, განსაზღვრავს და დაათარილებს.

წინამდებარე ნაკვლევი განვიზრახეთ თავი მოგვეყარა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული, ფეოდალური ხანის ფაიანსის მთელი მასალისათვის (გრემისა და დმანისის ახალ მონაპოვართა გამოკლებით) და, შეძლებისამებრ, ყოველმხრივ გაგვეზრებინა იგი. როგორც ვხედავთ, ნაშრომი პირველი ცდაა სათუნე ხელოსნობის ამ დარგის შესწავლისა საქართველოში. ამიტომ, ბუნებრივია, თუ ისევე, როგორც ყველა პირველ ნაბიჯს, ჩვენს ნაშრომსაც დაჰყვება არაერთი ნაკლი.

წინაფეოდალური ხანის კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის მოქიპული თიხის ნაწარმი ძალიან იშვიათია.

ძველი ქიქურისა და ძველი მინის შემადგენლობა არსებითად ერთი და იგივეა, და ამიტომ კულტურის ისტორიაში მინის აღმოჩენას მქიდროდ უკავშირდება ქიქურისა და მოქიქვის აღმოჩენა<sup>13</sup>.

კერამიკის მოქიქვის ხელოვნება უკვე ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში ყოფილა ცნობილი ეგვიპტის, მესოპოტამიისა და ელამისათვის. უფრო გვიან იგი ფართოდ გავრცელებულა წინა აზიის ქვეყნებში, სადაც ქიქურს იყენებდნენ არა მარტო კურკლის შესამკობად, არამედ სამშენებლო კერამიკის — დიდრონი აგურების მოსაქიქვადაც<sup>14</sup>.

საქართველოში უძველეს მოქიქულ თიხის საგნებად უნდა ჩაითვალოს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ფაიანსის მძივები<sup>15</sup>.

რაც შეეხება მოქიქული თიხის კურკულს, მისი ჯერჯერობით ყველაზე უფრო აღრინდელი ნიმუშები აღმოჩენილია იმავე თრიალეთში, მარალინდერესის სამაროვნის ურარტული ხანის სამარხში (№ 2)<sup>16</sup>. სამთავროს სამალოვანზე ძვ. წ. IX—VI სს. სამარხების შედარებით ადრეულ ჯგუფში (სამარხები №№ 591, 77, 96ბ, 119, 208, 168 და 289)<sup>17</sup>.

<sup>12</sup> ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თავი IV და VII, გვ. 36—38, 48—53.

<sup>13</sup> А. Лукас, Материалы и ремесленные производства древнего Египта, М., 1958, გვ. 289.

<sup>14</sup> И. Лурье, К. Ляпунова, М. Матье, Б. Пиотровский, Н. Флигнер, Очерки по истории техники Древнего Востока, Москва-Ленинград, 1940, гв. 80, 221.

<sup>15</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трიაleti, Тб., 1941, гв. 100, ტაბ. XXII.

<sup>16</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 52, 53, ტაბ. XX.

<sup>17</sup> ა. კალანდაძე, სამთავროს სამაროვნის ჩრდ. ჯგუფის 1938—39 წწ. მუშაობის წინაწარმი ანგარიში (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორში).

აღსანიშნავია, რომ რ. აბრამიშვილი („სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო თუისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის“, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 134—136, ტაბ. 1) №№ 77, 96ბ, 119, 208 და 591 სამარხებს XI—X სს. ათარიღებს, ხოლო № 168 და № 289 სამარხებს — IX—VIII სს.

ყველა ეს მოქიქული ქურჭელი წარმოადგენს ქუსლმალა, ცალყურა სას-  
მისებს. მათი წითელი კეცი მოყვითალო და მომწვანო-მოფირუზისფრო (ზოგ-  
ჯერ შავი) საღებავითაა მოხატული, მომწვანო-მოფირუზისფრო ფონი ყვითელი  
ზოლებითაა შემკული და დაფარულია უფერული გამჭვირვალე ქიქურით. ქი-  
ქური დაბზარულია და ირიზაციის ქერქითაა დაფარული. რაც შეეხება სა-  
კუთრივ თეთრკეციან მოქიქულ ნაწარმს, მის უძველეს ნიმუშად საქართვე-  
ლოში უნდა ჩაითვალოს გურჯაანის რაიონში, ძვ. წ. 1 ათასწლეულის დასა-  
წყისის სალოცავის „მელი-ღელე“ II თხრისას აღმოჩენილი ორი ნატეხი<sup>18</sup>.  
ერთი ძალზე პატარა — ქურჭლის პირ-გვერდს ეკუთვნის. მისი კეცი მოთეთ-  
როა, მოოსის სკალის მიხედვით სიმტკიცე უდრის 3. ზედაპირი დაფარულია  
ყვითელი საღებავით და გადავლებული აქვს უფერული გამჭვირვალე ქიქუ-  
რი. მეორე ნატეხი ეკუთვნის ძირ-ბრტყელ და სწორკედლიან ქურჭელს. კე-  
ცი მოთეთრო-მონაცრისფრო აქვს, წვრილმარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის  
1. ზედაპირი შემკულია მომწვანო-მოლურჯო (სპილენძის) და ყვითელ (რკი-  
ნის ქანგის) საღებავთა შვეული ზოლებით და დაფარულია უფერული გამჭ-  
ვირვალე ქიქურით.

აღნიშნული ქურჭლები, დასახელებულ ძეგლთან ერთად, ძვ. წ. IX—  
VII სს. მიეკუთვნება<sup>19</sup>. ასევე თარიღდება ისინი ქვემოთ განხილულ პარა-  
ლელური მასალის მიხედვით.

ამიერკავკასიის სხვა ადგილებში უძველესი ფაიანსის ქურჭელი აღმოჩე-  
ნილია აზერბაიჯანში ხოჯალის ყურღანთა გვიანდელი ტიპის სამარხებში<sup>20</sup>,  
ორი-სამი ქურჭელი ხანლარის რაიონში<sup>21</sup>, აგრეთვე თალიშსა<sup>22</sup> და მინგეჩა-  
ურში<sup>23</sup>, სომხეთში კი — კარმირ-ბლურზე<sup>24</sup>. მოცისფრო-მომწვანო „მინანქრით“  
დაფარული ქურჭლის ნატეხები მრავლადაა მოპოვებული თოფრაზ-ყალას  
თხრისას (ვანის ტბასთან)<sup>25</sup>.

<sup>18</sup> გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. № 1—34/65.

<sup>19</sup> К. Н. Пичхелаяური, Раскопки святынищ в Меллигеле, Археологические откры-  
тия 1967 г., М., 1968, გვ. 302.

<sup>20</sup> К. Х. Кушнарєва, Археологические работы 1954 г. в окрестностях  
с. Ходжалы, МИА, 67, М.-Л., 1959, გვ. 381, 383—385; Э. Рєслєр, Извлечение из  
отчета о раскопках, произведенных в Елизаветпольской губернии, ОАК за 1897 г.,  
СПБ, 1900, გვ. 153, 154. სურ. 313. Rösler E., Ausgrabungen bei Chodshali. 1895.  
Zeitschr. für Ethnol. Verhandl. Bd. XXVIII, Berlin, 1896, გვ. 178, სურ. 14. Т. С. Пассек  
и Б. А. Лятшинин, Очерк до-истории Северного Азербайджана. ИОИИ, вып. I,  
1926, გვ. 128.

<sup>21</sup> А. А. Спицын, Археологические раскопки Э. Рєслєра в Елизаветпольской  
губернии в 1901 г., ИАК, вып. 16, გვ. 5; В. А. Скинєдєр, Опыт археологической  
разведки, Пятигорск, 1906, გვ. 158.

<sup>22</sup> J. de Morgan, Mission scientifique en Perse, v. IV, Paris, 1896, pl. V. 3, 5, 6.

<sup>23</sup> Г. М. Асланов, Р. М. Вайдєв, Г. И. Ионє; Древний Мингечаур, Баку,  
1959, გვ. 98. ტაბ. XL<sub>10</sub>, გვ. 112, 114, ტაბ. XL<sub>11</sub>, 11ა, 12.

<sup>24</sup> Б. Б. Плотровский, Ванское царство, М., 1959, გვ. 195.

<sup>25</sup> მიხეივ კარმირ-Блур, III, Результаты работ археологической экспедиции инсти-  
тута истории АН АССР и Гос. Эрмитажа в 1951—1953 гг., Ер., 1955, გვ. 21, სურ. 15.

<sup>26</sup> S. F. Lermann-Haupt, Materialien zur älteren Geschichte Armeniens und Meso-  
potamiens, Abh. d. K. Gesellschaft. d. Wiss. zu Göttingen. Ph. Hist. kl. NF. Bd. IX<sub>3</sub>, Ber-  
lin, 1907, გვ. 105.



ვანების ქვედა ზღვარად მიჩნეულია III საუკუნის მეორე ნახევარი, ზედალ კი V—VI საუკუნეები, ხოლო დაკრძალვის წესისა და პოზის მიხედვით თარიღი უფრო ქვედა ზღვარს უახლოვდება<sup>35</sup>, ურბნისში (სამარხი № 11, 1960 წ., XXXVI უბანი, IV საუკუნისა)<sup>36</sup>.

ხველა ამ ჭურჭელს კეცი მოთეთრო აქვს, ძალიან წვრილმარცვლოვანი და რბილი. ისინი დაფარულია ერთფერი, მომწვანო-მოფირუზისფრა ქიქურით. ქიქური დამსკდარია და ირიზაციის ქერქით დაფარული. ის გარემოება, რომ ყველა ეს ჭურჭელი ერთიმეორის მსგავსია არა მარტო ქიქურით, არამედ მოყვანილობითაც (დაბალი და ვიწრო ყელი, გრძელი ტანი და მომაღლო ფართო ქუსლი, ორი პატარა ყური, რომლის ერთი ბოლო ყელს ებმის, მეორე — მხრებს. ურბნისის ჭურჭელი ფორმით უახლოვდება მათ, ოღონდ უყუროთ), გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთ ხანას მიეკუთვნებიან<sup>37</sup>.

<sup>35</sup> ვ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა, გვ. 12; მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, გვიანანტიკური და ადოცენტოლოგიური ხანის სამარხები ყოლოთოდან, ს. ჭანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის მოამბე, XXVII—B, თბ., 1967, გვ. 114, ტაბ. II.

<sup>36</sup> ლ. კ ი ლ ა შ ე ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 69, სურ. 31.

<sup>37</sup> მ. სინაურიძე ცდილობს არმაზისხევის სათანადო სამარხის თარიღის ზევით აწევას. იგი აღნიშნავს, რომ არმაზისხევის IX სამარხის დათარიღება გამთხრელთა მიერ ემყარება მასში აღმოჩენილ ფაუსტინას ოქროს მონეტას, მაგრამ სამარხში აღმოჩენილი ნივთები — ავეუსტეს მონეტები, ბოლოებდახვეული სამაჯური, პირამიდული საყურეები, ვერცხლის ჭურჭელი — ეხებება უფრო გვიან ხანაში. ასევე ექვს იწვევს მინის ჭურჭელი, რომელიც შედარებით უფრო მდარეა, ვიდრე სამთავროს იმავდროულ, ნაკლებად მდიდრულ სამარხებში. ყოველივე ამის გამო მ. სინაურიძეს დასაშვებად მიაჩნია „პატარა ერისთავის“ სამარხის დათარიღება III—IV სს.

მ. სინაურიძე ასევე ცდილობს ზევით ასწიოს წალკის სამარხის თარიღიც, რომელიც მონეტისა და მძივის მიხედვით ბ. კუფტინის მიერ ახ. წ. პირველი საუკუნეებითაა დათარიღებულ. თუმცა კი იგი იქვე აღნიშნავს, რომ ამგვარად მოხატული მძივები განავრძობენ არსებებს უფრო გვიანაც, სასანურ ხანაში (მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114—115).



## ადრეფეოდალური ხანის ფაიანსი

საქართველოს მთლად ადრეულ შუასაუკუნეთა ძეგლების განათხარებში ფაიანსის ქურქელი ჯერჯერობით არსად აღმოჩენილა. ადრეფეოდალური ხანის ფაიანსის ყველაზე ძველი ქურქელი, ისევე როგორც წითელკეციანი მოქიქული კერამიკა<sup>1</sup>, IX საუკუნეს განეკუთვნება.

იმდროინდელი ფაიანსის ნაწარმი არქეოლოგიურ მონაპოვრებში წარმოდგენილია რამდენიმე ნატეხით, რომელიც კუხეთის რუსთავის ნაციხარის არქეოლოგიური თხრისას აღმოჩნდა. ესენია: 1) თეთრი, გაუმჭვირვალე, კალიანი ჰიქურით დაფარული სადა ქურქელი და 2) თეთრ, გაუმჭვირვალე, კალიან ჰიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი.

აღნიშნული ნაწარმი არაბული მესოპოტამიიდან უნდა იყოს შემოტანილი, ხოლო ესოდენ შორეულ ცენტრებთან აღებ-მიცემობის მიმდინარეობის მანიშნებელ არქეოლოგიურ ფაქტებს, რა თქმა უნდა, არცთუ მცირე მნიშვნელობა მიენიჭება ქვეყნის ისტორიისათვის.

თეთრი, გაუმჭვირვალე კალიანი ჰიქურით დაფარული სადა ქურქლისა შემორჩენილი გვაქვს ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხები<sup>2</sup>. მათი კეცი ყვითელია, ძალიან წმინდა მარცვლოვანი, ნასერტოვანი, სიმტკიცე უდრის 3—4<sup>3</sup>. ჯამები ორივე მხრივ დაფარულია თეთრი (მომწვანო ელფერის), გაუმჭვირვალე, კალიანი ჰიქურით. ჰიქური ირაზაციის ქერქით დაფარული და დამსკდარია.

IX საუკუნეში არაბული მესოპოტამიის მეთუნეები ცდილობდნენ მიებაძათ ჩინური თეთრი ფაიფურისათვის<sup>4</sup>.

ამგვარი მინაბაძებისათვის კი დამახასიათებელია თეთრი, გაუმჭვირვალე, კალიანი ჰიქურით დაფარული ყვითელი კეცი<sup>5</sup>, სწორედ ისეთივე, როგორიც რუსთავში აღმოჩენილ ჯამებსა აქვთ.

1 მ. მიწიშვილი, მოქიქული ქურქელი ძველ საქართველოში, IX—XIII სს., თბ., 1969, გვ. 10, 67, 78.

2 რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე წიგნი (ქვემოთ მოკლედ „რავსწ“), № 1898, 1167, 1186.

3 აქაც და ქვემოთაც კეცის სიმტკიცე განსაზღვრულია მოოსის სკალის მიხედვით.

4 A. Lane. Later Islamic Pottery (Persia, Syria, Egypt, Turkey). London. 1957 33, 21.

5 იქვე.

თეთრ, გაუმჟვირვალე, კალიან ქიქურზე ლუსტრით მოხატული ნაწარმის ერთადერთი ნატეხი მოგვეპოვება (ტაბ. 1, 2)<sup>6</sup>. იგი ეკუთვნის მცირე თასს. მისი კეცი მონაცრისფრო-ყვითელია, ნასკერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3—4. თასი ორივე მხრივ დაფარულია თეთრი, გაუმჟვირვალე, კალიანი ქიქურით და მოხატულია მომწვანო-მოოქროსფრო ლუსტრით.

ჭურჭლის მოყვანილობასა და მოხატულობაზე მხოლოდ პარალელური ნასალის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რაც მისი სადაურობის გარკვევაშიც გვეხმარება.

ფორმის აღდგენა ხერხდება სამარაში<sup>7</sup> აღმოჩენილი — კეცით, ლუსტრით და მოხატულობით მსგავსი — თასის მიხედვით, რომელიც პირგადაშლილი, ძირმომრგვალებული და ქუსლდაბალია (ტაბ. 13, 4)<sup>8</sup>.

ამგვარივეა და იქიდანვე უნდა მომდინარეობდეს დვინში აღმოჩენილი რამდენიმე თასი<sup>9</sup>.

არაბულ-მესოპოტამიური, კალიანი, გაუმჟვირვალე ქიქურით დაფარული კერამიკის ფორმები ძალიან ხშირად ჩინური მოდელების იმიტაციას წარმოადგენდა<sup>10</sup>. ასეთი უნდა იყოს რუსთავში აღმოჩენილი ჭურჭელიც.

რუსთავულ ნატეხზე მომწვანო-მოოქროსფრო ლუსტრით მოხატული სახეები ისევ დვინსა და სამარაში აღმოჩენილი და მესოპოტამიურად წოდებულ ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი.

ნატეხის შიდაპირზე შემორჩენილი (ტაბ. 1), ლუსტრით გამოყვანილი სილუეტური ორნამენტის შესახებ მსჯელობა არ ხერხდება. ფონი შევსებულია ისრებითა და წერტილებით. ორნამენტი ფონისაგან ლუსტრით დატანილი კონტურით შემოსაზღვრული თეთრი ზოლებით არის გამოყოფილი. ზედაპირი გარშემო მოხატულია სილუეტური წრეებით (4), ხოლო მათ შორის მდებარე არეები შევსებულია დაუდევრად გამოყვანილი ხაზებითა და წერტილებით. რუსთავულ ნატეხზე შერჩენილია მხოლოდ ერთი წრის ნაწილი ხაზებითა და წერტილებით შევსებულ ფონზე. ამგვარი ორნამენტი დამახასიათებელი ჩანს მესოპოტამიური ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭლის ზედაპირის შემკობისათვის (ტაბ. 15, 6)<sup>11</sup>.

<sup>6</sup> რაესწ., № 3364.

<sup>7</sup> სამარას ნაქალაქარს 1914 წლამდე გერმანელი არქეოლოგები თხრიდნენ, ბოლო ხანებში კი ეს სამუშაოები ერაცელმა სპეციალისტებმა განაგრძეს.

<sup>8</sup> F. Sarre. Die Keramik von Samarra. „Die Ausgrabungen von Samarra“. Zweite Band, Berlin, 1925. გვ. 39, ტაბ. XIV<sub>2</sub>, XV<sub>2</sub>.

<sup>9</sup> სომხეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (ქვემოთ მოკლედ — სსიშ), ინვ. № 2048/145 და სხვ.

<sup>10</sup> A. Lane. Early Islamic Pottery. Mesopotamia, Egypt and Persia. London, 1947. გვ. 15.

<sup>11</sup> F. Sarre. დასახ. ნაშრ., ტაბ. XIV, XV; E. Kühnel. Islamische Kleinkunst. Berlin, 1925. გვ. 77—78, სურ. 36; R. Hobson. The Eumorphopoulos collection, catalogue of the Chinese, Corean and Persian Pottery and Porcelain, vol. VI, London, 1928. ტაბ. 72, სურ. 372. რ. ჰობსონი აღნიშნულ ჭურჭელს ფუსტატის ტიპად მიიჩნევს, მაგრამ მოხატულობის გარდა მისი მოყვითალო კეციც ტიპურია მესოპოტამიური ჭურჭლისათვის და ამიტომ მას ეგვიპტურ ნაწარმად ვერ ჩავთვლით, მიუხედავად, რომ თვით რ. ჰობსონი უფრო გვიან

მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლები აღმოჩენილია სპარსეთში<sup>12</sup>. მეტად საინტერესოა აღნიშნული ტიპის ნაწარმის საღებრობის საკითხი.

არ არის დამაჯერებელი ა. პოუპის პოზიცია სპარსეთში აღმოჩენილი მსგავსი ნაწარმის საწარმოო ცენტრის კვლევისას. მისი თქმით, როდესაც ცდილობენ დაამტკიცონ ამ ნაწარმის ერაყული წარმოშობა, საბუთად მოჰყავთ ის, რომ მისი მოხატულობის ფონი წერტილოვანია; მაგრამ აუცილებლად ანგარიშგასაწევია, რომ მსგავსად (წერტილებით, ისრებით) მოხატული ჭურჭელი, რომელსაც აქვს მოყვითალო კეცი, გამოიყოფა უეჭველ სპარსულ ნაწარმში<sup>13</sup>.

ა. პოუპს საეჭვოდ არ მიაჩნია სამარაში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმის ადგილობრიობა. მისი დაკვირვებით, სამარული ნაწარმი დამზადებულია ერაყშივე, მაგრამ სპარსეთში აღმოჩენილი მსგავსი ნაწარმი ერაყიდან არ არის შემოტანილი. ეს კი, მისი აზრით, იძლევა უფლებას გამოითქვას ვარაუდი, რომ მოხატვის ამგვარი ტექნიკა IX საუკუნეში გამოიყენებოდა სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში. კერძოდ, ამგვარი ნაწარმის სპარსეთში დამზადება, ჯერ კიდევ აღნიშნულ საუკუნეში, მას შესაძლებლად მიაჩნია აქ აღმოჩენილი რამდენიმე ადრეული წარწერიანი ნატეხის მიხედვით. ამასთანავე, ა. პოუპი სამარული ნაწარმის სპარსელისაგან ძირითად განმასხვავებელ ნიშნად თვლის იმას, რომ სამარულის მოხატულობაში არა გვხვდება ადამიანის ან ცხოველის ფიგურები, ერთადერთ გამონაკლისს გარდა<sup>14</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვითალო კეცი სამარულადაა მიჩნეული<sup>15</sup> და რადგან სპარსეთში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმის კეციც მოყვითალოა, ისიც მესოპოტამიურად უნდა მივიჩნიოთ და არა სპარსულად<sup>16</sup>. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ერთნაირი, ისიც მოყვითალო თიხისაგან, ეზადებიანთ ჭურჭელი სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში. საერთოდ სპარსეთისათვის და-

---

გამოცემულ ნაშრომში (A. Guide to the Islamic Pottery of the Near East. British Museum. London, 1932. გვ. 2) მოყვითალო კეცს სამარულად მიიჩნევენ. მესოპოტამიურია აგრეთვე ამ ნაშრომში გამოქვეყნებული მოყვითალო კეციანი ჭურჭლები (ტაბ. 56, სურ. 373; ტაბ. 57, სურ. 374). ავტორი მათ სამარას ან ფესტატს მიაწერს.

<sup>12</sup> A. U. Pope (editor), A Survey of Persian Art. New-York—London, 1938. 39, ტ. II, V, გვ. 1492, ტაბ. 575—579.

<sup>13</sup> A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 1492.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> F. Sarre, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 95. E. Kühnel, დასახ. ნაშრ., გვ. 77. R. Hobson, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

<sup>16</sup> მესოპოტამიურ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ა. როზანტალის მიერ გამოქვეყნებული, რეიდან მომდინარე 6 თასი (A. Rozant, Arts antiques de l'Asie occidentale. Paris. 1948, გვ. 205, 221, fig. 382, 384, 406, 407, 408, 412). ამთან სამი გამოცემული აქვს ა. პოუპსაც (A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 577, 579A, 576C). ა. როზანტალი ჭურჭლის კეცის ფერს არ იძლევა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქედან სამი ა. პოუპსაც აქვს გამოქვეყნებული და მათი კეცი, ისევე როგორც მის მიერ გამოცემული ყველა ადრეული. ლესტრიანი ფიანსის ჭურჭლისა, მოყვითალოა. მოყვითალო უნდა იყოს როზანტალის მიერ გამოქვეყნებული დანარჩენი ჭურჭლების კეციც, როგორც სპარსეთში აღმოჩენილი სხვა ამ ტიპის ჭურჭლებისა. მაშინ ა. როზანტალის მიერ გამოცემული ჭურჭლებიც მესოპოტამიურ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

მახასიათებელი ნაწარმის კეცი მეტად განსხვავებულია ამ მოყვითალო კეცი-საგან.

ა. პოუპის ზემოაღნიშნული შეხედულების დასასაბუთებლად არ გამოდგება არც მეორე მის მიერ მოყვანილი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ცხოველებით მოხატული ჭურჭელი დამახასიათებელი ჩანს მხოლოდ სპარსეთში აღმოჩენილი ამ ტიპის ნაწარმისათვის. მის უარსაყოფად დავიმოწმებდით ე. კიუნელის დაკვირვებას, რომელიც სამარული კერამიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლის შემოკობას წერტილებითა და წრეში ჩასმული ცხოველებით<sup>17</sup>.

ა. პოუპის აღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგოდ ა. ლეინის დაკვირვების მოყვანაც შეიძლება, რომელიც აღნიშნავს, რომ IX საუკუნის სამარის პოლიქრომულ ლუსტრიან ნაწარმზე, სამარის სასახლეში აღმოჩენილი რამდენიმე ფილის გარდა, რომლებიც მოხატულია გირლანდებში, წრეებში მოქცეული მამლებით, არცერთი ცხოველი არ არის გამოხატული. არ არის ისინი არც კაირავანის (ტუნისში) დიდებული მეჩეთის ფილებზე, რომელიც ბაღდადელ კერამიკოსებს გაუგზავნიათ 862 წლის მასლობლად<sup>18</sup>, მაგრამ ა. ლეინი აღნიშნავს, რომ ცოცხალი ფორმები ჩნდება მესოპოტამიურ მონოქრომულ ლუსტრიან ნაწარმზე IX—X სს. მიჯნაზე და რომ ისინი წარმოადგენენ ზავშეურ ინკუნაბულებს, უფრო გამოგონილ სახეებს, ვიდრე ცხოველების დაკვირვების ასახვას<sup>19</sup>.

აღნიშნული ტიპის ფაიანსის ყველა ნაწარმი იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ ძნელია მათ სხვადასხვა წარმოშობა მიეწეროს და მთელი ეს ნაწარმი — სამარაში იქნება მისი ნიმუშები ნაპოვნი, ირანში, ღვინში თუ კუხეთის რუსთავში, მესოპოტამიაში უნდა იყოს დამზადებული (სამარაში, ბაღდადში ან ერაყის რომელიმე სხვა, სავაჭროდ ადვილად მისაწვდომ ცენტრში)<sup>20</sup>.

როგორც ჩანს, ა. ლეინი ასეთ ცენტრად მიიჩნევს ბაღდადს, საიდანაც მონოქრომული ლუსტრიანი ნაწარმის ექსპორტირება ხდებოდა ისეთ დაშორებულ ადგილებში, როგორიცაა სამარყანდი, ბრაჰმინაბადი სინდში, ეგვიპტე და სამხრეთი ესპანეთი<sup>21</sup>.

რაკი რუსთავში აღმოჩენილ ნატეხს მესოპოტამიურად მივიჩნევთ და იქ კი ასეთი ჭურჭელი სამარაშია აღმოჩენილი<sup>22</sup>, ამიტომ მისი ხნოვანება IX საუკუნის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს, ვინაიდან სამარა სულ მოკლე ხნის განმავლობაში, ხალიფას რეზიდენციად ყოფნის შემდეგ, 892 წელს მიტოვებულ იქნა, რეზიდენციის ბაღდადში გადატანასთან დაკავშირებით, და იგი მოისპო როგორც ქალაქი<sup>22</sup>.

<sup>17</sup> E. Kühnel, დასახ. ნაშრ., გვ. 77—78.

<sup>18</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>19</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 16, ტაბ. 12, 13.

<sup>20</sup> R. Hobson, დასახ. ნაშრ., გვ. 2. E. Kühnel, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

<sup>21</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 16. ა. ლეინი აცხადებს, ეტყობა, უკეთესი ნაწარმი კეთდებოდა ბაღდადში და არა თვით სამარაში.

<sup>22</sup> ა. პოუპის დაკვირვებით, ასეთი ტიპის ჭურჭელი ჩერჯრობით მხოლოდ სამარაშია აღმოჩენილი. A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 1494.

<sup>23</sup> R. Hobson, დასახ. ნაშრ., გვ. 2; E. Kühnel, დასახ. ნაშრ., გვ. 78; A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

თუ გავითვალისწინებთ ა. ლეინის შეხედულებას, რომ ყავისფერი და შავი ლუსტრის ბიქრომული პალიტრა გამუდმებით იხმარება 860 წლისათვის, ხოლო საპარის მიტოვების შემდეგ (ე. ი. 892 წლიდან) ფერადი მოხატულობა გაპარტივდა და გახდა მონოქრომული მომწვანო ან მოყავისფრო-ყვითელი<sup>24</sup>, მაშინ რუსთაული ჭურჭელიცა და აგრეთვე თვით სამარაში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭელიც 892 წლის შემდეგი დროით, IX—X საუკუნეების მიჯნით უნდა დაგვეთარიღებინა (X საუკუნის ბოლოსათვის მესოპოტამიაში ეტყობა სრულიად წყდება წარმოება, ხოლო ლუსტრით მოხატული კერამიკის წარმოების ახალი ძლიერი სკოლა ვითარდება ეგვიპტეში)<sup>25</sup>, ვინაიდან ისინი მონოქრომულ ნაწარმს წარმოადგენენ და მათ აქვთ ამგვარი ნაწარმისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც: კონტურის პირობითობა და წერტილოვანი ფონი, რომელიც თითქოს ჩარჩოში ათავსებს ნახატს<sup>26</sup>.

შეიძლება ა. ლეინი მართალი იყოს, როდესაც აღნიშნავს, რომ ფერადი მოხატულობა გაუბრალოვდა და წარმოიქმნა მომწვანო ან მოყავისფრო-ყვითელი მონოქრომი, მაგრამ, ეს უკანასკნელი რომ ქალაქ სამარას ევაკუაციის შემდეგ გაჩნდა, ამას ეწინააღმდეგება სამარაში აღმოჩენილი, ჩვენ მიერ პარალელად მოტანილი, მონოქრომულ-ლუსტრიანი ჭურჭელი, რომლის ხნოვნებაც, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ვიწრო ჩარჩოებში ექცევა (836—892 წ.). შეიძლება მონოქრომული ლუსტრიანი ჭურჭელი სამარას ევაკუაციის შემდეგაც უკეთებიათ (ბაღდადში ან სადმე მის მახლობლად)<sup>27</sup>, მაგრამ ასე ზღვარის დადება სწორი არა ჩანს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, კუხეთის რუსთავში ნაპოვნი, ჩვენ მიერ შესწავლილი ჭურჭლის თარიღსაც უცვლელად ვტოვებთ, მით უმეტეს, რომ აღმოჩენის ადგილის მიხედვითაც შეიძლება იგი ასევე დათარიღდეს: ნატეხი მოპოვებულია რუსთავის ნაციხარის 1 უბნის ქვითკირის ძეგლი, სამსენაკიანი ნაგებობის თხრისას<sup>28</sup>.

რაც შეეხება ა. პოუპს, იგი ამ ადრეულ ლუსტრიანსა და მის მიერ სპარსულად მიჩნეულ ნაწარმს IX, IX—X და IX—XI საუკუნეებით ათარიღებს, სტილისტური ნიშნის მიხედვით<sup>29</sup>.

ა. როზანტალის მის მიერ გამოქვეყნებულ, ზემოთ დასახელებულ ჭურჭლებს მიაკუთვნებს X საუკუნეს და XI საუკუნეს<sup>30</sup>. ამრიგად, ა. პოუპისა და ა. როზანტალის თარიღები არ ემთხვევა ერთმანეთს.

<sup>24</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 16, 37. ეს გამოწვეულია ერაყის ეკონომიური მდგომარეობით. ამ ამბების თანამედროვე გეოგრაფიის, აღმუქადის ცნობით, ბაღდადი X საუკუნეში სულ უფრო და უფრო უდაბურდება, ყოველდღიურად ქვეითდება და, შესაძლოა, ბოლოს სამარასათვით მოისპოს. ეს მაშინ, როდესაც ეგვიპტის დედაქალაქი კაირო ბაღდადზე დიდი და ხალხმრავალი გახდა და, როგორც ცნობილია, შემდგომში ყველაზე დიდ მუსლიმურ ცენტრად დარჩა (იხ. Адам Меу. Мусульманский ренессанс. Москва, 1966, გვ. 18).

<sup>26</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 16.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა რუსთავში 1959 წ., სესია მიძღვნილი 1959 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები და მუშაობის გეგმა, თბ., 1960.

<sup>29</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 575—579.

<sup>30</sup> A. Rozant. დასახ. ნაშრ., გვ. 205, 211.

ამასვე ვხედავთ სხვა ავტორებთანაც: მაკ. მოჰამედ-ჰასან-ზაქის გამოქვეყნებული აქვს მესოპოტამიური ტიპის თასები<sup>31</sup>, რომელთაგან ერთს X—XI სს. ათარილებს<sup>32</sup>, მეორეს კი — IX საუკუნით<sup>33</sup>.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ა. პოუპისა და ა. როზანტალის მიერ გამოქვეყნებული თასები მესოპოტამიური ნაწარმი ჩანს და ამიტომ IX—X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. უკვე ითქვა, რომ X საუკუნეში მესოპოტამიაში წყდება ყოველგვარი წარმოება. მაშასადამე, ამ კურკლის ხნოვანების X საუკუნის ზევით გადმოწევა შეუძლებელი ჩანს.

---

<sup>31</sup> Закн, Мохаммед Хасан, Искусство Ирака в исламскую эпоху. Каир, 1940 (არაბულ ენაზე), სურ. 73, 74. იგივე კურკელი გამოქვეყნებული აქვს ა. პოუპს; დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 577.

<sup>32</sup> ა. პოუპი ამ კურკელს X საუკუნით ათარიღებს.

<sup>33</sup> ა. პოუპი იმავე კურკელს IX საუკუნით ათარიღებს.

## შუაფეოდალური ხანის ფაიანსი

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ შუაფეოდალურ ხანაში (XI—XIII სს.) საქართველო ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულსა და განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ იმ დიდი აღმავლობის ხანაში სათანადო სიმაღლეზე ავიდა მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო (ახლა უკვე მშვიდობიან ვითარებაში დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს მხრივ) განვითარდა აღებ-მიცემობა მეზობელ და უფრო შორეულ ქვეყნებთან.

სწორედ ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი უნდა იყოს საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად მრავლად მოპოვებული, შუაფეოდალური ხანის ფაიანსის ნაწარმი, რომელიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

შუაფეოდალური ხანის ფაიანსი აღმოჩენილია: თბილისში, კუხეთის რუსთავში, დმანისში, გუდარებსა და უჯარმაში. ამ მონაპოვარში გვხვდება ადგილობრივია და შემოზიდული ნაწარმიც. პირველი ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია, მეორე კი საქმოდ მრავალფეროვანიცაა და მრავალრიცხოვანიც.

საქართველოს ნაქალაქართა არქეოლოგიურ მონაპოვრებში X საუკუნის ფაიანსის ნაწარმი ჭერჭერობით ცნობილი არ არის, ხოლო XI საუკუნიდან მოკიდებული, გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით, ყველა პერიოდში გვხვდება.

### XI საუკუნის ნაწარმი

XI საუკუნის ფაიანსის ნაწარმი აღმოჩენილია კუხეთის რუსთავში<sup>1</sup>, თბილისში (ერეკლე მეორის მოედნის განათხარში)<sup>2</sup>, დმანისში<sup>3</sup> და უჯარმაში<sup>4</sup>. აღნიშნული ქურჭელი ექცევა ბ. შელკოვნიკოვის მიერ სომხეთში (ანისში და დენიში) აღმოჩენილ ფაიანსის შესწავლისას გამოყოფილ მეორე ჯგუფში, რომელშიც შედის თეთრი და წმინდა კეცის მქონე, გამჭვირვალე კიქურით დაფარული რბილი ფაიანსი<sup>5</sup>.

1 რაესწ, №952<sub>1</sub>.

2 თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქვემოთ მოკლედ „თიემ“), ინვ. № ბ-355-57.

3 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ფონდი (ქვემოთ მოკლედ „სსმფგ“), ინვ. № 229.

4 სსმფგ, ინვ. № 2-57:730.

5 Б. А. Шелковников, Поливная керамика из раскопок г. Анн, Ер., 1957, გვ. 36—38.

აღნიშნული ნაწარმი წარმოდგენილია თხელკედლიანი, ქუსლდაბალი თასებით. მათი კეცი რბილია და წვრილმარცვლოვანი, სიმტყეცე უდრის 2—3. ჭურჭელი დაფარულია უფერული ან ფერადი გამჭვირვალე კიქურით.

საქართველოში აღმოჩენილ ამგვარ ნაწარმში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: 1. სადა, შეუმკობელი ჭურჭელი<sup>6</sup>; 2. ამოკაწვრით შემკული ჭურჭელი<sup>7</sup>; 3. ამოკაწვრით, ამოტვიფრითა და ჭვირვით შემკული ჭურჭელი<sup>8</sup>. ამ უკანასკნელს ორნამენტი ჩვეულებრივ რელიეფურია, ხოლო დადაბლებული ფონი შემკულია ნახვლეტებით, რომლებიც კიქურით ამოვსებული და გამჭვირვალეა.

საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმი საცებით მსგავსია სომხეთის განათხარებში მრავლად აღმოჩენილისა<sup>9</sup>.

ამოკაწვრით, ამოტვიფრითა და ჭვირვით შემკული ნაწარმი ცნობილია ირანიდანაც, მაგრამ იქაური განსხვავდება სომხეთში აღმოჩენილისაგან როგორც კეცითა და კიქურით, ისე მოყვანილობითა და ორნამენტით<sup>10</sup>.

საბოლოოდ, ვითვალისწინებთ, რომ ჭერჭერობით საქართველოს ფეოდალური ხანის ნაქალაქართა განათხარებში ამგვარი ფაიანსი სულ თითო-ოროლა ნატეხითა წარმოდგენილი და ამიტომ ამ უკანასკნელთა შესაბამის ჭურჭელს თავის დროს სომხეთიდან შემოტანილად მივიჩნევთ და ვათარილებთ ისევე, როგორც თარილებდა, აღმოჩენის ადგილისა და პარალელური მასალის მიხედვით. სათანადო სომხური ნაწარმი, ე. ი. XI საუკუნით<sup>11</sup>.

ამოკაწვრითა და ჭვირვით შემკული ფაიანსის ჭურჭელი მახლობელი აღმოსავლეთის კერამიკაში ერთ-ერთი ყველაზე ადრეულთაგანია და მას ყველა ავტორი ათარილებს დროით არა უგვიანეს XII ს. ჰ. რივიერი სირიაში აღმოჩენილებს XI—XII საუკუნეების კუთვნილად მიიჩნევს, რ. ჰობსონი ამ ტექნიკით შემკულ ირანულ ნაწარმს XII საუკუნეს მიაწერს, გ. მიუნონი X—XII სს. ათარილებს, ე. კიუნელი კი — XI—XII სს.<sup>12</sup> მ. დაიმენდი ამავე ტექნიკით შემკულ ჭურჭელს XI საუკუნისად მიიჩნევს<sup>13</sup>.

## XII—XIII სს. ნაწარმი

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანია XII—XIII საუკუნეების ფაიანსის ნაწარმი. მიუხედავად იმისა, რომ თხრით აღმოჩენილი ჭურჭლები

<sup>6</sup> რაესწ. ინვ. № 9521.

<sup>7</sup> სსმფგ, ინვ. № 2-57:730.

<sup>8</sup> თიმ, ინვ. № ბ-355-57; სსმფგ, ინვ. № 229.

<sup>9</sup> Б. А. Шелковников, *Дахаб. Набр.*, გვ. 31—39; მისივე, *Керамика и стекло из раскопок г. Двина, Труды Государственного исторического Музея АН Арм. ССР*, № 4, Ер., 1952, გვ. 66—73.

<sup>10</sup> Б. А. Шелковников, *Поливная керамика из раскопок г. Ани*, გვ. 36—39.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 39. ვ. ჭაფარიძე ეთანხმება ბ. შელკოვნიკოს, როდესაც იგი ამგვარ ნაწარმს განასხვავებს ირანულსაგან, მაგრამ არ იზიარებს მის ვარაუდს, როცა იგი ამ ნაწარმს სომხეთისათვის ადგილობრივად მიიჩნევს. ვ. ჭაფარიძე საქართველოსა და აზერბაიჯანში აღმოჩენილი პარალელური მასალის საფუძველზე, ამ მოსაზრების გადასინჯვის მოთხოვნს (იხ. ვ. ჭაფარიძე, *ქართული კერამიკა*, 1956, გვ. 36—38).

<sup>12</sup> Б. А. Шелковников, *Поливная керамика из раскопок г. Ани*, გვ. 39.

<sup>13</sup> M. S. Dimand, *A Hand book of Muhammedan Art*, New-York, 1944, გვ. 174.



ჩვეულებისამებრ ნატეხებითა წარმოდგენილი, მათში ჯერ კიდევ პირობით. მაგრამ მაინც ხერხდება ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფა უცხოურისაგან.

ამ მიმართულებით მუშაობისას ჩვენს ხელთმყოფი არქეოლოგიური მონაპოვარი შევადარეთ უცხოური საწარმოო ცენტრებიდან მომდინარე ნაწარმს. გამოირკვა, რომ ნაწილს პარალელები ეძებნება საქართველოს გარეთ. ხოლო გარკვეული მოყვანილობის, ჭიქურისა და კეცის მქონე ნაწარმი განსაკუთრებით მრავლად გვხვდება საქართველოს ამა თუ იმ ნაქალაქარში და არსად სხვაგან. ამან საფუძველი მოგვცა გვევარაუდა მათი ადგილობრივი წარმომადგენლობა. ხანდახან მხოლოდ კეცის მიხედვით ვადგენთ ჭურჭლის ადგილობრივობას, ვინაიდან მეტ-ნაკლებად ისეთივე მოყვანილობისა და შემკულობის მქონე ჭურჭელი გვხვდება სხვაგანაც, ოღონდ კეცია განსხვავებული.

ზოგჯერ ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფაში გვეხმარება კეცის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლა. მაგალითად, კუხეთის რუსთავის განათხარიდან მომდინარე, ფიანისის ზოგი ნიმუშის ქიმიურ-ტექნოლოგიურმა ანალიზმა<sup>14</sup> ცხადჰყო, რომ ადგილობრივი ნაწარმის კეცი კირის სიჭარბით ხასიათდება, სპარსულისა კი ნაკლებკირიანი ან თითქმის უკირო და მინერალოგიურად უფრო მინდვრის შპატოვან-კვარცულაა.

ქიმიური ანალიზის მიხედვით (იხ. ცხრილი) ადგილობრივი ნაწარმის კეცში კირი 7%-მდე ადის (ნიმუში № 361), მაშინ, როცა ჩვენშივე აღმოჩენილ

რუსი №№	ნიმუშის საველე №№	ქიმიური შედგენილობა %-ით							
		ტენი	nnn	SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO	MgO	SO <sub>3</sub>
1	№ 361	0,33	5,07	70,47	8,14	0,96	6,69	1,04	0,71
2	№ 3412	0,09	0,79	84,42	6,70	1,00	1,80	1,16	0,42

და ნამდვილად სპარსული ნაწარმის კეცში იგი მხოლოდ 2%-მდეა (ნიმუში № 3412) და საფიქრებელია, რომ ამ უკანასკნელში კირი მხოლოდ ბუნებრივი მინარევის სახით ყოფილა თიხაში თუ მინდვრის შპატში. ადგილობრივი ნაწარმის კეცის კაზში კი კირი ხელოვნურად უნდა იყოს შეტანილი, შესაძლოა, იმ მიზნით, რომ კეცი უფრო თეთრად გამომწვარიყო და თან გამოწვას უფრო დაბალი ტემპერატურა ჰყოფნოდა: ცნობილია, რომ კირიანი ფიანისი უფრო ადრე გამოიწვება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნით ფიანისის ჭურჭლის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ვინაიდან ადგილობრივიც და იმპორტული ფიანისიც ხშირად ერთსადაიმავე საკლასიფიკაციო ერთეულებში ექცევა, მათ ჩვენ ერთად განვიხილავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვირდებოდა ფიანისის არსებითად ერთიდაიმავე ჯგუფების დახასიათების განმეორება.

ამგვარად დაჯგუფება ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისითაც, რომ მკითხველი უფრო მკაფიოდ დაინახავს განსხვავებას ერთსა და

<sup>14</sup> ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი ჩატარებულია საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ი. ფიცხელაურის მიერ, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ.

იმავე ჯგუფებში მოქცეულ ადგილობრივსა და უცხოურ ნაწარმს შორის და უკეთესად განარჩევს მათ ერთიმეორისაგან.

საქართველოს შუასაუკუნეთა ნაქალაქარებზე თხრით აღმოჩენილი XII—XIII სს. ფაიანსის ნაწარმში შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოიყოფა.

### I უორნამენტო, საღა პურავალი

#### გამჭვირვალე ქიქური თ და ფარული ქურქელი

აღნიშნული ნაწარმი ძირითადად წარმოდგენილია თასებით, სამარილე-ბათა და ქრაქებით. ისინი დაფარულია ცისფერი (სპილენძის) ან ლურჯი (კობალტის) გამჭვირვალე ქიქურით.

ქუჩეთის რუსთავისა<sup>15</sup> და თბილისის (300 არაგველის ბაღის)<sup>16</sup> განათხარებაათვის მეტად დამახასიათებელი ჩანს თასები, რომელთაც აქვთ ბრტყელი ბაკო, მომრგვალებული გვერდები და დაბალი ქუსლი (ტაბ. II.)<sup>17</sup>.

რუსთაველი თასების (ტაბ II.) კეცი ნასვრეტოვანია; ფერად თეთრი, ოდნავ მონაცრისფრო ან მონაცრისფრო. მისი სიმტკიცე, მოოსის სკალის მიხედვით, უდრის 2—3. თბილური თასების კეცი ნასვრეტოვანი და თეთრია; მისი სიმტკიცე უდრის 2, ხოლო ზოგჯერ — 1. რუსთაველისაგან აღნიშნული თასები განსხვავდება მოყვანილობითაც. ეს კი გვაუარაუდებინებს, რომ აღნიშნული ქურქელი უკეთებიათ თბილისის გარდა რუსთავშიც. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ჩანს ისიც, რომ დმანისის ნაქალაქარისათვის აღნიშნული თასები არა ჩანს დამახასიათებელი.

რუსთაველ და თბილურ ფაიანსის თასებს მოყვანილობით თითქოს წააგავს ძველი ვახჩის განათხარში აღმოჩენილი თასები<sup>18</sup>. მაგრამ ამ უკანასკნელთა კეცი ჩვეულებრივ უფრო მტკიცეა (5, 6, 7) და, ეტყობა, ისინი ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს. განსხვავდება აგრეთვე ქიქური: ძველგანჯურა ნაწარმა უმეტესად ცისფერი, გაუმჭვირვალე, კალიანი ქიქურითაა დაფარული.

აღნიშნული თასები თარიღდება XIII საუკუნის პირველი ნახევრით — თბილისში, 300 არაგველის ბაღთან 1948—1949 წწ. გათხრილ სამეათუნეო სახელოსნოს ნაშთების მიხედვით<sup>19</sup>, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, დასახელებული ქურქელიც აღმოჩნდა.

<sup>15</sup> გ. ლომთათიძე, რუსთავეში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, „შსალეხი საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, 1955; 1959—1960—1962 და 1965 წწ. კამპანიათა მოკლე ანგარიშები.

<sup>16</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა 1955; მისივე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წლის გაზაფხულზე, 1958.

<sup>17</sup> რაესწ, №№ 182, 361, 683, 942, 1017, 1065 და 3754; რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (ქვემოთ მოკლედ „რმ“) საინვ. №№ 652, 988 და 1027; სსმფ, საინვ. №№ 1—54:194, 427, 525, 586, 597.

<sup>18</sup> აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმის (ქვემოთ მოკლედ აიმ) საინვ. №№ 2487, 2056, 2136. 2121 და სხვა.

<sup>19</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 161. 162; ო. ჭაფარბაძე, „განცისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მსკა, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 97, 98.

თბილისში 300 არაგველას ბალთანვე არის აღმოჩენილი მოყვანილობით უფრო განსხვავებული ჯამებისა თუ სხვა კურკლის ძირ-ქუსლისა და გვერდების ნატეხები<sup>20</sup>, მაგრამ ისინი მათ შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნიან. გვხვდება ყურიანი კურკელიც. ყველა ისინი, კეცისა და კიქურის მიხედვით, ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ — მათ ისეთივე კეცი და კიქური (ცისფერი გაუმჭვირვალე) აქვთ, როგორც ზემოთ განხილულ თასებს. კურკელ-ძირითადად სახელოსნოს გადანაყარ გროვაშია აღმოჩენილი, მაგრამ ყოფილა სათუნე ქურაშიც.

დმანური ნაწარმი უნდა იყოს დმანისის განათხარადან მომდინარე, გაპქვირვალე კიქურით დაფარული, სადა, შეუმკობელი კურკლის ერთი ნაწილი, მაგრამ ისინი მეტად პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი და მათ შესახებ გარკვევით ნსჯელონა გვიქირს. ნატეხთა მოყვანილობის მიხედვით კი უნა გვკონდეს სხვადასხვაეგვარი ჯამები, ქილები და სხვ. ამ ნატეხებს კეცი მსგავსი აქვთ, თეთრი თუ მოთეთრო, ნასვერტოვანი: სიმტკიცე უდრის 2—3. ისინი დაფარულია ლურჯი ან ცისფერი გამჭვირვალე კიქურით. კობალტის ლურჯი კიქური მდარე ჩანს, ბუშტულებიანი<sup>21</sup>, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი ღრმა ლურჯი, კრიალა, როგორც არის აშკარად შემოტანილი კურკლის ნატეხები (ალბარელოს ტიპის ქილისა (?))—№ 2373 და ჯამის ძირ-ქუსლისა №№ 2310, 2690).

ქრაქები წარმოდგენილია რუსთავში აღმოჩენილი ერთი „ნისკარტით“ (ტაბ. II<sub>ა</sub>)<sup>22</sup>. მისი კეცი მონაცრისფროა, ნასვერტოვანი: სიმტკიცე უდრის 3—4. დაფარულია სპილენძის მოწვანო-მოფირუზისფრო, გამჭვირვალე კიქურით. კიქური ირიზაციის ქერქით დაფარული და დამსკდარია. ქრაქის მოყვანილობის დაღვენა ხერხდება ორენ-ყალასა და ძველ განჯაში აღმოჩენილი, წითლეკეციანი მოქიქული ქრაქების მიხედვით. ეს არის გამოზერილმუცლიანი, გრძელნისკარტიანი, ყურმრგვალი და ძირბრტყელი ქრაქი (ტაბ. II<sub>ბ</sub>).

არც საქართველოსათვის და არც სომხეთისათვის ასეთი მოყვანილობის მოქიქული ქრაქები არა ჩანს დამახასიათებელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თელავურ მასალას, სადაც ამგვარი ქრაქებიც აღმოჩნდა.

ფაიანსის ქრაქის ნისკარტი ნაპოვია ძველ განჯაში<sup>23</sup>. მისი კეცი მოთეთროა, ნასვერტოვანი: სიმტკიცე უდრის 2; დაფარულია სპილენძის მოფირუზისფრო, გამჭვირვალე კიქურით; კიქური დამსკდარია.

მსგავსად მოყვანილი, მოქიქული და მოუქიქავი ქრაქები ორენ-ყალას ნაქალაქარის ზედა, XI—XIII სს. ფენებშია აღმოჩენილი<sup>24</sup>.

სადა, შეუმკობელი კურკლის ერთ-ერთ სახეობას სამაროლეები წარმოადგენს. ისინი აღმოჩენილია რუსთავსა (ტაბ. II<sub>ვ</sub> (1-6). ტაბ. II<sub>გ</sub>)<sup>25</sup> და

20 სსმფგ, ინე. №№ 1—54: 194, 525, 597, 560, 547, 645, 557, 409, 221, 294. 520, 168, 1931, 555, 554, 477 და სხვ.

21 სსმფგ, ინე. №№ 2650, 193, 2650, 2686 და სხვ.

22 რაესწ, № 1785.

23 აიშ, № 2056.

24 I. M. A x m e d o v, Неполинная керамика Орел-Кала IX—XIII вв.; Труды азербайджанской экспедиции. МИА, 67, М.-Л., 1959, გვ. 220, ტაბ. XIII<sub>გ</sub>.

25 რაესწ, №№ 828, 1629, 1933; რმშ, საიხე. №№ 990, 1589, 1670.

თბილისში (300 არაგველის ბაღსა და ერეკლე მეორის ბაღის განათხარები) (ტაბ. II ვ) <sup>26</sup>. რუსთაველ სამარილეებს სხვადასხვა მოყვანილობა და კეცი აქვთ. ისინი დაფარულია ცისფერი ან ლურჯი გამკვირვალე ქიქურით. ზოგ მათგანს შესატყვისი ეძებნება ძველი განჯის (ტაბ. II ა, ბ, ვ) <sup>27</sup> განათხარებში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი განჯის მასალა უფრო რუსთაველს წააგავს, ვიდრე აზერბაიჯანში ვათხრილს — ორენ-ყალისას: ამ უკანასკნელი-საოვის დამახასიათებელი ჩანს სრულიად განსხვავებული მოყვანილობის მქონე სამარილეები.

პრუსენდავლ კეცის ნაირგვარობისა, რუსთავეის ყველა აღნიშნული სამარალე ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ხშირად საკმაოდ დეფორმირებული და „შეუხედავიც“ კი არიან და ძნელი წარმოსადგენია, ისინი საიდანმე შემოეტანათ. იგივე შეიძლება ითქვას ძველ განჯაში განათხარ სამარილეებზედაც.

თბილისში, 300 არაგველის ბაღში აღმოჩენილი სამარილე, კეცის შიხედვით (ისევე, როგორც აქ აღმოჩენილი მასალის ძირითადი ნაწილი), ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს.

რუსთაველი და თბილური სამარილეების ხნოვანების დადგენა ხერხდება თბილისის სამარილის მეშვეობით, რომელიც აღმოჩენის ადგილის მიხედვით (სამეთუნეო სახელოსნოს ნაშთებს შორის) XIII საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

## 2. გაუმკვირვალე, კალიანი ქიქური და ფარული ქურკელი

ამ ქვეჯგუფის კუთვნილი მასალა ცოტა მოგვეპოვება. იგი აღმოჩენილია თბილისში (300 არაგველის ბაღში), რუსთავეში და დმანისში. ქურკლის მოყვანილობაზე მსჯელობა არ ხერხდება. გამოიცილება ჯამის (?), თასის თუ სხვა ქუსლანი ქურკლის ნატეხები. ქიქურის ფერის მიხედვით ეს ნაწარმი იყოფა რამდენიმე სახეობად: ა) თეთრი, გაუმკვირვალე, კალიანი ქიქურით დაფარული ქურკელი; ბ) ცისფერი (სპილენძის) გაუმკვირვალე, კალიანი ქიქურით დაფარული ქურკელი; გ) ლურჯი (ცობალტის) გაუმკვირვალე კალიანი ქიქურით დაფარული ქურკელი.

### II. ამოაწრული ორნამენტით შიგაშლი ბურჟული

საქართველოში აღმოჩენილ ამგვარ ნაწარმში გამოვარჩევთ ადგილობრივ და იმპორტულ ქურკელს.

ადგილობრივ ნაწარმს უმთავრესად დმანისის განათხარის მიხედვით განვიხილავთ. იგი წარმოდგენილია ბაკობრტყელ და გვერდებმომრგვალებულ ჯამთა პირ-გვერდის ნატეხებით <sup>28</sup>. ყველას ერთნაირი კეცი აქვს — მოთეთრო, ნასკრეტოვანი, საკმაოდ მტკიცე (3—4) და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ისინი ერთი სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ, ისევე, როგორც დმანისში

<sup>26</sup> სსმფგ, სიხვ. № 1—54:1749; თიგ № ბ-1629-57, ბ-1947-57.

<sup>27</sup> აიბ, სიხვ. № 450, 2136.

<sup>28</sup> სსმფგ, იხვ. № № 1056, 565, 1079.

აღმოჩენილი სადა, შეუმკობელი, გამკვირვალე ქიქურით დაფარული ქურქ-  
ლის დიდი ნაწილი.

დმანური ჯამების შიდაპირზე ამოღარულია თევზიფხური ორნამენტი და  
ისინი დაფარულია ლურჯი (კობალტის), გამკვირვალე ქიქურით (ტაბ. III<sub>1</sub>).

მსგავსი ამოკაწრული ორნამენტითაა შემკული ანისში აღმოჩენილი ქურ-  
ქლის ნატეხებიც<sup>29</sup>, რომლებიც ხასიათდება ბრტყელი, გარეთკენ დაქანებული  
ბაკოთ და ზედაპირზე ამოკაწრული თევზიფხური ორნამენტით. ერთ ნა-  
ტეხს<sup>30</sup> შემორჩენილია ბაკოს ძირას დაქერწილი შვიდფურცელა რელიეფური  
ვარდულიც. ანური ქურქლებიც ლურჯი, გამკვირვალე ქიქურითაა დაფარუ-  
ლი.

ამგვარად, ანისის ქურქლის ნატეხები დმანურს წააგავს მხოლოდ ამოკაწ-  
რული ორნამენტითა და ქიქურით.

მსგავსი ორნამენტითაა შემკული ორენ-ყალაში აღმოჩენილი ქურქლის<sup>30</sup>  
ზედაპირიც. მათაც ბრტყელი, გარეთკენ დაქანებული ბაკო აქვთ. დაფარული  
არიან ცისფერი, გამკვირვალე ქიქურით. ზედაპირს ამოკაწრული ორნამენტი  
და რელიეფური პატარა ვარდულები ამკობს. ამგვარი ვარდულები სწორედ  
აზერბაიჯანში განათხარი კერამიკისათვის ჩანს დამახასიათებელი, ისე, რომ  
იქაურ წითელკეციან მოქიქულ ქურქელზედაც კი გვხვდება. აღნიშნული ვარ-  
დულები განსხვავდება სომხეთში განათხარი ქურქლის ვარდულებისაგან.

მიუხედავად ამისა, ორენ-ყალაში მოპოვებული ქურქელი ანისისას უფრო  
წააგავს და ისევე განსხვავდება დმანურისაგან, როგორც ანური. აღსანიშნავია  
აგრეთვე, რომ ანისისა და ორენ-ყალას ქურქლებზე, ამოკაწრულს გარდა, რე-  
ლიეფური ორნამენტიც არის, დმანისის განხილულ ქურქლებზე კი რელიეფურ-  
ი, დაქერწილი ორნამენტი არ არის და არც შეიძლებაოდა ყოფილიყო, ვინა-  
იდან ჯამის მხოლოდ შიდაპირი ჩანს შემკული.

დმანური, ზემოთ დასახელებული ნაწარმის კეცი ახლოს დგას ჩვენ მიერ  
ადგილობრივად მიჩნეულ, სადა, უორნამენტო, გამკვირვალე ქიქურით დაფა-  
რულ ქურქლის კეციდან და, ამდენად, შეგვიძლია ისიც ადგილობრივ, დმანურ  
ნაწარმად მივიჩნიოთ.

აქ ვვინდა განვიხილოთ კიდევ ერთი, რუსთავეში აღმოჩენილი, ასეთივე  
ტიქნიკით შემკული პირსწორი, ღრმა და გვერდებმომრგვალებული თასი (ტაბ.  
III<sub>2</sub>,ა)<sup>31</sup>. მისი კეცი მოთეთროა, მცირედ ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის  
4. ქურქელი დაფარულია ლურჯი (კობალტის) გამკვირვალე ქიქურით. თასის  
ზედაპირი შემკულია შიშველ კეცზე ამოღარული, ორი კონცენტრული ხა-  
ზით შემოსაზღვრული, სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ფართო არ-  
შიით. ამ ქურქელს პარალელი ვერსად ვუპოვნეთ.

ამოკაწრული სტილიზებული მცენარეული ორნამენტი მეტად დამახასიათე-  
ბელი ჩანს ანისში აღმოჩენილი ფაიანსის თასებისათვის, მაგრამ ისინი რუს-  
თაველი თასისაგან განირჩევიან მოყვანილობით და ჰგვანან მხოლოდ იმით,  
რომ მათზედაც მცენარეული სახეებია ამოკაწრული, თუმცა კი რუსთაველი-  
საგან განსხვავებული: სხვანაირი აქვთ კეციც.

29 სსიპ, საინე. №№ 123—511 ა, 123—585ა.

30 ბაქო, ნიზამის მუზეუმის ექსპოზიცია, 1962 წ.

31 რაესწ., № 1200.

ამოკაწრული სტილიზებული მცენარეული ორნამენტის არშია დამაბასი-ათებელია საერთოდ შუაფეოდალური ხანის საქართველოს წითელკეციანი მოჭიქული ჭურჭლისათვისაც.

რუსთავის თასის მსგავს სტილიზებულ ფოთლოვან სახეებს ვხვდებით ქართულ ხუროთმოძღვრულ<sup>32</sup>, ქედურ<sup>33</sup> და ხეზე ნაკვეთ<sup>34</sup> ჩუქურთმაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ამკობს ზოგ სპარსულ ჭურჭელსაც<sup>35</sup> და ამიტომ მისი მიჩნევა მარტო საქართველოსათვის დამახასიათებლად არ შეგვიძლია.

რაც შეეხება რუსთავის აღნიშნული ჭურჭლის ფორმას, იგი მსგავსებას იჩენს ირანში აღმოჩენილ, ამავე ტექნიკით, თუმცა კი განსხვავებული ორნამენტით, შემკულ თასთან<sup>36</sup>.

ამოკაწრული ორნამენტით შემკულ ნაწარმს მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნების მკვლევარნი XI—XII საუკუნეებით ათარიღებენ. ამ ტექნიკით შექმულ, ანისში აღმოჩენილ ჭურჭელს ბ. შელკოვნიკოვი, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, XI საუკუნით ათარიღებს<sup>37</sup>. ა. პოუბი ამოკაწრული ორნამენტით შემკულ ირანულ ნაწარმს XI—XII სს. კუთვნილად მიიჩნევს<sup>38</sup>, ა. ლეინი კი XII საუკუნის მეორე ნახევარს მიაწერს<sup>39</sup>.

ამგვარად, თითქოს გვეძლევა საშუალება ზემოაღწერილი, რუსთავეში აღმოჩენილი თასიც XI—XII საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

აღნიშნული ჭურჭელი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ზედმიწევნით პარალელი არ მოგვეპოვება, კეცისა<sup>40</sup> და ფორმის მიხედვით მაინც უფრო სპარსულ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს.

### III. ახორციელება და მხარობით შემავალი მუშაკები

ამ ჩგუფისათვის მისაკუთვნილებელი გვაქვს მხოლოდ ერთი — თბილისში (30C არაგველის ბაღში) აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. III<sub>1</sub>)<sup>41</sup>. მისი ფორმის აღდგენა არ ხერხდება: წარმოდგენილია მხოლოდ გვერდის ნატეხები და მრგვალგანიკვეთიანი ყურის ნატეხი. შესაძლოა იგი ბრტყლად წნული

<sup>32</sup> რე ნე შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, 1954, გვ. 30, 35, 44, 48, 70, 92.

<sup>33</sup> გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომკვლელობა, 1959, ტაბ. 49, 138, 236, 340 და სხვ.

<sup>34</sup> Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, ტაბ. 35, 117.

<sup>35</sup> А. У. Поре, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 583B, 587 და სხვ. А. Lane, Early Islamic Pottery, ტაბ. 35<sub>1</sub>.

<sup>36</sup> А. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 43<sub>1</sub>.

<sup>37</sup> Б. А. Шелковников, Поливная керамика из раскопок г. Анн, стр. 43.

<sup>38</sup> А. У. Поре, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 599B.

<sup>39</sup> А. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 34, ტაბ. 41, 43.

<sup>40</sup> შიკოანალიზის მიხედვით, კეცის სტრუქტურაში ვხვდებით გამომწვარი კაოლინის ნაწილაკებს, ღიძალ კვარცის მარცვლებს. კვარცი 50% შეადგენს. გამოწვის ტემპერატურა უდრის არა უმეტეს 1200°. კეცის შემადგენლობა მსგავსია რუსთავეთვე აღმოჩენილი, იმპორტული ლუსტრიანი ფაიანსის — № 3345-ის კეცისა.

<sup>41</sup> სსმფგ, ინვ. № 1—54:589. აღმოჩნდა VIII თბრილში, სახელოსნოს გადანაყარ გროვაში.

კალათის იმიტაცია იყო<sup>42</sup>. ზედაპირზე ამოღარულია პატარა ოთხკუთხედები. რომელნიც ქმნიან წნულის შთაბეჭდილებას და რომელთა ბოლოებშიც მსხვილი გამჭვირვალე ნახვრეტებია, კიქურით ამოვსებული. კეცი თეთრია, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2—3. იგი თითქოს ახლოს დგას ადგილობრივად მიჩნეული ნაწარმის კეცთან. ჭურჭელი დაფარული ყოფილა სპილენძის ცისფერი გაუქვირვალე, კალიანი კიქურით.

ის გარემოება, რომ აღწერილის მგავსი ჭურჭელი სხვაგან არსად გვეგულება და მისი კეცი კი ახლოს დგას ადგილობრივი ნაწარმის კეცთან, გვაგარაუდებინებს ამ ჭურჭლის ადგილობრივობას. რაც შეეხება ხნოვანებას, იგი ისევე უნდა დათარიღდეს, როგორც თარიღდება თბილისის (300 არაგველის ბაღი) სათუნე სახელოსნოში აღმოჩენილი მთელი მასალა — XIII საუკუნის ჰირველი ნახევრით.

#### IV. რელიეფური ორნამენტით შემავალი ზურჯელი

### დაძერწილი რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი

ამ ქვეჯგუფს ეკუთვნის სხვადასხვა მოყვანილობის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც შემკულია რელიეფური, ერთიმეორისაგან განსხვავებული ორნამენტით (ვარდულებით, „კიკარტებით“, ზოლებით, „მასკარონებით“). ისინი ჩვეულებრივ დაფარულია ცისფერი ან ლურჯი გამჭვირვალე კიქურით.

რელიეფური, დაძერწილი „კიკარტებითა“ და შევული ირიბჭდეული ზოლებით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია: თბილისში (300 არაგველის ბაღის განათხარი)<sup>43</sup> (ტაბ. IV<sub>1</sub>), დმანისში<sup>44</sup> (ტაბ. IV<sub>2</sub>) და რუსთავეში<sup>45</sup> (ტაბ. IV<sub>3</sub>). ყველა ისინი წარმოადგენენ საკმაოდ დაუდევრად ნაკეთებ, ტლანქ ჭურჭელს. მათი მოყვანილობის გარკვევა ძნელდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ისინი სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებს ეკუთვნოდნენ.

თუ ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურისა და სამუზეუმო ფონდებში დაცული მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, „კიკარტებით“ შემკული ჭურჭელი დამახასიათებელი ჩანს მხოლოდ საქართველოს აღნიშნულ ნაქალაქართათვის და ბუნებრივი იქნება მათი მიჩნევა ადგილობრივ ნაწარმად. მაგრამ, ამასთანავე, ისინი მთლად ერთიმეორის მსგავსნი არ არიან და განსხვავდებიან როგორც კეცით, ისე შემკობის დეტალებით. ეს კი გვაგულისხმებინებს მათ წარმოებას ყველა სათანადო ქალაქში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში აღმოჩენილი, „კიკარტებიანი“ და ირიბჭდეული ზოლებით შემკული ჭურჭელი კეცით ჰგავს იქვე აღმოჩენილ ფაიანსის სხვა ჭურჭლებს, რომლებიც ადგილობრივ ნაწარმად მიგვაჩნია.

42 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 159; მისივე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წლის გაზაფხულზე.

43 სსმფ, საინვ. №№ 1—54:75, 187, 114, 525, 557. კეცი მოთეთრო აქვთ, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2. დაფარულია ცისფერი გამჭვირვალე კიქურით.

44 სსმფ, საინვ. №№ 222, 252, 46, 822, 374. კეცი მოთეთრო-მონაცრისფროა, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2—3. დაფარულია ცისფერი გამჭვირვალე კიქურით.

45 რაესწ, № 538; რმმ, საინვ. № 1633. კეცი მოთეთრო აქვთ, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 3. დაფარულია ლურჯი გამჭვირვალე კიქურით.

„კიკარტებით“ შემკული ყველა ჭურჭელი, თბილისში (300 არაგველ-ს ბაღში) აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XIII საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს.

ზემოთ ჩამოთვლილი ჭურჭლისაგან განსხვავდება, როგორც ფორმით, ისე კიკარტით, დმანისში აღმოჩენილი თასი, პირ-გვერდის ნატეხით წარმოდგენილი (ტაბ. IV)<sup>46</sup>. ეს არის პირგადმოწეული შვეულგვერდებიანი ჭურჭელი, რომელსაც, ეტყობა, დაბალი ქუსლი ჰქონია (ანისში აღმოჩენილი ასეთი ჭურჭლის მიხედვით). კეცი მოთეთრო აქვს, ნასვერეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2. ზედაპირი დაფარულია კობალტის ლურჯი, ხოლო შიდაპირი — სპილენძის ცისფერი გამჭვირვალე ჭიქურით. ჭიქურს ირიზაციის ქერქი აკრავს, იგი დამსკდარია.

ჭურჭლის გვერდი შემკულია რელიეფურად დაძერწილი ირიბქდეული ზოლებითა და მრგვალი, შუაში შეზნეილი კიკარტისმაგვარი დანაძერწით. მსგავსი ფორმისა და შემკულობის მქონე ჭურჭელი აღმოჩენილია ანისშიც<sup>47</sup>. მისი კეცი თეთრია, ოდნავ მონაცრისფრო; სიმტკიცე — 4—5.

ჭურჭელი დაფარულია ლურჯი, გამჭვირვალე ჭიქურის არათანაბარი ფენით. ზედაპირი შემკულია ირიბქდეული ზოლებით, კიკარტისმაგვარი ორნამენტის გარეშე.

მიუხედავად მოყვანილობისა და ორნამენტის მსგავსებისა, დმანური და ანური თასების ერთ სახელოსნოში ნაყეთობა გამორიცხული უნდა იყოს კეცის სხვადასხვაგვარობის გამო. შესაძლოა, დმანისში აღმოჩენილი ჭურჭელი იქვე იყოს დამზადებული, მით უმეტეს, რომ მისი კეცი თითქოს ახლოს დგას ჩვენ მიერ ადგილობრივად მიჩნეული ნაწარმის კეცთან.

რაც შეეხება ხნოვანებას, დმანური ჭურჭელი შეიძლება ისევე დათარიღდეს, როგორც აღმოჩენის ადგილის მიხედვით — ანური თასი, ე. ი. XII—XIII საუკუნეებით, მით უფრო, რომ ეს თარიღი ეთანხმება ზემოთ განხილულ, ასევე დაძერწილი რელიეფური ორნამენტით — „კიკარტებითა“ და ირიბქდეული ზოლებით შემკული ჭურჭლისას — XIII საუკუნის პირველი ნახევარი.

დაძერწილი რელიეფური ორნამენტით შემკული ფაიანსის ჭურჭლის მეორე სახეობას შეადგენენ ისინი, რომლებსაც აქვთ ბრტყელი, დაკბილული ბაკო, შვეული, მაღალი, ძირთან მომრგვალებული გვერდები და დაბალი ქუსლი. ისინი შემკულია შვეული რელიეფური ზოლებით (ტაბ. IV<sub>5a</sub>).

რუსთავში აღმოჩენილია ორი ამგვარი ჭურჭლის ნატეხები<sup>48</sup>. მათი კეცი ისეთივეა, როგორც იქვე აღმოჩენილი, „კიკარტებით“ შემკული ჭურჭლისა; მოთეთრო და ნასვერეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2—3.

მსგავსი ჭურჭლის ნატეხები ნაპოვნია აგრეთვე დვინში (ტაბ. IV<sub>5b</sub>)<sup>49</sup>, ორენ-ყალასა<sup>50</sup> და ძველ განჯაში<sup>51</sup>, მაგრამ რუსთაველი ჭურჭელი განსხვავ-

46 სსმფ, ინე. № 17—37:70.

47 Б. А. Шелковников, Полувная керамика из раскопок Ани, გვ. 53. სურ. 30, № 579.

48 რაესწ, № 53; რმ, საინე. №№ 766, 1027, 935 (სამივე ნატეხი ერთი ჭურჭლისაა).

49 სსსმ. საინე. № 1794/121 (დ. 1946).

50 აიშ, საინე. № 3779.

51 აიშ, საინე. № 2121.



დება მათგან: უფრო დაუდევრადაა ნაქეთები და თვალნათლივ სხვა, ადგილობრივი სახელოსნოს ნაწარმი ჩანს.

რელიეფური ვარდულებით შემკული ნაწარმი წარმოდგენილია სხვადა-სხვა მოყვანილობისა და ვარდულის მქონე კურკლის ნატეხებით.

გვხვდება შეეულგვერდებიანი, ქუსლდაბალი კურკელი (წარმოდგენილია დმანისში აღმოჩენილი კურკლის პირ-გვერდის ნატეხით)<sup>52</sup>, რომლის გვერდიც ნაყალიბევი, ჩამოსხმული ვარდულებითაა შემკული.

აგრეთვე ნაყალიბევი (ოღონდ უფრო განსხვავებული მოყვანილობის) ექვსფურცელა და შვიდფურცელა ვარდულები ამკობს მრგვალმუცლიან, სქელკედლიან კურკელს, რომლის მუცელზედაც ვარდულთა დანაძერწი ადგილები დაბრტყლებულია. ამგვარი კურკლის ნატეხები აღმოჩენილია რუსთავსა (ტაბ. V<sub>1</sub>)<sup>53</sup> და დმანისში (ტაბ. V<sub>2</sub>)<sup>54</sup>. მათი კეცი მოთეთროა, ნასვერტოვანი; სიმტკიცე უდრის 2. კურკელი დაფარულია ცისფერი, გამჟვირვალე ჰიქურით, რომელსაც ირიზაციის ჰერქი აკრავს და დამსკდარია.

დაძერწილი რელიეფური ვარდულებით შემკული კურკელი გვხვდება სომხეთსა<sup>55</sup> და აზერბაიჯანშიც (ორენ-ყალა<sup>56</sup>, ძველი განჯა<sup>57</sup>). აზერბაიჯანისთვის დამახასიათებელი ჩანს სრულიად განსხვავებული მოყვანილობის მქონე ვარდულა. ამგვარი ვარდულები იქ ამკობს წითელკეციან მოქიქულ კერამიკასაც. განსხვავებულია აგრეთვე მათი კეცი: იგი უფრო მტკიცეა, ვიდრე სომხეთისა და საქართველოს სათანადო ნაწარმისა.

დაძერწილი რელიეფური ვარდულებით შემკული კურკელი უცხო არა ჩანს ირანის ნაწარმისათვისაც. ვარდულებით შემკული კურკელი გამოცემული აქვს ა. ლეინს — ერთი, რეიში აღმოჩენილი, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმშია დატული<sup>58</sup>. ხოლო მეორე ელდრედ ჰიჩოკის კოლექციაში (ტაბ. V<sub>3</sub>)<sup>59</sup>. ამგვარი ორნამენტით შეკული ჯამი გამოქვეყნებული აქვს ე. კიუნელსაც<sup>60</sup>.

რადგან დაძერწილი ვარდულებით შემკული კურკლის ჯერ სულ ორიოდ ნატეხი მოგვეპოვება. ხოლო მსგავსი ორნამენტით შემკულ კურკელს ვხვდებით ირანსა და სომხეთშიც, საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი კურკლის მწარმოებელი ცენტრის დადგენისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

რაც შეეხება ხნოვანებას, აღნიშნული კურკელი, ზემოთ დასახელებული პარალელური მასალის მიხედვით, XII—XIII საუკუნეებით უნდა დავათარიოთ<sup>61</sup>. საერთოდაც დაძერწილორნამენტისანი ყოველგვარი კურკელი ამიერ-

52 ე. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა, ტაბ. LXII<sub>7</sub>.

სსმფგ, № 1072, კეცი თეთრი აქვს, ნასვერტოვანი, სიმტკიცე უდრის 2. დაფარულია ცისფერი გამჟვირვალე ჰიქურით. ჰიქური დამსკდარია და ირიზაციის ჰერქი აკრავს.

53 რმბ, ინგ. № 955.

54 ე. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXII<sub>6</sub>; სსმფგ, № 1086.

55 Б. А. Шелковников, Полнвая керамика из раскопок г. Ани, გვ. 52—53, სურ. 29, ზედა მარჯვენა და ცენტრ. სურ. 31, ქვედა. სომხეთში აღმოჩენილი ამ ნაწარმის კეცი თეთრია: სიმტკიცე უდრის 2—3.

56 აიმ, № 3379.

57 აიმ, № 38.

58 A. Lane, Early Islamic Pottery, ტაბ. 42B.

59 A. Lane, Islamic Pottery, სურ. 26, გვ. 24.

60 E. Kühnel, Sammlung Oskar Skaller, Berlin, 1927, გვ. 23, ტაბ. III<sub>66</sub>.

61 A. Lane, Early Islamic Pottery, ტაბ. 42B; მისივე, Islamic Pottery, სურ. 26, 24; Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

კავკასიაში თუ მის ფარგლებს გარეთ, ჩვეულებრივ, XII—XIII საუკუნეებს მიეკუთვნება და ამიტომ სწორი არ უნდა იყოს ე. კიუნელის მიერ ოსკარ სკალერის კოლექციის დაქვრივ-ვარდულებიანი, სულთანაბადში აღმოჩენილი ჭურჭლის XIII—XIV სს. დათარიღება<sup>62</sup>.

აღწერილთან ერთად უნდა განვიხილოთ დმანისში აღმოჩენილი რელიეფური, დაქვრივი, გვერდებზარული „კონუსებითა“ და „მასკარონებით“ შემკული ჭურჭელი<sup>63</sup>, რომელთაც პირდაპირი ანალოგები მოეპოვებათ დვინისა და ანისის განათხარებში. თუ ამ უკანასკნელებში აღმოჩენილი ჭურჭლების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი ორნამენტით ამკობდნენ „საყვავილეებსა“ და სწორკედლიან ჯამებს<sup>64</sup>.

როგორც ბ. შელკოვნიკოვი შენიშნავს, ამგვარი ჭურჭლები აღმოჩენილია მხოლოდ კავკასიაში, ხოლო აქ გვხვდება არა მარტო ანისში, არამედ დვინში და დმანისშიც. ამასთანავე, კავკასიის სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი, ამ ტიპის ფაიანსის ჭურჭლები იმდენად ახლოს დგანან ერთიმეორესთან შემკობის ტექნიკითა და ორნამენტით, რომ, ეტყობა, ისინი იწარმოებოდა ერთ კერამიკულ ცენტრში. ვინაიდან ასეთი ნაწარმის უმეტესობა აღმოჩენილია ანისსა და დვინში, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანში მხოლოდ რამდენიმე პატარა ნატეხია ნაპოვნი, ბ. შელკოვნიკოვი მათი წარმოების ადგილად მიიჩნევს სომხეთს, ხოლო საკითხს, თუ სახელდობრ რომელ საწარმოო კერაშია ისინი დამზადებული, ჯერჯერობით გადაუწყვეტლად ტოვებს<sup>65</sup>.

აღნიშნულ ჭურჭლებს ბ. შელკოვნიკოვი, აღმოჩენის ადგილთა მიხედვით, XII—XIII სს. ათარიღებს<sup>66</sup>.

ამგვარად, ჩანს, დაქვრივი რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი მზადდებოდა ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ მათ ნაწარმს შორის სხვაობა ჩანს არა მარტო ორნამენტის რაგვარობის, არამედ ჭურჭლის კეცის მხრივაც. კეცის მიხედვით განსხვავება განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა, ერთი მხრივ, ძველი განჯის ნაწარმსა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოსა და სომხეთის ნაწარმს შორის (ამ უკანასკნელთა ნაწარმის კეცის სიმტკიცე დაახლოებით ერთნაირია).

## 2. დაქვრივი რელიეფური ორნამენტითა და ამოკაწვრით შემკული ჭურჭელი

საქართველოში ამგვარი ნაწარმი წარმოდგენილია თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი ერთი თასის ძირ-ქუსლის ნატეხით<sup>67</sup>.

<sup>62</sup> E. Kühnel. დასახ. ნაშრ., გვ. 23, ტაბ. III<sub>88</sub>.

<sup>63</sup> ვ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა, 1956, ტაბ. XLI<sub>1</sub>, 2, 3; სსმფგ, საიფგ. №№ 190, 1076, 2651, 1069.

<sup>64</sup> Б. А. Шелковников, Художественная керамика двинских раскопок, Изв. Арм. ФАН СССР, № 4—5, Ер., 1940, სურ. 7; მის ი ე ე, Полвная керамика из раскопок г. Ани, სურ. 28.

<sup>65</sup> Б. А. Шелковников, Полвная керамика из раскопок г. Ани, გვ. 54; მის ი ე ე, Керамика и стекло из раскопок г. Двина, გვ. 93—94.

<sup>66</sup> Б. А. Шелковников, Полвная керамика из раскопок г. Ани, გვ. 55.

<sup>67</sup> სსმფგ, ინფ. № 1—54:296.

მისი კეცი მსგავსია ადგილობრივად მიჩნეული ჭურჭლის კეცისა, მოთეთროა და ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2. ჭურჭლის ზედაპირი შემკულია შვეულად დაქერწყილი რელიეფური ზოლებით, რომელთა შორის სივრცე ამოკაწრული ორნამენტით ყოფილა შემკული (მისი ნაშთია შემორჩენილი).

სპილენძის ცისფერი და კობალტის ლურჯი გამჭვირვალე ჭიქური რიგრიგობით ენაცვლება ერთმანეთს და ერთმანეთისაგან შვეული რელიეფური ზოლებითაა გამოყოფილი.

შიდაპირზედაც ლურჯი და ცისფერი ზოლები ენაცვლება ერთიმეორეს. ჭიქური ირიზაციის ქერქით დაფარული და დამსკდარია. ქუსლი მოუქიჩავია; ერთგან ჩამოღვენთილი აქვს ჭიქურის მსხვილი წვეთი, რომელიც 2—3 მმ-ით უფრო მაღალაა ქუსლზე და თასის სწორად დადგმას ხელს უშლის.

თასი, კეცის მიხედვით და აგრეთვე იმის გამო, რომ ამგვარად შემკული ჭურჭელი არსად გვევლება, დასაშვებია ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ, ხოლო აღმოჩენის ადგილის მიხედვით XIII საუკუნის პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ.

### 3. ამოტვიფრული რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი

საქართველოს ფეოდალური ხანის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი, ამოტვიფრული რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭელი წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობისა და ორნამენტის მქონე ჭურჭლის ნატეხებით. არის თასის, ქილის, ჰრგვალბუცილიანი ჭურჭლის და სხვა ჭურჭლის ნატეხები. ეს ჭურჭლები დაფარულია ცისფერი ან ლურჯი, გამჭვირვალე ჭიქურით.

ამოტვიფრული რელიეფური ორნამენტით არის შემკული რუსთავეში აღმოჩენილი, მუცელგამობერილი, ყურბრტუველი ჭურჭელი, წარმოდგენილი გვერდის ნატეხით<sup>68</sup>. მისი კეცი თეთრია, ნასვრეტოვანი, რბილი. ზედაპირი დაფარული აქვს კობალტის ლურჯი, ხოლო შიდაპირი — სპილენძის ცისფერი, გამჭვირვალე ჭიქურით. მუცელსა და მხარს ამკობს წნული ორნამენტი. ჭურჭელი სქელკედლიანია და ტლანქად ნაკეთები. მისი კეცი ისეთივეა, როგორც დაქერწყილი რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლისა, რომელიც ჩვენ ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიეთ.

მსგავსი მოყვანილობისა და ორნამენტის მქონე ჭურჭლის ნატეხი აღმოჩენილია თბილისში (300 არაგველის ბაღში)<sup>69</sup> და დმანისშიც (ტაბ. V)<sup>70</sup>. თბილური ჭურჭელიც კეცისა (მოთეთრო, ნასვრეტოვანი, სიმტკიცე — 2—3) და ჭიქურის (სპილენძის ცისფერი, გამჭვირვალე) მიხედვით ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენს, ხოლო აღმოჩენის ადგილის მიხედვით XIII საუკუნის

<sup>68</sup> რმმ, ინვ. № 597.

<sup>69</sup> სმმფგ, ინვ. № 1—54/1607.

<sup>70</sup> სმმფგ, ინვ. № 1057: კეცი მონაციისფრო-მოვარდისფრო, სიმტკიცე — 4. ჭიქური ზედაპირზე კობალტისა (ლურჯი), გამჭვირვალე, შიდაპირზე — სპილენძის (ცისფერი), გამჭვირვალე. ჭიქური წვრილ-წვრილადაა დამსკდარი და ირიზებულია. № 1010; კეცი ნაციისფერი, სიმტკიცე — 3—4. ჭიქური — ზედაპირზე ცისფერი, გამჭვირვალე; დამსკდარია და ირიზებული. ჭიქურის ქვემოთ მანგანუმით არის მოხატული და ჭიქურისავე ალაგ-ალაგ მოყავისფრო ელფერი გადაჰკრავს.

პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ასევე შეიძლება დათარიღდეს რუსთაველი და დმანური კურკელი.

აღნიშნული ჯგუფიდან განსაკუთრებით საინტერესოა რუსთავეში აღმოჩენილი ერთი ქილის ნატეხი<sup>71</sup>. ქილა მხრებიანი ყოფილა, თითქოს „აღბარელოს“ ტიპისა. პირი ოდნავ გადმოკეცილი აქვს, ყელი — ცილინდრული, მხრები — მკვეთრად დაქანებული, ვიწრო. რუსთავეში აღმოჩენილი, მოყვანილობით მსგავსი, მაგრამ წითელკეციანი მოკიქული კურკლის მიხედვით, ამ ქილასაც უნდა ჰქონოდა მძალაი ცილინდრული მუცელი, რომელიც ძირისკენ უმნიშვნელოდ ვიწროვდება და თავდება დაბალი, ბრტყელი ქუსლით (ტაბ. VI, 3). კურკელი ყალიბით ჩანს ჩაპოსხმული. კეცი თეთრი აქვს, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 3—4. ზედაპირი დაფარულია კობალტის ლურჯი. ზოლო შიდაპირი — სპილენძის ცისფერი, გამჟვირვალე კიქურით.

ქილის ზედაპირი შემკულია ამოტიფრული რელიეფური სახეებით. მხრებზე წნული ორნამენტია, გვერდი კი შემკულია სტილიზებული მცენარეული სახეებით.

რუსთავეშივე არის აღმოჩენილი მსგავსი მოყვანილობისა (ოღონდ უფრო ნოზრდილი) და ორნამენტის მქონე კურკლის კიდევ ერთი ნატეხი (ტაბ. VI) <sup>72</sup>. ამ ორივე კურკელს კეცი და კიქური ერთნაირი აქვს და ისინი ერთი სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ.

„ძველ-განჯურის“ მსგავსი ტექნიკით შემკული ქილის ნატეხები<sup>73</sup> რუსთავის კურკლისაგან განსხვავდება კეციით (სიმტკიცე უდრის 7) და ზოგი კიქურითაც (გაუმჟვირვალე. კალიანი)<sup>74</sup>. რუსთავის ქილის ორნამენტის ანალოგიური ჩანს აგრეთვე ძველ განჯაში აღმოჩენილი და ბაქოში, ნიზამის მუზეუმში ნატეხის სახით დაცული კურკლის ორნამენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარად მოყვანილი წითელკეციანი მოკიქული კურკელი მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოში, რუსთავის ფაიანსის ქილებს მაინც ვერ ჩავთვლით ადგილობრივ ნაწარმად, რადგან ეს ფორმა საერთოდ ბევრგანა ჩანს გავრცელებული, ხოლო რუსთავის კურკლის შემამკობელი, ამოტიფრული სტილიზებული მცენარეული სახეები გვხვდება ირანში აღმოჩენილი როგორც ადრეულ ისლამურ, ისე შუაფეოდალური ხანის კურკელებზე<sup>75</sup>.

ყალიბით ჩამოსხმული ამოტიფრული სახეებით შემკული, მუქი ლურჯი ფერის გამჟვირვალე კიქურით დაფარული სპარსული კურკელი გამოქვეყნებული აქვს ა. ლეინს<sup>76</sup>. იგი მათ XIII საუკუნით ათარიღებს. ვფიქრობთ, ასევე XIII საუკუნით უნდა დავათარილოთ რუსთავეში აღმოჩენილი მსგავსი ტექნიკით შემკული ქალებიც.

#### V. აზარბაიჯანით შამაული პურავალი

საქართველოში დაბრტყელებით შემკული ფაიანსის კურკელი მხოლოდ რუსთავეშია აღმოჩენილი. ეს არის ყელდაბალი, მუცელგამობერილი, ძირ-

<sup>71</sup> რაესწ, № 1815.

<sup>72</sup> რმმ, ინვ. № 595.

<sup>73</sup> აბმ, ინვ. № 2086; 565; ნიზამის მუზეუმის ექსპოზიცია, 1962 წ.

<sup>74</sup> აბმ, ინვ. № 2086; ნიზამის მუზეუმის ექსპოზიცია, 1962 წ.

<sup>75</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 555, 771A.

<sup>76</sup> A. Lane. Early Islamic Pottery. ტაბ. 42C.D, გვ. 34.

ბრტყელი კოქობი (ტაბ. VI<sub>4</sub>)<sup>77</sup>, რომელსაც კეცი მონაცრისფრო და ნასერე-ტოვანი აქვს; კეცის სიმტიკე უდრის 2. ჭურჭელი დაფარულია სპილენძის, მომწვანო-მოფარუზისფრო გამჭვირვალე ჭიქურით. მას თვალნათლივ ემჩნევა ცეცხლში ყოფნის ნიშნები: ჭიქური დამსკდარია და შავად გარუჯული.

ჭურჭელს მუცლის გარშემო რამდენიმე მოგრძო-ოვალური, თანაბარი ზანძილით დაშორებული დაბრტყელება შემოსდევს. ამ დეკორს პარალელები ეძებნება რეი-ჰუსეინბადარს (ირანი)<sup>78</sup>, დეინის<sup>79</sup>, ორენ-ყალასი<sup>80</sup> და ძველი განჯის<sup>81</sup> ისევე მოყვანილ და შემკულ ჭურჭელთა სახით. გვხვდება მოყვანილობით მსგავსი, ოღონდ შეუთმობელი ჭურჭელიც.

აქ დასახელებული ყველა მსგავსი ჭურჭლის კეცის სიმტიკე არ ვიცთ, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ რუსთაველისა (2) და ძველ განჯაში აღმოჩენილისა (6—7). თუ დავუშვებთ, რომ სპარსული ჭურჭლის კეცი, ჩვეულები-სამებრ, უფრო მტკიცეა, მაშინ რუსთავის ჭურჭელი — დაეკვებით კი. მაგრამ შინც — ადგილობრივ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ და წარმოედგინოთ. რომ საერთოდ იმგვარი ჭურჭელი სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში უკეთებიათ.

რაც შეეხება ხნოვანებას. უნდა ითქვას, რომ სირიაში აღმოჩენილი, მსგავსი ორნამენტით შემკული ჭრაქი XIII ს. თარიღდება<sup>82</sup>. ორნამენტს მსგავსება ქრონოლოგიურ სიახლოვეზედაც უნდა მიგვითითებდეს და, შესაძლოა, ასევე XIII საუკუნის კუთვნილად მივიჩნიოთ რუსთავისა და მისი მსგავსი სხვა ჭურჭლებიც.

#### VI. ვპირულნაწილბანი ვურჯილი

საქართველოში ამგვარი ზუთი ჭურჭლის ნატეხებია აღმოჩენილი: სამისა რუსთავში (ტაბ. VII<sub>1</sub>, 4)<sup>83</sup>. ერთისა — თბილისში (ერეკლე მეორის მოედანზე) (ტაბ. VII<sub>2</sub>)<sup>84</sup> და ერთისაც დმანისში<sup>85</sup>. ყველას ერთნაირი მოყვანილობა უჩანს: უნდა ყოფილიყო პირფართო, ყელმალალი, ოდნავ ვაშობერილი. ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული მუცლისა და დაბალი ქუსლის მქონე ჭურჭელი და მას უნდა ჰქონოდა რამდენიმე ყური და ერთი (?) გადმოსასხმელი მილი (ტაბ. VII<sub>3</sub>), რომელიც რელიეფურად, სტილიზაციით გამოხატავდა ცხოველის (ირმის?) თავს (ტაბ. VII<sub>4</sub>).

ჭვირული ჭურჭლების პირი შემკულია ერთ ან ორ რიგად განლაგებული ნახვრეტოვანი რგოლებით, რომლებიც ზედა მხარეს პატარა შეეული შვერი-ლებითაა დაკავშირებული. ასეთივე რგოლებითაა შემკული მრგვალი ან

77 რაესწ. № 1940.

78 სიმ, მალაიანის კოლექცია, საინვენტარო № 126/33.

79 სიმ, საინვ. № 1907/89 (დ. 1950).

80 აიმ, საინვ. № 47.

81 აიმ, საინვ. № 2086, 2146.

<sup>82</sup> Bulletin of the Bachstiltz Gallery. The Islamic Collection, Berlin, 1930, გვ. 25. ასევე დაბრტყელებითაა შემკული ორენ-ყალაში ნაპოენი ჭრაქი, რომელსაც გ. ახმედოვი XI—XIII სს. მიაკუთვნებს (იხ. მისი Неполноценная керамика Орех-Кала IX—XIII вв., МИА, 67, М.—Л., 1959, გვ. 220—221. ტაბ. XIII<sub>4</sub>).

<sup>83</sup> რაესწ, №№ 3215, 3163, 3138...; 3216, 3215, 778...; 1461, 676.

<sup>84</sup> თიგმ, საინვ. № 169.

<sup>85</sup> სსმფვ, საინვ. № 17—34/341.

ბრტყელი განიკვეთის მქონე ყურებიც. ბრტყელგანიკვეთიან ყურზე რელიეფური. ამოტიფრული ორნამენტი.

ქურქლები დაფარულია ცისფერი ან ლურჯი გამკვირვალე კიქურით.

მსგავსი ფორმის კვირულნაწილებიანი ქურქელი საქართველოს გარდა აღმოჩენილია მხოლოდ ძველ განჯაში<sup>86</sup>. იქვეა ნაპოვნი წითელკეციანი, მოკიქული. კვირული ქურქლის ნატეხებიც<sup>87</sup>.

ასეთივე რგოლებით შემკული, ოღონდ სხვაგვარი მოყვანილობის მქონე ქურქლები ცნობილია: ერთი დვინიდან<sup>88</sup>, ხოლო ორი — სპარსეთის საწარმოო ცენტრებიდან — რეი-ჰუსეინაბადიდან<sup>89</sup> და ზულფაბადიდან<sup>90</sup>. ეს უკანასკნელი წითლად გამოშვარი თიხისაა. სულთანაბადური კვირულნაწილებიანი, განსხვავებული მოყვანილობის მქონე ქურქელი გამოქვეყნებული აქვს ე. კიუნელს<sup>91</sup>. სავაში ნაპოვნი (ბოსტონის მუზეუმში დაცული) იმგვარივე მოყვანილობის ქურქელი გამოცემული აქვს ა. პოუს<sup>92</sup>.

რაც შეეხება კვირული ქურქლის სადაურობას, აქაც დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ისინი სხვადასხვა საწარმოო ცენტრში მზადდებოდა, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანის კეცი განსხვავდება ერთიმეორისაგან.

საქართველოში აღმოჩენილი კვირული ქურქლის კეცი მოთეთროა ან მონაცრისფრო: მისი სიმტკიცე უდრის 2—3. იგი განირჩევა სპარსეთში და ძველ განჯაში აღმოჩენილი ქურქლის კეცისაგან (ძველი განჯის ქურქლის კეცის სიჭკველე უდრის 4—5). მაშასადამე, თითქმის გამორიცხული უნდა იყოს ყველა ამ ქურქლის საერთო წარმოშობა. შესაძლოა იგი სპარსულის მბაძეთი. ჰავრამ ადგილობრივ იწარმოებოდა, კერძოდ ჩვენშიც.

თუ გავიზიარებთ ი. გძელიშვილის მოსაზრებას, შეგვიძლია აღნიშნული ქურქელი მივაკუთვნოთ დაახლოებით XI საუკუნეს — იმ, მსგავსი ქურქლის მიხედვით, რომელიც გამოხრელთა მიერ აღმოჩენილია აღნიშნული დროის მონეტების შემკველ ორმოში<sup>93</sup>. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ შეიძლება XI ს. ფულრ შემდეგ საუკუნეებშიც მიმოქცეულიყო, გვგონია, აუცილებელი არ უნდა იყოს კვირული ქურქლის მაინცადაშინც XI საუკუნით დათარიღება, მით უმეტეს, რომ სულთანაბადში აღმოჩენილი, მსგავსი ორნამენტით შემკული ქურქელი XIV საუკუნითაც კი თარიღდება<sup>94</sup>.

სოხეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული, მალაიანის კოლექციაში შემავალი კვირული ქურქელიც. ზულფაბადში (სულთანაბადის რაიონი) არის აღმოჩენილი და ისევე უნდა დათარიღდეს, როგორც ჩვეულებრივ თარიღდება სულთანაბადური ნაწარმი, ე. ი. XIII—XIV საუკუნეებით. მაგრამ თუ გავიხსენებთ ამ ქურქლის მოყვანილობას, იგი შეგვიძლია რამდენადმე უფრო ძვე-

<sup>86</sup> ამშ. საინვ. № 2328.

<sup>87</sup> ნიზამის მუზეუმის გამოფენა.

<sup>88</sup> სსიშ, საინვ. № 1905/24 (დ. 1948).

<sup>89</sup> სსიშ, საინვ. № 126/48.

<sup>90</sup> სსიშ, საინვ. № 126/12.

<sup>91</sup> E. Kühnel, Islamische Kleinkunst, Berlin, 1925, გვ. 102, სურ. 64.

<sup>92</sup> A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 742B (ქვედა).

<sup>93</sup> ი. გძელიშვილი, ბ. ტყემელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, 1961, გვ. 37.

<sup>94</sup> E. Kühnel, დასახ. ნაშრ., გვ. 102, სურ. 64.

ლადაც მივიჩნით. ეს არის ჯამი, რომელსაც ექვსი ფოსო აქვს. ამთგან ერთი ცენტრშია და მას პირზე შემოუყვება კვირული რგოლები, რომლებიც ზედა ნაწილში თიხის პატარა შვერილებითაა დაკავშირებული. ჯამის პირსაც ასეთვე რგოლები შემოსდევს. ასევეა მოყვანილი (ოღონდ კვირული ნაწილში არა აქვს) ორენ-ყალაში ნაპოვნი ერთი ჯამი, რომელსაც ბ. შელკოვნიკოვი, კიქურის, ლუსტრის ფერისა და ორნამენტის მიხედვით, რეის სახე-ლოსნოს ნაწარმად მიიჩნევს და მიაკუთვნებს XII ს. და XIII ს. დასაწყისს<sup>95</sup>.

საქვე XII—XIII სს. აქვს დათარიღებული ა. პოუპს სავაში ნაპოვნი, კვირული ნაწილებით შემკული ქურქელი<sup>96</sup>. დაახლოებით იმავე ხანას — XIII ს. მაინც (XII ს. გამორიცხულია სულთანაბადისათვის, ვინაიდან ეს ქალაქი 1200 წ. დაარსდა<sup>97</sup>) — უნდა მიეკუთვნოს ზულფაბადის ქურქელი, რაკი ისეთი ფორმა, როგორც მასა აქვს, არც თუ ხშირია და, ეტყობა, მხოლოდ რაღაც გარკვეული დროის განმავლობაში ყოფილა გავრცელებული. მაშინ ჩვენი კვირული ქურქლის ხნოვანებამაც შეიძლება XIII ს. გადმოაწიოს, რადგან შემკულობის ასეთი მსგავსება ქრონოლოგიურ სიახლოვესაც უნდა მიგვი-თითებდეს.

ასეთი ხნოვანება მიზანშეწონილი იქნება რუსთავის ქურქლისთვის იმი-ტომაც, რომ XIV საუკუნეში იქ უკვე წარმოდგენილია საქალაქო ცხოვრება: როგორც ვიცით. რუსთავი XIII საუკუნის მეორე ნახევარში ნადგურდება და მისი ქალაქობაც მაშინ თავდება<sup>98</sup>. იგივე შეიძლება ითქვას დვინის შესახებ, სადაც XIII ს. ინტენსიური ცხოვრების შესაძლებლობა მთლიანად გამორი-ცხულია და მხედველობაში შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ამ საუკუნის დასა-წყისი<sup>99</sup>.

## VII. მოხატული და გამჭვირვალე ანთხრით დაფარული ანთხელი

ამ ჯგუფში შემავალი ფაიანსის ქურქელი მოხატულია შიშველ კეცზე და შემდეგ ზედ გადავლებული აქვს გამჭვირვალე, უფერული ან ფერადი კიქურ-რი. ეს ჯგუფი, კიქურის ფერისა და კეცზე დატანილი საღებავის ფერის მი-ხედვით, იყოფა ქვეჯგუფებად.

### 1. უფერული გამჭვირვალე კიქურით დაფარული ქურქელი

ა) ლურჯი საღებავით მოხატული ქურქელი. ამგვარი ნაწარმი შემკულია შიშველ კეცზე დატანილი შვეული ზოლებით და დაფა-რულია უფერული გამჭვირვალე კიქურით. მისი ნიმუშები გვაქვს კუხეთის

<sup>95</sup> Б. А. Шелковников, Фаянсы, расписанные люстром по белой непрозрачной глазури из Орел-Кала, МИА, 67, გვ. 303, 318, ტაბ. III.

<sup>96</sup> А. У. Роре, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 742B (ქვდა).

<sup>97</sup> R. Hobson, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

<sup>98</sup> გ. ლომთათიძე. რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელო-ვანესი შედეგები, მსკა, 1, 1955, გვ. 190.

დ. ქილაშვილი. ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 86.

<sup>99</sup> Б. А. Шелковников, Керамика и стекло из раскопок Двина, გვ. 7, 27.

რუსთავის განათხარში (ტაბ. VIII<sub>1</sub>)<sup>100</sup>. მათი კეცი თეთრია. ნასვრეტოვანი; სიმტიცე უდრის 3—4.

ირანში (ქაშანში) მოპოვებულა და ასევე შემკულ ჭაქებს (ტაბ. VIII<sub>2</sub>) ა. ლეინი XIII საუკუნის დასაწყისის აკუთვნებს<sup>101</sup>. ეს უფლებას გვაძლევს ასევე დავათარილოთ რუსთავში აღმოჩენილი, ზემოაღნიშნული ნაწარმიც, ოღონდ ძნელი სათქმელია, თუ რომელი ირანული ცენტრიდან მომდინარეობს იგი. შეიძლება დასახელებული პარალელის მიხედვით, პირობითად, ისიც ქაშანს მივაკუთვნოთ.

## 2. ცისფერი (სპილენძის) გამკვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი

ა) კობალტის ლაქებით შემკული ჭურჭელი. აღნიშნულ სახეობისადმი მისაკუთვნებელი ჭურჭლის სამი ნატეხი არის აღმოჩენილი თბილისის (300 არაგველის ბაღის) სახელოსნოს გადანაყარ გროვანში<sup>102</sup>. როგორც ჩანს, სხვადასხვა მოყვანილობის მქონე ჭურჭელთან უნდა გვქონდეს საქმე. მათ შორის ვხედავთ ყურთან ლანგარსაც<sup>103</sup>. მათი კეცი მსგავსია ცისფერი, გამკვირვალე ჭიქურით დაფარული, ჩვენ მიერ ადგილობრივად მიჩნეული ჭურჭლის კეცისა: მოთეთროა და ნასვრეტოვანი; სიმტიცე უდრის 2. ჭურჭელი აქა-იქ გაღვრილი კობალტის ლაქებით შემკული და სპილენძის ცისფერი, გამკვირვალე ჭიქურით ყოფილა დაფარული.

აღნიშნული ჭურჭელი, ეტყობა, თბილისის სახელოსნოს ნაწარმს წარმოადგენს. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს მისი კეცის მსგავსება ჩვენ მიერ იმავე სახელოსნოს ნაწარმად მიჩნეული ჭურჭლის კეცთან და აგრეთვე ის, რომ ამგვარი ნაწარმი სხვაგან არსად არა ჩანს.

ბ) შავი საღებავით დაფარული და ამოკვეთილი ორნამენტით შემკული ჭურჭელი. საქართველოში ასეთი ნაწარმი გვხვდება რუსთავისა<sup>104</sup> და დმანისის<sup>105</sup> განათხარებში (ტაბ. VIII<sub>3</sub>). აღნიშნული ჭურჭლის ფონი შავია, ორნამენტი კი ცისფერი, ჭიქურის ფერი. ამგვარი ჭურჭლის ზედაპირი ჭერ შავი საღებავით იფარებოდა, შემდეგ ზედ ორნამენტი ამოიკვეთებოდა და ბოლოს გადაეველებოდა ცისფერი გამკვირვალე ჭიქურით.

ამგვარად მოხატულ, სპარსეთიდან მომდინარე ჭაქებს (ტაბ. VIII<sub>4</sub>), მახლობელი აღმოსავლეთის კერამიკის მკვლევარნი რეის სახელოსნოს ნაწარმად თვლიან და XII—XIII საუკუნებს მიაკუთვნებენ<sup>106</sup>.

<sup>100</sup> რაესწ., №№ 739, 3722.

<sup>101</sup> A. Lane. Islamic Pottery, გვ. 30. სურ. 54, 57.

<sup>102</sup> სსმფგ. ინვ. №№ 1—54:390, 325, 557.

<sup>103</sup> სსმფგ. ინვ. № 325.

<sup>104</sup> რაესწ., საინვ. № 725 (ყეცი — თეთრი, სიმტიცე — 4) და 729 (ყეცი — მონაცრისფერი, სიმტიცე — 3—4).

<sup>105</sup> სსმფგ., საინვ. № 451 (ყეცი — მონაცრისფერი; სიმტიცე — 3).

<sup>106</sup> A. Lane. Islamic Pottery, გვ. 29, სურ. 51; მისივე, Early Islamic Pottery, ტაბ. 50, 51, გვ. 36. G. Migeon. D'art musulman, II. Les art plastiques et industriels, Paris, 1907, გვ. 287, სურ. 329; Butler. A. J. Litt. D. Islamic Pottery. A Study mainly historical, London, 1926, გვ. XVI, ტაბ. XIII A; A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 747 A. B. 748 A. The Kelekian Collection of Persian and Analogous Potteries, 1885—1910. Paris, 1910, ტაბ. 31. R. L. Hobson. A Guide to the Islamic Pottery of the Near East. British Museum, London, 1932, სურ. 58.



ბუნებრივი იქნება, თუ ასევე რეის ნაწარმად მივიჩნევთ და XII—XIII საუკუნეებით დაეთარილებთ რუსთავსა და დმანისში აღმოჩენილ. ზემოაღნიშნულ ქურჭლებსაც.

გ) შავი საღებავით მოხატული ქურჭელი. საქართველოში ამგვარი ნაწარმი აღმოჩენილია დმანისში (ტაბ. IX)<sup>107</sup>, გულარესსა<sup>108</sup>, უჭარბაში<sup>109</sup> და ცახე სულორზე (1970 წ. განათხარი).

ქურჭელი მეტად პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი და მათ მოყვანილობასა და ორნამენტზე მსჯელობა ძნელია; თითქოს თასის ნატეხები უნდა იყოს. კეცი ყველას ერთნაირი აქვს: მოთეთრო-მოყვითალო, ნასკერტოვანი: სიმტკიცე უდრის 2—3. ქურჭლები შავი საღებავითაა მოხატული და ზედ გადაღებულა აქვს ცრფერი (ფირუზისფერი) გამჭვირვალე ჭიქური. ზოგ ნატეხზე ტეხილი ხაზებისაგან შემდგარი ორნამენტია შემორჩენილი.

ასეთი ორნამენტით შემკული ქურჭლის ნატეხები აღმოჩენილია ანისში<sup>110</sup>. ზოგი მათგანი თასისაა, ზოგი კი — ყელიანი ქურჭლისა.

აღნიშნული ტიპის ნაწარმი ყველა ავტორის მიერ ქ. სულთანაბადისთვისაა მიკუთვნებული<sup>111</sup>, მაგრამ დათარიღების მხრივ არ არის ერთი აზრი: ზოგი მას XIII საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს<sup>112</sup>, ზოგი — XIV საუკუნის დასასრულს<sup>113</sup>, ზოგიც — XII და XIII საუკუნეებს<sup>114</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი ასეთი ქურჭელიც სულთანაბადის სახელოსნოს ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო რაც შეეხება ხნოვანებს, უფრო სწორად გვეჩვენება მისი დათარიღება XIII საუკუნის მეორე ნახევრით.

აღნიშნული ნაწარმის კეცი განსხვავებულია მრავალფერად მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული, აგრეთვე სულთანაბადს მიკუთვნებული, ქურჭლის (რომელიც XIII—XIV საუკუნეებით თარიღდება) კეცისაგან; მასზე უფრო რბილია და ქურჭელიც უფრო თხელკედლიანია.

ამ ქურჭლის თარიღი XIII საუკუნის პირველ ნახევარშიც რომ ვერ ვაღმოვადგინოთ, ამას ისიც უნდა მოასწავებდეს, რომ არც თბილისში (300 არაგველის ბაღში) და არც რუსთავში ასეთი ქურჭელი არ აღმოჩენილა. არ არის ნაპოვნი იგი არც დვინში. დასახელებულ ნაქალაქარებზე ამ ნაწარმის აღმოჩენა არც იყო მოსალოდნელი. აღნიშნული ქურჭლის XIII საუკუნის მეორე ნახევარისათვის მიკუთვნების სისწორეს ემოწმება ამ ჭგუფში შემავალი ერთი თასი, რომელიც 1278 წ. არის დათარიღებული<sup>115</sup>.

დ) შავი და ლურჯი საღებავით მოხატული ქურჭელი. საქართველოში ამ სახეობისა მხოლოდ ორი ქურჭლის ნატეხებია

107 სსმფგ, ინვ. №№ 406, 33—37:34, 33—37:344, 39, 1067.

108 სსმფგ, ინვ. № 2:58—423, 406, 411.

109 სსმფგ, ინვ. № 2:57—570.

110 სიმ, № 123/387; № 416; № 123—456, 522, 369 და სხვ.

111 A. Lane. Early Islamic Pottery, ტაბ. 92—93, გვ. 45. K. Kühnel, დასახ. ნაშრ., სურ. 66; მისივე. Sammlung Oskar Skaller. Berlin, 1927, გვ. 30, ტაბ. XIX<sub>123</sub> (რ. აღბოძი, ტაბ. IX<sub>2</sub>). The kelekian collection, ტაბ. 33, 70.

112 A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 92—93, გვ. 45.

113 E. Kühnel, Islamische Kleinkunst, სურ. 66; მისივე. Sammlung Oskar Skaller, ტაბ. XIX<sub>123</sub>, გვ. 30.

114 The Kelekian Collection, ტაბ. 33, 70.

115 A. Lane. Early Islamic Pottery, გვ. 45.

რუსთავსა (ტაბ. IXვ)<sup>116</sup> და თბილისში<sup>117</sup> აღმოჩენილი. მათი შიდაპირი შემკულია შიშველ კეცზე შავი საღებავით დატანილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტით და გაღვრილი ლურჯი (კობალტის) საღებავით. თასებს მოყვანილობაც კეციცა და ორნამენტულ განსხვავებული აქვთ.

თუ დავეყრდნობით რ. ეტინგაუზენს, მაშინ აღნიშნული ჭურჭლები ქაშანს უნდა მივაკუთვნოთ. დამოწმებული ავტორი კომპოზიციისა და სტილისტური ნიშნების მიხედვით ქაშანის სკოლას მიაწერს შავი და ლურჯი საღებავებით მოხატულსა და ცისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს. მას განოქვეყნებული აქვს თასები, რომელთაც ქაშანურად თვლის და რომელთა ძირზედაც, თითქმის, თბილისში და რუსთავში აღმოჩენილი თასების მსგავსი ორნამენტული სახეებია გამოხატული<sup>118</sup>.

აპგვარად. გამოდის, რომ რუსთაველსა და თბილისურ მონაპოვარში შემაჯავალი ეს ჭურჭელი ირანის ქალაქ ქაშანში ყოფილა ნაკეთები. მაგრამ მათი ერთი სახელოსნოს ნაწარმად ჩათვლა შეუძლებლად მიგვაჩნია კეცის სხვადასხვაგვარობის გამო; თბილისში ნაპოვნი ნატეხის კეცის სიმტკიცე უდრის 3, რუსთავში ნაპოვნისა — 6 და, საერთოდაც, რუსთავისა შეუდარებლად უფრო ფაქიზ-ჭურჭელია, ვიდრე თბილისისა. ამდენად, ვფიქრობთ, შესაძლოა ორივე ჭურჭელი ერთი ქალაქის — ქაშანის სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმი იყოს (?).

რ. ეტინგაუზენი იმ ტექნიკურსა და სტილისტურ ხერხებს, რომელთა გამოყენებოდაც არის დამზადებული რუსთავში და თბილისში აღმოჩენილი ჭურჭელი. :203—1333 წწ. შორის მოქცეული ხანისათვის მიიჩნევს ქაშანის სკოლის დამახასიათებლად<sup>119</sup>.

რაც შეეხება თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი ნატეხის ხნოვანებას, იგი, გარემოს მიხედვით (სათუნე სახელოსნოს გადანაყარი გროვა). XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ასეთი ხნოვანება შესაფერისია რუსთავის ჭურჭლისთვისაც. ვინაიდან XIII ს. მეორე ნახევრის ძვირფასი ჭურჭელი იქ მოსალოდნელი აღარა ჩანს, ქალაქის ისტორიის განსაკუთრებული, ცნობილი ტრაგიკული ვითარების გამო.

### 3. ლურჯი (კობალტის) გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი

ა) შავი საღებავით მოხატული ჭურჭელი. ამ სახეობისა სულ ორი პატარა ნატეხია დმანისში აღმოჩენილი<sup>120</sup>. ერთი ბაკობრტყელი ჯაშის პირ-გვერდის ნატეხია, მეორე — ჭურჭლის გვერდისა. ჭურჭელი მოხატულ ყოფილა შიშველ კეცზე შავი საღებავის ზოლებით (მისი ნაშთია შე-

<sup>116</sup> რესწ. № 3180.

<sup>117</sup> სსმფგ. საინე. № 1—54/2703.

<sup>118</sup> P. Эттингхаузен. Определение кашанской керамики, III международный конгресс по иранскому искусству и археологии. Доклады. М.—Л., 1939. გვ. 60—66, ტაბ. XXXI, ქველ. XXXII, შუა.

<sup>119</sup> P. Эттингхаузен. დასახ. ნაშრ., გვ. 60—66.

<sup>120</sup> სსმფგ. № 551 (ყეცი — მოთეთრო, ნასერტოვანი, სიმტკიცე —3). № 112 (ყეცი — მოთეთრო. სიმტკიცე —4—5).

მორჩენილი) და ზედ გადავლებული ჰქონია კობალტის ლურჯი, გაჰქვირვალე ჰქიქური. ჰქიქური დამსკდარია და ძალზე ირზებული.

#### VIII. მოიპვის შემდგ ლუსტრით მოხატული ჰურავლი

ამ ჰგუფის კუფენილი ჰურქელი ირანის სხვადასხვა კერამიკული ცენტრებს ნაწარმს წარმოადგენს და მრავლად არის აღმოჩენილი დმანისში. თბილისში, რუსთავეში, გუდარეხსა და უჯარჰაში.

როგორც აღრფეოდალური ხანის ჰურქლის განხილვისას დავინაზეთ, ლუსტრიანი ფაიანსის ჰირველი ნიმუშები აღმოჩენილია არაბულ მესოპოტამიაში და ისინი ამ ტექნიკით ნაკეთებთა შორის უძველესად ითვლება. მესოპოტამიიდან ლუსტრით მოხატული კერამიკის წარმოებას ვადუნაცვლება ეგვიპტეში<sup>121</sup>, ხოლო იქ ამ ნაწარმის დაკნინება და დაცემა (1171 წელს ფატიმიდების დინასტიის დამხობის შემდეგ) ემთხვევა მის აღმავლობას სპარსეთსა და ჩრდილო მესოპოტამიაში (რაჰკაში)<sup>122</sup>. თუმცა ამის შესახებ ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ა. ლეინს მაინც სარწმუნოდ მიანიხია, რომ ეგვიპტურმა ლუსტრიანმა კერამიკამ საზღვარგარეთ ზიგრაცია განიცადა უფრო შესაფერისი ბაზრების მოსაძებნად<sup>123</sup>. ამას ა. ლეინი იმით ასაბუთებს, რომ რეიში არ არის აღმოჩენილი ლუსტრიანი ნაწარმის ე. წ. ექსპერიმენტული ნიმუშები და როდესაც ეს კერამიკა ჩნდება სპარსეთში, მისი ტექნიკა თავიდანვე სავებით მოწიფული ჩანს. ამას გარდა, არის გარკვეული კავშირი ეგვიპტური ნაწარმის სტილთან. რაც ამტკიცებს ფატიმიდების ტრადიციის შერწყმას სპარსულთან<sup>124</sup>. თავდაპირველად რეის ჰურქელზე ფიგურები ისეთივე დიდი და ინდივიდუალური ხასიათის მქონე იყო, როგორც ეგვიპტეში, მაგრამ მალე წმინდა სპარსულმა გემოვნებამ გამოიწვია ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებული პატარ-პატარა მოტივების განმეორება, რაც იქაური წიგნის სახელგანთქმული მინიატურული მოხატულობიდან მომდინარეობს<sup>125</sup>.

როგორც ცნობილია, ლუსტრიანი ფაიანსი თითქოს ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ჰურქლის შემცველად ითვლება. ბევრი მკვლევარი მის ესოდენ ფართოდ გავრცელებას მიიჩნევს ყურანის მიერ მართლმორწმუნე მუსლიმთათვის ძვირფასი ლითონების ჰურქლის ხმარების აკრძალვის შედეგად<sup>126</sup>.

ლუსტრიანი ფაიანსისათვის უმთავრესად დამახასიათებელია თეთრი, გაუმჰქვირვალე, კალიანი ჰქიქური და მასზე დატანილი საღებავი, რომელიც ლითონით კრიალებს და სხვადასხვანაირ ანარეკლებს ასხივებს. შემონახულია 1300 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც შედგენილია ქამანელი

<sup>121</sup> A. Lane. Early Islamic Pottery. გვ. 1ა, 37.

<sup>122</sup> იქვე, გვ. 37. ლუსტრით მოხატულ უძველეს სპარსულ ნიმუშს წარმოადგენს რეიში ნაკეთება 1179 წლით დათარიღებული ჰურქელი.

<sup>123</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>124</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>125</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>126</sup> Э. К. Кверфельдт. დასახ. ნაშრ., გვ. 57; А. Н. Кубе. История фаянса. Берлин, 1923, გვ. 21. R. Hobson. დასახ. ნაშრ., გვ. XIV.

მეთუნის აბულ-ყასიმ- აბდლაჰ-იბნ-ალი-მუჰამედ- იბნ-აბუ-თაჰირის მიერ და წარმოადგენს ტრაქტატს ფაიანსის დამზადების შესახებ. მასში მოცემულია ირანული რეცეპტიც, რომლის მიხედვით ლუსტრის შემადგენლობაში შედის ბაქმახსა და ძმარში გახსნილი ყვითელი და წითელი დარიშხანი, ვერცხლი, ოქრო, მარკაზიტი (პირიტი), ნიტრიოლი და სპილენძი. ჭიჭურით დაფარულ, დამეანგავ ცეცხლში ერთხელ უკვე გამოშვვარ ჭურჭელს ამ ხსნარით მოხატავდნენ და ხელახლა გამოსწავდნენ ხოლმე, ახლა უკვე აღმდგენელ ცეცხლში. გამოწვის დროს ლითონი აღდგებოდა და ეს მოხატულობას ლითონურ სიკრალეს ანიჭებდა. ცნობილია, რომ, ზემოაღწერილს გარდა, არსებობდა ლუსტრის სხვა რეცეპტებიც<sup>127</sup>.

ლუსტრით მოხატვის ტექნიკამ განვითარების უმაღლეს საფეხურს ირანში მიაღწია XII—XIV სს. XV საუკუნეში იგი უკვალოდ იკარგება, ხოლო XVII საუკუნეში ისევ ჩნდება, ოღონდ უკვე მხოლოდ გამჭვირვალე ჭიჭურით დაფარულ ჭურჭელზე<sup>128</sup>.

საერთოდ, ირანული ფაიანსისა და, კერძოდ, ლუსტრიანი ფაიანსის წარმოებაში განსაკუთრებული როლი ქალაქებს — რეისა და ქაშანს ენიჭებათ. ირანის კერამიკული წარმოების მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ქალაქები: სულთანაბადი, ვერამინი, სავა და სხვ.

ირანული ფაიანსი ჯერ კიდევ იმდენად ნაკლებ არის შესწავლილი, რომ ძნელა გადაწვევტა, თუ რომელ კერამიკულ ცენტრში რომელი ნაწარმი კეთდებოდა. ეს უმთავრესად ეხება ირანულ, ლუსტრით მოხატულ ფაიანსს, ვინაიდან ასეთი ნაწარმის ამა თუ იმ ცენტრიდან წარმომავლობის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს ერთი დადგენილი აზრი.

ადრე ლუსტრიანი ფაიანსი უმთავრესად მიეწერებოდა რეის სახელოსნოებს. მაგრამ ა. პოუპი და რ. ეტინგჰაუზენი, მარტოოდნ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით, უარყოფენ რეის წამყვან მნიშვნელობას ლუსტრიანი ფაიანსის წარმოებაში და პირველ ადგილზე აყენებენ ქაშანს.

ბ. შელკოვნიკოვი, სომხეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული, თავის დროზე მალაიანის მიერ შეკრებილი სპარსული კერამიკის კოლექციაში შემავალი, რეიული ჭურჭლის საფუძველზე, აღწერს რეის სახელოსნოსათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ტექნიკურ თვისებებს — კეცს, ჭიჭურსა და ლუსტრის ფერს<sup>129</sup>.

<sup>127</sup> Э. К. Кверфельдт. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 41, 42; ე. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 49.

<sup>128</sup> Э. К. Кверфельдт, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 99, 100; A. Lane. *Later Islamic Pottery*, გვ. 102.

<sup>129</sup> Б. А. Шелковников, *Средневековая художественная керамика Ближнего и Дальнего Востока*, Изв. Арм. ФАН СССР, 1942, № 6, გვ. 8—9; კეცი არ არის ძალიან წერილმარცვლოვანი, ღია ნაცრისფერია, მოვარდისფრო ელფერი გადაჰკარავს; მისი სიმტკიცე უდრის 4—5; ჭიჭური თეთრია, ოდნავ მოცისფრო ელფერისა; ლუსტრი მოყვითალო-ყავისფერია, მოოქროსფრო, ოდნავ მოწითალო ელფერისა.

რეის ლუსტრიანი ნაწარმის ტექნიკურ თვისებებს ახასიათებს ა. ლეინიცი. რეის ლუსტრიანი ნაწარმის კეცი მძიმე და საკმაოდ უხეშია, მოვარდისფრო ელფერისა. ჭიჭური მიღებულია კალს ეანგველის მეთოდდენი მინარევით და არაა კარგად გაუმჭვირვალე (A. Lane. *Early Islamic Pottery*, გვ. 38).

ბ. შელკოვნიკოვის განცხადებით, მალიანის კოლექციაში არ არის პასპორტიანი ნიმუშები, მომდინარე სხვა საწარმოო ცენტრებიდან, მაგალითად ქაშანიდან და ა. შ. მაგრამ კოლექციაში შედის სულთანაბადში აღმოჩენილი ლუსტრიანი ფაიანსის რამდენიმე ჭურჭელი, რომლებიც, ავტორის აზრით, სულთანაბადში შემოტანილი უნდა იყოს ჰამადანიდან, სავადან ან ქაშანიდან. კერძოდ, ქაშანური წარმომავლობა მას სავსებით შესაძლებლად მიაჩნია, მით უმეტეს, რომ ქაშანური, რეის ნაწარმთან შედარებით, თხელკედლიანია და მისი კეციც განსხვავებული (სიმეტრიე უღრის 5—6)<sup>130</sup>.

თუ ქაშანური ნაწარმის კეცისათვის დამახასიათებელია ასეთი სიმეტრიეც, მაშინ საქართველოში აღმოჩენილ ჭურჭელთა ნატეხებს, რომლებიც — ლუსტრის ფერისა და ორნამენტის მიხედვით — თითქოს შეიძლებოდა ქაშანისათვის მიგვეკუთვნებინა, ვერ მივაკუთვნებთ მას, ვინაიდან აქ კეცი განსხვავებულია ზემოაღნიშნული ნაწარმის კეცისაგან. თუმცა ჩვენ არც ის მიგვაჩნია საბოლოოდ დამტკიცებულად, რომ მალიანის კოლექციის აღნიშნული ჭურჭელი მაინცდამაინც ქ. ქაშანის ნაწარმია.

ამ ვითარებაში საქართველოში აღმოჩენილი ლუსტრიანი ფაიანსის წარმომქმნელი საწარმოო ცენტრების დადგენის საკითხი ყვერჯერობით გადაუჭრელად უნდა დავტოვოთ და შევნიშნოთ, რომ, ჩანს, ყველაზე კარგად მაინც რეის სახელმწიფოსათვის მისაკუთვებელი მასალის გამოყოფა მოხერხდება.

ქ. რეი მდებარეობდა ახლანდელი თეირანის მახლობლად და XII ს. ირანის მეთუნეობის ერთ-ერთ მთავარ კერას წარმოადგენდა. 1220 წ. რეი მონღოლებმა გაანადგურეს. რის შემდეგაც იგი ძველებურად ველარ აღდგა, ისე რომ XIII საუკუნეში მას კერამიკული წარმოების დარგში პირველობა ჩამოართვეს მეზობელმა თეირანმა და ვერამინმა, ხოლო XIV საუკუნის შემდეგ ქალაქი რეი საერთოდ გაუდაბურდა<sup>131</sup>. ამგვარად, აღნიშნული ქალაქის ნაწარმი სრულიად მართებულად თარიღდება ხოლმე XII ს. ბოლოთი და XIII ს. დასაწყისით<sup>132</sup>.

ქაშანის ლუსტრიანი ნაწარმი ოდნავ უფრო გვიანი დროით თარიღდება, ვიდრე რეისა: მისი მოხატულობის სტილში აღარ შეიმჩნევა ფატიმიდების ლუსტრიანი კერამიკის სტილის გადმონაშთები, იგი მთლიანად სპარსულია; რეისა და რაკას ჭურჭლის მოხატულობა უმწიფრად გამოიყურება მასთან შედარებით<sup>133</sup>. ა. ლეინი ქაშანის ჭურჭელს ათარიღებს XIII საუკუნით (მისი დასაწყისიდან). ხოლო ზოგს — XIV საუკუნითაც კი. კერძოდ, იმ ჭურჭელს, რომელთა მოხატულობაშიც გვხვდება ჩინური მოტივები — ურჩხულები, ფენიქსები, ლოტოსები<sup>134</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი, ლუსტრით მოხატული ჭურჭელი იყოფა ქვეჯგუფებად.

<sup>130</sup> Б. А. Шелковников, Фаянсы из Орен-Кала, гв. 318.

<sup>131</sup> R. Hobson. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>132</sup> Б. А. Шелковников, Поливная керамика из раскопок г. Анн, гв. 60; მისივე, Средневековая художественная керамика Ближнего и Дальнего Востока, გვ. 15. A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38, ტაბ. 52—56, 58. ა. ლეინი ფიქრობს, რომ მონღოლების მიერ ქალაქის აღებას იქ წარმოებულ განადგურებაც გამოუწვევია.

<sup>133</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 39.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 40, ტაბ. 61—65.

## 1. გამკვირვალე კიქურით დაფარული ქურქელი

ა) უფერულ კიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი. ეს ქვეჯგუფი წარმოდგენილია რუსთავსა<sup>135</sup> და დმანისში<sup>136</sup> აღმოჩენილი ოთხი ქურქლის პატარა ნატეხებით, რომელთა მოყვანილობასა და ორნამენტზე მსჯელობა მეტწილ ვერ ხერხდება. დმანისში ნაპოვნი ქურქლების კეცი მოთეთრო ან მონაცრისფერია, ნასვერტოვანი. ისინი დაფარულია უფერულა, გამკვირვალე კიქურით. კიქური დამსკდარია და ზოგზე ირიზებულიც. ქურქელი მოხატული ყოფილა მუქი მოოქროსფრო-ყავისფერი ლუსტრით. ორნამენტი მცენარეულია, სტილიზებული. ერთ ნატეხზე<sup>137</sup> შემორჩენილია ამგვარი ორნამენტის ვიწრო არხის ნაშთი. მსგავსი ორნამენტით არის შემკული აგრეთვე თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი ორი ქურქლის ნატეხი<sup>138</sup>, რომლებიც დაფარულია თეთრი, გაუმკვირვალე კიქურით და მოხატულია მოყავისფრო-მოოქროსფრო ლუსტრით. მსგავსი ორნამენტაცია ქრონოლოგიურ სიახლოვესაც უნდა მოასწავებდეს. ამიტომ შეიძლება ისევე დაეთარილოთ დმანისის ქურქელიცა და სხვა ამ ჯგუფის კუთვნილი ნაწარმიც, როგორც თბილისის აღნიშნული ქურქელი, ე. ი. XII საუკუნის პირველი ნახევრით.

ბ) უფერული გამკვირვალე კიქურით დაფარული და კობალტითა და ლუსტრით მოხატული ქურქელი. ამ ქვეჯგუფის კუთვნილი ქურქელი აღმოჩენილია უჯარმასა<sup>139</sup> და თბილისში (300 არაგველის ბაღში)<sup>140</sup>. ისინი მოხატულია შიშველ კეცზე კობალტის-ლურჯი საღებავით, ხოლო კიქურს ზემოთ ყავისფერი-მოოქროსფრო ელფერის ლუსტრით. ეს ნაწარმი წარმოდგენილია ჯამითა (თბილისში ჯამის ძირქუსლის პატარა ნატეხია აღმოჩენილი) და სწორი, გვერდებმომრგვალებული ქურქლით (უჯარმაში ამგვარი ქურქლის პირ-გვერდის მცირე ნატეხია აღმოჩენილი). მათი კეცი მონაცრისფერია; სიმტკიცე უდრის 3—4. უფერული გამკვირვალე კიქური დამსკდარია. უჯარმულ ნატეხზე ქუფური წარწერის ნაშთია. ორნამენტი კობალტითაა შეფერილი და შემოფარგლულია ლუსტრის ზოლებით. თბილისურ ნატეხზე კობალტისა და ლუსტრის ზოლების ნაშთია. შერჩენილი.

ეს ნაწარმი ირანული ჩანს, მაგრამ კერძოდ რომელი საწარმოო ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს, დადგენა ჭირს. რაც შეეხება ხნოვანებას, თბილისში ნაპოვნი ქურქელი XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ასევე შეიძლება დათარიღდეს უჯარმაში ნაპოვნი მსგავსი ტექნიკით შეკმული ქურქელიც.

გ) ლურჯ კიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი. ამ ჯგუფში გავრთიანებული ქურქლის ნატეხებია აღმოჩენილია რუსთავში

135 რმშ, ინვ. № 1022.

136 სსმფგ, ინვ. №№ 1065, 1106, 207.

137 სსმფგ, ინვ. № 1106.

138 სსმფგ, ინვ. №№ 1—54:178, 255.

139 სსმფგ, ინვ. № 2—57:730.

140 სსმფგ, ინვ. № 1—54: 3445.

(4)<sup>141</sup>, დმანისში (13—14)<sup>142</sup> და თბილისში, 300 არაგველის ბაღში (3)<sup>143</sup>. ეს ნატეხები მეტწილად ძალიან პატარა-პატარაა და ქურქლის მოყვანილობასა და ორნამენტზე მსჯელობა ძნელდება.

კეციას, ქიქურის, და ლუსტრის ფერის, ზოგჯერ აგრეთვე ორნამენტის მიხედვით კარგად შეიმჩნევა, რომ სხვადასხვა საწარმოო ცენტრებიდან მომდინარე ნაწარმთანა გვაქვს საქმე.

განვიხილოთ ამ ჯგუფის ერთ ქურქელს (საყვავილე? № 1091)<sup>144</sup>, რომელიც ყელ-მუცლის ნატეხებითაა წარმოდგენილი. მისი კეცი მონაცრისფროა, ნასვერტოვანი; სიმტიყე უდრის 4. ქურქელი დაფარულია მუქი ლურჯი (კობალტის), ლამაზი ელფერის მქონე, გამკვირვალე ქიქურით. შიდაპირზე ქიქურის ფერი უფრო ღია აქვს. ქიქური დაბზარულია. ქურქელი მოხატულია ყავისფერი, მოოქროსფრო ელფერის მქონე ლუსტრით. ზედაპირზე შემორჩენილია ლუსტრის ფართო ზოლები და ხეულები.

ქურქელს მრგვალი მუცელი, მაღალი, ფართო ყელი და, ეტყობა, მაღალივე ქუსლი უნდა ჰქონოდა. იგი ისეთივე ფორმისა უნდა ყოფილიყო, როგორც არის ორენ-ყალაში აღმოჩენილი, თეთრი, გაუმკვირვალე, კალიან ქიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი<sup>145</sup>.

ლურჯ გამკვირვალე ქიქურზე ყავისფერი ლუსტრით მოხატული ქურქელი აღმოჩენილია დვინსა და ანისში. ისინი უახლოვდებიან დმანისში ნაპოვნი ქურქელს ქიქურის ფერითაც და მცენარეული მოტივების ცალკეული დეტალებითაც (ხეულებით)<sup>146</sup>.

მსგავსი ქიქურისა და მოხატულობის მქონე „აღბარელო“ გამოქვეყნებული აქვთ ფ. ზარესა და ფ. მარტინს მიუნხენის გამოფენის კატალოგში და მათი ვარაუდით იგი სირიიდან მომდინარეობს<sup>147</sup>.

ყველა ზემოჩამოთვლილი ლუსტრიანი ფაიანსის მოხატულობა წააგავს ერთიმეორეს ხეულებით, რომლებიც ავსებენ თავისუფალ სივრცეს. ბ. შელკოვნიკოვის აზრით, ეს სტილისტური მსგავსება და შემკობის ერთგვარი ტექნიკა მოწმობს, რომ ისინი სხვადასხვა დროს ვერ იქნება ნაკეთები. რადგან

141 რაესწ, № 3345. კეცი მოთეთრო-მოყვითალო აქვს, ნაკლებ ფორიანი. სიმტიყე — 5—6. მიკროალწერილობა: შლიფში სტრუქტურა წერილმარცვლოვანია. მოჩანს გამომწვარი კალინის ნაწილაკები. კვარცის ნაკვეთში ეხედავთ მინდვრის შპატის ჩანარებს, რაც არცთუ ისე ხშირად გვხვდება და, საფიქრებელია, რომ თიხაში შეჰყოლია კალინის ან კვარცის კვარცის ოდენობა 30—40% -ია. გამოწვის ტემპერატურა უნდა იყოს არა უმეტეს 1200°-ისა. № 551. კეცი — მოთეთრო-მონაცრისფრო; სიმტიყე უდრის 4.

142 სსმფგ, ინე. №№ 1091, 1105; 1095, 566, 1094, 564, 470, 688, 1068, 832 და სხვ.

143 სსმფგ, ინე. № 1—54:257, 2253, 558. მათი კეცი მონაცრისფროა, სიმტიყე უდრის 4. მეტად პატარა ნატეხებია და ორნამენტზე და ფორმაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აღმოჩენილია VIII სხრილში (გადანაყარის გროვა).

144 ე. ქ ა თ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., ტაბ. LXIV<sub>1</sub>. აღნიშნული ქურქელი უნდა გააგვიხილა XIII—XIV სს. ფაიანსთან ერთად, მაგრამ რადგან ლუსტრით მოხატულ ერთ ქურქელთან გვეკონდა საქმე, ვარჩიეთ მისი აქ, მსგავსი ტექნიკით შემკულ XII—XIII საუკუნეების ნაწარმთან ერთად, შესწავლა.

145 Б. А. Шелковников. Фаянсы из Срен-Кала, МИА, 67. ტაბ. III.

146 ე. ქ ა თ ა რ ი ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 51.

147 F. Sarre und F. Martin. Die Ausstellung von Meisterwerker Muhammedischer Kunst in München. 1910. ტ. II, 1912 ტაბ. 107ს და 1071.

დენის კურკლები, კეცისა და მოყვანილობის მიხედვით, თარიღდება იმავე დროით, რომლითაც ამოკაწვრითა და ჰვირვით შემკული კურკელი, ე. ი. XI საუკუნით, ასევე ანისისა და ფ. ზარეს მიერ გამოქვეყნებულ, ამგვარ ლუსტრიან ნაწარმსაც ბ. შელკოვნიკოვი მიაკუთვნებს იმავე ხანას. იგი აღნიშნავს, რომ დენის ნაქალაქარის გათხრამდე თარიღი საკამათო იყო და ბევრი ავტორი მას გაცილებით უფრო გვიანდელად მიიჩნევდა, XIII და XIV საუკუნეებისადმი კი. იმავე ხანას მიაკუთვნებენ მათ ფ. ზარე და ფ. მარტინიცი. მიუნხენის კატალოგის გამოფენის ავტორები<sup>148</sup>. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. შელკოვნიკოვმა 1957 წელს გამოცემულ ნაშრომში შეცვალა თავისი ადრე გამოტყმული მოსაზრება დათარიღების შესახებ და ანისში ნაპოვნი ცალეების მიხედვით ეს ნაწარმი XII—XIII საუკუნეების კუთვნილად მიიჩნია<sup>149</sup>.

რამდენადაც ამგვარი ნაწარმი არქეოლოგიური თხრისას არის აღმოჩენილი ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, ბ. შელკოვნიკოვს შესაძლოდ მიაჩნია დასვას საკითხი: ხომ არ არის სირიისადმი მიკუთვნებული ეგზემპლარები ნაკეთები სირიის აღმოსავლეთით, ამიერკავკასიის მხარეში, ან სადმე მის მახლობლად<sup>150</sup> თუმცა, დასძენს იგი, ამ საკითხის დადებითად გადაჭრა არ შეიძლება, სანამ ამიერკავკასიაში არ აღმოჩნდება „სირიულის“ მსგავსი აღბარელო<sup>151</sup>.

ვ. ჭაფარიძის აზრით, აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ანგარიში გაეწიოს რიგიერის მიერ გამოქვეყნებულ ბადიას, რომლის ზედაპირიც დაყოფილია რამდენიმე სექტორად, რომელთაგან, თანამიმდევრობით, ნაწილი კალის გაუმკვირვალე ჰიქურითაა დაფარული და ნაწილი კობალტის ლურჯი გამკვირვალე ჰიქურით. ეს უკანასკნელი ლუსტრის ისეთივე ზვეულებითაა დაფარული, როგორითაც დმანისის კურკელი. კურკელი, გამოქვეყნების ცნობით, რეის მიეკუთვნება<sup>152</sup>.

ვ. ჭაფარიძის აზრით, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული ტიპის ფაიანსის ადგილობრივი წარმოების საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საჭიროა დამტკიცდეს, რომ კობალტის ჰიქურით დაფარულ და ლუსტრით მოხატულ ამგვარ კურკელს, თავისი დამახასიათებელი ზვეულებითურთ, არც სირიაში და არც რეიში არ ამზადებდნენ და რეის სახელით ცნობილი ამგვარი კერამიკა სინამდვილეში არ არის ადგილობრივი<sup>153</sup>.

ამგვარად, აღნიშნული ტიპის კურკლის წარმოების ცენტრის დადგენის საკითხში არ არსებობს ერთი აზრი. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე სწორი უნდა იყვნენ ის სპეციალისტები რომლებიც ამ ნაწარმის დამზადების ცენტრად დამასკოს თვლიან. ამას ადასტურებს, ა. ლენის მიერ გამოქვეყნებული კურკელი (შემავალი ერთ ფრანგულ კოლექციაში), რომელზედაც არის წარწერა

148 Б. А. Шелковников, Керамика и стекло из раскопок г. Дамна, гз. 75.

149 Б. А. Шелковников, Полнивая керамика из раскопок г. Ани, гз. 62.

150 Б. А. Шелковников, Керамика и стекло из раскопок г. Дамна, гз. 75; ვ ა ს ი ე ვ, Полнивая керамика из раскопок г. Ани, гз. 61, 62.

151 Б. А. Шелковников, Керамика и стекло из раскопок г. Дамна, гз. 75.

152 Riviere. H.. La céramique dans l'art musulman, Paris. 1913, ტაბ. 34.

153 ვ. ჭაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.



იმის შესახებ, რომ იგი დამზადებულია დამასკოში<sup>154</sup>. ამას გარდა, აღნიშნული ტიპის ნაწარმი მრავლად არის თავმოყრილი ევროპულ კოლექციებში და ლეინი ფიქრობს, რომ ყველა ისინი აშკარად ერთი ადგილიდან — დამასკოდან მომდინარეობენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ასეთი ტურქული აღმოჩენილია ქ. დამასკოს აღმოსავლეთ კარიბჭის თხრისასაც<sup>155</sup>.

აღნიშნული ტურქლის დათარიღებაში კი ყველაზე უფრო მისაღები ჩანს ა. ლეინის, ფ. ზარეს, ფ. მარტინისა და სხვათა აზრი, რომლის მიხედვითაც იგი XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნეს მიეკუთვნება. ა. ლეინი ფიქრობს, რომ დამასკოში ლუსტრიანი ტურქლის კეთება იწყება მონღოლების მიერ ქალაქ რაკას დანგრევის (1259 წ.) შემდეგ და გრძელდება თემურ-ლენგის მიერ ქალაქის განადგურებამდე (1401 წ.)<sup>156</sup>.

ლურჯ გამჭვირვალე ჰიქურზე ლუსტრით მოხატულ ტურქლიდან აღსანიშნავია 1957 წელს, დაზვერვისას მცხეთის რაიონში, ლელობის ნაქალაქარში, სალოცავთან ნაპოვნი ჯამის პირ-გვერდის ნატეხი<sup>157</sup>. ჯამის ირიბნაკლებიანი ბაკო და შიდაპირი კობალტის ლურჯი, გამჭვირვალე ჰიქურითაა დაფარული. ხოლო ზედაპირი — სპილენძის ცისფერი გამჭვირვალე ჰიქურით. ჰიქური დაბზარულია. მისი კეცი მონაცრისფროა, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 3. ტურქელი მოხატული ყოფილა მომწვანო ლუსტრით. შიდაპირზე შერჩენილია ლუსტრით დატანილი კონცენტრული ზოლებითა და ხვეულებით წარმოქმნილი სტილიზებული, მცენარეული ორნამენტის ნაშთი.

აღწერილი ჯამი ზემოთ განხილული ტურქლისაგან განსხვავდება კეცით, ლუსტრის ფერითა და ორნამენტითაც. იგი თვალნათლივ რომელიღაც სხვა სახელოსნოს ნაწარმი ჩანს.

საერთოდ, მუქი ლურჯი, გამჭვირვალე ჰიქურის მქონე და ლუსტრით მოხატული ტურქელი დამახასიათებელი ჩანს რეისათვის. რეის ნაწარმზე ხან მთლიანად ლურჯ გამჭვირვალე ჰიქურზეა ნახატი, ხან კი გამჭვირვალე ლურჯი და გაუმჭვირვალე თეთრი ჰიქური ენაცვლება ერთიმეორეს. ლურჯ გამჭვირვალე ჰიქურზე ლუსტრით მოხატული ტურქელი დამახასიათებელია აგრეთვე რაკასთვის, ხოლო უფრო მოგვიანებით — დამასკოსთვისაც. ოღონდ რაკას ტურქელზე ლუსტრი ძალიან განსხვავებული, მუქი ყავისფერია<sup>158</sup>. სპარსული ნაწარმისაგან განსხვავდება აგრეთვე მისი კეცი: უფრო რბილია და ფხვიერი<sup>159</sup>.

ლელობის ნაქალაქარში მოძიებულ ტურქელს ვერ მივაკუთვნებთ ვერც ერთს ზემოთ დასახელებული ცენტრებიდან.

კეცი განსხვავებულია რეის ტურქლის კეცისაგან, უფრო მუქია და ნაკლებ მტკიცე. ვერ მივაკუთვნებთ მას ვერც რაკას, რომლის ნაწარმისათვის და-

<sup>154</sup> A. Lane. Later Islamic Pottery. გვ. 15—16.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>157</sup> აღნიშნული ტურქლის ნატეხი დასამუშავებლად გადმოგვცა ნატბურის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნ. უგრელიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

<sup>158</sup> A. Lane. Early Islamic Pottery. გვ. 38.

<sup>159</sup> იქვე.

მახასიათებელია ძალიან განსხვავებული მუქი ყავისფერი ლუსტრი. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, არ შეიძლება მისი ჩათვლა არც ბალდადის ნაწარმად, რომლისგანაც განსხვავდება ტექნიკური თვისებებით (კეციო, ლუსტრით).

ამგვარად, ლელობის ნაქალაქარიდან მომდინარე ჯამის წარმომავლობა ჯერ კიდევ დაუდგენელი რჩება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი იმპორტულ (ირანულზე) ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს ისევე, როგორც საქართველოში აღმოჩენილი, ლუსტრით მოხატული თითქმის ყველა ჭურჭელი.

რაც შეეხება აღნიშნული ჭურჭლის ხნოვანებას, იგი შეიძლება XII—XIII საუკუნეებით დაეთარილოს, ვინაიდან მასზე შემორჩენილი სტილიზებული, მკენარეული ორნამენტი სწორედ იმ საუკუნეების კუთვნილი მუსლიმური ჭურჭლისათვის ჩანს დამახასიათებელი<sup>160</sup>. XIV საუკუნის ირანულ ნაწარმზე უკვე ვხედავთ ჩინურ ორნამენტულ მოტივებს.

ამ ჩგფვიდან აღსანიშნავია აგრეთვე თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც იმდენად პატარა-პატარაა, რომ მათ მოყვანილობასა და ორნამენტზე ვერაფერს ვიტყვი. აღმოჩენის ადგილის მიხედვით კი ისინი თარიღდება XII საუკუნის პირველი ნახევრით და იმავე ტექნიკით შემკული სხვა ჭურჭლის ამავე ხანით დათარიღების საშუალებას იძლევიან.

დ) სპილენძის ცისფერ გამჭვირვალე ჭიქურზე ლუსტრით მოხატული ჭურჭელი. სპილენძის ცისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული და ლუსტრით მოხატული ჭურჭლის პატარა-პატარა ნატეხები აღმოჩენილია დმანისში<sup>161</sup> და თბილისში (300 არაგველის ბაღში)<sup>162</sup>. მათგან აღსანიშნავია თბილისში აღმოჩენილი ერთი ჭურჭლის (სწორპირიანი, თხელკედლიანი ფინჯნის ან პატარა თასის) პირ-გვერდის ნატეხი. მისი კეცი მონაცრისფროა, ნასერეტოვანი, არა წმინდამარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის 3. ჭურჭელი დაფარულია სპილენძის მოფირუზისფრო, გამჭვირვალე ჭიქურით. ჭიქური დამსკდარია და ირიზებული. ზედაპირზე ჭიქურის ზღვარია, ძირისკენ წერილი ბუშტულებით დაფარული. პირს გარშემოსდევს მოყავისფრო ლუსტრის ზოლი. ლუსტრი მოცვეთილია და შემორჩენილია მხოლოდ მისი ნაშთი.

ეს ჭურჭელი განსხვავდება ყველა სხვა ლუსტრით მოხატული ფაიანსისაგან კეციო და ამ მხრივ თითქოს უახლოვდება ცისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ, იმავე სახელოსნოსადმი მიკუთვნებულ ჭურჭელს. ამდენად შესაძლოა იგი პირობით ადგილობრივ ნაწარმად ჩავთვალოთ.

აღნიშნული ჭურჭელი თარიღდება, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, XIII საუკუნის პირველი ნახევრით.

<sup>160</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V. ტაბ. 648.

<sup>161</sup> სსმფგ, ინვ. № 197. კეცი — მოთეთრო, სიმტკიცე — 2; ჭიქური ძალზე ირიზებულია და ლუსტრი მოცვეთილი. № 1112. კეცი — მონაცრისფრო-მოვარდისფრო, ჭურჭლის შიდაპირზე შემორჩენილია ყავისფერი ლუსტრის ზოლის ნაშთი.

<sup>162</sup> სსმფგ, ინვ. № 1—54:557; აღმოჩენილია VIII თბილში (წარმოების გადანაყარის გროვაში).

## 2. ვაუმჟვეირვალე (კალიანი) ქიქურით დაფარული ქურქელი

ა) თეთრ ქიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი. ამგვარი ქურქელი აღმოჩენილია დმანისში<sup>163</sup>, რუსთავეში<sup>164</sup>, თბილისში (300 არაგველის ბაღსა<sup>165</sup> და ერეკლე მეორის სახელობის მოედანზე<sup>166</sup>), გუდარეხსა<sup>167</sup> და უჯარმაში<sup>168</sup>. მათი უმეტესობა ჯამების თუ თასების ნატეხებია. გვხვდება აგრეთვე განსხვავებული ფორმის ქურქლის ნატეხებიც — ყელსწორი, მუცელმარგვალი ქურქლის, ყურიანი ქურქლის, ფიგურული ქურქლისა და სხვ.

ზოგი მათგანი ორივე მხრივ თეთრი. ვაუმჟვეირვალე, კალიანი ქიქურითაა დაფარული; ზოგის ზედაპირი თეთრი, ვაუმჟვეირვალე ქიქურით, ხოლო შიდაპირი — კობალტის ლურჯი გამჟვეირვალე, ან უფერული გამჟვეირვალე ქიქურით. ხოლო ზოგჯერ სულაც უქიქუროდაა დატოვებული.

ფეოდალური საქართველოს ძეგლთა არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული ლუსტრიანი ფიანისის ყველაზე მდიდარი კოლექცია გვაქვს დმანისის ნაქალაქარში.

აღნიშნული ქურქლის წარმოების ცენტრთა დადგენის მცდელობისას ვეყრდნობით ქურქლის კეცსა და ლუსტრის ფერს, ზოგჯერ ორნამენტსაც. სტილისტური ანალიზი მეტწილად ვერ ხერხდება, ვინაიდან, იშვიათ გამოჩაყლის გარდა, ქურქლის ისეთი პატარა ნატეხები გვაქვს შემორჩენილი, რომ ორნამენტზე მსჯელობა საერთოდ შეუძლებელი ხდება.

ქურქლის ნატეხთა უმეტესობა, ეტყობა, ქ. რეის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. ამას გვაფიქრებინებს მისთვის დამახასიათებელი კეცი (მონაცრისფრო, სიმტკიცე — 4—5) და ლუსტრი (მოყვითალო-ყავისფერი, მოოქროსფრო ელფერისა)<sup>169</sup>.

აქ გვხვდება რეის სახელოსნოს ნაწარმისათვის მეტად დამახასიათებელი მოტივით — მსხვილ, სტილიზებულ, მცენარეულ ორნამენტს შორის მოთავსებული დაწინწკლულამოსიანი ფიგურით — ქურქლის ძირის შემკობა. ორნამენტი რეზერვადაა დატოვებული; ფონი შეფერილია რეის ნაწარმისათვის ტიპური მოოქროსფრო-ყავისფერი ლუსტრით. ამგვარი ორნამენტით შემკული ქურქლის პატარა ნატეხები აღმოჩენილია დმანისსა (ტაბ. IX<sub>4</sub> ა)<sup>170</sup>

<sup>163</sup> სსმფგ, ინვ. №№ 32, 42, 467, 571, 1088, 1090, 1096, 1097, 1098, 2324 და სხვ. სულ ორმოციოდე ქურქლის ნატეხია.

<sup>164</sup> რუსთავეში აღმოჩენილია რვა პატარა ნატეხი. რაესწ, ინვ. №№ 879, 761. 1961, 3004. 4211, 1481<sup>1</sup>.

<sup>165</sup> სსმფგ, №№ 1—54:92, 255, 178, 2474, 3573, 2392, 412, 530, 162, 570.

<sup>166</sup> თიემ, ინვ. № ბ-1297—57.

<sup>167</sup> სსმფგ, №№ 2—58:394, 4981.

<sup>168</sup> სსმფგ, ინვ. № 2—57:563.

<sup>169</sup> Б. А. Шелковников, Средневековая художественная керамика Ближнего Далекого Востока, გვ. 9.

<sup>170</sup> ე. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50, ტაბ. LXIII<sub>2</sub>; სსმფგ, ინვ. № 1098, № 467. კეცი მონაცრისფროა, სიმტკიცე უდრის 5. ორივე მხრივ დაფარულია თეთრი ვაუმჟვეირვალე ქიქურით.

და თბილისში (300 არაგველის ბაღში)<sup>171</sup>. როგორც უკვე აღვნიშნეთ. მსგავსი მოხატულობა რეის ნაწარმისათვის ჩანს დამახასიათებელი.

ასეთი ორნამენტით არის შემკული ბაქოში აღმოჩენილი თასი<sup>172</sup>. ლუერის რეიული წარმოშობის თასი<sup>173</sup>, ორენ-ყალას ჯამი<sup>174</sup>, ბერლინის მუზეუმის, რეისთვის მიკუთვნებული თასი<sup>175</sup>. ასეთივე მჭდომარე ფიგურები ამკობს სხვა ფორმის ჭურჭელსაც, მაგ. ორენ-ყალაში აღმოჩენილ ღოჭებს<sup>176</sup> და სხვ.

ბ. შელკოვნიკოვი ორენ-ყალადან მომდინარე ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ჭურჭელს კეცის, ქიქურისა და ლუსტრის ფერის მიხედვით რეის მიაწერს და ათარიღებს XII საუკუნის ბოლო მეოთხედითა და XIII საუკუნის დასაწყისით<sup>177</sup>. აგრეთვე რეისთვისაა მიკუთვნებული და გვიანი XII საუკუნით არის დათარიღებული ბერლინის მუზეუმში დაცული, მსგავსი ორნამენტით შემკული თასი<sup>178</sup>.

ორნამენტაციის მსგავსება არა მარტო ქრონოლოგიურ სიახლოვეს უნდა მოასწავებდეს, არამედ საერთო წარმოშობის შესაძლებლობასაც, მით უმეტეს, რომ დმანური ჭურჭლის კეციცა და ლუსტრის ფერიც ისეთია, როგორც რეის სახელოსნოს ნაწარმისათვის ჩანს დამახასიათებელი.

ჭურჭლის მოხატულობაში ვხვდებით სტილიზებულ მცენარეულ სახეებს — პატარა, წაგრძელებულ ფოთლებსა და მათ შორის მოთავსებულ ნაყოფებს (?). ამგვარი ორნამენტითაა შემკული დმანისში აღმოჩენილი (გვერდის ნატეხი) ჭურჭელი (ტაბ. XI)<sup>179</sup>, რომელიც, კეცისა და ლუსტრის ფერის მიხედვით, რეის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს<sup>180</sup>. ქ. რეის ნაწარმისათვის ჩანს დამახასიათებელი აგრეთვე მისი ორნამენტიც. მსგავსი ორნამენტილი სახეებითაა შემკული ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ერთი ჭურჭლის ნატეხი, რომელიც რეიშია აღმოჩენილი და წარმოების წუნს წარმოადგენს<sup>181</sup>, სომხეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული, მაღაიანის კოლექციაში შემავალი რეიში ნაპოვნი ჭურჭლის ნატეხი<sup>182</sup> და სხვ.

გვხვდება პატარა რკალების, ხვეულებისა და წერტილებისაგან შემდგარი წერილი მცენარეული ორნამენტით შემკული ჭურჭელიც. მაგ., ამგვარად არის

171 სსმფგ. ინვ. № 1—54:412. კეცი მონაცრისფრო; სიმტიცე —4. ქიქური ორივე მხრივ თეთრი გაუმჭირვალე, ლუსტრი — მოყავისფრო.

172 Б. А. Шелковников. Фаянсы. расписанные люстром по белой непрозрачной глазури из Орен-Кала. ტაბ. IV<sub>1</sub>.

173 იქვე, ტაბ. VI<sub>1</sub>.

174 იქვე, ტაბ. III<sub>1-3</sub>.

175 A. Lane. Early Islamic Pottery. ტაბ. 55A.

176 Б. А. Шелковников. დასახ. ნაშრ., ტაბ. II<sub>1-3</sub>.

177 იქვე. გვ. 312.

178 A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 55A.

179 ვ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXIII<sub>3</sub>, გვ. 51. სსმფგ. ინვ. № 1097. კეცი მონაცრისფრო აქვს, ნასერტოვანი; სიმტიცე უღრის 5. ორივე მხრივ დაფარულია თეთრი გაუმჭირვალე ქიქურით. მოხატულია მოოქროსფრო-ყავისფერი, ძალიან ლამაზი ელფერის მქონე ლუსტრით.

180 რეის მიაკუთვნებს მას ვ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 51.

181 R. Ettinghausen. Evidence for the Identification of Kashan Pottery. 61, 62. ტაბ. XXXIV ზედა.

182 Б. А. Шелковников. დასახ. ნაშრ., ტაბ. VIII<sub>3</sub>.

შემკული დმანისში აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხები<sup>183</sup>. მათგან აღსანიშნავია ფიგურული (?) ჭურჭლის მუცლის ნატეხები — №№ 1088, 418 (ერთი ჭურჭლისაა, მაგრამ ერთიმეორეს არ უდგება (ტაბ. X<sub>2</sub>)<sup>184</sup>. კეცი მონაქრის-ფრო-მოვარდისფროა; სიმტკიცე უდრის 4. ჭურჭლის ზედაპირი თეთრი, გაუმჭვირვალე, კალიანი ჰიქურითა დაფარული, შიდაპირი კი — კობალტის ლურჯი. გამჭვირვალე ჰიქურით. ზედაპირი მოხატული ყოფილა მოოქროსფრო-ყავისფერი ლუსტრით. ნატეხებზე შემორჩენილია ლუსტრის ფართო ზოლები და მათ შორის მოთავსებული წვრილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტი.

შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ჭურჭლის ფორმის დადგენა ძნელია, შესაძლოა იგი იმგვარივე ფორმისა იყოს. როგორც „კელეკიანის კოლექციის კატალოგის“ XV ტაბულაზე გამოსახული ჭურჭელია<sup>185</sup>. ეს არის გრძელ. ვიწრო ყელისა და გამოხერხილი ფიგურული მუცლის მქონე ჭურჭელი.

დმანური ჭურჭელი, კეცისა და ლუსტრის ფერის მიხედვით, რეის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს<sup>186</sup>. სწორედ რეისთვის ჩანს დამახასიათებელი მისი ორნამენტიც.

მსგავს ორნამენტულ სახეებს ვხვდებით ორენ-ყალაში აღმოჩენილ და რეისთვის მიკუთვნებულ ხელადაზე<sup>187</sup>, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში დაცულ, აგრეთვე რეისთვის მიკუთვნებულ ალბარელოზე<sup>188</sup>, გოდმანის კოლექციის რეულ ალბარელოზე<sup>189</sup> და სხვ.

ჭურჭლის მოხატულობაში გვხვდება უფრო განსხვავებული სტილიზებული წვრილი მცენარეული ორნამენტი — პატარა რკალები და წერტილები, რომლებიც ერთიმეორეში გადახლართული ყვავილებისა და ფოთლების შთაბეჭდალებას ქმნიან. ჩვეულებრივ იგი ვიწრო სარტყლად შემოსდევს ჭურჭელს. ამგვარი ორნამენტი შემკული ნაწარმის ნატეხები აღმოჩენილია თბილისში (300 არაგველის ბაღში) (ტაბ. X<sub>4</sub>)<sup>190</sup>. ისინი, კეცისა და ლუსტრის ფერის მიხედვით, რეის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდნენ<sup>191</sup>.

არის ქუფური ორნამენტით შემკული ჭურჭელიც. იგი წარმოდგენილია თბილისში, 300 არაგველის ბაღის განათხარში (ტაბ. X<sub>5</sub>, 6)<sup>192</sup> და რუსთავეში (ტაბ. X<sub>7</sub>)<sup>193</sup> აღმოჩენილი ჭურჭლის პატარა ნატეხებით.

<sup>183</sup> სსმფ, ინე. № 1088, 418; № 1092 (ტაბ. X<sub>2</sub>); № 198.

<sup>184</sup> ვ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXIII<sub>5</sub>, გვ. 51.

<sup>185</sup> The Kelekian Collection of Persian and Analogous Potteries, 1885 — 1910, Paris, 1910.

<sup>186</sup> რეის მიწერს მას ვ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 51.

<sup>187</sup> Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრ., ტაბ. II.

<sup>188</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 54A.

<sup>189</sup> ი ქ ე ე, ტაბ. 56B.

<sup>190</sup> სსმფ, ინე. №№ 1—54:255, 1—54:178.

<sup>191</sup> მათი კეცი მონაქრისფროა; სიმტკიცე უდრის 4. № 1—54:178 — ორივე მხრივ თეთრი გაუმჭვირვალე კალიანი ჰიქურითაა დაფარული; № 1—54:255 — ზედაპირი თეთრი, გაუმჭვირვალე ჰიქურითაა დაფარული, ხოლო შიდაპირი — კობალტის ლურჯი, გამჭვირვალე ჰიქურით. ჭურჭლების ზედაპირი მოხატული ყოფილა მოყავისფრო-მოოქროსფრო ლუსტრით

<sup>192</sup> სსმფ, ინე. № 1—54:3573, № 1—54:530. № 1—54:3573 — ყელფართო ჭურჭლის ყელ-პირის ნატეხება (2. ერთიმეორეს არ უდგება). კეცი — მონაქრისფრო, სიმტკიცე — 5.

დასახელებული ჰურქელი, ტექნიკური თვისებების მიხედვით, რეის სახელისნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. ვაშონაკლის შეადგენს რუსთავეში აღმოჩენილი ჰურქლის გვერდის ნატეხი (რაესწ, № 3412), რომლის კეცი (მოთუთრო-შონაცისფრო, წვრილმარცვლოვანი, ზომიერად ნასერტოვანი; სიმტკიცე — 5—6)<sup>194</sup>; ჰიქური (თეთრი, გაუმჟვირვალე, კალიანი, ლუსტრიანი ფიანსებებაათვის ჩვეულ სიკრიალეს მოკლებული) და ლუსტრი (მონარინჯისფერი) რეის ფიანსისათვის არა ჩანს დამახასიათებელი. აღნიშნული ჰურქელი ირანს მიეკუთვნება, მაგრამ სახელდობრ რომელ საწარმოო ცენტრს, ჯერ კიდევ დასადგენია. ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი ცენტრის ნაწარმს ახასიათებს ასეთი კეცი. ჰიქური და ლუსტრი. რაჲ შეეხება ორნამენტს (ქუფური ასოები და მათ შორის ზვეულებისაგან შემდგარი სტილიზებული მცენარეული სახეები), იგი არა მარტო ირანის, არამედ მთელი ისლამური სამყაროს კერპიკისათვისაა ტიპური.

ქუფური ორნამენტით შემკული ჰურქლიდან აღსანიშნავია რუსთავეში აღმოჩენილი ჰურქლის პირ-გვერდის ნატეხი № 879 (ტაბ. X7) (ნატეხზე ორი ნახტვითა აპოლებული: ეტყობა ჰურქელი გაუტყდათ და გადააბეს)<sup>195</sup>. როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ჰურქელი ტექნიკურ თვისებათა მიხედვით, რეის მიეკუთვნება.

შიდაპირზე ჰურქლის პირს ქუფური ორნამენტის არშია შემოსდევს. ასოებს შორის თავისუფალი სივრცე სტილიზებულ, მცენარეულ ორნამენტს უკავია. ასეთი ორნამენტის არშია დამახასიათებელი ჩანს საერთოდ ირანული ფიანსებებისათვის: მას ვხვდავთ როგორც რეის, ისე ქაშანისა და ირანის სხვა კერპიკულ ცენტრების ნაწარმზე<sup>196</sup>.

გვხვდება ჰურქლის შემკობა გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული ორნამენტითაც. ასეთია დმანისში აღმოჩენილი ჰურქლის გვერდის ნატეხი (№ 1096, ტაბ. XI1). იგი, ეტყობა, ეკუთვნის მაღალ თასს, რომელსაც ექნებოდა ტალღოვანი პირი და კანელურებიანი ტანი. ჰურქელი, კეცისა და ლუსტრის (ყავისფერი) მიხედვით რეისში უნდა იყოს ნაკეთები. თასის ზედაპირი მოხატული ყოფილა ლუსტრის, მრავალკუთხედთა შემქმნელი ზოლებით, რგოლებითა და წერტილებით შედგენილი, სტილიზებული მცენარეული სახეებით.

საქართველოს შუასაუკუნეების ნაქალაქართა განათხარებში, ჩამოვლილთა ვარდა, გვხვდება კიდევ თეთრი, გაუმჟვირვალე ჰიქურით დმარული და ლუსტრით მოხატული ფიანსის ჰურქლის პატარა ნატეხები. ამ უკანასკნელთა სიმკირის გამო ჰურქლის ორნამენტზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. შეიმჩ-

ჰიქური ზედაპირზე თეთრი, გაუმჟვირვალე. შიდაპირზე — კობალტის, ღია ლურჯი, გამჟვირვალე. ზედაპირი მოხატულია ყავისფერი, ალაგალაგ მოყვითალო ლუსტრით.

<sup>193</sup> რაესწ, № 879, № 3412.

<sup>194</sup> იხ. ცხრილი — ჰურქლის ჰიქური ანალოზი.

<sup>195</sup> ასეთივე სურათს ვხვდავთ თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილ, აგრეთვე ქუფური ორნამენტით შემკული, ჰურქლის ყელის ნატეხებზე. მათზედაც ნახტვებია გაკეთებული და ერთზე მიკანგული ლითონის მკეთელის ნაშთია. ეტყობა, გატეხილი ჰურქელი ლითონის მკეთელით ჰქონიათ გადაბმული.

<sup>196</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V. ტაბ. 657B, 659B, 650A, 698B, 714B და სხვ. A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 83A.

წვეა ლუსტრის ზოლები, სტილიზებული მცენარეული ორნამენტის მცირე ნაშთები და სხვ. მაგრამ აღნიშნული ჭურჭელი, კეცისა (მონაცრისფრო, სიმტკიცე — 4—5) და ზოგჯერ ლუსტრის მიხედვით, უმეტესად ქ. რეოს სახე-ლოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ლუსტრის ფერი, ეტყობა, ყოველთვის ვერ გაგვირკევებს წარმოების ცენტრს, რადგან იგი მეტწილად გამოწვის შემთხვე-ვითობაზეა დამოკიდებული და შეიძლება ხშირად მას ერთ ჭურჭელზედაც კი ასევე აღსანიშნავი ელფერი გადაჰყავდეს<sup>197</sup>.

მაგალითად. კეცის მიხედვით (მონაცრისფრო, სიმტკიცე — 5), თითქოს რეიში გაკეთებული უნდა იყოს თბილისში (300 არაგველის ბაღში)<sup>198</sup> და დმანისში<sup>199</sup> აღმოჩენილი, ძირ-ქუსლთა ნატეხებით წარმოდგენილი ჭურჭელი, მაშინ როცა მათი ლუსტრი — მოყავისფრო-მომწვანო (თბილისში ნაპოვნ ჭურ-ქელზე) და მოყვითალო-მონარინჯისფრო-მოოქროსფრო ელფერის (დმანისში აღმოჩენ-ლ ჭურჭელზე) ვერ ჩაითვლება დამახასიათებლად აღნიშნული ქა-ლაქის ნაწარმისათვის.

ანათავს განვიხილოთ დმანისში ნაპოვნ ნატეხს (№ 571, ტაბ. XI<sub>2</sub>), რომე-ლიც თანსა თუ ჯამს მიეკუთვნება და ექვსწახნაგოვანი ქუსლით თავდება (ტაბ. XI<sub>3</sub>). ნატეხის სიმცირის გამო ორნამენტის რაგვარობაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

ასეთვე ქუსლიანი, ორენ-ყალაში აღმოჩენილი თასი გამოქვეყნებული აქვს შელკოვნიკოვს, რომელიც მას რეის მიაწერს<sup>200</sup>. რადგან სხვა, ამ-გვარი ფორმის ჭურჭელი არსად გვეგულება და თანაც მისი კეცი უახლოვდება რეის ნაწარმის კეცს, შეიძლება აღწერილი ჭურჭელიც პირობითად რეის მიე-წეროთ და დავათარილოთ ისევე, როგორც თარიღდება ორენ-ყალაში ნა-პოვნი მაგასი ფორმის მქონე რეიული წარმოშობის ჯამი, ე. ი. XII საუკუნის ბოლოთი და XIII საუკუნის დასაწყისით<sup>201</sup>.

დმანისშივე არის აღმოჩენილი ნატეხები ჭურჭლისა, რომელსაც კეცი მო-ხარისფრო და ნასვერტოვანი აქვს, მაგრამ უფრო რბილი (სიმტკიცე უდრის 3). ვიდრე რეისთვის მიეკუთვნებულ, ზემოთ განხილულ ჭურჭელს. ჭურჭელი ორივე მხრივ დაფარულია თეთრი, გაუმჭვირვალე ქიქურით. ამ ნატეხთაგან ცალკე აღსანიშნავია თასის (?) ძირ-ქუსლის ნატეხი, № 1090<sup>202</sup>. მისი შიდა-პირი მოხატულია მოყავისფრო-მოოქროსფრო-მომწვანო ლუსტრით. ნატეხის შიდაპირზე შემორჩენილი ნაწილი ფეხმორთხმული ქალის ფიგურისა, რეზერ-ვად ყოფილა დატოვებული ლუსტრით შეფერილ ფონზე. სამოსი მთლიანად ლუსტრის ხვეულებით არის დაფარული. ასეთივე, ოღონდ რეზერვად დატო-ვებული ხვეულებითაა შევსებული ლუსტრიანი ფონიც.

<sup>197</sup> Б. А. Шелковников, დაახ. ნაშრ., გვ. 308; Э. К. Кверцельят. დაახ. ნაშრ., გვ. 56.

<sup>198</sup> სსმფგ. ინვ. № 1—54:92.

<sup>199</sup> სსმფგ. ინვ. № 571.

<sup>200</sup> Б. А. Шелковников, დაახ. ნაშრ., გვ. 303, 312.

<sup>201</sup> იქვე.

<sup>202</sup> ე. კ. ა. თ. ი. დ. ე. დაახ. ნაშრ., გვ. 51, ტაბ. LXIII<sub>7</sub>.

ვ. ჯაფარიძე ამ კურკელს ქაშანურ ნაწარმად მიიჩნევს<sup>203</sup>. მართლაც, მისი ორნამენტის სახეები სწორედ იმ ნიმუშებისათვის: ჩანს დამახასიათებელი, რომლებსაც ზოგიერთი ავტორი ქალაქ ქაშანს. მიაკუთვნებს<sup>204</sup>.

ა. პოუპის მიხედვით, ქაშანური ნაწარმისათვის დამახასიათებელია მკიდრო ორნამენტი, რომელიც ქსოვილს მოგვაგონებს და შედგება წერტილების, ხვეულებისა და წაწვეტებული ფურცლებისაგან. ეს ორნამენტი ჩვეულებრივ რეზერვადაა დატოვებული ლუსტრთან ფონზე<sup>205</sup>.

ბ. შელკოვნიკოვს გამოქვეყნებული აქვს დმანისში ნაპოვნი კურკლის მსგავსი ორნამენტი (ხვეულებით) შემკული, ორენ-ყალაში აღმოჩენილი ორი თასი<sup>206</sup>. ორთავეს ცენტრში ხვეულებით შევსებულ ფონზე გამოხატულია ორორი იხვი. ერთ თასზე ხვეულები ლუსტრის ფონზეა რეზერვაციით გამოყვანილი<sup>207</sup>, ხოლო მეორეზე — თეთრ ფონზეა ლუსტრით დატანილი<sup>208</sup>.

დმანისში აღმოჩენილ, ზემოაღწერილ კურკლის ნატეხზე გაერთიანებულია ორივე: თეთრ ფონზე ლუსტრით გამოყვანილი ხვეულები და ლუსტრის ფონზე რეზერვაციით გამოყვანილი ხვეულები.

ასეთ ორნამენტს ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე ფრინველების, ცხოველებისა და ადამიანთა გამოსახულება, რეზერვაციით გამოყვანილი.

სტილისტური ნიშნების მიხედვით, ა. პოუპისა და რ. ეტინგაუზენის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის თანახმად, ასეთი კურკელი მიეკუთვნება ქაშანს, ან რომელსავე მეორეხარისხოვან ცენტრს, სადაც ოსტატები ბაძაფდენ ქაშანს.

მაგრამ, როგორც ბ. შელკოვნიკოვი აღნიშნავს, არ შეიძლება მხოლოდ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობა და ტექნიკურ თვისებათა უგულვებლყოფა<sup>209</sup>, ვინაიდან ორნამენტის სტილი შეიძლება მიზამეითაც გავრცელებულიყო. ამასთანავე, შეუძლებელია, სხვადასხვა ადგილას დამზადებულ ფაიანსებს ჰქონდეთ სრულიად ერთნაირი კეცი, რადგან ეს უკანასკნელი არა მარტო რეცეპტურაზეა დამყარებული, არამედ ნედლეულზედაც<sup>210</sup>. ტექნიკურ თვისებათა მიხედვით კი ორენ-ყალის აღნიშნულ თასებს ბ. შელკოვნიკოვი მიაწერს რეის<sup>211</sup>.

რაც შეეხება დმანისში ნაპოვნი კურკლის ნატეხს, იგი, კეცისა და ლუსტრის მიხედვით, განსხვავებულია რეის ნაწარმისაგან და აშკარად რომელიღაც

<sup>203</sup> ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

<sup>204</sup> A. U. Pope, ტ. V. ტაბ. 707—709, 712 და სხვ.; A. U. Pope, Suggestion towards the Identification of Medieval Iranian Faience, Доклады на III Международном конгрессе по иранскому искусству и археологии, М.—Л., 1939. ტაბ. LXX, LXXI, LXXII; A. Lane, Early Islamic Pottery, ტაბ. 62, 64B, 65B, R. Ettinghausen, Evidence for the Identification of Kashan Pottery, Доклады на III Международном конгрессе.... ტაბ. XXVII, ქვდა. XXVIII.

<sup>206</sup> A. U. Pope, Suggestion towards the Identification.... გვ. 166.

<sup>208</sup> Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრ., გვ. 308, 310, ტაბ. V<sub>1-2</sub>.

<sup>207</sup> იქვე, ტაბ. V<sub>1</sub>.

<sup>208</sup> იქვე, ტაბ. V<sub>2</sub>.

<sup>209</sup> Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრ., გვ. 316, 317.

<sup>210</sup> იქვე.

<sup>211</sup> იქვე, გვ. 318.



სხვა ცენტრშია ნაკეთები. ნატეხზე შემორჩენილი, მომწვანო ელფერის მქონე ლუსტრი თითქოს ქაშანისათვისაა ტიპური<sup>212</sup> და ორნამენტიც ქაშანისათვის ჩანს დამახასიათებელი.

შეიძლება თუ არა ეს ჭურჭელი ქაშანს მივაწეროთ? თუ დავეყრდნობით ბ. შელკოვნიკოვს, ქაშანური ნაწარმის კეცი უფრო თხელია, ვიდრე რეისა და მისი სიმტკიცე უდრის 5—6<sup>213</sup>. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის დამტკიცებული, რომ მალაიანის კოლექციაში შემავალი ეს ჭურჭელი, რომლის მიხედვითაც ახასიათებს ბ. შელკოვნიკოვი ქაშანური ჭურჭლის ტექნიკურ თვისებებს, სწორედ ქაშანის ნაწარმია: იგი აღმოჩენილია სულთანაბადში და ბ. შელკოვნიკოვს შესაძლებლად მიაჩნია მისი შემოტანა ჰამადანიდან, სავა-ღან ან ქაშანიდან. მას ქაშანური წარმომავლობა სრულიად შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, არ არსებობს საკმარისი მასალა ამ საკითხის გადასაჭრელად<sup>214</sup>. თუ ქაშანური ჭურჭლის კეცისათვის დამახასიათებლად მივიჩნევთ ბ. შელკოვნიკოვის მიერ დადგენილ სიმტკიცეს (5—6), მაშინ დმანისში ნაპოვნ ჭურჭელს ვერ მივაწეროთ ქაშანს.

ამგვარად, ჩერჩვრობით ამ ნაწარმის წარმომავლობა მაინც დაუდგენლად უნდა ვაღიაროთ, სანამ ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილი არ გახდება ქაშანური ჭურჭლის ტექნიკური თვისებები.

რაც შეეხება ხნოვანებას, დმანისის ეს ჭურჭელი შეიძლება დათარიღდეს მსგავსი ორნამენტით შემკული, ფილადელფიაში დაცული ლანგრის<sup>215</sup> მიხედვით (რომელსაც აწერია თარიღი — 1211 წ.) — XIII საუკუნის დასაწყისით. სტილისტური მსგავსება ქრონოლოგიურ სიახლოვესაც უნდა მოწმობდეს.

ბ) თ ე თ რ ი კ ი ქ უ რ ი თ და ფ ა რ უ ლ ი და კ ო ბ ა ლ ტ ი თ ა და ლ უ ს ტ რ ი თ მ ო ხ ა ტ უ ლ ი ჭ უ რ ქ ე ლ ი. ამგვარი ნაწარმი აღმოჩენილია დმანისში (ათიოდე ჭურჭლის ნატეხები)<sup>216</sup> და გულარეხში (ორი ჭურჭლის ნატეხები)<sup>217</sup>. ნატეხთა სიმცირის გამო ჭურჭლის მოყვანილობასა და ორნამენტულ მსგავსებას მეტწილად ძნელია. ამ ნაწარმის კეცი თითქოს მსგავსია — მონაკრისფრო, წმინდა მარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის 4—5. ლუსტრი მოყავისფრო-მოთქროსფრო, მოყვითალო-მოთქროსფრო ან ყავისფერია. კეცისა და ლუსტრის მიხედვით, ჭურჭელი (მისი უმეტესობა მაინც) თითქოს რეის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. მათგან აღსანიშნავია დმანისში აღმოჩენილი ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხი № 1089 (ტაბ. IX, 4)<sup>218</sup>. მისი კეცი მონაკრისფერია; სიმტკიცე უდრის 4—5. ჭურჭელი ორივე მხრივ დაფარული ყოფილა თეთრი გაუმჟებრავლე, კალიანი ქიქურით. შიდაპირზე შერჩენილია სტილიზებულ, მსხვილ მცენარეულ ორნამენტს შორის მოთავსებული დაწინწკლულ-სამოსიანი, ფეხმორთხბული ადამიანის ფიგურა. ორნამენტი ყავისფერი, ალაგ-ალაგ მომწვანო ელფერის ლუსტრით შეფერილ ფონზე რეზერვა-

<sup>212</sup> A. U. Pope. A Survey of Persian Art. ტ. II, გვ. 1572.

<sup>213</sup> Б. А. Шелковников. დასახ. ნაშრ., გვ. 318.

<sup>214</sup> იქვე.

<sup>215</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 710.

<sup>216</sup> სმმფგ. ინე. №№ 1089, 1100, 458, 466a, 436, 466, 3319, 114, 840, 1093.

<sup>217</sup> სმმფგ. ინე. №№ 2:58—409, 2:58—395.

<sup>218</sup> ე. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 50, 51, ტაბ. LXIII, გ.

ციით არის გამოხატული. ჭურჭლის ძირი შემოფარგლულია კობალტისა და ლუსტრას ზოლებით.

როგორც უკვე გვექონდა აღნიშნული, ასეთი მოხატულობა ტიპური ჩანს რესე ფაანსებისათვის<sup>219</sup>. დმანისში ნაპოვნი ჭურჭლის განსაკუთრებულ მახლობელ პარალელ წარმოადგენს ელდრედ ჰიჩკოკის კოლექციაში შემავალი, რეიდან მომდინარე ჯამი<sup>220</sup>, რომლის შიდაპირიკ თეთრი, გუმბეჭვირვალე ქიქურითაა დაფარული და მოხატულია ლუსტრით. ცენტრში არის ასევე წრეში ჩასჭული დაწინწკლულ-სამოსიანი ფიგურა სტილიზებულ მცენარეულ ორნამენტს შორის. ორნამენტი რეზერვაციით არის გამოყვანილი ლუსტრიან ფონზე. ექვსი ასეთივე ფიგურა ამკობს ჯამის გვერდებს.

იპის გამო, რომ დმანისში ნაპოვნ ამ ჭურჭელზე ნახატი რამდენადმე დაუდევრად არის შესრულებული, გამთხრელმა ლ. მუსხელიშვილმა თავის დროზე იგი მიიჩნია ადგილობრივ ნაწარმად, ირანულის „უმწეო მიბაძვალ“<sup>221</sup>. მაგრამ, როგორც შემდგომ აღნიშნა ვ. ჯაფარიძემ, ცნობილ ირანულ ნიმუშებზედაც კი გვხვდება დაუდევრად გამოყვანილი გამოსახულება ფეხმორთხმული ადამიანისა, მაგრამ მათი ირანულობა არავის ეეჭვება: მას შესაძლოდ მიიჩნია დმანისის ეს ჭურჭელი რეის კერამიკულ სახელოსნოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ ირანის რომელიღაც სხვა ცენტრის ნაწარმს წარმოადგენდეს<sup>222</sup>.

თუ გავითვალისწინებთ ელდრედ ჰიჩკოკის კოლექციაში შემავალ, ზემოთ პარალელად მოტანილ ჯამს და სარწმუნოდ ჩავთვლით მის მომდინარეობას რეიდან, მაშინ დმანისის ეს ჭურჭელიც რეის ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან იმდენად ერთნაირია მათი ორნამენტი, რომ მათი წარმომავლობა ერთსადაიმთვე ცენტრიდან საეჭვო არ უნდა იყოს. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ დმანისში აღმოჩენილ ჭურჭელს კეცი სწორედ ისეთი აქვს, როგორიც რეისთვის ჩანს დამახასიათებელი.

გ) რელიეფური ნატევიფრი ორნამენტი თემკული, თეთრი ქიქურით დაფარული, კობალტისა და ლუსტრის საღებავებით მოხატული ჭურჭელი. ამ ქვეჯგუფისათვის ნოსაკუთვნილებელი ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია დმანისსა (ტაბ. XI<sub>1</sub>)<sup>223</sup> და გუდარეხში (ტაბ. XI<sub>2</sub>)<sup>224</sup>. ნატეხების სიმკირის გამო ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტზე მსჯელობა კირს. აღსანიშნავია, რომ გუდარეხში ნაპოვნი ჭურჭლის ნატეხები ერთიმეორის მსგავსია — კეცი, ქიქურით, ლუსტრის ფერითა და ორნამენტით — და აშკარად ერთი სახელოსნოს ნაწარმია. მათი კეცი მონაცრისფრო-მოყვითალოა, ნასვრეტოვანი. სიმტიკე უდრის 3.

<sup>219</sup> Б. А. Шелковников, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. II<sub>1,2</sub>, IV, VI<sub>1</sub>, III<sub>1-4</sub>; A. U. Pope, *დასახ. ნაშრ.*, ტ. V, ტაბ. 635; A. Lane, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. 55A, 56B; A. Lane, *Islamic Pottery*, სურ. 41, გვ. 26.

<sup>220</sup> A. Lane, *Islamic Pottery*, სურ. 41.

<sup>221</sup> Мусхелишвили Л., *Раскопки в Дманиси*. СЛ, VI, 1940, გვ. 283—284.

<sup>222</sup> ვ. ჯაფარიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 51.

<sup>223</sup> სსმფგ. ინე. № 1077. ჭურჭლის გვერდის მეტად პატარა ნატეხი. კეცი მონაცრისფრო აქვს, სიმტიკე — 5. რელიეფური ადგილები კობალტითაა შეფერილი და შემოსაზღვრულია მოყვითალო-მომწვანო ელფერის ლუსტრის ზოლებით; თეთრი ფონიც ლუსტრის სვეულებითაა შევსებული.

<sup>224</sup> სსმფგ. ინე. № 2:58—430, 398 (ერთი ჭურჭლის ნატეხები), № 2:58—397, 426, 399.

ქურქელი ორივე მხრივ დაფარულია თეთრი, გაუმჟვირვალე კალიანი ქიქურით და მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავითა და ყავისფერი, მოოქროსფრო ელფერის მქონე ლუსტრით. ზედაპირი რელიეფურა ორნამენტითაა შემკული, კობალტი სწორედ ამ რელიეფურ ადგილებზეა წასხელი და შემოსაზღვრულია ლუსტრის ზოლებით. ორნამენტი ეპოკრაფიკული ჩანს<sup>225</sup>.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც კობალტის საღებავი წაუსვამთ, ქიქურის ნასკრებულებანია, ხოლო თეთრ ადგილებზე ეს არ შეიძინევა. ეტყობა, კობალტი გაშრუწვავი ქიქურზე დიიტანებოდა.

ეს ქურქელი ირანული ნაწარმია, მაგრამ კერძოდ რომელი საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობს, ამის დადგენა ძნელია.

ოაც შეეხება ხნოვანებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქურქლის ორნამენტი მსგავსებას იჩენს ქაშანის ლუსტრიან ფილებთან. რომლებიც რელიეფური, ლურჯად შეფერილი წარწერითაა შემკული<sup>226</sup>. მსგავსია ნაწარმის შემკობის ტიპსაც. ყოველივე ამის გამო გუდარეხში ნაპოვნი ეს ქურქელი შეიძლება ისევე დავთარილოთ, როგორც ქაშანის აღნიშნული ფილები, ე. ი. XIII ს. პირველი ნახევარი.

დ) კობალტის ლურჯ ქიქურზე ლუსტრით მოხატული ქურქელი. კობალტის ლურჯი, გაუმჟვირვალე ქიქურით დაფარული და ლუსტრით მოხატული ნაწარმი წარმოდგენილია თბილისსა (300 არაგველის ბაღის განათხარში) (ტაბ. XI<sub>6</sub>, 7)<sup>227</sup> და დმანისში (ტაბ. XI<sub>6</sub>)<sup>228</sup> აღმოჩენილი ქურქლის მებრძო პატარა ნატეხებით, რომელთა მიხედვითაც ძნელია ორნამენტისა და ფორმის გარკვევა. სხვადასხვა ფორმის ქურქელი ჩანს — თარაო-ყელიანის, პატარა და მრგვალმუცლიანისა, ბაკობრტყელისა და სხვ.

მათი კეცი მონაცრისფროა, წმინდამარცვლოვანი: სიმტკიცე უდრის 4—5. ისინი დაფარულია კობალტის მოლურჯო, კალიანი, გაუმჟვირვალე ქიქურით და მოხატულია ყავისფერი-მოოქროსფრო, მოყავისფრო-მოოქროსფრო, მოწითალო ელფერის, ან მოყავისფრო-მომწვანო ელფერის მქონე ლუსტრით. ორნამენტი უმთავრესად მცენარეული ჩანს, მაგრამ გვხვდება გეომეტრიულიც (დმ., № 78). მეტი წილი ძალიან ლამაზი და ფაქიზი ქურქლის ნატეხებია.

კეცისა და ლუსტრის ფერის მიხედვით ეს ქურქელი შეგვიძლია რეის სახელოსნოს ნაწარმად მივიჩნიოთ, ხოლო თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი მსგავსი ნატეხების მიხედვით — XIII საუკუნის პირველი ნახევრით დავთარილოთ.

ამგვარად, საქართველოში აღმოჩენილი ლუსტრით მოხატული ქურქლის უმეტესობა ქ. რეის სახელოსნოთა ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. მასში გამოიარჩევა აგრეთვე ირანის სხვა კერამიკული ცენტრებიდან მომდინარე ქურქელი, რომელთა სადაურობის დანამდვილებით განსაზღვრაც გვიჭირს. ამას ის გვიძნელებს, რომ ირანის სხვადასხვა ცენტრების ნაწარმისათვის დამახასიათებელი ტექნიკური თვისებები ჩვენთვის მებრძოლ უცნობია (რეის გარდა).

<sup>225</sup> სსმფგ, № 2:58—430, 398, 397. დანარჩენი ნატეხები იმდენად პატარებია, რომ მათ ორნამენტზე მსჯელობა ძნელია, თუმცა ისინიც მსგავსი ქურქლისა ჩანან.

<sup>226</sup> A. Lane. Early Islamic Pottery. ტაბ. 67A.

<sup>227</sup> სსმფგ, ინე. № 1—54:646 (ტაბ. XI<sub>6</sub>), 587 (ტაბ. XI<sub>7</sub>), 411, 588.

<sup>228</sup> სსმფგ, ინე. № 78, 237, 264.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში აღმოჩენილი ლუსტრიანი კერამიკა XII—XIII საუკუნეებით თარიღდება და მასში თითქმის არ გამოიცილება XIV საუკუნის ნაწარმი (თუ არ ჩავთვლით დამასკოს ქურქელს).

### IX საღებავეებით მოხატული და ფურცლოვანი ოქროთი შემკული ქურქელი

ამგვარი ნაწარმი შემკობის ტექნიკით უახლოვდება ე. წ. „მინაის“<sup>229</sup>. მისთვის დამახასიათებელია მუქი ლურჯი, გამკვირვალე ჭიქური, რომელიც მოიხატებოდა საღებავეებით და შეიმკობოდა ფურცლოვანი ოქროთი. ოქროს სიფრიფანა ფურცელთა ნაპირები ნახატის კონტურზე მასტიკის საშუალებით მხოლოდ კიდეებით მაგრდებოდა და ამის გამო ქურქელს გამოწვისას ტემპერატურის გარდუვალი ცვალებადობის დროს ოქროს ფურცლები ინარჩუნებდნენ ელასტიურობას და არ სცილდებოდნენ ზედაპირს<sup>230</sup>. ასეთ ფაიანსებზე ორნამენტი ჩვეულებრივ მცენარეულია და მთლიანად ფარავს ქურქელის ზედაპირს<sup>231</sup>.

დმანისში აღმოჩენილია ასეთი ქურქელის სამი პატარა ნატეხი<sup>232</sup>, რომლებზედაც შემორჩენილია ოქროს ფურცელთა ნაწილაკები და წითელი მასტიკის ნაშთი<sup>233</sup>. ნატეხები მეტად პატარა-პატარაა და ქურქელის მოყვანილობასა და ორნამენტზე მსჯელობა არ შეიძლება.

ფურცლოვანი ოქროთი შემკული ირანული ფაიანსის ქურქელის ნიმუშები XII—XIII საუკუნეებით არის დათარიღებული.

ადრე ყველა ავტორი ამ ნაწარმს მიაკუთვნებდა რეის. ა. პოუბი ეყრდნობა მისთვის დამახასიათებელ წვრილ მცენარეულ ორნამენტს და მას ძირითადად ქაშანს მიაწერს, მაგრამ ბ. შელკოვნიკოვი აღნიშნავს, რომ ანისში აღმოჩენილი და სომხეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული, ამგვარი ტექნიკით შემკული ქურქელის ნატეხის კეცი მიგვანიშნებს ამ ფაიანსების რეიულ წარმოშობაზე<sup>234</sup>.

დმანისში აღმოჩენილი ქურქელის ნატეხების კეცი თითქოს უახლოვდება რეის ნაწარმის კეცს.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, საქართველოს ნაქალაქარებისა თუ სხვა ტიპის ძეგლთა თხრისას აღმოჩენილი, შუაფეოდალური ხანის ფაიანსის ნაწარმი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი შესწავლის უმნიშვნელოვანეს შედეგად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ხერხდება XII—XIII საუ-

229 „მინაის“ ნაწარმი საქართველოში წარმოდგენილია დმანისში აღმოჩენილი ერთი ნიმუშით — რ. ვ. ქაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, გვ. 73.

230 ვ. კ. კვერფელდტ, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

231 ბ. ა. შელკოვნიკოვ, Средневековая художественная керамика Ближнего и Дальнего Востока, გვ. 18.

232 სსმფგ. ინვ. № 202, 1083, 206; ვ. ქაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

233 იქვე.

234 ბ. ა. შელკოვნიკოვ, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

კუნეების საქართველოში ადგილობრივი, საკუთრივ ქართული ფიანსის წარმოების დადგენა და მისი ნაქეთობის გამორჩევა უცხოურისაგან. ადგილობრივი ფიანსის ქურჭლის წარმოების კერები ჯერჯერობით უნდა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთ საქართველოს სამ ქალაქში: თბილისში, კუხეთის რუსთავსა და დმანისში. მაგრამ ჩვენი ეს მოსაზრება რამდენადმე მაინც წინასწარულია, რადგან საგანგებოდ ფიანსის ქურჭლის მკეთებელი სახელოსნოს ნაშთები ჯერჯერობით არსად აღმოჩენილა. ამ ვითარებაში მით უფრო საყურადღებო და ძიების ღირსი ჩანს ჩვენში ფიანსის სახელოსნოთა ლოკალიზაციის საკითხი. გვგონია, ფიანსის ქურჭლის გამოწვაზე დასპეციალებული სახელოსნოს ნაშთების ჯერაც აღმოუჩენლობის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ თეთრკეციანი მოქიქული ქურჭლის გამოწვა ჩვენში იმავე ქურების საშუალებით წარმოებდა, რომლებშიც წითელკეციანი ქურქელი გამოიწვოდა. მაგალითად, ფიანსის ქურჭლის ერთ-ერთი საწარმოს არსებობა სავარაუდოა თბილისში (300 არაგველის ბაღში) აღმოჩენილი კომპლექსური სათუნე საწარმოს ფარგლებში<sup>235</sup>. ამას უნდა მოასწავებდეს როგორც ქურებთან, ისე წარმოების გადანაყარის ვებებრთელა გროვამი მრავლად აღმოჩენილი ფიანსის ნატეხები, რომელთაც თითქმის ერთი და იგივე კეცი და ქიქური აქეთ და ზშირია მსგავსი მოყვანილობა-შემქულობის მქონე ქურჭლის ნატეხებიც.

იგივე შეიძლება ითქვას დმანისის შესახებ, სადაც კერამიკული სახელოსნოს ნაშთების მახლობლად ნაპოვია კერამიკული სოლი, რომელზეც მიღებულია ცისფრად მოქიქული ფიანსის ქურჭლის ნატეხები<sup>236</sup>. ეს კი დმანისში ფიანსის ქურჭლის დამზადების უდავო საბუთია<sup>237</sup>.

რაც შეეხება წითელკეციანი და თეთრკეციანი (ფიანსის) მოქიქული კერაშიკის ერთ ქურასი გამოწვას, უნდა გავიხსენოთ, რომ წითელკეციანის უქიქუროდ გამოწვისათვის საჭიროა 800—900° ტემპერატურა, თეთრკეციანისათვის კი — 1200°. მაგრამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით დასაშვები უნდა იყოს მათი ერთსა და იმავე ქურაში გამოწვა (ოლონდ სხვადასხვა დროს), თუ კი მოხერხდებოდა 1200° მხურვალების მიღწევა<sup>238</sup>.

ფიანსის ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფისას ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ მომენტებს: ქურჭლის ფორმას, ორნამენტსა და კეცს. მათ მიხედვით შეაფეროდალური საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლილი ქალაქების საწარმოთა ნაყოფად მივიჩნით ფიანსის ის ქურქლები, რომლებიც ყველა ჩამოთვლილი ნიშნის მიხედვით დამახასიათებელი ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს საწარმოთა კერებისათვის.

გამონაკლისის სახით შესაძლებლად ვთვლით, უცხოური ფორმა-შემქულობის მქონე ქურჭლის მიბაძვით, ადგილობრივ კეთებასაც და ასეთ შემთხვევაში მხოლოდ კეცის რაგვარობას ვეყრდნობით.

<sup>235</sup> როგორც ცნობილია, აღნიშნული სახელოსნოს გამთბრელი გ. ლომთათიძე სადაც იქვე გულისხმობს ფიანსის ქურჭლის კეთებასაც (იხ. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 141, 159).

<sup>236</sup> ვ. ქაფარიძე, ნაკალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, სსშ, X XVIII—B: თბ., 1969, გვ. 72, ტაბ. VIII, სურ. 15.

<sup>237</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>238</sup> ი. ფიქვალურის მიერ პირად საუბარში გაზიარებული მოსაზრება.

ამგვარად, თითქოს ცხადი ხდება, რომ საქართველოს ნაქალაქართა განათხარებში შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ე. ი. ადგილობრივი, ქართული ფაიანსის გამოყოფა. ამ უკანასკნელის ნიმუშთა მცირე ნიუანსებზე დაყრდნობით კი, ჯერ საკმაოდ პირობითად, ცალკეულ ქალაქთა საწარმოო ცენტრთა დაცალკევებაც ხერხდება.

ყოველივე ეს კი მით უფრო ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ფაიანსის წარმოების განვითარებას უთუოდ შეუწყობდა ხელს კათოლინური თიხის ბუდობები, რომლებიც დღესაც არის ცნობილი. მაგ., ქვემო ქართლში<sup>239</sup>, საიდანაც ადვილად შეეძლებოდათ სარგებლობა სამივე ჩამოთვლილი ქალაქის სათუნე სახელოსნოებს.

გვგონია, რომ დასკვნას ფაიანსის ადგილობრივი წარმოების შესახებ დამაჩერებლობა არ უნდა აკლდეს, მაგრამ, ამასთანავე, ის საბუთები, რომლების მოშველიებაც კი შეგვიძლია სადღეისოდ ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფისათვის მთლიანად საკმარისი ჯერ კიდევ არ არის და, ამდენად, დასკვნასაც შემდგომ მეტი დასაბუთება დასჭირდება.

ბუნებრივია, რომ საამისოდ საჭიროა ახალ-ახალი მასალების მოპოვება. განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნებოდა საკუთრივ ფაიანსის სახელოსნოს წაშთებზე აღმოჩენა. ამასთანავე, აუცილებელია პარალელურ-სერიული (უცხოური და ადგილობრივი) ნიმუშების კეცისა და კიქურის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ანალიზის მასობრივი ჩატარება.

ძალუხდავად ფაიანსის ქურჭლის ადგილობრივ წარმოებისა, შუაფეოდალურ საქართველოში შეიმჩნევა ძალიან დიდი მოთხოვნილება ფაიანსის იმპორტული ნაწარმისადმი. თხრისას მრავლად გამოვლენილი შემოზიდული ნაწარმის ანალიზი კიდევ ერთ საბუთს გვაძლევს ხელთ, რათა ვამტკიცოთ საქართველოს ქალაქების მკიდრო კავშირი ამიერკავკასიისა და წინა აზიის (უმთავრესად ირანის) სხვადასხვა ქალაქებთან. ჩვენი ქვეყნის საერთო აღმავლობასთან ერთად ამას ხელს შეუწყობდა ის გარემოება, რომ IX საუკუნიდან მოკიდებული საგრძნობლად გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის ქალაქების როლი საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც გამოწვეული იყო ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობის დროებით შეწყვეტითა და საერთაშორისო ვაჭრობის გზების მტკვრის აუზში გადანაცვლებით<sup>240</sup>. მას აქეთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამარშრუტო გზებსა და ქალაქებს, რასთანაც, შინაგან ფაქტორებთან ერთად, უშუალოდ არის დაკავშირებული აქაური ქალაქების ეკონომიური აღმავლობა და განვითარება აღნიშნულ ხანაში<sup>241</sup>.

IX—X სს. არაბული ლიტერატურის მიხედვით, ამიერკავკასია მრავალი საქარავნო გზით ყოფილა დასერილი: ბარდავი — ბაბ ალ — აბვაბი (დარუბან-დი); ბარდავი — თბილისი; ბარდავი — დვინი; ბარდავი — არღებილი; არღე-

<sup>239</sup> М. Л. Роква, Каолин, Природные ресурсы Грузинской ССР, т. II, Москва, 1959, гл. 222—225.

<sup>240</sup> Я. А. Манандян, О торговле и городах в связи с мировой торговлей древних времен, Ер., 1954, гл. 198.

<sup>241</sup> ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—X სს. არაბული წყაროების მიხედვით, კრებულში: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 188.

ბილი — ზენჯანი<sup>242</sup>; არღებილი — ავილი (დაარბეჭრი); არღებილი — მარალა; მარალა — დვინი<sup>243</sup>.

ამ გზების საკვანძო პუნქტები იყო დვინი და მეტადრე ბარდავი. ბარდავიდან გზა მოემართებოდა ჩრდილოეთით — შემახით დარუბანდისაკენ, იქიდან კი, ერთი მხრივ, კასპის ზღვის სანაპირო ქალაქებისაკენ და, მეორე მხრივ, ხაზართა დედაქალაქ ითილისაკენ და მდინარე ითილით (ვოლგით) უკავშირდებოდა სამხრეთ რუსეთსა და სკანდინავიის ქვეყნებსაც კი. მეორე გზა ბარდავიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირით თბილისისაკენ მიემართებოდა.

მნიშვნელოვანი საქარავნო გზა მიემართებოდა აგრეთვე ბარდავიდან სამხრეთ-დასავლეთით, ქ. დვინამდე, საიდანაც იგი გრძელდებოდა სამხრეთ აზერბაიჯანში, მარალამდე. ბარდავი სამხრეთ აზერბაიჯანთან სხვა გზითაც იყო დაკავშირებული: თავრიზი — მარალა — არღებილი. არღებილიც ერთ-ერთ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა სახალიფოს სავაჭრო გზებზე. არღებილიდან ორი გზა მიდიოდა: ერთი ზენჯანისაკენ ხორასანში და მეორე ავილისა და მალატიასაკენ — სირიასა, ერაყსა და მცირე აზიაში<sup>244</sup>. ამ გზებით ამიერკავკასიის ქვეყნები მკვიდროდ იყვნენ ერთმეორესთან დაკავშირებული და ურთიერთ შორის გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ. ამავე გზებით ისინი უკავშირდებოდნენ: ერაყს, სირიას, მცირე აზიას, მავერანნაპრს, ირანს, ინდოეთს, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს, ხაზარეთს, აღმოსავლეთის სლავურ ქვეყნებს, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებს<sup>245</sup>.

ი. მანანდიანის აზრით, IX—X სს. საერთაშორისო ვაჭრობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არა არღებილი-ავილის (დიაარბეჭირი) გზას, რომლითაც ამიერკავკასიის ქვეყნები მესოპოტამიას, სირიასა და მცირე აზიას უკავშირდებოდნენ, არამედ ახალ მაგისტრალს, რომელიც სახალიფოდან მოემართებოდა ტრაპიზუნდში — ანისის, ყარსისა და არზანის გავლით. ამ გზაზე მნიშვნელოვან სავაჭრო კვანძს წარმოადგენდა ყარსი, რომელიც არტანუჯის მეშვეობით ახორციელებდა სავაჭრო ურთიერთობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ხოლო არტანანის საშუალებით — დასავლეთ საქართველოსთან<sup>246</sup>.

ცხადია, საქართველოს ქალაქები ამ გზების მეოხებით იქნებოდა ჩამბული საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც კარგად ჩანს აქ მოპოვებული ფაიანსის მასალის მიხედვითაც, რომლის დეტალური კვლევა საშუალებას გვაძლევს რამდენადმე შევავსოთ საქართველოს ქალაქებისა და წარმოების ისტორიის ზოგიერთი მხარე. აღნიშნული მასალის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ სა-

242 ამ გზით სამხრეთი აზერბაიჯანი უკავშირდებოდა ქ. ზენჯანს, რომელიც რეიდან ამიერკავკასიისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. ამგვარად, ეს გზა ამიერკავკასიის ქვეყნებს ირანის სავაჭრო გზებს უკავშირებდა (ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 184).

243 ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

244 ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

245 იქვე.

246 ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 186; Я. А. Магаицкии, დასახ. ნაშრ.,

ქართველს ჯერ კიდევ აღრეფეოდალური ხანის დასასრულს ჰქონია სავაჭრო კავშირი ისეთ შორეულ ქვეყნებთან, როგორც იყო არაბული მესოპოტამია. შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს ქალაქების სავაჭრო კავშირები დიდად ფართოვდება. როგორც ჩანს, მათ ახლო ურთიერთობა ჰქონიათ სპარსეთის სხვადასხვა ქალაქთან.

შემოზიდული ნაწარმის სიმრავლითა და მრავალსახეობით საქართველოს შესწავლილ ნაქალაქართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დმანისი. აქ გადამწყვეტი როლი უნდა მიუძღოდეს მის მდებარეობას სომხეთთან და მთელ ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ, უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე<sup>247</sup>.

---

247 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), გვ. 448.



## გვიანშეოღალური ხანის შაიანსი

XIII—XIV სს. ნაწარმი

XIII საუკუნეში, დიდი აღმავლობის შემდეგ, საქართველო პოლიტიკურ ძლიერებას თანდათან კარგავს. 1225 წ., დვინის აკლემის შემდეგ, ქვეყანას ხვარაზმშაპი ჯალალედინი ეპატრონება და მის აღმოსავლეთ ნაწილს აოხრებს 1230 წლამდე. სულ მალე კი მონღოლური აგრესია უახლოვდება საქართველოს. ბარდავის, განძისა და შანქორის აღების შემდეგ ისინი უშუალოდ აღმოსავლეთ საქართველოს შემოესევიან და იპყრობენ<sup>1</sup>. ამ ამბების შემდეგ იწყება უძძიმესი ხანა საქართველოს ისტორიაში, რასაც თან მოსდევს ნივთიერი და კულტურული დაქვეითება. იმხანად ჩანს, ჩვენში ჩამკვდარა ფაიანსის წარმოებაც. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ფეოდალური საქართველოს ნაქალაქართა განათხარებში აღმოჩენილი ლუსტრიანი ჭურჭლისა<sup>2</sup> და მრავალფერად მოხატული და გამკვირვალე ჭიქურით დაფარული ფაიანსის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოს XIII—XIV საუკუნეებში არ გაუწყვეტია კავშირი მახლობელი აღმოსავლეთის (განსაკუთრებით სპარსეთის) სავაჭრო-საწარმოო ცენტრებთან.

აღნიშნული ნაწარმის უმეტესობა, ეტყობა, სპარსული წარმომავლობისაა. პოლიტიკური და გამკვირვალე მოქიქული ფაიანსის ძირითადი ნაწილი სპარსეთის ქალაქ სულთანაბადის<sup>3</sup> სახელსნოთა კუთვნილი ჩანს. სულთანაბადური ფაიანსისათვის დამახასიათებელია არა მთლად თეთრი კეცი (სიმტკიცე უდრის 3—4)<sup>4</sup>, ჩვეულებრივ სქელ ფენად დადებული ჭიქური და ძირზე მის მიერ წარმოქმნილი მომწვანო „გუბეები“, ხოლო ზედაპირზე მძიმე ნალვენთები. ჭიქურს ემჩნევა მიდრეკილება ლამაზი ბზარებისა და ირიზაციის წარმოქმნისადმი<sup>5</sup>.

1 ი. ავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თბ., 1949, გვ. 103—116.

2 აღნიშნული ჭურჭელი განვიხილეთ XII—XIII სს. ლუსტრიან ნაწარმთან ერთად.

3 აღსანიშნავია, რომ თვით სულთანაბადში არტერთი კერამიკული ჭურა არაა აღმოჩენილი და ნაწარმის სახელწოდება — „სულთანაბადური ტიპი“ შემოღებულია მხოლოდ სიმარჯვისათვის. რათა მოიკეთას, სულ ცოტა, სამი ტიპი XIV ს. კერამიკისა. სულთანაბადისათვის მიუკუთვნებელი ყველა ეს ტიპი აღმოჩენილია თანამედროვე სულთანაბადის მხარეში, კამადანისა და ისპანის გზაზე (A. Lane. Later Islamic Pottery, London, 1957, გვ. 10—13).

4 Б. А. Шелковников, Средневековая художественная керамика Ближнего Дальнего Востока, гв. 19.

5 A. Lane. Later Islamic Pottery, гв. 10—13.

საინტერესოდ დგება ამგვარი ფაიანსის ხნოვანების საკითხი: სულთანაბადი 1200 წლამდე არა ჩანს ირანის რუკაზე<sup>6</sup> და არც აღნიშნული სახეობის რომელიმე ნატეხზე მოგვეპოვება თარიღიანი წარწერა. მაგრამ, ა. ლენის აზრით, ამ ტიპის სამივე ჯგუფს განვითარების ბრწყინვალეებისათვის მიუღწევია ილხანების დინასტიის დაცემამდე, ე. ი. 1335 წლამდე, ხოლო მათი დაქვეითების ხანა გაგრძელებულა XV საუკუნეშიც<sup>7</sup>.

სულთანაბადური ტიპის ნაწარმი საქართველოში აღმოჩენილია: დმანისისში, გულარეხში, უჯარმაში, ბათუმში (თამარის ციხეზე), გონიოსა და სოხუმში. ხაზგასმელია, რომ ჯერჯერობით არა ჩანს იგი არც თბილისში (სათანადო ფენა ჯერ არსად გათხრილა) და არც რუსთავში. ამ უკანასკნელში ის არც იყო მოსალოდნელი. რადგან, როგორც ცნობილია, 1265 წელს მონღოლთა მძევნარე ლაშქრობამ ქალაქი გაანადგურა. აღნიშნული ნაწარმი არ გვხვდება არც დვინის ნაქალაქარის განთხარში და, ქალაქის ისეთივე მძიმე თავგადასავლის გამო, არც იქ არის მოსალოდნელი მისი აღმოჩენა.

სამაგიეროდ, იმხანად ჯერ კიდევ საკმაოდ ღონიერ ქალაქს უნდა წარმოადგენდეს დმანისი და ამის ერთ-ერთი მანიშნებელია სწორედ იქ ე. წ. „სულთანაბადური ტიპის“ ფაიანსის ნაწარმის მრავლად აღმოჩენა.

სულთანაბადური ტიპის ფაიანსის ჭურჭელი მოხატულია შიშველ კეცზე სხვადასხვა ფერის საღებავებით და ზედ გადავლებული აქვს გამჭვირვალე უფერული ჭიქური. ეს ჯგუფი, კეცზე დატანილი საღებავების ფერის მიხედვით, იყოფა ქვეჯგუფებად, რომელთაც ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

## 1. თეთრი ანგობითა და მწვანე საღებავით მოხატული ჭურჭელი

საქართველოში ამგვარი ნაწარმი დმანისში აღმოჩენილი ერთი თასის ნატეხებითაა (ტაბ. XII, 2)<sup>8</sup> წარმოდგენილი. მისი კეცი მოთეთროა, ნასერეტოვანი; სიმტკიცე უდრის 3. ჭურჭელი დაფარულია უფერული, გამჭვირვალე ჭიქურით. ჭიქური დამსკდარია და ირიზაციის ქერქით დაფარული. თასის შიდაპირზე ორნამენტი მცენარეულია. თეთრი ანგობის სქელი ფენით დატანილი პატარა ფოთლები (თუ ყვავილები) მუქი მწვანე საღებავის მოკლე, მოხრილი ხაზებითაა შემოფარგლული.

ჭურჭლის ზედაპირი შემკულია თეთრი ანგობით რელიეფურად გამოყვანილი თალებით (?), რომლებიც მუქი მწვანე საღებავის კონტურებითაა შემოფარგლული და რომელთა შორისაც მსხვილი წერტილებით შემკული შვეული ზოლებია ჩამოვლებული.

ასეთივე ტექნიკითა და ორნამენტით შემკულ ჭურჭელს (ტაბ. XII) ზოგი ავტორი სულთანაბადს მიაწერს<sup>9</sup> და ათარილებს XIII—XIV საუკუნეებით<sup>10</sup> ან

<sup>6</sup> R. L. Hobson, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

<sup>7</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

<sup>8</sup> სსმფგ, ინვ. №№ 407, 1061.

<sup>9</sup> Victoria and Albert Museum. A picture book of Persian Pottery, London, 1933, სურ. 19; A. Lane. Later Islamic Pottery, ტაბ. 1, 4; F. Sarre und F. Martin, დასახ. ნაშრ., ტ. II, ტაბ. 107.

<sup>10</sup> F. Sarre und F. Martin, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

XIV საუკუნის პირველი ნახევრით<sup>11</sup>. უფრო სწორი ჩანს XIV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღება, ვინაიდან ამ ნაწარმის მოხატულობაში უკვე თავს იჩენს ჩინური მოტივების ჩართვა<sup>12</sup>.

ამგვარად, დმანისის აღნიშნული თასი კეცის, კიქურის, შემკობის ტექნიკისა და მოხატულობის მიხედვით „სულთანაბადის ტიპს“ მიეკუთვნება და თარიღდება XIV საუკუნის პირველი ნახევრით.

## 2. ლურჯი და მწვანე საღებავებით მოხატული კურკელი

წარმოდგენილია დმანისში<sup>13</sup>, უჯარმაში<sup>14</sup>, სოხუმსა<sup>15</sup> და გონიოში<sup>16</sup> აღმოჩენილი კურკლის ნატეხებით. ნატეხები პატარაა და ხშირად შეუძლებელი ხდება ორნამენტისა და ფორმის დადგენა. გვხვდება ბაკობრტყელი, გვერდებშეული კურკლის, თასისა და სხვაგვარი კურკლის ნატეხები. ორნამენტი მეტწილად სტილიზებული მცენარეულია, ზოგჯერ — გეომეტრიული.

ყველა ამ კურკლის კეცი ემსგავსება ერთიანობას, მოთეთრო-მონაცრისფროა. ნაჯერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3—4. მათი კიქური უფერულია (მომწვანო ელფერი გადაჰკრავს), გამკვირვალე, დამსკდარი და ირიზებული. კურკელი მოხატული ყოფილა შიშველ კეცზე მუქი მწვანე და ლურჯი საღებავებით.

ეს კურკელი კეცის, კიქურისა და შემკობის ტექნიკის (მრავალფერად მოხატული და გამკვირვალე კიქურით დაფარული კურკელი) მიხედვით სულთანაბადის სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. იგი თარიღდება ისევე, როგორც ჩვეულებრივ თარიღდება ამგვარი ნაწარმი — XIII—XIV საუკუნეებით.

## ლურჯი, ცისფერი და მწვანე საღებავებით მოხატული კურკელი

ამგვარი კურკელი დმანისში აღმოჩენილი ერთი თასის ძირ-ქუსლის ნატეხითაა წარმოდგენილი (ტაბ. XIII)<sup>17</sup>. მისი კეცი მოთეთრო-მონაცრისფერია, ნასვერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3. უფერულ გამკვირვალე კიქურს მომწვანო ელფერი გადაჰკრავს. იგი დაბზარულია. ძირი სექტორებად არის დაყოფილი. აქეთ-იქით მწვანე და შუაში ლურჯი ზოლებით. მათ შორის მწვანე საღებავით გამოყვანილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ნაშთია (პატარა წაგრძელებული ფოთლები და ნაყოფები). ცისფერი საღებავის ზოლის ნაშთი ორ ადგილასაა შემორჩენილი, ლურჯი საღებავის ზოლს გვერდით.

კურკელი კეცის, კიქურისა და შემკობის ტექნიკის მიხედვით სულთანაბადურ ნაწარმს წარმოადგენს და უნდა დათარიღდეს XIII—XIV საუკუნეებით.

<sup>11</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 1, 4.

<sup>12</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 12, 13.

<sup>13</sup> სსმფგ, ინვ. № 1084, 1080, 1114 (ტაბ. XII<sub>g</sub>), 2264, 827 (ტაბ. XII<sub>g</sub>).

<sup>14</sup> სსმფგ, ინვ. № 2—54:447, 730 (ტაბ. XII<sub>g</sub>-7).

<sup>15</sup> საეულე წიგნი (ქვემოთ მოკლედ ს. წ.), № 1064.

<sup>16</sup> ს. წ. № 541.

<sup>17</sup> ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXIV, სსმფგ, ინვ. № 260.

#### 4. ლურჯი, მწვანე და სოსანი საღებავებით მოხატული ქურქელი

ეს ქურქელი წარმოდგენილია დმანისში აღმოჩენილი ერთი თასის (?) ძირ-ქუსლის ნატეხით (ტაბ. XIII<sub>2</sub>)<sup>18</sup>. ნატეხის შიდაპირზე შემორჩენილია მწვანე საღებავის ურთიერთ გადაწყვეთი ზოლებით შექმნილი ბადური სახე, რომლის თხივე მხარეს სტილიზებული მცენარეული ორნამენტია.

ეს ქურქელიც კეცის, კიქურისა და შემკობის ტექნიკის ჰიხედვით სულთანაბადის ნაწარმს წარმოადგენს და მიეკუთვნება XIII—XIV საუკუნე-  
ნებს.

#### 5. ლურჯი და ცისფერი საღებავებით მოხატული ქურქელი

ამ ქვეჯგუფის კუთვნილი გვაქვს მხოლოდ ერთი — დმანისში აღმოჩენი-  
ლი ჯამის (?) ძირ-ქუსლის ნატეხი<sup>19</sup>.

ქურქლის შიდაპირი მოხატულია ლურჯი და ცისფერი, ფართო შვეული  
ზოლებით და დაფარულია უფერული, მომწვანო ელფერის გამჭვირვალე ჰი-  
ქურით.

ქურქელი — როგორც კეცის, ისე კიქურისა და შემკობის ტექნიკის მი-  
ხედვით — სულთანაბადის სახელოსნოს ნაწარმი ჩანს, XIII—XIV საუკუნე-  
ბისა.

#### 6. ლურჯი და შავი საღებავებით მოხატული ქურქელი

საქართველოში ამგვარი ნაწარმი აღმოჩენილია: დმანისში<sup>20</sup>, გუდარეხსა<sup>21</sup>  
და ბათუმში (თამარის ციხეზე)<sup>22</sup>. წარმოდგენილია იგი ჯამის, თასისა და ყე-  
ლიანი ქურქლის ნატეხებით. ნატეხთა სიმცირის გამო ქურქლის მოყვანილო-  
ბასა და ორნამენტზე მსჯელობა მეტწილად ძნელდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ქვეჯგუფისადმი მისაკუთვნილებელი, ბა-  
თუმში აღმოჩენილი მოზრდილი, ღრმა, ქუსლმადალი ჯამი (ტაბ. XIII<sub>4, 5</sub>). მი-  
სი კეცი მონაცრისფროა, ნასვრეტოვანი. ქურქელი დაფარულია უფერული,  
მომწვანო ელფერის მქონე გამჭვირვალე ჰიქურით. კიქური დამსკდარია.

ჯამის შიდაპირი დაყოფილია ერთიმეორის მონაცვლე ლურჯი და შავი  
რადიალური ზოლებით. შავი საღებავით გამოყვანილი რადიალური ზოლების  
შემავსებელი ორნამენტი სხვადასხვაგვარია: სტილიზებული მცენარეულ ორ-  
ნამენტი, სტილიზებული წარწერა, პატარა წრეები და შიგ ჩასმული წერტი-

<sup>18</sup> ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXIV<sub>1</sub>; სსმფგ, ინვ. № 2319.

<sup>19</sup> სსმფგ, ინვ. № 588.

<sup>20</sup> სსმფგ, ინვ. № 543, 823, 2541<sub>A, B</sub>, 1058, 337.

<sup>21</sup> სსმფგ, ინვ. № 2—58:410.

<sup>22</sup> ს. წ. № 28. ეს ქურქელი შესწავილილი აქვს ი. გძელიშვილს (იხ. მისი გამოუქვეყ-  
ნებელი ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქურქელი და ფაიანსი“). ავტორი ქურ-  
ქელს „ვანეთარებული ფეოდალური ხანით „ათარღებს“.

ლები, ორნამენტი გამოყვანილია შავ ფონზე, რეზერვაციის ხერხით. ლურჯ რადიალურ ზოლებზე ბადური სახეებია დატანილი.

ჯამის ზედაპირი შავი კონცენტრული ზოლებით შემოფარგლული აშით არის შემკული. ერთიმეორეს ენაცვლება შავი საღებავით გამოყვანილი თევზიფხური სახეები და ლურჯი საღებავით გამოყვანილი სტილიზებული „წარწერა“.

ჯამი — კეცის, კიქურისა და შემკობის ტექნიკის მიხედვით — ახლოს დგას სულთანბადის სახელოსნოს ნაწარმთან<sup>23</sup> და ასევე XIII—XIV სს. უნდა დათარიღდეს.

ქურჭლის შიდაპირს დაყოფა რადიალური ზოლებით დამახასიათებელი ჩანს ავგვარი ქურჭლის მოხატულობისათვის. შავი რადიალური ზოლებითაა შემკული დმანისში აღმოჩენილი თასის ძირ-ქუსლი (ნატეხია)<sup>24</sup>. შავ ზოლებს შორის ლურჯი საღებავის ზოლებია ჩამოსმული.

ავგვარად, ზენით განხილული მრავალფერად (პოლიქრომულად) მოხატული და უფერული გამკვირვალე კიქურით დაფარული ქურქელი (მისი უმეტესობა მანც) — კეცის, კიქურის, შემკობის ტექნიკისა და პარალელური მასალის მიხედვით — სულთანბადურ ნაწარმს წარმოადგენს და უნდა დათარიღდეს ისევე, როგორც ჩვეულებრივ თარიღდება ეს უკანასკნელი, ე. ი. XIII—XIV სს.<sup>25</sup>.

#### საფიანთა ირანის ნაწარმი (XVI—XVIII სს.)

XIV საუკუნიდან მოკიდებული მძაფრად იცვლება ფაიანსის ქურჭლის მხატვრული სახე. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს.

XIII საუკუნეში მონღოლთა იმპერიამ დაპყრობით გააერთიანა შორეული და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები, რასაც, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ხელი არ შეეწყო ამ უკანასკნელთა შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაცხოველებასათვის. ასე, მაგალითად, საქარავნო ვაჭრობამ სპარსეთსა და ჩინეთს შორის მონღოლების ბატონობის დროს, უკვე შედარებით მშვიდ წლებში, უჩვეულო აყვავება განიცადა.

ჩინეთისა და სპარსეთის დროებითმა გაერთიანებამ ერთი დამპყრობლის ხელქვეით, ბუნებრივია, სპარსულ კერამიკაშიც შეიტანა ახალი, წმინდა ჩინური მოტივები, ორნამენტი და სიუჟეტები, რომლებმაც დროთა განმავლობაში მთლიანად დაიპყრეს ირანელი კერამიკოსების მხატვრული ფანტაზია.

<sup>23</sup> აღსანიშნავია, რომ შავი და ლურჯი საღებავებით მოხატული, უფერული, გამკვირვალე კიქურით დაფარული ქურქელი მზადდებოდა ეგვიპტეში, მაგრამ, ჭერჭერობით, სანამ ჩვენთვის ცნობილი არ გახდება ეგვიპტური ნაწარმის ტექნიკური თვისებები, წარმოების ცენტრად ეგვიპტის მიჩნევისაგან თავს ეთკავებთ.

<sup>24</sup> სსმფგ, ინე. № 543 (ტაბ. XIII<sub>3</sub>).

<sup>25</sup> H. Wallis. Notes on some Early Persian Luster Vase. London, 1885—1889, № 2, 1887, გვ. 3. სურ. 2. H. Rivière. La céramique dans l'art musulman. ტ. II. Paris, 1913, ტაბ. 71; A. Lane, Later, Islamic Pottery, გვ. 10—13, ტაბ. A. 1—; Victoria and Albert Museum, სურ. 19; F. Sarre und F. Martin. Die ausstellung von Meisterwerken Muhammedanischer kunst in Munchen. 1910, ტ. II. ტაბ. 107; M. S. Dimand. A Handbook of Muhammedan Art. New—York, 1944, სურ. 129, გვ. 124—126.

სპარსეთში ჩინური მოტივები პირველად ჩნდება ჭურჭლებზე, რომლებიც აღმოჩენილია ქ. სულთანაბადის მახლობლად მდებარე ნანგრევებში და ეკუთვნის XIV საუკუნეს<sup>26</sup>.

XIV საუკუნის დამლევდნად, ჩინური ფაიფურის გავლენითვე, ჩნდება ახალი მოთხოვნილება თეთრ, ლურჯად მოხატულ ნაწარმზე<sup>27</sup>.

საერთოდ, XV—XVI საუკუნეთა სპარსული კერამიკა ცოტაა შემორჩენილი და არასაკმარისადაა შესწავლილი<sup>28</sup>. ამიტომ გარკვევით არ შეგვიძლია საქართველოს ნაქალაქართა განათხარებში აღნიშნული საუკუნეების კუთვნილი სპარსული ნაწარმის გაპორჩევა<sup>29</sup>. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დმანისის განათხარებიდან მომდინარე თეთრ, ლურჯად მოხატულ ფაიანსში, უფრო გვიანდელთან ერთად, ეტყობა, მოიპოვება ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც შეიძლება XV—XVI სს. მიეკუთვნოს. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს მისი შედარება ყარაღაჯის მასალასთან, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. XVI საუკუნითა და XVII საუკუნის დასაწყისით საიმედოდ დათარიღდება იმდროინდელი კახეთის ცენტრის, გრემის ნაქალაქარზე მოპოვებული მცირეოდენი ფაიანსიც.

საქართველოში ირანული ფაიანსის შემოტანა ყოველთვის მშვიდობიანი ვაჭრობის შედეგი არ უნდა იყოს. ამას გვაფრქვებიან სწორედ XVI—XVII საუკუნეებში წარმოქმნილი ვითარება. ცნობილია, რომ XVI საუკუნეში ოსმალეთსა და ირანს შორის დიდი ომი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი საქართველოც იყო.

XVI—XVII საუკუნეებში საქართველო, მეტადრე აღმოსავლეთი, განუწყვეტლივ რბევა-განადგურებას განიცდიდა. გაცივდა მოსახლეობა, გაუდაბურდა მთელი მხარეები, ჩაკედა კულტურული ცხოვრება<sup>30</sup>.

რა თქმა უნდა. იმ ხანებში სეფიანთა ირანთან — ერთ-ერთ მთავარ მოძალადე დამპყრობთან — ცხოველ მშვიდობიანი ვაჭრობაზე საუბარიც ზედმეტია და ის ფაიანსი, რომელიც საქართველოს ნაქალაქარებსა და სხვაგვარ ძეგლთა განათხარებშია აღმოჩენილი, მეტწილად უფრო უნდა მოხმარებოდა ირანელ ოკუპანტ მოხელეთა საჭიროებას, რომლებიც საქართველოში მბრძანებლობდნენ დროდადრო.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ასეთი ნაწარმი უმთავრესად იმ ადგილებშია მრავლად აღმოჩენილი, სადაც ყიზილბაშებს ხანგრძლივ უზინდარიათ (მაგ., თბილისის დედაციხე. ყარაღაჯი<sup>31</sup> ქიზიყში, სიღნაღის რაიონში).

<sup>26</sup> A. H. Kyrie. დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>27</sup> A. Lane, Later Islamic Pottery, გვ. 10.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>29</sup> იმდროინდელი სირიისა და ეგვიპტის ნაწარმი, რომელიც უკეთესადაა შესწავლილი, საქართველოს შუასაუკუნეთა ძეგლების განათხარებში ჭრეჭერობით თითქოს არა ჩანს.

<sup>30</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XVIII სს., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 141—299.

<sup>31</sup> სოფ. ყარაღაჯში ფაიანსის მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩნდა 1963 წ., საენახელ მიწის გადაბრუნების დროს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კმ. მანძილზე. იქვე, შედარებით მცირე რაოდენობით თავი იჩინა მინის ჭურჭლისა და წითლად გამოწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხებმა. აღნიშნული მასალა შეგროვდა ერთი შენობის ნანგრევებს შიგნით, აქამდამ კი დატულია სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

იმ დროის სეფიანთა ირანში (1502—1722 წწ.) კულტურული ცხოვრება დიდ აღორძინებასა და აყვავებას განიცდის. ისევე ვითარდება ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მეტადრე კი მეთუნეობა, რომელშიც გზას იკვლევს ახალი ტექნიკური ხერხები. კერამიკული ნაწარმის შემკობა ხდება სამგვარი წესით: ერთია მინაწერით მოხატვა (ფართოდ გამოიყენებოდა არქიტექტურულ კერამიკაში), მეორე — ლუსტრით მოხატვა და მესამე — ჩინურის მიბაძვით მოხატვა. პირველ ორ შემთხვევაში საქმე გვაქვს შემკობის ძველი, უკვე მივიწყებული ტექნიკური ხერხების განახლებასთან. მაგრამ ამ ტექნიკაშიც, კერძოდ მის დეკორატიულ ხერხებში, ხდება ნამდვილი გადატრიალება<sup>22</sup>.

საქართველოში აღმოჩენილ, სეფიანთა ირანიდან მომდინარე კერამიკულ ნაწარმში მთელი რიგი ჯგუფები გამოიყოფა.

### I ერთფერი (მონოქრომული), ფერადი ჰიქურით დაფარული ჰურქელი

სადა, უორნამენტო, ფერადი ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

2. დაძერწილი რელიეფური ორნამენტით შემკული და ფერადი ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

### II მოხატული და გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი

ლურჯი საღებავით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

2. მრავალფერად მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

ა) თეთრანგობიანი და ლურჯი, მომწვანო და მოყავისფრო საღებავებით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

ბ) ნაცრისფერანგობიანი და მწვანე, ყვითელი, წითელი და თეთრი საღებავებით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

გ) კობალტითა და წითელი ანგობით მოხატული და უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

დ) ლურჯი და მწვანე საღებავებით და წითელი ანგობით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

3. შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ჰურქელი.

### III. ლუსტრით მოხატული ჰურქელი

### IV. სეფიანთა ხანის თეთრი ფაიანსი

ქვემოთ ამ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს რიგრიგობით განვიხილავთ.

<sup>22</sup> Э. К. Кверфельдт. დასახ. ნაშრ., გვ. 97—98.

1. სადა, უორნამენტო კურკელი

თბილისის დედაციხეზე<sup>33</sup>, ყარაღაჯსა<sup>34</sup> და მცხეთაში (სვეტიცხოვლის გალავნის გარეთ თბრისას 1963—64 წწ. გამთხრელი ა. კალანდაძე)<sup>35</sup> არის აღმოჩენილი ნატეხები მოპირისფრო (მოვარდისფრო-მოყვითალო) კეცის<sup>36</sup> მქონე, უორნამენტო კურკლისა, რომელიც დაფარულია კობალტის ან სპილენძის გამჟვირვალე ან გაუმჟვირვალე კიქურით. გვხვდება მოყავისფროდ (მანგანუმის) და მწვანედ (რკინის უანგის?) მოქიქული კურკლის ნატეხებიც. ზოგი კურკლის კიქური სელადონის მონაცრისფრო-მომწვანო ფერსაც ბაძავს.

ნატეხები მეტწილად თეფშებსა თუ თასებს ეკუთვნის. არის დაბალი, მასიური ქუსლისა და სწორი პირის მქონე ლანგრის ნატეხებიც. ეს უკანასკნელნი, ჩვეულებრივ, ფორმითა და ფერით სელადონის მინაბაძებს წარმოადგენენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ სპარსული ერთფერი (მონოქრომული) კურკელი, რომელიც დაფარულია ფირუზისფერი, ლურჯი ან სხვა ფერის კიქურით, „შთაგონებულია“ ჩინური მონაცრისფრო-მომწვანო სელადონით<sup>37</sup>.

ჩინური სელადონი დიდ მოწონებაში იყო ეგვიპტესა და მახლობელ აღმოსავლეთში და XIII საუკუნეში იმ ქვეყნებში კიდევაც შეუღდგნენ მისი მიბაძვით კურკლის კეთებას<sup>38</sup>. დმანისში აღმოჩენილია სელადონის მაშინდელი მიწაბაძები<sup>39</sup>.

XIV საუკუნეში დიდად იზრდება სელადონის იმპორტი და სპარსეთსა და ეგვიპტეში მრავლად კეთდება მისი მინაბაძები<sup>40</sup>.

როგორც ჩანს, მონოქრომული კურკელი — სელადონიცა და სუფთა თეთრიც კი —, ისევე როგორც პოლიქრომული კურკელი, „მოდიდან“ გამოდის. XIV საუკუნის განმავლობაში<sup>41</sup>.

სელადონის გვიანდელი სპარსული მინაბაძები მასიურია და მძიმე; მისი კიქური მწვანეა ან მოყავისფრო-მომწვანო. იგი რბილია და ადვილად იკაწრება. ეტყობა, ბევრი ამგვარი კურკელი გაკეთებულია XVI საუკუნეში, მაგრამ

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია დედაციხეზე მუშაობს 1966 წლიდან (გ. ლომთათიძე, ი. გველიშვილი, ო. ტყეშელაშვილი). ს. წ. №№ 1307; 1279; 1346; 990, 982; 1219; 1406; 468, 542; 1334; 759; 548; 498; 978; 1543; 1577 და სხვ.

<sup>34</sup> ყარაღაჯში ოციოდე ამგვარი კურკლის ნატეხებია აღმოჩენილი.

<sup>35</sup> ს. წ. №№ 10270, 10453, 10185 (ყველა ერთი კურკლის ნატეხებია).

<sup>36</sup> კეცი ნასვრეტოვანია; სიმტიყე უდრის 3, 3—4.

<sup>37</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 21—22; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>38</sup> M. H. Кречетова и Э. X. Вестфален, Китайский фарфор, Л., 1947, გვ. 5.

<sup>39</sup> ვ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. LXII<sub>10</sub>, გვ. 53. სსმფგ, ინვ. № 333. კეცი მოთეთრო აქვს; სიმტიყე უდრის 3. დაფარულია მომწვანო კიქურით. კიქური დამსკადარია და ირიზებული. № 332. კეცი — მოთეთრო, სიმტიყე — 2. კიქური — მწვანე. გვერდებზე კანტულებია შემორჩენილი.

<sup>40</sup> A. Lane, Later Islamic Pottery, გვ. 105.

<sup>41</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 105, 106.



ზოგი უფრო გვიანდელიცა<sup>42</sup>. XVI საუკუნის განმავლობაში კვლავ იღვიძებს მისწრაფება ნათელი ფერებისადმი (იზნიკისა და „ყუბაჩის“ პოლიქრომული ტურქელი), მოდაში შემოდის ოთხი ფერის ერთფერად მოქიქული ტურქელი — ლურჯი, ფირუზისფერი, ზურმუხტისფერი და მოყვითალო-მოყავისფრო. XVII საუკუნეში ამ სპარსული ტურქელის ყოველი სახეობა ფერით ჩინური სელადონის მინაბამია<sup>43</sup>.

## 2. დაძვრული რელიეფური ორნამენტით შემკული ტურქელი

ფაიანსის ტურქელის ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ნაწარმი, რომლის ზედაპირიც დაძვრული, ნაყალიბვეი რელიეფური ორნამენტითაა შემკული და რომელიც მოქიქულია სპილენძის ან კობალტის კალიანი გაუმჟვირვალე ჰიქურით. გვხვდება მწვანედ და მოყავისფროდ მოქიქული ტურქელის ნატეხებიც. შემკობის აღნიშნული ტექნიკა, რომელსაც იყენებდნენ ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეების „ისლამური“ კერამიკის კეთებისას, სეფიანთა ხანაში კვლავ გვხვდება.

საქართველოში ამგვარი ნაწარმი თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ერთი ხელადითა (ტაბ. XIV<sub>1</sub>)<sup>44</sup> და ოთხიოდე სხვა, თითქოს მისი მსგავსი მოყვანილობის მქონე, ტურქელის ნატეხებითაა წარმოდგენილი<sup>45</sup>. ასეთი ნაწარმი გვხვდება მცხეთაშიც (სვეტიცხოვლის უბანი, 1963—1964 წწ.)<sup>46</sup>.

დასახელებული ტურქელის კეცი მოპირისფროა (მოვარდისფრო-მოყვითალო), ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 3, 3—4. იგი მსგავსია სადა, უორნამენტო. ფერადი ჰიქურით დაფარული ტურქელის კეცისა.

ესაა ხელადა, რომელსაც აქვს ფართო, გადაშლილი პირი, ძაბრივით შევიწროებული ყელი, გამობერილი მუცელი და ფართო, დაბალი ქუსლი. პირს ქვემოთ იწყება და მხარს უერთდება ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ვადმოსასხმელი მილი, ასეთივე მოყვანილობის სხვა ტურქელის მიხედვით<sup>47</sup>, ზევით აშვერილი და ბოლოსკენ თანდათან შევიწროებული უნდა ყოფილიყო.

ტურქელის მხარი შემკულია დაძვრული რელიეფური ორნამენტის სარტყლით, სადაც პატარა ოთხფურცლა ყვავილები და სამყურა ფოთლები (?) ენაცვლება ერთიმეორეს.

მოლურჯო-მომწვანო, მონაცრისფრო ელფერის მქონე გაუმჟვირვალე ჰიქურით (ოდნავა ირიზებული) დაფარულია ტურქელის ზედაპირი მთლიანად და ყელ-პირი შიგნიდან. ხოლო ტურქელის შიდაპირი და ქუსლი შიგნით მწვანე (რკინის უანგის?) გამჟვირვალე ჰიქურით არის დაფარული.

აღნიშნული ხელადის პარალელს წარმოადგენს. ა. ლეინის მიერ გამოქვეყნებული სპარსული ტურქელი, რომელიც ემსგავსება ჩვენსას არა მარტო

<sup>42</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., გვ. 105, 106.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>44</sup> ს. წ. № 703.

<sup>45</sup> ს. წ. №№ 1442; №№ 1443, 476, 621, 476, 1442, 1339; № 478; № 1307.

<sup>46</sup> ს. წ. № 9872; № 10274; № 10184.

<sup>47</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 93c. მსგავსი ფორმის ტურქელი დატულია სახელმწიფო ერმიტაჟშიც.

ფორმით. არამედ ორნამენტითაც. ა. ლეინს ეს ჭურჭელი XVII საუკუნის პირ-  
ვლი ნახევრით აქვს დათარიღებული<sup>48</sup>, მაგრამ შესაძლოა უფრო სწორი იყოს  
მისი XVII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღება, ვინაიდან აღნიშნული  
ჭურჭელი კეციით ემსგავსება ზევით განხილულ უორნამენტო, ფერადი ჭიქუ-  
რით დაფარულ ჭურჭელს, რომელიც ყარაღაჯში აღმოჩენილი, ამავე ჩვეულის-  
თვის მისაკუთრებელი ნატეხების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევრით  
თარიღდება. მსგავსი კეცი კი ქრონოლოგიურ სიახლოვესა და იმავე სახელოს-  
ნოში ნაკეთობას უნდა მოასწავებდეს. მაინცდამაინც ფაიანსის ჭურჭლის ეს  
ორი ჩვეუთი ხნოვანებით არ უნდა იყვნენ დიდად დაშორებულნი ერთმანეთი-  
საგან.

რაც შეეხება აღნიშნული ჭურჭლის წარმოების ადგილს, იგი სპარსულ ნა-  
წარმს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ კერძოდ რომელი საწარმოო ცენტრიდან  
უნდა მომდინარეობდეს, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

## II. მოხატული და გამკვირვალე ზიქურით დაფარული ჭურჭელი

### 1. ლურჯი საღებავით მოხატული, უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი

საქართველოში აღმოჩენილ, სეფიანთა ირანიდან მომდინარე ნაწარმში  
განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლურჯი (კობალტის) სა-  
ღებავით მოხატული, უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭე-  
ლი, რომელიც წარმოადგენს თეთრი, ლურჯად მოხატული ჩინური ფაიფურის  
მინაბაძს.

ირანის კერამიკას ყველაზე უფრო ძლიერი გავლენა განუტღია ჩინური —  
თეთრი, კობალტით მოხატული — ფაიფურის მხრივ<sup>49</sup>.

XVII საუკუნეში, როცა ჩინური ფაიფურის<sup>50</sup> შემოზიდვა სულ უფრო და  
უფრო მატულობდა, სპარსულმა ფაიანსმა, ისევე როგორც მისმა თანამედრო-  
ვე ევროპულმა, საბოლოოდ დაკარგა მხატვრული დამოუკიდებლობა, საკუთარ-  
ი სახე. ჩინური ფაიფურის გავლენამ თავი იჩინა, უმთავრესად, ლურჯი სა-  
ღებავის სიქარბესა და მისი მოხატულობისადმი მიმბაძველობაში. ირანელმა  
კერამიკოსებმა დაიწყეს კეთება არა იმდენად ჩინური ფაიფურის მინაბაძეზი-  
სა, რამდენადაც „ფესელო-ჩინურისა“, რომელთაც ვითომ ჩინურ ნიშანსაც კი  
ახატავდნენ<sup>51</sup>. ე. შარდენის მიხედვით, რომელიც 1666—1669 და 1673—1677

<sup>48</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 103, ტაბ. 93c.

<sup>49</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 21. ჩინეთში ასეთი ნაწარმი ჩნდება XIV საუკუნეში,  
ხოლო იმ საუკუნის დასასრულიდან სპარსეთშიც იწყებენ მისი მიბაძვით ჭურჭლის კეთებას.  
თვით მოხატვის ტექნიკა, ისევე როგორც კობალტი, ჩინეთში სპარსეთიდან არის შეტანილი  
და ეს ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად იმ გავლენისა, რომელიც მოუხდენია  
სპარსულ კერამიკას ჩინურზე (იხ. A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 10, 21; M. Kpечe-  
тoвa. Э. Вестфален. დასახ. ნაშრ., გვ. 8).

<sup>50</sup> ფაიფური — შემცხვარი, წყალგაუმტარი, გამკვირვალე და მტკიცე კეცის მქონე მა-  
ლახარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

<sup>51</sup> Э. К. Кверфелсдт. დასახ. ნაშრ., გვ. 104; მისივე, Фарфор. Ленинград.  
1940. გვ. 13.

წლებში მოგზაურობდა სპარსეთში, ირანული ნაწარმი სანახევროდ გამჭვირვალეა და ისეთივე, როგორც „ახალი“ ჩინური ფაიფური. იგი აღნიშნავს, რომ პოლანდიელები სპარსულ ჭურჭელს გაურევენ ხოლმე ევროპაში გასატან ჩინურ ფაიფურში. ამავე ცნობას ადასტურებს პოლანდიის აღმოსავლეთ-ინდოეთის კომპანიის მემუარები, რომელიც გამოაქვეყნა დოქტორმა ვოლკერმა. პოლანდიელებმა 1603 წელს მოაწყვეს აღნიშნული საეაქრო კომპანია. მათ ფაიფური გაქონდათ არა მარტო ევროპაში, არამედ იაპონიაში, ინდოეთში და ახლო აღმოსავლეთშიც კი<sup>52</sup>. მაგრამ მინის დინასტიის დაცემას (1644 წ.) თან მოჰყვა ჩინური ფაიფურით პოლანდიელებს ეაქრობის შეწყვეტა. მათ უკვე ამარაგებდნენ სხვა ქვეყნები, მაგ. იაპონია, ხოლო 1652 წლიდან მოკიდებული პოლანდიას „ფაიფური“ გაქონდა სპარსეთიდან. ეს ეაქრობა განსაკუთრებით გაცხოველდა 1665—1682 წლებში, 1682 წელს კი — შეწყდა. ვინაიდან ჩინური ფაიფური კვლავ ხელმისაწვდომი გახდა.

ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია აგრეთვე სარგებლობდა სპარსული ჭურჭლით — ქერმანისა და მეშედის ჩინური მინაბაძებით (იპორტირებით).

1758 წელს ჯ. გ. ვან ჯიუსტი წერდა, რომ სპარსული ჭურჭელი ისევე გამოიყურება, როგორც ჩინური ფაიფური. პოლანდიელები და ინგლისელები ევროპაში ყოფიან მას, როგორც ჩინურს და რომ „სპარსული ფაიფური“ არავის გაუგია ბაზარზე. მაგრამ ეს ჭურჭელი არ არის გამძლე სითბების ასადულებლად, რის გამოც ჩინურ ფაიფურს სახელი გაუტყდა კიდევ ბევრ ქვეყანაში<sup>53</sup>.

სპარსული კერამიკის ზოგი ჭგუფი, სტილისა და ტექნიკის მიხედვით, კარგად არის განსაზღვრული, მაგრამ ჭერ არ არის გარკვეული მათი დაზნადების ადგილი<sup>54</sup>. შარდენი 1675 წლისათვის ასახელებს ხუთ ქალაქს, სადაც საუკეთესო კერამიკას აზნადებდნენ. ეს არის შირაზი, მეშხედი, იეზდი, ქერმანი და ზარანდი. ამასთანავე, იგი დასძენს, რომ თიხის ჭურჭელს ყველგან აკეთებენ<sup>55</sup>.

ა. ლეინი, ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში დაცული სპარსული კერამიკის შესწავლის შედეგად, ცალკე გამოყოფს ორ ჭგუფს, რომლებიც სრულყოფითა და ინდივიდუალობით გამოირჩევიან. პოლიქრომულ ჭურჭელს იგი მიაწერს ქერმანს, ხოლო დანარჩენს, მცირე საბუთიანობით, აკუთვნებს მეშხედს. სხვა, ხარასხით უარესი ჭურჭელი, ნაკლებ არის განსაზღვრული და ა. ლეინი უშედეგოდ მიიჩნევს ე. შარდენის მიერ დასახელებულ დანარჩენ სამცენტრის შორის მათი დანაწილების ცდას<sup>56</sup>.

სეფიანთა ხანის ლურჯად მოზატული ფაიფურის მიკუთვნებას სამი საწარმოო ცენტრის — ქერმანის, ქაშანისა და იეზდისადმი ზოგი ავტორი კობალტის ფერისა და ნახატის მიხედვითაც ცდილობს<sup>57</sup>.

<sup>52</sup> კომპანიას საეაქრო სადგურები ჰქონია გუმრუნში, ბასრაში, ლარში, შირაზში და ისპაანში.

<sup>53</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>56</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 92.

<sup>57</sup> Э. К. Кверфелъдт, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

შესწავლის დღევანდელ ეტაპზე კერამიკის ამგვარად დაქვემდებარება უფრო მართებული ჩანს, თუმცა, შესაძლოა, ეს ქვეყნები მანიცდაამინც აღნიშნული ცენტრების კუთვნილი არც იყვნენ.

საქართველოში აღმოჩენილი სეფიანთა ირანიდან მომდინარე თეთრ, ლურჯად მოხატულ ფაიანსში, ამ სამი ცენტრის კუთვნილ ნაწარმს გარდა, კიდევ შეიძლება გამოიყოს ქვეყნები, მაგრამ მათი ამა თუ იმ საწარმოო ცენტრისადმი მიკუთვნება ჭერჭერობით შეუძლებელია.

საქართველოში აღმოჩენილ (თბილისის დედაციხე, ყარაღაჯი)<sup>58</sup> თეთრ, ლურჯად მოხატულ, ჩინური ფაიფურის მიბაძვით ნაკეთებ ირანულ ჭურჭელში განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი ქალაქ იეზდის ნაწარმი. ამ ქალაქის ჭურჭელზე კობალტს შავი ფერი აქვს მიღებული, მასში რკინის ქანგის დიდი რაოდენობით არსებობის გამო. ამ ფაიანსებზე, რომლებიც ყოველთვის დაფარულია გამჭვირვალე, მომწვანო ელფერის მქონე, უფერული ჰიქურით, იეზდის მუქ კობალტს, მეტადრე თუ იგი თხელ ფენადაა დატანილი, მონაცრისფრო-ცისფერი ელფერი გადაჰკრავს<sup>59</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმის კეცი მეტწილად თეთრია, ზოგს ოდნავ მონაცრისფრო ელფერი გადაჰკრავს, წერილმარცვლოვანია; სიმტკიცე უდრის 5—6 (იშვითად 4 და 7). ჭურჭელი დაფარულია უფერული, გამჭვირვალე, მომწვანო ელფერის მქონე ჰიქურით; ზოგჯერ ირიზაციის ქერქი აკრავს და დაბზარულია.

ჭურჭელი წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობის მქონე თეფშებით, მაღალი ჯამებითა თუ თასებით და პატარა ფინჯნებით. მათი ქუსლი დაბალია, ზოგჯერ შუაში შეზნექილი. ჰიქურით მთლიანად დაფარულ ქუსლზე სამფეხას კვალი შეიმჩნევა. ზოგზე ჩინურის მინაბაძი ნიშანია შემორჩენილი. პირს ყავისფერი ზოლი შემოსდევს გარშემო.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმის მოხატულობა იმეორებს შინის დინასტიის ჩინური ფაიფურის ორნამენტულ სახეებს — უმათერესად XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის (ვიდრე 1644 წლამდე) კუთვნილი ფაიფურისას. მეტადრე ხშირია ვან-ლის (1573—1619 წწ.) პერიოდის ჩინური ფაიფურის მინაბაძები<sup>60</sup>.

თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში აღმოჩენილი იეზდის სახელოსნო-თავან მომდინარე ჭურჭლის ნატეხები ყველა ერთი ხანისა ჩანს (XVII საუკუნის მეორე ნახევრისა), იმდენად ერთნაირია მათი ფორმა, ორნამენტი და კოლორითი. ამას ამტკიცებს როგორც მთელი XVII საუკუნის კუთვნილი პარალელური მასალა, ისე ეს გარემოება, რომ საქართველოში ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში (ნამდვილად XVII საუკუნე-

<sup>58</sup> აღსანიშნავია, რომ იეზდური ფაიანსი არა გვხვდება არც დმანისის თეთრ, ლურჯად მოხატულ ნაწარმში (ველისსპობთ მხოლოდ 1936—1937 წწ. განთხარს) და არც უქარმაში. გულარეში კი აღნიშნული ჭურჭლის ორი მეტად პატარა ნატეხია აღმოჩენილი.

<sup>59</sup> მ. კ. К в е р ძ ე ლ ა ლ ი. დაახ. ნაშრ. გვ. 110.

<sup>60</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1644 წლიდან 1682 წლამდე ჩინური ფაიფურით ვაჭრობა შეწყვედა და ბუნებრივი უნდა იყოს, რომ სპარსელი კერამიკოსები იმ ხანაში გულმოდგინედ ბაძევენ 1644 წლამდე გამოშვებულ ჩინურ ფაიფურს.

ნის მეორე ნახევრის ფენებში) და არ გვხვდება მაგ., გრემში, რომელიც XVI და XVII ს. დასაწყისის მიეკუთვნება.

ლ. ჭილაშვილის ლოკალიზაციით, ყარაღაჯი ხორნაბუჯის ერთ-ერთი უბანია. ხორნაბუჯის დასახლებული ნაწილი უპირატესად ჰერეთის მთის ჩრდილო და აღმოსავლეთ კალთებზე მდებარეობდა. გარკვეულ დროს ერთი რომელიმე უბანი წინაურდებოდა. გვიან შუასაუკუნეებში პირველობას ჩემულობს ყველაზე ქვედა ნაწილი ქალაქისა, რომელსაც ყარაღაჯის სახელით მოიხსენიებენ<sup>61</sup>.

ყარაღაჯში აღმოჩენილი არშაკიდებისა და სასანიდების დრაქმები იმ ადგილას თავიდანვე მკიდრო დასახლებული პუნქტის არსებობას ავარაუდებინებს მკვლევართ<sup>62</sup>. ხოლო პულაგუიღური მონეტების განძები<sup>63</sup> და XIV საუკუნის მეორე ნახევარში ზარათხანის არსებობა<sup>64</sup> იმ ხანებში იქ საქალაქო ცხოვრების განვითარებას მოასწავებენ<sup>65</sup>.

ყარაღაჯის შესახებ ისტორიული ცნობები მეტად მკირეა. სახელდობრ, ვიცით, რომ 1657 წლიდან იმ საუკუნის დასასრულამდე ირანის შაჰი კახეთს სამმართველოდ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან ცალკე ხანებს აძლევდა და მათი რეზიდენცია იყო ყარაღაჯში. ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „ხოლო ბოეთნის პირისპირა და ალაზნის დასავლეთ არს ყარაღაჯი, სასახლე, რომელი ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ ეამთა ჰყვეს ციხე, და აწ ჯერეთ ოჯერ არს“<sup>66</sup>. უფრო დაწვრილებითი ცნობები ყარაღაჯის შესახებ ვახუშტის მოცემული აქვს „სამმართველოს ცხოვრებაში“.

რაც შეეხება ყარაღაჯის დაარსების თარიღს, პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, რომ იგი ცნობილია XVII საუკუნიდან და დაარსებულია ბეჟან-ხანის მიერ, რომელიც სპარსეთის შაჰების სახელით განაგებდა კახეთს 1677 წლიდან 1683 წლამდე. კახეთის შუაგულში ცხოვრების შიშით მან მიატოვა თელა-

<sup>61</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. 1, თბ., 1968, გვ. 63.

<sup>62</sup> Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, гв. 101; Е. А. Пахомов, Монетные клады, в. IV, гв. 14, 24.

<sup>63</sup> Е. А. Пахомов, Монетные клады в. IV, гв. 50. (ვიმომწებთ შ. მესხიას დასახლებული ნაშრომის მიხედვით). 1940 წ. სოფ. ყარაღაჯში აღმოჩენილია 200-ოდე ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი. იგი შეიცავს პულაგუიღების სულეიმანისა (1339—1344 წწ.) და ნუსირვანის (1344—1355 წწ.) ერთიან ღირებულებას. საერაულოა, რომ განძი დაფლულია 1353/54 წწ. შემდგომ. ე. ი. XIV საუკუნის მესამე მეოთხედის დასაწყისში. როგორც ჩანს, იმავე განძს მიეკუთვნება კიდევ 11 პულაგუიღური მონეტა, შესული აგრეთვე სომხეთის ისტორიულ მუზეუმში, ჯერ კიდევ 1938 წელს. 1949 წ. სოფ. ყარაღაჯში კიდევ უპოვნიათ ვერცხლის მონეტების განძი, 24 ცალი (ინახება საქ. სახ. მუზეუმში). იგი შედგება პულაგუიღ ნუსირვანის მონეტებისაგან (იხ. ი. ჭალაღანიანი, ნუსირვანის მონეტების განძი ყარაღაჯიდან. ხელნაწერი). 1957 წ. წითელწყაროში იპოვეს იმავე ნუსირვანის XIV ს. მონეტები (ინახება საქ. სახ. მუზეუმში). ეს ცნობები მოგვაწოდა ი. ჭალაღანიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

<sup>64</sup> დ. კაპანაძე, ზარათხანთა და მონეტების გამოძიებები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. სსრ მეც. აკადემიის მოამბე, ტ. XXIII, 1959, № 4, გვ. 509.

<sup>65</sup> Ш. Месхиа, დაახ. ნაშრ., გვ. 101.

<sup>66</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 284.

ვი, კახეთის მეფეების რეზიდენცია და აიშენა თავისთვის სასახლე ყარაღაჯში, საიდანაც მართავდა თავის ქვეშევრდომ ქვეყანას. ქართლის მეფე გიორგი XI (1677—1689) შეეცადა მის მოსპობას მიგზავნილი მკვლელების საშუალებით. მხარში დაჭრილმა ბეჟან-ხანმა ჩამოიხმო ლეკები მიიღო და მათი დახმარებით მიიყვანა კახეთი საბოლოო გაჩანაგებამდე. კახელების ჩივილმა მიადგინა შაჰამდე და ეს გახდა მიზეზი ტირანის ჩამოგდებისა, მაგრამ ამით არ დასრულებულა ტირანია, რომელიც კიდევ დიდხანს აწვა ყარაღაჯიდან მთელ კახეთს<sup>67</sup>.

ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებაში“ ყარაღაჯი ნახსენები აქვს ბეჟან-ხანამდეც, სალიმ-ხანის დროს. „ხოლო კახეთს შემდგომად სიბერისა—თვის როსტომისა დასვეს სალიმ-ხან ქს. ჩქნზ, ქრ. ტმე (1657 წ.)... არამედ სალიმ-ხან ჯდა ყარაღაჯს უზრუნველი კახთათვის და განისვენებდა უზრუნველი მტრის ვნებისაგან“<sup>68</sup>.

ყარაღაჯში მჯდარა აგრეთვე მურთუხალი-ხანი (1659 წ.)<sup>69</sup>. 1677 წლიდან 1683 წლამდე ყარაღაჯში იჯდა ზემოაღნიშნული ბეჟან-ხანი. „ამან ჰქმნა სასახლე სპარსთა რიგისა ყარაღაჯს და უბრძანა კახთაცა მუნ სახლთა გებანი“<sup>70</sup>.

როგორც ჩანს, სასახლეს და ქალაქიც შენდება ბეჟან-ხანის დროს, მაგრამ ყარაღაჯში უფრო ადრეც (1657 წლიდან) არის ხანების რეზიდენცია და, მამასადამე, ქალაქი თუ არა, რაღაც მოზრდილი სამოსახლო მაინც ყოფილა.

ბეჟან-ხანის შემდეგ ყარაღაჯში ზის ხანი (1683—1688 წწ.)<sup>71</sup>, აბაზ-ყული-ხანი (1688—1695 წწ.)<sup>72</sup>, ქალბალი-ხანი (1695—1703 წწ.)<sup>73</sup>, დავით იმამყული-ხანი (1703 წ.), „19 წ. ჰმეფა... და დაჯდა ყარაღაჯს მეფედ და დაიპყრა სრულიად კახეთი“<sup>74</sup>. „შემდგომად დაუტევა იმამ-ყული-ხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თვისი თელავს და მანავს და იყოფოდა ზამთარს მუნ და ზაფხულს მადაროს“<sup>75</sup>.

ე. ი. 1657 წლიდან მე-18 საუკუნის პირველ წლებამდე ყარაღაჯი სპარსეთის მოხელე ხანების რეზიდენცია ყოფილა. იმამ-ყული-ხანის დროს (1703—1722 წწ.) კი, რეზიდენცია გადაუტანიათ ყარაღაჯიდან თელავში.

რაც შეეხება ყარაღაჯის ციხეს, იგი, ვახუშტის თქმით, „შემდგომად ოსმალთამ ეამთა ჰყვეს ციხე, და აწ ჟერეთ ოკერ არს“<sup>76</sup>. ოსმალთა ბატონობა კი ქართლ-კახეთში 1723 წლიდან 12 წლის განმავლობაში გრძელდებოდა<sup>77</sup>.

67 П. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, გვ. 49.

68 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, 1469—1800-მდე. მეორე გამოცემა ზ. კვიციანიშვიან, თბ., 1913, გვ. 189.

69 იქვე, გვ. 190; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 434<sub>18</sub>, 438<sub>27</sub>, 439<sub>9</sub>.

70 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 194.

71 იქვე, გვ. 195.

72 იქვე, გვ. 196.

73 იქვე, გვ. 197.

74 იქვე, გვ. 199, 200.

75 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 202.

76 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 97.

77 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 335.

1729 წელს ოსმალებმა მოკლეს მაჰმად-ყული-ხანი, აიღეს თელავი. შილ-და, ყვარელი, გავაზი და სხვ. „შემდგომად ამისა მოვიდნენ ოსმალი ყარა-ლაქს, აღაშენეს ციხე, განამაგრეს ზარბაზნებითა და შეაყენეს გუშავნი და სპანი დაუდგინეს და სხვანი წარვიდნენ. ესე აღუძნლათ ქარელთა და მრავალ-გზის ეკირთებოდნენ, გარნა ვერა რაიმე აენეს“<sup>78</sup>.

1734 წელს „მოსცა თამაზ-ხან სპანი ღიდნი და წარმოავლინა შემუსვრად ქარისად. ამის მცნობთა ოსმალთა დაუტევეს ყარაღაჯის ციხე და ივლტოდნენ ტფილისს. იხილეს ესე კახთა, მივიდნენ და შემუსრეს ციხე ყარაღაჯიანა. წა-მოილეს ზარბაზნები და რომელნიმე შემუსრნეს და დაუტევნეს. მერმე შეკრ-ბენ და მიეგებნენ თეიმურაზს, შეუძლუნენ ყიზილბაშთა ჯარსა შინა და შეუხ-დნენ“<sup>79</sup>.

ე. ი. ყარაღაჯის ციხე 1729 წლიდან 1734 წლამდე არსებულა.

ამგვარად, ყარაღაჯი ჩვენს ისტორიულ წყაროებში იხსენიება 1657 წლი-დან, როდესაც იქ ჯდება სალიმ-ხანი. როგორც ითქვა, ბუნებრივია, ვიფიქ-როთ, რომ იგი მანამდეც მნიშვნელოვან სამოსახლოს მანეც წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ XIV საუკუნეში იქ საქალაქო ცხოვრება ივლისსებება. 1677—1683 წლებში ყარაღაჯში იგება სასახლე და შენდება ქალაქი, რომელიც ხან-თა რეზიდენციას წარმოადგენს XVIII საუკუნის პირველ წლებამდე. 1729 წელს ოსმალები ყარაღაჯში აგებენ ციხეს, რომელიც 1734 წელს ნადგურდება.

ყარაღაჯში ხანების ჯდომის დროს (1657—XVIII ს. პირველი წლები) უნ-და ეკუთვნოდეს იქ აღმოჩენილი ფაიანსის მრავალრიცხოვანი ჭურჭელი. რომ-ლის უმეტესობაც თეთრი, ლურჯად მოხატული ჩინური ფაიფურის ირანულ მინაბაძს წარმოადგენს. ამ უკანასკნელში კი განსაკუთრებით მრავლადაა წარ-მოდგენილი ქალაქ იეზიდის მომდინარე ნაწარმი.

საქართველოში აღმოჩენილი, იეზიდის სახელოსნოსათვის მიკუთვნებული ჭურჭელი მოხატულობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა.

იეზიდური ჭურჭლის მოხატულობის კომპოზიცია მეტწილად აგებულია მთავარი დეკორატიული მოტივის კონცენტრული განლაგების პრინციპით: იგი შემოფარგლულია მოკლე, შვეული ზოლებით ერთიმეორისაგან გამოყო-ფილი, განმეორებითი ორნამენტით შემკული გვერდებით. ამგვარად მოხატუ-ლია უმთავრესად თეფშები (დაბალი ჭურჭელი) (ტაბ. XXXI). ჭურჭლის ში-დაპირისა და ზედაპირის მოხატულობის ასეთი დაყოფა დამახასიათებელი ჩანს ჩინური ფაიფურისათვის გვიან XVI საუკუნეში<sup>80</sup>.

გვხვდება აგრეთვე ჭურჭელი, რომლის შიდაპირიც კონცენტრული ზოლე-ბითაა დაყოფილი. ძირი მოხატულია, ხოლო გვერდები — უორნამენტოდ და-ტოვებული. მხოლოდ პირს შემოსდევს გარს სტილიზებული მცენარეული ორ-ნამენტის ვიწრო არშია<sup>81</sup>, ან კონცენტრული ზოლი. ზედაპირი უმთავრესად

<sup>78</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 214.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 215—216.

<sup>80</sup> John Alexander Pope. Chinese Porcelains from the Ardebil Shrine. Washing- ton, 1956. ტაბ. 100—104.

<sup>81</sup> ჭურჭლის შიდაპირის ამგვარად დაყოფა დამახასიათებელი ჩანს ჩინური ფაიფურისათ- ვის. იხ. Ernst Zimmerman. Altchinesische Porzellane im Alten Serai. Berlin und Leipzig, 1930, B. II, ტაბ. 54, 56.

შემკულია ორ კონცენტრულ ზაზს შორის მოქცეული განმეორებითი ორნამენტით. ჩვეულებრივ ასე მოხატულია მაღალი ჯამები.

დამახასიათებელი ჩანს ქურჭლის შიდაპირის შემკობა სწორი ან ტალღური კონცენტრული ზოლით შემოფარგლული ვარდულით (ტაბ. XIV<sub>2</sub>, 4-6). შუაში არის პატარა მრავალფერეულა ყვავილი (ლოტოსი?), რომლის გარშემოც შეფერილი ან რეზერვად დატოვებული ფოთლებია. მთლიანად ეს ყვავილიცა და ფოთლებიც ერთი ვარდულის შთაბეჭდილებას ქმნის. ამგვარად შემკული ქურჭელი გვხვდება თბილისის დედაციხესა (ტაბ. XIV<sub>2</sub>, 4, 5)<sup>82</sup> და ყარაღაჯში (ტაბ. XIV<sub>6</sub>)<sup>83</sup>. ისინი მაღალი ჯამებისა თუ თასების ძირ-ქუსლთა ნატეხებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXX<sub>1</sub>). გვერდის ორნამენტი უმთავრესად უცნობი რჩება, მაგრამ ზოგიერთის მიხედვით შესაძლებელია ქურჭლის მთლიანი მოხატულობის წარმოდგენაც (ტაბ. XIV<sub>2</sub>, 4, 5)<sup>84</sup>. გვერდის მოხატულობა სხვადასხვანაირია. შიდაპირზე გვერდს სტილიზებული მცენარეული ორნამენტი ან ერთიმეორისაგან შვეული ხაზებით გამოყოფილი განმეორებითი ორნამენტი ამკობს. ზოგჯერ იგი მოუხატავია და მხოლოდ ქურჭლის პირსა და ძირს შემოსდევს კონცენტრული ზოლები ან სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ვიწრო არშია. ზედაპირი კონცენტრულ ზოლებს შორის მოქცეული, ერთიმეორისაგან მოკლე შვეული ხაზებით გამოყოფილი ორნამენტიანაა შემკული (ტაბ. XIV<sub>3</sub>). გვხვდება აგრეთვე მედალიონებში ჩასმული „ბუდისტური“ ლომი (ტაბ. XV<sub>1</sub>)<sup>85</sup> და სხვ. ზოგჯერ ქურჭლის ზედაპირი მთლიანადაა შეფერილი მანგანუმის ყავისფერი საღებავით.

აღნიშნული ორნამენტით შემკული ქურჭელი, ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

ყარაღაჯში და თბილისის დედაციხეზე მოპოვებულ ფაიანსში გვხვდება უფრო განსხვავებული ვარდულით შემკული ქურჭელიც<sup>86</sup>. შუაში ყვავილია და მის ირგვლივ — სხივებივით გამომავალი სამყურა ფოთლები (ტაბ. XV<sub>3</sub>, 4). ამგვარი ორნამენტი ძალიან ხშირია ჩინური ფაიფურის მოხატულობაში. იგი უმთავრესად ამკობს ქურჭლის ძირს<sup>87</sup>, მაგრამ გვხვდება გვერდებზედაც<sup>88</sup>.

განსაკუთრებით ახლოს დგას თბილისისა და ყარაღაჯის ქურჭლების ვარდულასთან ერთი ჩინური ფაიფურის თასის ვარდულა (ტაბ. XV<sub>5</sub>)<sup>89</sup>, რომელიც ცხე-ცინის (1522—1566 წწ.) ხანას მიეკუთვნება. ამრიგად, ჩინური პარალელი XVI საუკუნისაა, საქართველოში აღმოჩენილი სპარსული ქურჭელი კი, ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

82 ს. წ. №№ 623, 1309, 613, 2368, 2143.

83 ყარაღაჯში ამგვარი 70-ოდე ქურჭლის ნატეხებია აღმოჩენილი.

81 თბილისის დედაციხე, ს. წ. № 623, 613, 2368 და სხვ.

85 თბილისის დედაციხე, ს. წ. № 613.

86 ყარაღაჯში ამგვარი ვარდულით შემკული ქურჭლის 50-ოდე ნატეხია, თბილისის დედაციხეზე — 3 (ს. წ. №№ 1310, 2885 და 2453). ქურჭელი წარმოდგენილია სწორკედლიანი, ღრმა ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხებით. მოხატულობის სრული სურათის წარმოდგენა ყოველთვის არ ხერხდება.

87 В а и Ч ж и-М е й, Минский фарфор, расписанный кобальтом народных мастеров, Пекин, 1957, (ჩინურ ენაზე), ტაბ. 28, 154, 156.

88 იქვე, ტაბ. 28.

89 იქვე, ტაბ. 154.



იეზუიტების სახელმწიფოებრივად დაამყარებელი ჩანს ჟურველი, რომლის კონცენტრული ხაზებით შემოსაზღვრული ძირის ცენტრში გამოხატულია ტალღოვანი ზოლით შემოფარგლული სტილიზებული პეიზაჟი (ტაბ. XVI-4). ამგვარი ორნამენტი გვხვდება მაღალ ჭამებსა თუ თასებზე<sup>90</sup>. აღნიშნული ჟურველი ძირ-ქუთის პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი და მოხატულობის სრული სურათის აღგება ძნელია. შიდაპირზე გვერდი მოუხატავია, პირს კი სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ვიწრო არშია ამკობს. ზოგის ზედაპირი მთლიანადაა შეფერილი მანგანუმის ყავისფერი საღებავით.

აღნიშნული ორნამენტით შემკული ჟურველი გვხვდება თბილისის დედაციხესა (ტაბ. XVI-4) და ყარაღაჯში (ტაბ. XVI<sub>1</sub>). ამ უკანასკნელის მიხედვით კი ეს ჟურველი XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ზემოთ განხილულ ჯგუფებში ჟურველის ძირი მთლიანად არ არის შევსებული ორნამენტით, მოხატულია მხოლოდ მათი შუა ნაწილები.

გვაქვს ისეთი ჟურველიც, რომლის ძირიც მთლიანადაა დაფარული ორნამენტით. ძალიან ხშირია სტილიზებული პეიზაჟით შემკული ჟურველი<sup>91</sup>; აქ გვხვდება სტილიზებული ლოტოსი, ჩინური ფიჭვი, ღობე და ა. შ.

ფიჭვი მეტად გავრცელებული მოტივი ჩანს ჩინური ჟურველისა და მისი ირანული მინაბაძების მოხატულობაში. ჩინურ ფიჭვს ვხედავთ როგორც თბილისის დედაციხეზე<sup>92</sup>, ისე ყარაღაჯში<sup>93</sup> აღმოჩენილი იეზუიტური ჟურველის მოხატულობაში. ჩინური ფიჭვია გამოსახული ერმიტაჟში დაცულსა და ეზდისათვის მიეკუთვნებულ ერთ ჟურველზედაც<sup>94</sup>; სწორედ ამ ქალაქის ნაწარმის მოხატულობისათვის ჩანს იგი დამახასიათებელი<sup>95</sup>. აღნიშნული მოტივით შემკული ფაიანსის ჟურველი გამოქვეყნებული აქვს ა. პოუპს<sup>96</sup>. ძალიან ხშირია ამგვარი ორნამენტი საკუთრივ ჩინურ ფაიფურზე<sup>97</sup>.

როგორც ერმიტაჟში დაცული, ისე ა. პოუპის მიერ გამოქვეყნებული ჟურველი XVII საუკუნით თარიღდება. საქართველოში (თბილისის დედაციხე, ყარაღაჯი) აღმოჩენილი, ასეთი მოტივით შემკული ნაწარმი კი, ყარაღაჯის ჟურველის მიხედვით, იმ საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. შესაძლოა XVII საუკუნის მეორე ნახევარშივე იქნეს გადმოწეული ერმიტაჟისა და ა. პოუპის მიერ გამოქვეყნებული ჟურველის თარიღიც.

ზოგჯერ პეიზაჟში ვხედავთ ბუდისტურ ლომს (ყარაღაჯი, თბილისის დედაციხე), ადამიანის, ცხოველების, ფრინველების გამოსახულებას და სხვ.

<sup>90</sup> ყარაღაჯში ამგვარი ორნამენტით ჟურველის ნატეხებია. თბილისის დედაციხეზე — ს. წ. №№ 2520, 2376, 2955, 2375, 3520, 2789, 402, 746, და 1327. მოხატულობის სრულ სახეს ვეძიებდნენ მხოლოდ ერთი ჭამი, № 2789.

<sup>91</sup> ყარაღაჯში ამგვარი 60-ოდე ჟურველის ნატეხებია აღმოჩენილი. ძირების უმეტესობა ნიშნავს. ნიშნები სხვადასხვაგვარია. თბილისის დედაციხეზე: ს. წ. №№ 2790, 1858, 1889 და 745.

<sup>92</sup> ტაბ. XVI<sub>6</sub>.

<sup>93</sup> ყარაღაჯში ამგვარი ათიოდე ჟურველის ნატეხებია აღმოჩენილი. ორი მათგანის ძირზე ნიშნავს შემორჩენილი (ტაბ. XVII<sub>6</sub>, ტაბ. XVI<sub>6</sub>).

<sup>94</sup> მ. კ. Кверфелсдт, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIII.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 111.

<sup>96</sup> A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 748A.

<sup>97</sup> Вилл Кжиш-Мяш. დასახ. ნაშრ., სურ. 47, 72, 103...

ბუდისტური ლომი ძალიან გავრცელებულია ჩინური ფაიფურისა<sup>98</sup> და აგრეთვე მისი მიბაძვით დამზადებული ირანული ფაიანსის<sup>99</sup> მოხატულობაში. გვხვდება იგი თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში აღმოჩენილ, იეზდისათვის მიკუთვნებული კურკლის ნატეხებზე<sup>100</sup>. ამ ნაწარმზე გამოხატული „ბუდისტური“ ლომი დიდ მსგავსებას იჩენს ჩინური ფაიფურის კურკელზე გამოსახულ ლომთან (ტაბ. XV<sub>2</sub>)<sup>101</sup>, რომელიც ვან ლის (1573—1619 წწ.) ხანას განეკუთვნება. იმავე დროით თარიღდება ბუდისტური ლომებით შემკული სხვა ჩინური კურკელიც<sup>102</sup>.

როგორც ჩანს, ჩინურ ფაიფურზე ეს მოტივი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში გვხვდება. საქართველოში აღმოჩენილი, ამ მოტივით შემკული ირანული ფაიანსი კი, ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დავათარილოთ.

ხშირია პეიზაჟის ფონზე მოცემული ადამიანის გამოსახულებით შემკული ნაწარმი (ტაბ. XVII<sub>1-7</sub>)<sup>103</sup>. ადამიანი უმთავრესად მდგომარეა, თავსაბუჯავითა და შავი, გრძელი სამოსით. სახე უნაკვთებოდ, მხოლოდ კონტურითაა გამოხატული და თეთრ ლაქას წარმოადგენს; კიდურებიც თეთრად არის დატოვებული.

მსგავს ფიგურებს ვხვდებით ჩინურ ფაიფურზედაც, რომელიც თარიღდება შინის დინასტიის მმართველობის ბოლო პერიოდით (1620—1644 წწ.)<sup>104</sup>.

გვხვდება აგრეთვე ადამიანის გამოსახულება, რომელთა სამოსელი თეთრად არის დატოვებული და ეს თეთრი ფონი წერტილებითაა დაფარული (ყარაღაჯშია აღმოჩენილი ასეთი სამიოდე ნატეხი), ან მისი ნაკეცები მოკლე ხახებითაა გადმოცემული (ერთი ნატეხია აღმოჩენილი ყარაღაჯში).

ადამიანის სახე, როგორც აღენიშნეთ, მეტწილად თეთრ ლაქადაა მოცემული, en face. გვხვდება აგრეთვე ტლანქი პროფილი, ასევე ყოველგვარი ნაკეთების გარეშე. მხოლოდ ყარაღაჯში ნაპოვნ ერთ პატარა ნატეხზეა შემორჩენილი სახის ნაკეთების ნაშთი.

საქართველოში აღმოჩენილი ზემოთ დახასიათებული ორნამენტით შემკული კურკელი, ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

აღნიშნული შავსამოსიანი ადამიანის გამოსახულებით შემკული კურკლის ჩუთს უახლოვდება პეიზაჟის ფონზე გამოხატული ცხოველის ფიგურით შემკული კურკელი<sup>105</sup>. ცხოველის სხეული მოშავო-მორუხოს საღებავითაა დაფა-

<sup>98</sup> Ван Чжи-Мэйи. დასახ. ნაშრ., სურ. 61, 63. 65.

<sup>99</sup> Э. К. Кверфелъдт. დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIII.

<sup>100</sup> ყარაღაჯში ბუდისტური ლომით შემკული ხუთიოდე კურკლის ნატეხებია აღმოჩენილი, თბილისის დედაციხეზე — 1 (№ 613). ბუდისტური ლომი კურკლის ზედაპირზეა გამოხატული (ტაბ. XV<sub>1</sub>).

<sup>101</sup> Э. К. Кверфелъдт, დასახ. ნაშრ., სურ. 61.

<sup>102</sup> იქვე, სურ. 63, 65.

<sup>103</sup> ყარაღაჯში ამგვარი გამოსახულებით შემკული ათიოდე კურკლის ნატეხებია აღმოჩენილი (ტაბ. XVII<sub>1-7</sub>), თბილისის დედაციხეზე — ერთი (ს. წ. № 2880; ტაბ. XVII<sub>1</sub>).

<sup>104</sup> Ван Чжи-Мэйи, დასახ. ნაშრ., სურ. 36, 37.

<sup>105</sup> ერთი კურკლის ნატეხია ყარაღაჯში აღმოჩენილი. ძირზე ოთხკუთხა ნიშნის ნაშთი შემორჩენია.

რული: თავი, ყურები და კისერი კი თეთრად არის დატოვებული; კობალტი-თაა გამოხატული თვალეზი და პირი.

პეიზაჟში ზოგჯერ ვხვდებით მფრინავ წეროებს (ტაბ. XVIII<sub>1</sub>)<sup>106</sup> თუ სხვა ფრინველებს (ტაბ. XVIII<sub>2</sub>)<sup>107</sup>. არის აგრეთვე რაღაც გაურკვეველი მფრინავი აოსებაც (ტაბ. XVIII<sub>3</sub>)<sup>108</sup>.

იეზდის ნაწარმისათვის მეტად დამახასიათებელი ჩანს ჭურჭლის ძირისა და გვერდების შემკობა გეომეტრიული (?) ორნამენტით. ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ყარაღაქსა (ტაბ. XIX<sub>1-4</sub>)<sup>109</sup> და თბილისის დედაციხეზე (ტაბ. XIX<sub>5</sub>, ტაბ. XIV<sub>3</sub>, 4)<sup>110</sup>. დასახლებული მოტივი გვხვდება ჩინურ ფაიფურზე, რომელაც ვან ლის პერიოდს (1573—1619 წწ.) მიეკუთვნება<sup>111</sup>.

გვიანი XVI საუკუნით თარიღდება არდებილის (ირანი) მეჩეთიდან მომდინარე ფაიფურის თევში, რომლის ცენტრიც მსგავსი ორნამენტითაა შემკული<sup>112</sup>.

როგორც ვნახეთ, აღნიშნული მოტივით შემკული ჩინური ჭურჭელი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება; მისი მიზაძვით დამზადებული ირანული ნაწარმი კი, ყარაღაქსში აღმოჩენილი ცალების მიხედვით, XVII ს. მეორე ნახევრით უნდა დაფიქსირდეს.

კონცენტრული ზოლით შემოსაზღვრულ ძირს ზოგჯერ ამკობს ლარნაკი თუ კალაპ ყვავილებით (ტაბ. XX<sub>1</sub>)<sup>113</sup>, ზოგჯერ — მცენარე (თბილისის დედაციხე, ს. წ. № 1886, ტაბ. XX<sub>2</sub>) და სხვ.

ხანდახან შიდაპირის მოხატვა ყოველგვარი დაყოფის გარეშეც ხდება, ერთიანად (თბ. ც. ს. წ. № 2789, ტაბ. XX<sub>3</sub>). ამგვარ ჭურჭელზე ვხვდებით უმ-

<sup>106</sup> ამგვარი ნაწარმი აღმოჩენილია ყარაღაქსში.

<sup>107</sup> ყარაღაქსი.

<sup>108</sup> თბილისის დედაციხე, № 2788. № 625. მსგავს ორნამენტს ვხვდებით ერიტიკის პატარა ოასის ზედაპირზე (გამოფენაზე). ჭურჭელი მიეკუთვნებოდა იეზდისამი და დათარიღებულია XVII ს.

<sup>109</sup> ყარაღაქსში ამგვარი ნაწარმი მრავლად არის აღმოჩენილი. აღნიშნულ ორნამენტს ვხვდებით სამივე ქალაქის (იეზდის, ქაშანის, ქერმანის) ნაწარმზე.

<sup>110</sup> თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 624, 2364, 2143, 2256.

<sup>111</sup> E. Zimmerman, *Chinesisches Porzellan und die übrigen keramischen Erzeugnisse Chinas*, Leipzig, 1923, ტ. II, ტაბ. 68—კვეთი. მაჩვენებელი.

<sup>112</sup> J. A. Pope, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. 108<sub>3</sub>.

<sup>113</sup> თბილისის დედაციხე, ს. წ. № 624. თევში დაბალი, ცენტრში შეზნეპილი ქუსლით ამოცალა საყურადღებო, რომ მისი კეცი თითქოს უკვე უახლოვდება ფაიფურისას (მოოსის შკალის მე-7 მინერალი ვერ კაწრავს), თუმცა თვალთ არ განსხვავდება ყველა დანარჩენი ფაიფურის ქურჭლისაგან, რომლებიც კეციით აგრეთვე ხშირად უახლოვდებიან ფაიფურის კეცს. № 2285 (ტაბ. XX<sub>1</sub>). ყვავილებიანი ლარნაკით ჭურჭლის ძირის შემკობას ვხვდებით ჩინურ ფაიფურზე (იხ. ВАН 4 ж ии-М 3 ии, დასახ. ნაშრ., ტაბ. 110, 115; L. Reidemeister, *Ming—Porzellan in Schwedischen Sammlungen*, Berlin und Leipzig, 1935, ტაბ. 49). თუმცა დამოწმებულ ჭურჭელზე თბილისის ქურჭლისაგან განსხვავებული ლარნაკები და ყვავილები ჩანს, მოტივი მაინც ერთიანად იქნება და ირანულ ჭურჭელზე ჩინურიდან უნდა იყოს გადმოღებული. ამგვარი ორნამენტით შემკული ჭურჭელი ვან ლის (1573—1619 წწ.) ხანას მიეკუთვნება. იმდროინდელი ჩინური ნაწარმისათვის ჩანს დამახასიათებელი ამ ჭურჭლის გვერდის ორნამენტიც. როგორც ვნახეთ, ჩინური პარალელები XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მისი მიზაძვით დამზადებული ირანული ფაიფურის კი XVII საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს — ყარაღაქსში ნაპოვნი ჭურჭლის მიხედვით, რომელზედაც თბილისში აღმოჩენილი თევშის გვერდის ორნამენტის მსგავსი მოხატულობაა.

თავრესად პირობით პეიზაჟს. მათი ზედაპირი კი შემკულია ორ კონცენტრულ ზოლს შორის მოქცეული განვეორებითი ორნამენტით — პირობითი ლანდშაფტით (თბ. ც. № 625), ვარდულებით (თბ. ც. № 2789, ტაბ. XX<sub>4</sub> და № 624; ყარაღაჯი). ამგვარი ვარდულებით ზედაპირის შემკობა მეტად გავრცელებული ჩანს სეფიანთა ირანის ფაიანსზე. გვხვდება ოგი თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი, აგრეთვე იეზიდისადმი მიკუთვნებულ თეფშის (№ 624) ზედაპირზე. ბევრია ამგვარი ორნამენტით შემკული ქურქელი ყარაღაჯშიც; აგრეთვე ერმიტაჟში დატულ ჩინურ ფაიფურსა და სეფიანთა ირანიდან მომდინარე თეთრ, ლურჯად მოხატულ ფაიანსზე.

აღსანიშნავია თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში აღმოჩენილი ფაიანსის ქურქლის კიდევ ერთი ჩგუფი, რომელიც მოხატულია შავი კობალტით — ისე, რომ საღებავის ფერის მიხედვით არც კი განიჩნევა ქ. იეზიდის ნაწარმისაგან. იგივე ითქმის კეცსა და ქიქურზედაც. ერთიმეორეს ჰგავს ქურქელი მოყვანილობითაც: ეს არის ღრმა ქამები, რომელთაც დაბალი, ზოგჯერ შუაში შეზნექილი ქუსლები აქვთ. მთლიანად ქიქურით დაფარულ ქუსლზე სამფეხა სადგარის კვალია. ზოგს ძირზე ნიშანი აქვს. პირს ყავისფერი ზოლი შემოსდევს გარშემო. ნახატი შავი საღებავის კონტურებითაა გამოყვანილი და შეუფერავია. ამგვარი საღებავითა და ორნამენტით მოხატული ქურქელი მიეკუთვნება მეშვედის სახელოსნოებს<sup>114</sup>.

აღნიშნული ქურქლის შიდაპირის მოხატულობისათვის დამახასიათებელია ძირის შუა ნაწილში გამოყვანილი ოთხკუთხა ჩინური ნიშანი. ძირს შემოსდევს კონცენტრული ზოლებით შემოსაზღვრული და ხვეულებით შევსებული სარტყელი. ქურქლის გვერდები უორნამენტოდ არის დატოვებული, პირს კი ხვეულებისაგან შემდგარი ვიწრო არშია ამკობს.

ამგვარი ორნამენტით შემკული ქურქელი აღმოჩენილია ყარაღაჯსა (ტაბ. XX<sub>5</sub>, ე)<sup>115</sup> და თბილისის დედაციხეზე<sup>116</sup>.

მოხატულობის სრულ სურათს წარმოქმნის მხოლოდ თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ქამი.

პირს ისეთივე არშია შემოუყვება, როგორც შიდაპირს. კონცენტრული ზოლებით შემოსაზღვრული გვერდი სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შევსებული რომელიმე მედალიონებითაა მოხატული.

იმავე სახელოსნოს ნაწარმი ჩანს ქურქელი, რომლის კონცენტრული ზოლებით შემოფარგლული ძირიც მოხატულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით: შუაში ოთხფურცელა ყვავილი და ოთხი ფოთოლია. ორნამენტი შემოხაზულია შავი საღებავით, თვითონ კი თეთრადაა დატოვებული. ფონი შევსებულია შავი საღებავით გამოყვანილი ხვეულებით<sup>117</sup>. ასეთივე ორნამენტის სარტყელი ამკობს ყარაღაჯში ნაპოვნი ქურქლის ძირს (ტაბ. XX<sub>6</sub>).

<sup>114</sup> ერმიტაჟი, გამოფენა.

<sup>115</sup> ყარაღაჯში ამგვარი ოთხკუთხედიანი ქურქლის ნატეხებია აღმოჩენილი. ორ ნატეხზე ნიშანია შემორჩენილი, ზოგის ძირი კი უნიშნო ყოფილა.

<sup>116</sup> თბილისის დედაციხე, ს. წ. №№ 2792, 2415, 2024, 3000, 2955, 2415, 2370 — სულ ერთი ქურქლის ნატეხებია, ნაწალობრივ შეკოწიწებული.

<sup>117</sup> თბილისის დედაციხე, ს. წ. № 2369 და 2687 — ქამის ძირ-ქუსლის ნატეხებია შეკოწიწებული (ტაბ. XX<sub>7</sub>).

მსგავსი ორნამენტით არის შემკული ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში დაცული, შავი საღებავით მოხატული სპარსული ქურქელი<sup>118</sup>. ოლონდ იქ, თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში ნაპოვნი ქურქლისაგან განსხვავებით, ორნამენტი — ყვავილები, ფოთლები და ხვეულები, შავად შეფერილ ფონზე რეზერვაციით არის გამოყვანილი. ა. ლეინი ამ ქურქელს პირობით ქერმანს მიაწერს და XVIII საუკუნით ათარილებს<sup>119</sup>.

მაგრამ საქართველოში აღმოჩენილი, მსგავსად მოხატული ქურქელი, ყარაღაჯში ნაპოვნის მიხედვით, XVII ს. მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს, რადგან იქ XVIII საუკუნის ქურქლის აღმოჩენა მოსალოდნელი არ უნდა იყოს და შეიძლება მსჯელობა მხოლოდ იმ საუკუნის სულ დასაწყისის შესახებ. როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, XVIII ს. პირველ წლებში ხანების რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავს გადადის და შემდგომი ხანის ირანული ნაწარმის აღმოჩენა აქ (მით უმეტეს მრავლად) ნაკლებ საეკარაუდოა.

პარალელური მასალის მიხედვით<sup>120</sup>, იმავე სახელოსნოს კუთვნილი ჩანს ყარაღაჯში აღმოჩენილი პატარა ნატეხები ქურქლისა, რომლებიც მოხატულია შავი კობალტით. ორნამენტი — ფოთლები და ყვავილები — რეზერვაციით გამოყვანილი და შავი საღებავის მოკლე ხაზებით არის მოხატული. ფონი მუქია, მოშავო-ლურჯი.

აღსანიშნავია, რომ ზევით განხილული, იეზიდისა და მეშქედისათვის მიეკუთვნებული ნაწარმი იმდენად მსგავსია ერთიმეორისა, როგორც მოყვანილობით, ისე კოლორიტით, რომ ძნელიც კია მათი სხვადასხვა ქალაქისათვის მიწერა. დასაშვებია იქნება წარმოდგენა, რომ ისინი სხვადასხვა ცენტრებშია ნაკეთები, თუ ვიფიქრებთ, რომ ორივე ქალაქის სახელოსნოები კობალტის ერთსა და იმავე საბადოთი სარგებლობდნენ (მეშქედი და იეზიდი კი საკმაოდ დაშორებულნი არიან).

მეშქედური ნაწარმის განსაზღვრისას ლიტერატურაში ჭერაჭერობით ერთსულოვნება არ არის<sup>121</sup>.

ქ. ქერმანის სახელოსნოთა ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს ქურქელი, რომელიც მოხატულია ნათელი, მკაფიო ტონის მქონე კობალტით<sup>122</sup>.

აღნიშნული ქალაქის ნაწარმი აღმოჩენილია ყარაღაჯსა<sup>123</sup> და თბილისის დედაციხეზე<sup>124</sup>, მაგრამ ორივეგან იგი იეზიდის ნაწარმთან შედარებით გაცი-

<sup>118</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ. ტაბ. 73B.

<sup>119</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 73B.

<sup>120</sup> იქვე, ტაბ. 80A.

<sup>121</sup> იქვე, გვ. 74.

<sup>122</sup> მ. კ. კვერფელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

<sup>123</sup> ყარაღაჯში ქერმანის სახელოსნოს კუთვნილი ქურქელი ასიოდ, მეტწილად პატარა პატარა ნატეხით არის წარმოდგენილი.

<sup>124</sup> თბილისის დედაციხე, ს. წ. № 2790, 2379, 1887. 2478 და სხვ.

ლებით უფრო მცირერიცხოვანია. აღმოჩენილია იგი აგრეთვე დმანისში (1936—1937 წწ. განათხარა)<sup>125</sup>, გუდარეხსა<sup>126</sup> და უჯარმში<sup>127</sup>.

ქერმანული ჭურჭელი მოყვანილობით უფრო განსხვავებულია, ვიდრე იეზიდისა, შედარებით თხელია და მსუბუქი. გვედებზე ნატეხი თასებისა თუ თეფშების, დიდი ლანგრების, ფინჯნების. ქუსლებიც განსხვავდება იეზიდური ჭურჭლის ქუსლებისაგან: უფრო მაღალია და თხელი, შუაში შეუზნეკავია და არც ყოველთვის არის მთლიანად დაფარული ჭიქურით (ქუსლის ქვედა ნაწილი ჩვეულებრივ უჭიქურია). ვერა ვხედავთ მათზე სამეფხას ნაკვალევს, რაც ესოდენ დამახასიათებელია იეზიდის ნაწარმ-სათვის. აღნიშნული ქალაქიდან ზომდინარე ჭურჭელზე ზოგჯერ ვხედვით გარკვეული ჩინური ნიშნის მიწებებს. ამ ნაწარმის კეცი თეთრია. წმინდამარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის 4—5 (იხეითად 6—7). ჭიქური უფერული გამჭვირვალეა, მომწვანო ელფერის მქონე, ოღონე ირიზებული.

ჭურჭლის ძირი მეტწილად შევსებულია კონცენტრული ხაზებით გამოყოფილი მცენარეული ორნამენტით, ვარდულთ<sup>128</sup> ან პირობითი პეიზაჟით<sup>129</sup>. გვერდის ორნამენტი უფრო ხშირად უცნობია (ჭურჭელი უმთავრესად იარ-ქუსლის ნატეხებითაა წარმოდგენილი). ზოგი ჭურჭლის გვერდი მოუხატავია, ხოლო პირს კონცენტრული ზოლები ამკობს<sup>130</sup>. ზოგჯერ ჭურჭლის ძირზე დატანილი ორნამენტი ფენებად, ერთიმეორის ქვეშ არის განლაგებული<sup>131</sup>. ჭურჭლის ზედაპირზე გვერდები უმთავრესად შემკულია გეომეტრიული და მცენარეული განმეორებითი ორნამენტით ორ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული ვარდულებითა თუ მცენარეული სახეებით, რომლებიც ერთიმეორისაგან შვეულ ზოლებს შორის მდებარე სხვადასხვა გეომეტრიული სახეებითაა გამოყოფილი. ზოგი ჭურჭლის ზედაპირი ლურჯი, მომწვანო ან ყაყისფერი საღებავით არის დაფარული.

საქართველოში აღმოჩენილი ქერმანის სახელოსნოს ნაწარმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის დედაციხის ორი ლანგარი (ტაბ. XXI, XXII)<sup>132</sup>, რომელთა ძირზე გამოხატული ჩინური მოტივები ფენებად, ერთიმეორის ქვეშ არის განლაგებული. აქ ვხედავთ: მთებს, პაგოდას, სახლებს, ხეებს და ა. შ. ლანგრები მოხატულია ნათელი, მკაფიო ტონის მქონე კობალტით, ოღონდ ერთზე ორნამენტი შეფერილია ამ საღებავით, ხოლო მეორეზე

125 დმანისში, ეტყობა, ქერმანის სახელოსნოს ნაწარმის უფრო აღრეულ ნიმუშებთან გვაქვს საკმე (ნაწილობრივ მინც). აღმოჩენილია დაახლოებით ოცდახუთიოდე ჭურჭლის მცირე ნატეხები. აღსანიშნავია, რომ დმანისში (ეითვალისწინებთ მხოლოდ 1936—1937 წწ. განათხარა) აღმოჩენილ, ლურჯად მოხატულსა და უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ არც ერთ ჭურჭლის ძირზე ნიშანი არა ჩანს (თემცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჭურჭლის ძირი ყოველთვის არ არის შემორჩენილი).

126 გუდარეხში ათიოდე ჭურჭლის უმნიშვნელო ნატეხებია აღმოჩენილი.

127 უჯარმში გვაქვს ჭურჭლის ერთი ნატეხი — სსმფგ. ინე. № 2—57:675.

128 თბ. დედაციხე, ს. წ. № 2790.

129 თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 2379, 1887.

130 თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 2379, 1887.

131 თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 2478, 2787.

132 ს. წ. №№ 2478, 2493, 2791, 2487, 2553 (ბევრი ნატეხია, ზოგი ერთმანეთს მიუღდა).

№№ 2787, 2618, 2791, 2456, 2592, 2556, 1832, 2790, 2651... (ნაწილობრივ შეკოწიწდა).

კობალტის საღებავის წვრილი ხაზებით არის გამოყვანილი და თეთრად დატოვებული.

ლანგრების შიდაპირის მოხატულობის მსგავს, ცალკეულ ორნამენტულ მოტივებს და ისევე ფენებად განლაგებას ვხედავთ ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში დატულ ჭურჭელზე<sup>133</sup>.

ამგვარი მოტივებით შემკული ჭურჭლის მიხედვით, რომლებიც XVII საუკუნით თარიღდება, თბ. დედაციხის ჭურჭელიც იმ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. ამას შპარს უქერს მათ ძირზე გამოხატული ჩინურის მინაბაძი „Lassel“ ნიშნები. ა. ლეინის დაკვირვებით, ასეთი ნიშნები დამახასიათებელია ქერმანის ჭურჭლისათვის XVII საუკუნეში. ისინი კეთდება დიდი ლანგრების ძირზე ქუსლის რგოლის ირგვლივ და ჩვეულებრივ 3—4-ჯერ მეორდება<sup>134</sup>. თბილისის დედაციხეზე ნაპოვნი ლანგრების ძირზე კობალტით გამოხატული ამ ტიპის ორ-ორი ნიშანია შემორჩენილი (ჭურჭლების ძირი ნაკლულია).

ამავე ტიპის ნიშანი აქვს ძირზე თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილ, ძირ-ქუსლის ნატეხით წარმოდგენილ ჭურჭელს — ეტუობა თასს<sup>135</sup>. ჭურჭლის ძირი შემკულია ვარდულით — შუაში ყვავილი და მის აქეთ-იქით, ოთხ მხარეს ორ-ორი ფოთოლი და კოკრი(?). ნახატი შემოხაზულია კონტურით და შეფერილია. კონტურიცა და შეფერილობაც ერთი და იგივე, ნათელი, მკვეთრი ლურჯი საღებავითაა გამოყვანილი.

მსგავს მოხატულობას ვხედებით ჩინურ ფაიფურზედაც<sup>136</sup>.

თბილისის დედაციხეზე ნაპოვნი ეს ჭურჭელი, საღებავის ფერის მიხედვით, ქერმანის სახელოსნოს ნაწარმს წარმოადგენს და იგი ისევე უნდა დავათარღოთ, როგორც ზემოთ განხილული, იმავე სახელოსნოს კუთვნილი ლანგრები, რომელთა ძირზედაც ვხედავთ იმ ტიპის ნიშანს.

ქერმანის სახელოსნოსავე ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი თეფში № 151 (ტაბ. XXIII<sub>3</sub>): კონცენტრული ზოლებით გამოყოფილ ძირზე გამოსახულია პირობითი ლანდშაფტი<sup>137</sup>. პირს კი მცენარეული ორნამენტის ფართო არშია შემოსდევს ვარს. თეფშის ზედაპირზე ვხედავთ დაოსურ მესამე ძვირფას ნივთს — ნახატს, პუას<sup>138</sup>. მაგრამ აქ აღნიშნულ სიმბოლოს ძლიერ აქვს შეცვლილი სახე. თეფშის დაკბილულ პირს ყავისფერი ზოლი შემოუყვება. ძირზე კობალტით დატანილი ნიშანია, მაგრამ ზემოთ აღწერილი ჭურჭლის ნიშანთაგან განსხვავებული.

საქართველოში აღმოჩენილი გვიანდელი ფაიანსის ჭურჭლის ერთი ნაწილი, კობალტის ფერის მიხედვით, ქ. ქაშანის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს.

133 A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 80B, 58A, 59A და 77B; A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 801B.

134 A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 95, 115—116.

135 № 2790, ტაბ. XXIII<sub>1</sub>, 2.

136 Ван Фж II-Мэи, დასახ. ნაშრ., სურ. 15ა.

137 მსგავსი ორნამენტით შემკული ქერმანული ჭურჭელი დატულია სახელმწიფო არსიტაში.

138 Maria Penkala, Far Eastern ceramics Marks and Decoration. Mouton, 1963, გვ. 32.

ქაშანური კობალტს ღია მონაცრისფრო, მღვრიე ელფერი გადაჰკრავს და ახასიათებს მიღრეკილება, გამოწვის შედეგად კიქურთან შეერთებისას, ვალვრისადმი. ნახატის სიმკვეთრის შესანარჩუნებლად მას უკეთებდნენ შავ კონტურს<sup>139</sup>.

აღნიშნული ქალაქის ნაწარმი აღმოჩენილია. თბილისის დედაციხეზე<sup>140</sup>, ყარაღაჯში<sup>141</sup>, დმანისსა<sup>142</sup> და გულარეხში<sup>143</sup>. დედაციხესა და ყარაღაჯში იგი სხვა სახელოსნოების ნაწარმთან შედარებით ნაკლებ არის წარმოდგენილი.

ამ ჯგუფის ჭურჭელიც განსხვავდება მოყვანილობით იეზდის ნაწარმისაგან. ძირზე არც ერთს არ ემჩნევა სამფეხას კვალი. ზოგ მათგანზე ჩინურის მიწაბადი ნიშანია გამოხატული.

აღნიშნული ნაწარმის კეცი თეთრია, წმინდამარცვლოვანი. სიმტიკე უდრის 4—5. ჭურჭელი დაფარულია უფერული, მომწვანო ელფერის მქონე, გამკვირვალე (ამჟამად ირიზებული) კიქურით. ჭურჭლის პირს ყავისფერი ზოლი ამკობს.

ქაშანური ნაწარმის ზედაპირის შემკობისათვის მეტად დამახასიათებელი ჩანს დაოსური მესამე ძვირფასი საგანი — ნახატი-პუა<sup>144</sup>. ამგვარი ორნამენტი გვხვდება თბილისის დედაციხის № 401 ლამბაქზე<sup>145</sup> და ერმიტაჟის, ქაშანი-სათვის მიკუთვნებულსა და XVII ს. დათარიღებულ ჭურჭელზე<sup>146</sup>.

თბილისის დედაციხეზე გვაქვს ამგვარი ორნამენტით შემკული, მაგრამ სხვა სახელოსნოსათვის მისაკუთვნებელი ჭურჭლის პატარა ნატეხებიც<sup>147</sup>. აღსანიშნავია, რომ ირანულ ჭურჭელზე ჩინური ნიშანი საკმაოდ სახეშეცვლილია.

ამ სახელოსნოს ნაწარმი ჩანს ყარაღაჯში ნაპოვნი თასები თუ თეფშისმაგვარი ჭურჭელი, წარმოდგენილი პირის ნატეხებით. მათზე ხშირად ვხედავთ ჩინური ხასიათის პირობით პეიზაჟებს, რომლებიც ორნამენტულ სახეებს უფრო ჰგვანან, ვიდრე გარკვეულ ლანდშაფტს.

აღსანიშნავია, რომ ა. ლეინი უარყოფს იმდროინდელ ქაშანში ჭურჭლის გამოწვას, ვინაიდან აქ ასეთი რამ არ იხსენიება, არც ე. შარდენტან და არც XVII ს. სხვა წყაროებში. იგი მარდოხ სმიტის მიერ ქაშანში აღმოჩენილ, ამ ქალაქისათვის მიკუთვნებულ ჭურჭელს მეშპედის ნაწარმად თვლის, ვინაიდან როშეშუარმა ისეთივე ჭურჭელი შეიძინა იქ. იგი არც ა. პოუპის მიერ წუნად მიჩნეულ, ქაშანში აღმოჩენილ ნიმუშს თვლის ადგილობრივად და აღნიშნავს, რომ ეს ისეთი წუნია, რომლის ხმარებაც შეიძლებოდა. და იგი შესაძლებელია შემოტანილი იყოს<sup>148</sup>.

<sup>139</sup> Э. К. Кверфелъдт, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

<sup>140</sup> ს. წ. №№ 401, 2886, 2119 და სხვ.

<sup>141</sup> ყარაღაჯში ამ სახელოსნოს კუთვნილი ოციოდე ჭურჭლის პატარ-პატარა ნატეხებია აღმოჩენილი.

<sup>142</sup> დმანისში ამ სახელოსნოს კუთვნილი ექვსიოდე ჭურჭლის ნატეხებია.

<sup>143</sup> სსმფგ, ინვ. № 2—51:324... პირფართო, ღრმა ფილა, ძალიან დაუდევრად მოხატული.

<sup>144</sup> Maria Penkala, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

<sup>145</sup> იგივე ორნამენტი გვაქვს თბ. დედაციხის № 151 თეფშის ზედაპირზე, ტაბ. XXIII.

<sup>146</sup> სახელმწიფო ერმიტაჟი, გამოფენა; vr 2201, vr 355, vr 356, vr 2171...

<sup>147</sup> ს. წ. №№ 1920, 2792, 1762, 2063, 1889 და სხვ.

<sup>148</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 96—98. ავტორი მას ჭერმანულ ნაწარმად თვლის.



საქართველოში ნატეხების სახით აღმოჩენილ თეთრ, ლურჯად მოხატულ ირანულ ჭურჭელს შორის გვხვდება ისეთები, რომელთა წარმოების ადგილი ჯერ კიდევ დაუდგენილია.

თბილისის დედაციხის გახატობარძი არის რამდენიმე ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც მუქი, მკაფიო ლურჯი კობალტით არის მოხატული (ტაბ. XXIV)<sup>149</sup>. საღებავის ფერის მიხედვით, ისინი თითქოს უახლოვდება ქერმანულ ნაწარმს, მაგრამ აღნიშნულ ნაწარმზე კობალტი უმთავრესად გაღვრილია. აქ არა მარტო კობალტით, არამედ მოხატულობითაც აშკარად განსხვავებულ ჭურჭელთან გვაქვს საქმე. ჩანს, რომელიდაც სხვა, ჩვენთვის უცნობი სახელოსნოს ნაწარმია.

აქ აღწერილი ჭურჭლისათვის დამახასიათებელია თეთრი, რბილი კეცი (სიმტკიცე უდრის 3) და უფერული, მომწვანო ელფერის მქონე, გამჟვირვალე, ამჟამად ძალიან ირიზებული კიქური. კობალტი მუქი ლურჯია, მეტწილად გაღვრილი. მთლიანადაა მოხატული ჭურჭლის ზედაპირიცა და შიდაპირიც. მცენარეული ორნამენტი — ყვავილები (ლოტოსის) და წვრილი სტილიზებული ფოთლები — ავსებს ჭურჭლის ზედაპირსა და შიდაპირს. ჭურჭელი ქუსლმალაღი, თხელი თასებითაა წარმოდგენილი. მათ პირს ყავისფერი ზოლი შემოსდევს გარს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ჭურჭელი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის დედაციხეზეა აღმოჩენილი და, საფიქრებელია, რომ იგი არა მხოლოდ ჩვენთვის უცნობი სახელოსნოს ნაწარმია, არამედ, შესაძლებელია, ხნოვანებითაც განსხვავებულ ჭურჭელთან გვეკონდეს საქმე. ყარაღაჯში, სადაც მეტად მდიდრულადაა წარმოდგენილი XVII ს. მეორე ნახევრის ირანული ფაიანსის ნაწარმი, ამგვარი ჭურჭელი არა ჩანს, და, მაშასადამე, შეგვიძლია გამოვიცხულოდ მივიჩნიოთ მისთვის ეს ხანა. ამგვარად, იგი XVII ს. მეორე ნახევარზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ან — უფრო გვიანდელი, XVIII ს. კეთვნილი. თითქოს უფრო მართებული ჩანს მისი დათარიღება XVIII ს., ენათიდან ამგვარი ნაწარმი საქართველოს XVI—XVII სს. ძეგლთა განათხარებში არ აღმოჩენილა.

თბილისის დედაციხეზე აღნიშნულს გარდა, კიდევ გვხვდება უფრო განსხვავებული სახელოსნოდან მომდინარე ჭურჭლის ნატეხები. მათში გამოირჩევა ნაწარმი, რომელიც, ეტყობა, XVIII ს. დათარიღდება. მისი კეცი თეთრია, წმინდამარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის 4—5. იგი დაფარულია უფერული, გამჟვირვალე კიქურით, რომელსაც დაგროვილ ადგილებში მომწვანო ელფერი გადაჰკრავს. კიქური ბუშტულოვანი და ოდნავ ირიზებულია. ჭურჭელი მოხატულია მორუხო-მონაცრისფრო-მოლურჯო ელფერის მქონე კობალტით. ორნამენტი შემოვლებულია კონტურით და შეფერილია ერთი და იგივე საღებავით, რომელიც ალაგ-ალაგ, სქელ ფენად დადების გამო, უფრო მუქია. პირს ყავისფერი ზოლი შემოსდევს გარს. სტილიზებული ყვავილოვანი ორნამენტით არის შევსებული კონცენტრული ზოლებით შემოფარგლული გვერდი (ტაბ. XXIII<sub>4-5</sub>)<sup>150</sup>. მსგავსი ორნამენტით არის შემკული ერმიტაჟში

<sup>149</sup> ს. წ. №№ 1961, 2858; №№ 2115, 2616ა, 1902... №№ 2115, 1620; №№ 2181, 2680, 2091, 2386, 2722; №№ 1778, 1619, 1829; № 2091; № 1809 და სხვ.

<sup>150</sup> ს. წ. №№ 596, 2069 (ნატეხები ერთიმეორეს მუდგა); №№ 2079, 2037; №№ 2079; 2037; 2069; 1887. ჭურჭელი წარმოდგენილია მალაღი, მძიმე ჯამებით; ქუსლზე არ არის საშფეხას კვალი.

დაცული ჭურჭელი<sup>151</sup>, რომელიც კობალტის ფერთაყ ემსგავსება მას. აღნიშნული ჭურჭელი XVIII ს. დათარიღებული და მიკუთვნებულია ირანისათვის. წარმოების ადგილი დადგენილი არ არის.

მსგავს მცენარეულ სახეებს ვხედავთ ირანულ თეთრ, ლურჯად მოხატულ ჭურჭელზედაც, რომელიც ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში არის დაცული და XVIII ს. მიეკუთვნება<sup>152</sup>.

მამასადამე, ასევე შეგვიძლია ირანს მივაკუთვნოთ და პირობით XVIII ს. დავათარილოთ მსგავსი კოლორიტისა და მოხატულობის მქონე, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ჭურჭელიც.

ა. კუბე XVIII ს. ან შემდგომ ხანასაც კი მიაწერს ფაიანსის იმ ჭურჭელს, რომელსაც ძირზე ახატია ჩინურის მინაბაძი კვადრატული ნიშანი<sup>153</sup>, ვინაიდან. მისი დაკვირვებით, ამგვარი ნიშნის გამოყენება თვით ჩინურ ფაიფურზე იწყება არა უადრეს XVIII საუკუნისა<sup>154</sup>. მაგრამ, პ. გერნერის აზრით, კვადრატული ნიშანი ჩინურ ფაიფურზე გვხვდება ჩენ-ტეს ხანაშიც (1506—1521 წწ.)<sup>155</sup>.

კვადრატული ნიშნით აღბეჭდილ ფაიანსის ჭურჭელს ვერ ჩავთვლით მხოლოდ XVIII ს. კუთვნილად; ამას დანამდვილებით გვათქმევინებს ყარაღაჯში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭელი (ტაბ. XXX₂), რომელიც, როგორც ვიცით, კარგად თარიღდება XVII ს. მეორე ნახევრით. ასეთსავე სურათს ქმნის ა. ლეინის მიერ სპარსეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ნაწარმის ნიშნების დაჯგუფება საუკუნეების მიხედვით: კვადრატულ ნიშანს აქ ვხვდებით XVII საუკუნეშიც<sup>156</sup>.

თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილ ფაიანსის ჭურჭელში გამოირჩევა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომლის კეციც მოვარდისფრო-მოყვითალო და ნასვრეტოვანია; სიმტიკე უდრის 2. ეს ჭურჭელი დაფარულია თეთრი ანგობის სქელი ფენით და ზედ გადავლებული აქვს უფერული, გამჭვირვალე ჰიქურის თხელი ფენა. ჰიქური დამსკდარია და მეტწილად ირიზებული.

მოყვითალო-მოვარდისფრო, ანგობიანი რბილი კეცი დამახასიათებელი ჩანს ე. წ. „ყუბაჩური“ ნაწარმისათვის<sup>157</sup>. მისთვისევა დამახასიათებელი ძალიან თხელი, მინისებური, ადვილად მსკდომი ჰიქური<sup>158</sup>.

„ყუბაჩური“ კერამიკის წარმოების ცენტრი ჯერაც არ არის დადგენილი. ის გარემოება, რომ დალესტის სოფ. ყუბაჩის მცხოვრებთა შორის დღესაც არის შემორჩენილი აღნიშნული ნაწარმი, ა. ლეინს აძლევს საშუალებას გა-

151 ერმიტაჟში, გამოფენა.

152 A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 83.

153 აღსანიშნავია, რომ სახელოსნოს დადგენისას სამსახურს ვერ გავიწყვეს ზოგიერთი ირანული ჭურჭლის ძირზე შემორჩენილი ნიშანი, რომელიც ჩვეულებრივ ჩინური ფაიფურის ნიშნების მინაბაძია ხოლმე (A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 92; A. Kybe, დასახ. ნაშრ., გვ. 30).

154 A. Kybe, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

155 Harry Garner, Oriental Blue and White, London, 1954, ტაბ. 97—100.

156 A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 115—118.

157 Э. К. Кверцеладт, დასახ. ნაშრ., გვ. 124—127; A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

158 A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 35, 78.

მოთქვას ვარაუდი, რომ ამგვარი ქურქელი დაღესტანში შემოზიდულია სპარსეთის რომელიმე ნაკლებ შორეული საწარმოო ცენტრიდან<sup>159</sup> და რომ ეს ცენტრი შეიძლება იყოს, მაგ., თავრიზი, რომელიც მდებარეობს ზაქავარდინზე კავკასიის მისადგომებთან<sup>160</sup>.

ე. კვერფელდტი ფიქრობს, რომ „უბაჩური“ კერამიკის წარმოების ცენტრი საძებელია კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე ქვეყნებში, ეგვიპტე-ბაიკანშიც კი<sup>161</sup>.

თბილისის დედაციხის განათბარში აღნიშნული ნაწარმი საკმაოდ არის აღმოჩენილი და მასში სხვადასხვა ჯგუფები გამოირჩევა: გვხვდება როგორც თეთრი, ლურჯად მოხატული, ჩინური ფაიფურის მიბადვით ნაკეთები. ისე პოლიქრომული ქურქელი.

აქ განვიხილავთ თეთრი, ლურჯად მოხატული, ჩინური ფაიფურის მიბადვით ნაკეთებ ქურქელს, რომელშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა:

ამოკაწრული კონტურითა და კობალტით მოხატული უფერული გამქვირვალე ჰიქურით და ფარული ქურქელი წარმოდგენილია თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ერთი ქურქლის მეტად პატარა ნატეხით<sup>162</sup>, რომლის ორნამენტზე საერთოდ არ შეიძლება მსჯელობა. ნატეხზე ჰიქური ძალზე ირიზებული და ალაგ-ალაგ ამძვრალია. ჰიქურაცილი ადგილებში კარგად მოჩანს ანგობზე ამოკაწრული, ლურჯად შეფერილი ორნამენტის ნაშთი. ქურქლის შექმობის ამგვარი ტექნიკა დამახასიათებელია „უბაჩური“ კერამიკის ერთ-ერთი სახეობისათვის<sup>163</sup>.

შავი კონტურითა და კობალტით მოხატული უფერული გამქვირვალე ჰიქურით და ფარული ქურქელი თვალნათლივ გამოირჩევა ყველა დანარჩენი, თეთრი, ლურჯად მოხატული ქურქლისაგან: კეცით, დაშადების ტექნიკით, ჰიქურით, საღებავებითა და ორნამენტით.

მათი კეცი მოვარდისფრო-მოყვითალოა, ნასვერტოვანი: სიმტკიცე უდრის 2—3. ქურქელი თეთრი ანგობის სქელი ფენით არის დაფარული და შავი საღებავით გამოყვანილ კონტურს შიგნით შეფერილია კობალტის მოციფრო-ლურჯი საღებავით. ქურქელი დაფარულია უფერული გამქვირვალე ჰიქურის თხელი ფენით. ჰიქური დამსკდარია და ირიზებული.

ლურჯად შეფერილი ნახატის კონტურების შავი საღებავით გამოყვანა ამ ნაწარმს ქაშანურ ქურქელს უახლოვებს<sup>164</sup>.

ქურქელი მეტწილად პატარ-პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი. რის გამოც მათ ორნამენტზე მსჯელობა ჰიროს და სულ ორიოდ ქურქლის მოხატულობის წარმოდგენა თუ შეიძლება სრულად.

თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ამ ქურქლის ნატეხთა უმეტესობა ეკუთვნის სხვადასხვა მოყვანილობის თეფშებს. ლამბაქებს, ღრმა თასებსა თუ

<sup>159</sup> A. I. ane, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

<sup>160</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>161</sup> Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 125, 132.

<sup>162</sup> ს. წ. 1903.

<sup>163</sup> Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 125, 132.

<sup>164</sup> იქვე, გვ. 128.

ჯამებს. გვევლება აგრეთვე მრგვალმუცლიანი და ყელიწრო პატარა ჭურჭ-  
ლი ნატეხები. თევზების ქუსლი დაბალია, პირი გადაშლილი და ტალღოვან-  
ი. სამფეხას კვალი ჭურჭლის შიდაპირზე ჩანს. აღსანიშნავია, რომ ზოგის ქუს-  
ლი სპილენძის ცისფერი, გამკვირვალე ჭიქურითაა დაფარული. ზოგიერთზე  
რუხი საღებავით დატანილი ნიშანია.

ამ ჭგუფში შემავალი ჭურჭლის მოხატულობაში ხშირია ჩინური მოტივე-  
ბი. ვხედავთ ჩინურ პირობით პეიზაჟსაც (მეტადრე ჭურჭლის პირის შემკუ-  
ლობაში), პაგოდას, სახლებს, იუ-ი-ს (სურვილის ასრულების სკიპტრის)<sup>165</sup> თა-  
ვებს (ტაბ. XXV<sub>3</sub>) და სხვ. ჩინურის მინაბაძი პირობითი პეიზაჟი ჩვეულებრივ  
ორ ფენად, ერთიმეორის ქვეშ არის განლაგებული ძირზე. ზედაპირი მოხატუ-  
ლია კონცენტრულ ზოლებს შორის მოქცეული, ერთმანეთისაგან შეეული ხა-  
ზებით გამოყოფილი სტილიზებული ვარდულებით (ტაბ. XXV<sub>1</sub>, 2)<sup>166</sup>.

მუხედდავად იმისა, რომ სეფიანთა ხანაში ქაშანის, ქერმანის და იეზდის  
ფაიანსიც ჩინური ფაიფურის მინაბაძს წარმოადგენს, აღნიშნული ჭგუფი მათ-  
გან განსხვავდება არა მარტო კეცით, ჭიქურითა და საღებავებით, არამედ სა-  
ერთო იერთაც კი.

ეს ნაწარმი, ზოგი პარალელის მიხედვით<sup>167</sup>, XVII ს. უნდა დავათარილოთ  
და უფრო კი საუკუნის პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ, ვინაიდან დადგენი-  
ლია, რომ მთელი „ყუბაჩური“ ნაწარმის ხნოვანება მოდის დაახლოვებით 1630  
-იანი წლების ბოლომდე<sup>168</sup>. ამას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ამგ-  
ვარი ნაწარმი საქართველოში აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე და არ  
არის ყარაღაჯში, სადაც კარგადაა წარმოდგენილი XVII ს. მეორე ნახევრის  
ირანის ფაიანსი.

განხილულ ჭგუფს ძალიან უახლოვდება თბილისის დედაციხეზე აღმოჩე-  
ნილი ჭურჭლის ერთი ნაწილი — კეცით, ანგობითა და ჭიქურით — მაგრამ  
განსხვავებულია მისგან მოყვანილობითა და ორნამენტით. მათი კეცი მოვარ-  
დისფრო-მოყვითალოა, ნასვრეტოვანი, ფხვიერი; სიმტკიცე უდრის 2—3. ჭურ-  
ჭელი ორივე მხრივ თეთრი ანგობით არის დაფარული, მოხატულია შავი სა-  
ღებავის (ალაგ-ალაგ მომწვანო ელფერის მქონე) კონტურით, ხოლო შეფერი-  
ლი — კობალტის ღია ლურჯი საღებავით. ნაწარმი დაფარულია უფერული გამ-  
კვირვალე ჭიქურის თხელი ფენით. ჭიქური ახლა ირიხებულია.

<sup>165</sup> Maria Penkila. დასახ. ნაშ. ., გვ. 34.

<sup>166</sup> ს. წ. № 2577; №№ 4000, 2790, 3049, 3022 (სულ ერთი ჭურჭლის ნატეხებია, შეკო-  
ნიწებული). №№ 2790, 3049, 3022, 3047, 2790 (ნატეხები შეკოწიწდა).

<sup>167</sup> Э. К. Кверфелъ дт. დასახ. ნაშ., ტაბ. XXX.

<sup>168</sup> A. Lane. დასახ. ნაშ., გვ. 81, 93. ავტორი „ყუბაჩურ“ შავი საღებავით მოხატულ-  
სა და ფიჩუნისფერი გამკვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს, მრავალფერად მოხატულსა  
და უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს და ლურჯად მოხატულსა და უფერუ-  
ლი გამკვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს — ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთს მიაკუთვნებს  
და აღნიშნავს, რომ ისინი 1460 წლიდან 1630 წლამდე იწარმოება. მისი აზრით, 1598 წ., დე-  
დაქაქის ისპაჰანს გადატანამ ჩრდილოეთში ძალზე დააქვეითა წარმოება. თუმცა ჩრდი-  
ლოური წარმოების დაცემის უფრო არსებით მიზეზად ა. ლეინს ქერმანის ჭურჭლის უკეთე-  
ლი ხარისხი მიაჩნია (გვ. 81).

აღნიშნული ნაწარმი თბილისის დედაციხეზე ათიოდე მასიური, სქელი ჭურჭლის ნატეხებითაა წარმოდგენილი<sup>169</sup>. მათ შორის გვხვდება მაღალი, სქელი, პირსწორი ჯამები, რომელთაც დაბალი და მეტად მასიური ქუსლი აქვთ. ამგვარი ჯამი აღმოჩენილია თბილისის სხვა განათხარშიც, ერეკლე მეორის მოედანზე (ტაბ. XXVI)<sup>170</sup>, რომლის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აღნიშნული ჭურჭლის მოყვანილობა. არის აგრეთვე, როგორც ჩანს, დიდი, ნაპირბედაკბილული თევზისა თუ ლანგრის ნატეხები. ამგვარი ჭურჭლის ნატეხები მეტად პატარებია და მათ მიხედვით ჭურჭლის ორნამენტის სრულად წარმოდგენა შეუძლებელია. ზოგიერთი მათგანის მოხატულობის აღდგენა ხერხდება ისევ ერეკლე მეორის მოედანზე აღმოჩენილი, მსგავსი მოყვანილობა-ორნამენტის მქონე ჯამის მიხედვით (ტაბ. XXVI). პირთან შიგნით სტილიზებული ორნამენტის არმია შემოსდევს. გვერდი მოუხატავია. კონცენტრული ზოლებით გამოყოფილი ძირი ბუჩქებითა და მფრინავი წეროებითაა მოხატული. ჭურჭლის ზედაპირი უწყვეტი სტილიზებული მცენარეული ორნამენტით არის შემკული. ძირზე მომწვანო-მონაცრისფრო საღებავით გამოყვანილია ჩინურის მინაბაძი ნიშანი.

## 2. მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ა დ მ ო ხ ა ტ უ ლ ი, უ ფ ე რ უ ლ ი გ ა მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ ე ქ ი ქ უ რ ი თ და ფ ა რ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი

ამგვარი ნაწარმი მოხატულობით უფრო სპარსული ყადისაა, ვიდრე თეთრი, ლურჯად მოხატული ჭურჭელი<sup>171</sup>. დასახელებული ჯგუფი კეცისა და საღებავების ფერის მიხედვით იყოფა ქვეჯგუფებად.

თბილისის დედაციხის განათხარში აღმოჩენილ, მრავალფერად მოხატულსა და უფერული გამჭვირვალე ქიქურით დაფარულ ჭურჭელში გამოირჩევა სხვადასხვა საწარმოო ცენტრიდან მომდინარე ნაწარმი. გვხვდება ე. წ. „ყუბაჩური“. მისი კეცი მოვარდისფრო-მოყვითალოა, მსგავსი თეთრი, ლურჯად მოხატული, ანგობიანი, „ყუბაჩური“ ნაწარმის კეცისა.

აღნიშნულ ჭურჭელში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

ა) თ ე თ რ ა ნ გ ო ბ ი ა ნ ი, ლ უ რ ჯ ი, მ ო მ წ ვ ა ნ ო და მ ო ყ ა ვ ი ს ფ რ ო სა ლ ე ბ ა ე ბ ი თ მ ო ხ ა ტ უ ლ ი და უ ფ ე რ უ ლ ი გ ა მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ ე ქ ი ქ უ რ ი თ და ფ ა რ უ ლ ი ჭ უ რ ჭ ე ლ ი. ეს ნაწარმი თბილისის დედაციხის განათხარში აღმოჩენილი ერთი თევზითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXVII)<sup>172</sup>. იგი დაფარულია უფერული, მომწვანო ელფერის მქონე გამჭვირვალე ჭიქურით. ქიქური დამსკდარია და ოდნავ ირიზებული, ზოგან კი კეცისაგან ამქვრალიც. თევზს სამფხხას კვალი შიდაპირზე აქვს.

ჭურჭლის შიდაპირი კობალტის რადიალური ზოლებით დაყოფილია 6 ნაწილად, რომლებშიც რიგ-რიგობით მონაცვლეობს ლურჯი და მწვანე საღებავი.

169 ს. წ. №№: 1224, 1285; № 1224; 1321, 1287, 933; 886; 1199; 1367, 1315, 461...

170 თიემ, ინვ. № ბ-1493—57.

171 A. L a n e, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

172 ს. წ. № 1234.

ვით გამოყვანილი ორნამენტი: ლურჯით დატანილია ხე, ხოლო მწვანით ბუჩქი — ტოტები დიდი ფოთლებითა და მათ შორის მოყავისფრო საღებავის 7 წერტილით შედგენილი ექვსფურცელა ვარდულა.

ზედაპირი ორ კონცენტრულ ზოლს შორის მოქცეული, ერთიმეორისაგან შვეული ხაზებით გამოყოფილი სტილიზებული ყვავილებითაა შემკული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჭურჭელი კეცითა და ანგობით წაავას ზევით განხილულ ანგობიან. თეთრ, ლურჯად მოხატულ ნაწარმს, საღებავებით, ორნამენტით, მოყვანილობით (პატარა ქუსლდაბალი და თხელი თეფშია) მათგან სრულიად განსხვავებულია, განსხვავდება იგი ყველა დანარჩენი მონაპოვრისგანაც.

ჭურჭლის შიდაპირის რადიალური ზოლებით დაყოფა არა ჩანს დამახასიათებელი სეფიანთა დროის ირანული ნაწარმისათვის. მაგრამ დასახელებული ჭურჭლის კეცი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ემსგავსება თეთრი, ლურჯად მოხატული, ანგობიანი ნაწარმის კეცს, ამ ჭურჭლების ხნოვანებასაც აახლოვებს.

ჯ. რეიტლინგერს გამოქვეყნებული აქვს თითქოს ამგვარადვე მოხატული ჭურჭელი, რომელიც, როგორც აღწერიდან ჩანს, ემსგავსება თბილისის დედაციხეზე ნაპოვნ თეფშს — კეცითაც და საღებავებითაც. მათი კეცი მოყვითალოა, ალაგ-ალაგ მოწითალო, ჭიქური დამსკდარი. ისინი მოხატულია მოყავისფრო-მოშავო და ფოლადისფერი-ლურჯი საღებავებით. ჯ. რეიტლინგერი გვთავაზობს ამ ჭურჭლისათვის 1500 წელთან მიახლოვებულ თარიღს. მისი აზრით, ისინი წარმოდგენენ რგოლს XV საუკუნის „ყუბაჩურ“ თეფშებსა და უფრო გვიანდელ „ყუბაჩურ“ ჭურჭელს შორის<sup>173</sup>.

თბილისის დედაციხეზე ნაპოვნი, ზემოაღნიშნული ჭურჭლის ესოდენ „დაძველება“ თითქოს მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ვინაიდან იგი კეცით ძალიან მოგვაგონებს XVII ს. დასაწყისის კუთვნილ ჭურჭელს. მთელი საუკუნის განმავლობაში ერთნაირი კეცის მქონე ჭურჭლის კეთება კი საეჭვოა.

ბ) ნაცრის ფერანგობიანი, მწვანე, ყვითელი, წითელი და თეთრი საღებავებით მოხატული, უფერული გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. ასეთი ნაწარმიც თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი ერთი ჭურჭლის პატარა ნატეხებით არის წარმოდგენილი (ტაბ. XXVII<sub>2</sub>)<sup>174</sup>. მისი კეცი (მოყვითალო-მოვარდისფრო; სიმტიცე — 2—3) დაფარულია ნაცრისფერი ანგობითა თუ საღებავით, ხოლო მოხატულია თეთრი ანგობითა და მწვანე, წითელი და ყვითელი საღებავებით. ჭურჭელს გადავლებული აქვს უფერული გამჭვირვალე ჭიქური. ეს უკანასკნელი დამსკდარია და ირიზებული.

შემორჩენილი ნატეხების მიხედვით ძნელია ორნამენტზე საუბარი. პირი შემკული ყოფილა მწვანე საღებავის კონცენტრულ ზოლებს შორის მოქცეული, ერთმანეთზე დადგმული მოკლე რკალებითა და მათ შორის მოთავსებული თეთრი წერტილებისაგან შემდგარი არშიით. აღნიშნული ორნამენტით ჭურჭ-

<sup>173</sup> G. Reitlinger. The Interim Period in Persian Pottery. *Ars Islamica*. vol. V. pt. 2. 1938. გვ. 172, 173, სურ. 19, 20.

<sup>174</sup> ს. წ. №№ 2799, 2981, 2614, 2653.

ლის პირის შემკობა დამახასიათებელი ჩანს ე. წ. „ყუბაჩური“ პრავალფერადი (პოლიქრომული) კურკლისათვის<sup>175</sup>.

ძირ-ქუსლის ნატეხზე შემორჩენილია მწვანე საღებავის კონტურით დატანილი და წითელი, ყვირელი და თეთრი საღებავებით შეფერილი ყვავილი.

თბილისის დედაციხეზე ნაპოვნი ეს კურკელი კეცისა და მოხატულობის მიხედვით „ყუბაჩურ“ ნაწარმს წარმოადგენს და შეიძლება მიეკუთვნოს, ისევე, როგორც ზევით განხილული მსგავსი კეცის მქონე თეთრი, ლურჯად მოხატული ნაწარმი, XVII ს. დასაწყისი.

მრავალფერად მოხატულ, უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარულ კურკელში გამოირჩევა აგრეთვე ქ. ქერმანიდან მომდინარე ნაწარმი.

გ) კობალტითა და წითელი ანგობით მოხატული და უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარული კურკელი. ამგვარი ნაწარმი საქართველოში აღმოჩენილია დმანისსა (ტაბ. XXVII<sub>2</sub>)<sup>176</sup> და თბილისის დედაციხეზე (ტაბ. XXVII<sub>1</sub>)<sup>177</sup>. ეს არის სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის კურკელი. გვხვდება თეფშის ან პირდაშლილი თასის, სწორკედლიანი ღრმა თასის, პირგადაკეცილი თეფშის, სურისა და სხვა კურკლის ნატეხები.

მათი კეცი თეთრია, წმინდამარცვლოვანი; სიმტკიცე უდრის 5—6. კურკელი დაფარულია უფერული, გამკვირვალე, ამჟამად ოდნავ ირიზებული ჭიქურით. მოხატულია ნათელი, მკაფიო ლურჯი საღებავითა და წითელი ანგობით. ამგვარი კურკლის ზედაპირი თუ შიდაპირი (კურკლის ფორმის მიხედვით) ჩვეულებრივ მთლიანადაა დაფარული მცენარეული ორნამენტით. ამ ნაწარმის ორნამენტი უფრო ადგილობრივი, სპარსული ჩანს და განსხვავებულია თეთრი, ლურჯად მოხატული ნაწარმისაგან. აღსანიშნავია, რომ მისი მოხატულობა უახლოვდება სეფიანთა ხანის ლუსტრიანის ნაწარმის მოხატულობას<sup>178</sup>.

წითელი ანგობითა და კობალტით მოხატვა, ეტყობა, თურქული, „როდოსული“ ტიპის კურკლის მინაბამს წარმოადგენს<sup>179</sup>. აღნიშნული კურკელი ქერმანულ ნაწარმადაა მიჩნეული<sup>180</sup>.

დ) ლურჯი და მწვანე საღებავებით და წითელი ანგობით მოხატული, უფერული გამკვირვალე ჭიქურით დაფარული კურკელი. თბილისის დედაციხის განათხარში იგი ერთი კურკლის ორი პატარა ნატეხითაა წარმოდგენილი. კეცი და ჭიქური ისეთივე აქვს, როგორც კობალტითა და წითელი ანგობით მოხატულ კურკელს. ისეთივეა კობალტი და წითელი ანგობიც. აქ დამატებით ვხედავთ მხოლოდ მწვანე საღებავს. რაც შეეხება ორნამენტს, ჩვენ ხელთ არსებული ნატეხების მიხედვით მასზე მსჯელობა არ შეიძლება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მოხატულობაც ძალიან ემსგავსება წითელი ანგობითა და კობალტით მოხატუ-

175 A. U. Pore, დასახ. ნაშრ., ტ. V. ტაბ. 589, 793B; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXI.

176 სსმფ, იხვ. № 17—37—13.

177 5—6 კურკლის ნატეხები (ს. წ. №№ 2794, 2635; № 2450).

178 A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

179 Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

180 A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 57—61.

ლი კურკლისას. ეს კარგად ჩანს ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში დაცული პოლიქრომული კურკლის მიხედვით<sup>181</sup>.

განხილული ჯგუფები თანადროული უნდა იყოს, იმდენად დიდია მათი მსგავსება როგორც კეცისა და ჭიქურის, ისე მოხატულობის მხრივ.

ე. კვერფელდტი კობალტითა და წითელი ანგობით მოხატულ ნაწარმს XVI ს. ათარიღებს<sup>182</sup>. პოლიქრომულ ნაწარმს ზოგი ავტორი XVII ს. აკუთვნებს<sup>183</sup>, ხოლო ზოგი — აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარს<sup>184</sup>. ამ კურკლის მწარმოებელ ცენტრად ერთხმად აღიარებულია ქერმანის<sup>185</sup>.

ქერმანსეე უნდა მიეკუთვნოთ საქართველოში აღმოჩენილი ასეთი კურკელი და ისიც უნდა დავათარილოთ XVII ს., ეტყობა, უფრო სწორი იქნება ამ საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღება, ვინაიდან დასახელებული ნაწარმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოხატულობით უახლოვდება ლუსტრიან კურკელს. რომელიც, ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალბის მიხედვით, სწორედ იმ ხანას მიეკუთვნება. ამას გარდა, ა. ლეინს გამოქვეყნებული აქვს 1677 წ. დათარიღებული (გოდმანის კოლექციაში შემაგალი) პოლიქრომული კურკელი<sup>186</sup>.

3. შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამკვირვალე ჭიქურით დაფარული კურკელი საქართველოში ამგვარი ნაწარმი აღმოჩენილია თბილისში<sup>187</sup>, დმანისსა<sup>188</sup> და უჯარმაში<sup>189</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული კურკელი „ყუბაჩური“ ნაწარმად არის მიჩნეული<sup>190</sup> და, ისევე როგორც თეთრი, ლურჯად მოხატული და პოლიქრომული კურკელი, მიკუთვნებულია ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთისადმი<sup>191</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი კურკლის კეცი ერთიმეორის მსგავსია: მოთეთრო-მონაცრისფრო, მსხვილმარცვლოვანი, მუქი მინარეგების შემცველი: სიპტიკე უდრის 3—4. იგი განირჩევა „ყუბაჩური“ თეთრი, ლურჯად

181 A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 57—61, ტაბ. D.

182 Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

183 A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 800, 801.

184 Charles K. Wilkinson. Iranian Ceramics. New-York, 1963, ტაბ. 90; A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. D, ტაბ. 57—61, გვ. 103.

185 აღსანიშნავია, რომ ქერმანს პოლიქრომული კურკლის წარმოების მონაპოვია აქვს. სწორედ ამიტომ, რომ სხვა ქალაქთა სახელსონობეც მის ნაწარმს ბაძავენ და საკუთთა არაფერს ეწიან. როგორც ფიქრობენ, ქერმანის პოლიქრომული კურკლის მინაბაძებს აშხადდენდ ზარანდში და ქერმანის პროვინციაში, შესაძლოა იეზდშიც. მაგრამ ამ ნაწარმის ლურჯ ნახატს შავი კონტური აქვს შემოვლებული, ხოლო ძირზე შავი საღებავით გამოყვანილია „A“-ს მსგავსი ნიშანი (იხ. A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 84).

186 A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 60B, გვ. 83.

187 თბილისის დედაციხეზე ამგვარი 5—6 კურკლის ნატეხებია აღმოჩენილი: №№ 1936, 2023; 2878, 1975, 2959, 2008, 2600, 2014...; 2878 და სხვ. ასეთივე კურკლის ორი პატარა ნატეხი აღმოჩენილია 300 არაგველის ბაღის განათბარში (სსმფგ, ინვ. № 1—54:643), XXII თბილისი. რომელსაც სახელსონოსთან და გადანაყართან კავშირი არა აქვს.

188 სსმფგ, ინვ. № 3323.

189 უჯარმაში ეს ნაწარმი ერთი პატარა ნატეხითაა წარმოდგენილი (სსმფგ, ინვ. № 2—57:550).

190 A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 78, 81.

191 იქვე.



მოხატული და პოლიქრომული ჭურჭლის კეცისაგან, როგორც ფერიტა და შემადგენლობით, ისე სიმტყეცით. მათგან განსხვავებით იგი აგრეთვე არ არის დაფარული თეთრი ანგობით. ჭურჭელი მოხატულია შავი, ზოგჯერ მწვანე საღებავით და ზედ გადავლებული აქვს ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქური. ეს უკანასკნელი დამსკდარია და ალაგ-ალაგ ირიზებული. ნაწარმი წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობის ჭამებით. ქუსლი დაბალია და მეტწილად უჭრქუროდ დატოვებული. ჭამებს სამფეხას კვალი შიდაპირზე აქვთ. საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლის მოხატულობა მსგავსია. თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი სამი ჭურჭელი (№№ 2878, 1936 და 2878), რომელთა მოხატულობაზედაც შეიძლება მსჯელობა, შუაში ვარდულითაა შემკული. გვერდის მოხატულობაშიც ვხვდებით მსგავს მოტივებს. არის ზუსტად ერთნაირი ორჰანენტით შემკული ჭურჭელიც (თბ. დედაციხე — № 1936; 300 არგველის ბაღი — სსმფგ, № 1—54:643).

ამგვარად, საქართველოში აღმოჩენილი, შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი თანადროული ჩანს, იმდენად მსგავსია მათი კეცი, საღებავი, ჭიქური და მოხატულობა.

შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭლის ადრეული ჯგუფი მიეკუთვნება XV ს. მეორე ნახევარს<sup>192</sup>. ეს კოლორიტული სქემა დიდხანს იხმარება, ადრეულ XVII საუკუნემდე<sup>193</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმი მოხატულობის მიხედვით პარალელს ვერ პოულობს ადრეულ ცალბთან. იგი შეიძლება ისევე დათარიღდეს, როგორც თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი, სხვა „ყუბაჩური“ ნაწარმი, ე. ი. XVII ს. დასაწყისით.

## III. ლუსტრიტ მოხატული ზურაველი

საქართველოში<sup>194</sup> აღმოჩენილ ფაიანსის ნაწარმში გვხვდება ლუსტრიტ მოხატული ჭურჭელიც (ტაბ. XXVIII<sub>1-3</sub>), რომელიც კეცით, ჭიქურით, ლუსტრის ფერიტა და ორნამენტით სეფიანთა ირანის ნაწარმს წარმოადგენს.

ლუსტრიტ მოხატვის ტექნიკა „სეფიანურ“ კერამიკას მემკვიდრეობით გადაეცა შუაფეოდალური ხანის ისლამური კერამიკისაგან. მაგრამ ახლა უკვე ნათლად ჩანს იმ ტრადიციების რღვევა<sup>195</sup>. მოხატულობის სიუფეტებს წმინდა პეიზაჟურა და „ბოტანიკური“ ხასიათი ენიჭება, ხოლო არაბესკების ძველი მიტაევი მ-ჰქრალადა გვხვდება ჭურჭლის ნაპირებზე. იმდროინდელი ლუსტრის მოოქროსფრო ტონი გამოირჩევა ელფერის სიწმინდით და ჭმნის ვარდისფერს, იისფერსა და მოცისფრო ანარეკლებს. სეფიანთა ხანაში კობალტის ტონი განდევნილია ლუსტრიტ გამოყვანილი კომპოზიციიდან და იგი იხმარება მხოლოდ ჭურჭლის ზედაპირის მთლიანად შესაფერავად<sup>196</sup>.

<sup>192</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

<sup>193</sup> იქვე.

<sup>194</sup> ყარაღაში 60-ილე ნატეხია, თბ. დედაციხეზე — 5—6 ჭურჭლის ნატეხები (№ 702 — ორი ჭურჭლის ნატეხებია, №№ 2757, 2312 და სხვ.), რუსთავის ნაიხარზე — 1 ნატეხი, მცხეთაში (სეფიტხოვლის უბანზე) — 1 ჭურჭლის ნატეხი, № 10179.

<sup>195</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>196</sup> მ. კ. Квартельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 98, 99.

სეფიანთა დროის ლუსტრით მოხატული თეთრი, მტკიცე კეცი<sup>197</sup> ჩვეულებრივ დაფარულია გამკვირვალე კიქურით<sup>198</sup>.

საქართველოში აღმოჩენილი, სეფიანთა ხანის ლუსტრიანი ფაიანსის კურკლის ნატეხები სხვადასხვა ზომის ქუსლდაბალ თასებსა თუ თეფშებს ეკუთვნის. ზოგი მათგანის ძირი შუაში შეზნექილია. მათი კეცი თეთრია, მტკიცე (5—6), წმინდამარცვლოვანი.

კურკლის უმეტესობა ორივე მხრივ დაფარული ყოფილა უფერული, მომწვანო ელფერის მქონე, გამკვირვალე კიქურით. არის ნატეხები, რომელთა ზედაპირი დაფარულია უფერული გამკვირვალე კიქურით, შიდაპირი კი კობალტის ლურჯი, გამკვირვალე კიქურით. ზოგჯერ კურკელი მთლიანად კობალტის ლურჯი, გამკვირვალე კიქურითაა დაფარული. კიქური ირიზებულა, ზოგზე — დამსკდარიც.

კურკელი ჩვეულებრივ მთლიანად, ქუსლიანად არის დაფარული კიქურით. ძირზე სამფეხა სადგარის კვალია. ლუსტრი, იშვიათ გამონაკლისს გარდა, ყველა ნატეხზე მთლიანად ამძვრალია და ზედაპირზე მხოლოდ მისი ადგალია ჩანს. ზოგ ნატეხზე, რომელზედაც შემორჩენილია, ლუსტრი მოყავისფრო-მოწითალოა, ზოგზე — მოყვითალო-მოოქროსფრო, ან ყავისფერი; ზოგზე — მოყავისფრო-მოყვითალო, მოვარდისფრო ელფერის მქონე.

ორნამენტზე საუბარი მეტწილად ძნელია, თუმცა ზოგ ნატეხზე კარგად შეიმჩნევა ყვავილოვანი ორნამენტის ნაშთი, ზამბახის გრძელი, წაწვეტებული ფოთლები და ყვავილები, მიხაკები და სხვ. ამგვარი ორნამენტით, ჩვეულებრივ, თეფშის ძირია შემკული, პირს კი გეომეტრიული ან სტილიზებული მცენარეული ორნამენტის არშია შემოსდევს.

აღნიშნული კურკლის დათარიღებას საკითხი შემდეგნაირად დგას: ლუსტრით მოხატვის ტექნიკა სირიაში ჩაკედა XIV ს. ბოლოს. სპარსეთში კიდევ ჩანს მისი დამზადების ცალკეული ცდები XV საუკუნეშიც, მაგრამ არ მოიპოვება კურკელი, რომელიც შეიძლება XVI ს. მიეკუთვნოს<sup>199</sup>.

ა. ლეინი სეფიანთა ხანის ლუსტრით მოხატულ ნაწარმს XVII ს. მეორე ნახევარს ან უფრო გვიან ხანას მიაკუთვნებს — მათი მოხატულობის სტილის მიხედვით, რომლითაც იგი უახლოვდება ქერმანის პოლიქრომულსა და თეთრ, ლურჯად მოხატულ ნაწარმს<sup>200</sup>.

ასევე XVII ს. მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს საქართველოში აღმოჩენილი სეფიანთა ხანის ლუსტრიანი ფაიანსის კურკელი, რომლის უმეტესობაც სადღეისოდ ყარაღაჯშია ნაპოვნი და, მამასადადამე, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, სწორედ იმ ხანას განეკუთვნება. ამ თარიღის სისწორეს ისიც ემოწმება, რომ გრემში, რომელიც XVII ს. პირველ ნახევარში წყვეტს არსებობას, ამგვარი ნაწარმი არ აღმოჩენილა. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ლუსტრით მოხატული კურკელი ქუსლით (რომელიც მთლიანად არის დაფარული კიქურით, ზოგჯერ შუაში შეზნექილია და აქვს სამფეხას კვალი) წააგავს იეზიდისა და მეშქედის (?) XVII ს. მეორე ნახევრის კუთვნილ თეთრ, ლურჯად მო-

<sup>197</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>198</sup> Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 99—100.

<sup>199</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>200</sup> იქვე.

ხატულ ნაწარმს, მოხატულობის მიხედვით კი სრულიად განსხვავდება ამ უკანასკნელსაგან და წააგავს ქერმანის XVII ს. მეორე ნახევრის კუთვნილი პოლიქრომული ქურჭლის მოხატულობას<sup>201</sup>. ამგვარად, ამ ორი ნიშნის (ქუსლითა და მოხატულობით) მიხედვით იგი სწორედ XVII ს. მეორე ნახევარს განეკუთვნება.

ლესტრიანი ქურჭლის წარმოების ადგილი ჭერ კიდევ დაუდგენელი რჩება. ა. ლეინი არ ეთანხმება მ. სმიტს, რომელიც ასეთ ცენტრად ქაშანს მიიჩნევს. იგი ფიქრობს, რომ ლესტრიანი ქურჭელი დიდად განსხვავდება ქაშანური ნაწარმისაგან. მისი აზრით, იგი უფრო სამხრეთ სპარსეთის ნაწარმია და, ლესტრით მოხატული ბოთლების ფორმის მიხედვით. ლეინით მდიდარი შირაზის ნაქეთობა უნდა იყოს<sup>202</sup>.

ჩვენ გვიძნელდება აქ გადმოცემული ამა თუ იმ აზრის გაზიარება, მით უმეტეს. რომ აღნიშნული ნაწარმი, როგორც მოყვანილობით (ქუსლით), ისე მოხატულობით, არ წააგავს დასახელებული ქალაქებიდან მომდინარე ქურჭელს. თუმცა ისიც უნდა დავძინოთ, რომ ჩვენთვის შირაზული ნაწარმი ცნობილი არ არის.

#### IV. სეფიანთა ხანის თეთრი ფაიანსი

აღნიშნული ნაწარმი<sup>203</sup> მეტად ფაქიზი, თხელკედლიანი და გამჭვირვალეა. მისი კეცი თეთრია, მეტად მტკიცე<sup>204</sup>, უახლოვდება ფაიფურს. ქურჭელი დაფარულია უფერული, გამჭვირვალე მოწყვანო ელფერის მქონე ჭიქურით. ჭიქური არ არის დაბზარული, ზოგან ალაგ-ალაგ ოდნავ ირიზებულია.

ამგვარი ნაწარმი უმათერესად წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობის ჭუსლდაბალი თევშებითა და თასებით. არის აგრეთვე ხელადისმაგვარი, გადმოსასხმელმილიანი ქურჭელი. საყურადღებოა, რომ ყველა მათგანის დაბალ ქუსლზე, რომელიც მთლიანად მოჭიქულია, სამფეხას კვალი არ შეიმჩნევა. ათა ჩანს იგი არც ქურჭლის შიდაპირზე.

შემოების ტექნიკის მიხედვით გვხვდება: სრულიად სადა, უორნამენტო ქურჭელი<sup>205</sup>, ამოკაწრული ორნამენტით შემკული ქურჭელი<sup>206</sup> და კობალტით მოხატული ქურჭელი<sup>207</sup>.

ერმიტაჟში დატულია ამ ჯგუფისათვის მისაკუთვნილებელი რელიეფური ორნამენტითა და ჭვირვით შემკული ქურჭელი. ზოგჯერ, ამოკაწრულ ორნამენტთან ერთად, ქურჭელი კობალტითაცაა მოხატული<sup>208</sup>.

<sup>201</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>202</sup> იქვე. გვ. 104.

<sup>203</sup> საქართველოში გვხვდება თბილისის დედაციხესა და ყარაღაჯში.

<sup>204</sup> მე-7 მიწერალი ვერ კაწრავს.

<sup>205</sup> თბ. დედაციხე, ს. წ. № 2080 — ძალზე პატარა ლამბაჯი (ასეთი ქურჭელი დატულია ერმიტაჟში) და პატარა ვიწროყელიანი, მრგვალმუცლიანი ქურჭლის პირ-გვერდის ნატეხი.

<sup>206</sup> ამგვარი ქურჭელი აღმოჩენილია ყარაღაჯსა (ხუთიოდე ქურჭლის ნატეხები) და თბ. დედაციხეზე (15-ოდე ქურჭლისა თუ მათი ნატეხებითაა წარმოდგენილი) — ს. წ. №№ 700, 701ა, 701. 1343...

<sup>207</sup> თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 2091, 2492, 3048.

<sup>208</sup> ერმიტაჟი, გამოფენა, VI 21.

საქართველოში ეს უკანასკნელი სახეობანი ჯერჯერობით არა გვაქვს აღმოჩენილი. ყველაზე უკეთ აქ ამოკაწრული ორნამენტით შემკული, უფერული გამკვირვალე ქიქურით დაფარული ქურქელია<sup>209</sup> წარმოდგენილი. ქურქელის შემკობა სადაა, მაგრამ ეფექტური. მათი შიდაპირი ან ზედაპირი შემკულია შიშველ, გამოუწვევ კეცზე დატანილი ამოკაწრული ყვავილოვანი ან გომეტრიული ორნამენტით. ორნამენტი წმინდა ხელსაწყობითა გამოყვანილი. უმოავრესად გვხვდება სხვადასხვა მოყვანილობის ქუსლდაბალი თეფშები (ტაბ. XXVIII<sub>1</sub>, XXIX<sub>1, 3, 4</sub>). არის ხელადისმაგვარი, გადმოსასხმელმილიანი ქურქელიც (ტაბ. XXI<sub>X</sub><sub>2</sub>).

თბილისის დედაციხის განათხარში აღმოჩენილი ამგვარი ნაწარმის ზოგ ნიმუშს ზედმიწევნითი პარალელი მოებოვება (ამ შემთხვევაში საუბარია არა ტექნიკურ მხარეზე, იგი თავისთავად იგულისხმება) ერმიტაჟში დაცულ, ამ ტიპის ქურქელში<sup>210</sup>. თბილისის დედაციხის თეფშის (№ 701) (ტაბ. XXIX<sub>1</sub>) მსგავსი სპარსული ქურქელი, დაცული ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმში, გამოქვეყნებული აქვთ ა. ლეინსა<sup>211</sup> და ა. პოუპს<sup>212</sup>. ასევეა მოხატული ე. გროუბის<sup>213</sup> მიერ გამოქვეყნებული თასი (თბ. დედაციხის თასისაგან — № 701 — განსხვავებით აქ ორნამენტით შემკულია ქურქლის ზედაპირი). იგივე თასი გამოქვეყნებული აქვს ჩ. ვილინსონსა<sup>214</sup>.

დასახელებული ავტორები ამ ნაწარმს XVII ს. მეორე ნახევრით<sup>215</sup> ან უფრო გვიანი ხანითაც კი<sup>216</sup> ათარიღებენ. ზოგს მისი თარიღი XVIII საუკუნეშიც კი გადმოაქვს<sup>217</sup>.

დასახელებული ქურქლის ხნოვანება ზუსტდება ყარაღაჯში აღმოჩენილი ცალეხის მიხედვით (ტაბ. XXVIII<sub>4</sub>): იგი XVII ს. მეორე ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება ამ ქურქლის წარმომავლობას, ყველა დასახელებული ავტორი მას ერთხმად სპარსეთს მიაწერს, მაგრამ სპარსეთის სახელდობრ რომელ საწარმოო ცენტრშია იგი დამზადებული, ჯერ კიდევ დასადგენია. ზოგი ავტორი ცდილობს გაუიგივეოს ეს ჯგუფი დოქტორ მარტინ ლისტერის (1698 წ.) მიერ მოხსენიებულ „ჰომრუნის ნაწარმს“, მაგრამ, როგორც ა. ლეინი აღნიშ-

<sup>209</sup> თბ. დედაციხე, ს. წ. №№ 700, 701, 701<sub>a</sub>, 1343...

ყარაღაჯში ხუთიოდე ქურქლის ნატეხებია აღმოჩენილი.

<sup>210</sup> ერმიტაჟი. გამოფენა, VII 14. ეს ქურქელი ჩინური ფუძიაური ფაიფურის მიზაძივით არის ნაკეთები ირანში (Э. К. Кверфельдт. დასახ. ნაშრ., გვ. 100. Т. Б. Арапова. И. В. Рапопорт. К истории культурных связей Ирана и Китая в XVI—XVIII вв. Тезисы докладов всесоюзной конференции по искусству и археологии Ирана. М., 1969. გვ. 35).

<sup>211</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 99A, გვ. 109—110.

<sup>212</sup> A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 811, c.

<sup>213</sup> Ernst J. Grube. The Art of Islamic Pottery, The Metropolitan Museum of Art Bulletin, vol. 23, 1965, № 6, გვ. 217, სურ. 13.

<sup>214</sup> Ch. Wilkinson, დასახ. ნაშრ., გვ. 141, ტაბ. 98.

<sup>215</sup> E. Grube. დასახ. ნაშრ., გვ. 217, სურ. 13.

<sup>216</sup> A. Lane. დასახ. ნაშრ., ტაბ. 99A, გვ. 109—110.

<sup>217</sup> A. U. Pope. დასახ. ნაშრ., ტ. V, ტაბ. 811c; Ch. Wilkinson. დასახ. ნაშრ., ტაბ. 98, გვ. 141.

ნავს, ჰომრუნი (ბადენ-აბასი) იყო მხოლოდ ნავსადგური, საიდანაც ყოველ-გვარი სპარსული კერამიკა გაჰქონდათ<sup>218</sup>.

აღნიშნული ნაწარმი ჩინური ფაიფურის მიბაძვით კეთდებოდა ირანში. მიბაძვა ჩანს არა მარტო ტექნიკის მხრივ, არამედ ფორმისა და ორნამენტის მხრივაც კი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ტიპური სპარსული ფორმის ჭურჭელზედაც გვხვდება ჩინური მოტივები (ტაბ. XXIX).

ამგვარად, სეფიანთა ირანში წარმოებული ფაიანსის შესაწავლად ღიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ არქეოლოგიურ მასალებს — ყარაღაჯისა და თბილისის დედაციხის მონაპოვრებს. როგორც დაეინახეთ, ისტორიული ვითარებისა და არაერთი პარალელური მასალის გათვალისწინებით ყარაღაჯში მოკრებილი ფაიანსი XVII ს. მეორე ნახევრით თარიღდება და, ამათანავე, საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე პარალელური მასალის მოშველიებით, თბილისის დედაციხის განათხარადან მომდინარე ფაიანსში გამოვყოთ უფრო ადრეული — XVII ს. დასაწყისისა და უფრო გვიანდელი — XVIII საუკუნის — კუთვნილი ნაწარმი.

როგორც უკვე გვექონდა აღნიშნული, ის გარემოება, რომ XV—XVI სს. სპარსული კერამიკა ცოტაა შემორჩენილი და ძალზე ნაკლებაა შესწავლილი<sup>219</sup>, აძნელებს საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლთა განათხარების აღნიშნული დროის კუთვნილი სპარსული ნაწარმის განსაზღვრას.

### თურქული ფაიანსი

ფეოდალური საქართველოს ძეგლთა განათხარებში გვხვდება თურქული ფაიანსიც. იგი წარმოდგენილია იზნიკიდან მომდინარე „დამასკოსა“ და „როდოსის“ სტილის ჭურჭლის ნატეხებითა და ქუთაშიდან მომდინარე ჭურჭლის ნატეხებით.

თურქული კერამიკის წარმოება თავმოყრილი იყო უმთავრესად მარმარილოს ზღვის ნაპირას მდებარე პატარა ქალაქ იზნიკში<sup>220</sup>. იზნიკური კერამიკა თარიღდება XVI—XVII საუკუნეებით და მოიცავს სამ ძირითად ჯგუფს: ქუთაშიისას, დამასკოსას<sup>221</sup> და როდოსისას<sup>222</sup>. ა. ლეინი მათთვის გვთავაზობს სახელწოდებას — „იზნიკის კერამიკა I, II, III“<sup>223</sup>.

<sup>218</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

<sup>219</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

<sup>220</sup> იზნიკის დაწინაურებას ხელი შეუწყო მის მახლობლად ღია ფერის თიხის ბუდობების არსებობამ (იხ. Ю. А. Миллер, Искусство Турции, Москва-Ленинград, 1965, გვ. 40).

<sup>221</sup> დამასკო მხოლოდ საექსპორტო პუნქტია. საერთოდ ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა საქონელი სახელს იღებს არა დამზადების ადგილის, არამედ გატანის ადგილის მიხედვით. А. Н. Куде, დასახ. ნაშრ., გვ. 38; Э. К. Кверфелдт, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

<sup>222</sup> XIX ს. 60-იან წლებში კლიუნის მუზეუმმა (პარიზში) კუნძულ როდოსზე შეიძინა თურქული ფაიანსები, რომელთაც ამის გამო მიენიჭათ „როდოსულის“ სახელი. А. Н. Куде, დასახ. ნაშრ., გვ. 36; Э. К. Кверфелдт, დასახ., ნაშრ., გვ. 114.

<sup>223</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

იზნიკური კერამიკის სამივე ჯგუფის კეცი<sup>224</sup> დაფარულია თეთრი ანგობით, მოხატულია სხვადასხვაფერი საღებავებით და მოვლებული აქვს უფერი გამჭვირვალე. ბრწყინვალე კიქურის თხელი ფენა<sup>225</sup>.

იზნიკის კერამიკა 1 — „ქუთაძია“ — თარღდება 1490—1525 წლებით<sup>226</sup>. იგი მოხატულია თეთრ ფონზე, კობალტის საღებავით. ზოგჯერ ნახატი რეზერვაციითაა გამოყვანილი. მოხატულობაში მთავარი ადგილი მცენარეულ მოტივებს უკავია<sup>227</sup>.

იზნიკური კერამიკის მეორე ქრონოლოგიური ჯგუფი — იზნიკის კერამიკა II, „დამასკოს სტილი“ — მოიცავს 1525—1555 წლებს. ეს არის თურქული კერამიკის ყველაზე შემოქმედებითი პერიოდი<sup>228</sup>. ფერადი გამა იქმნება ლურჯი და თეთრის შეხამებით ცისფერთან, ზეჰარახილისფერთან, იისფერთან; ჩნდება შავიც — ნახატის კონტურისათვის<sup>229</sup>.

XVI ს. შუა ხანებიდან ოსმალთა კერამიკა უკვე მოხატვისას იყენებენ მკაფიო მწვანესა და განსაკუთრებით კი მკაფიო წითელ საღებავებს<sup>230</sup> (იზნიკური კერამიკა III, „როდოსის“ სტილი 1555—1700 წწ.)<sup>231</sup>. ძველებურად გამოიყენება ჩინური ლოტოსი, არაბესკა და ზოგიერთი სხვა მოტივი, მაგრამ მათთან ერთად ჩნდება და მალე ბატონდება ვარდები, ტიტები და სხვ. მოხატულობაში გვხვდება აგრეთვე ცოცხალ არსებათა და, კერძოდ, ადამიანთა გამოსახულებაც<sup>232</sup>.

საქართველოს განათხარებში იზნიკური ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე (ტაბ. XXXI)<sup>233</sup>. ნარდევანის არქაულ ციხე-სიმაგრეზე (წალკა) (ტაბ. XXXI)<sup>234</sup>, ციხე სულორზე (ვანი. მ. მიწიშვილის განათხარი) და გონიოს ციხეზე<sup>235</sup>.

თბილისის დედაციხეზე მოპოვებული ჭურჭელი ძირ-ქუსლის ნატეხითაა წარმოდგენილი. მისი კეცი მოთეთროა და მოვარდისფრო ელფერი გადაჰკრავს; ნასერეტოვანია; სიმტიცე უდრის 3. ჭურჭელს ზედაპირზე გადავლებული აქვს თეთრი ანგობის თხელი ფენა, რომელიც მოხატულია შავი საღებავის ვიწრო ხაზებით შემოფარგლული, ლურჯი და მოფირუზისფრო შვეული ზოლებით. ჭურჭელი დაფარულია უფერი უფერი, გამჭვირვალე კიქურის თხელი ფენით. კიქური წვრილად დაბზარული და ირიხებულია.

224 ლია მოვარდისფრო, ან მოპირისფრო, ნასერეტოვანი (იხ. Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 115).

225 Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 115; Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 40; А. Лапе, დასახ. ნაშრ., გვ. 44, 49...

226 А. Лапе, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

227 Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

228 А. Лапе, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

229 Ю. А. Миллер დასახ. ნაშრ., გვ. 54.

230 იქვე, გვ. 40.

231 А. Лапе, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

232 Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., 40—44.

233 ს. წ. № 3079.

234 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ფონდი ! [ № 144.

235 ს. წ. № 544.

ქუჩქელი კოლორიტის მიხედვით<sup>236</sup> განეკუთვნება იზნიკური კერამიკის II ჯგუფს („დამასკოს“ სტილი) და თარიღდება ისევე, როგორც აღნიშნული ნაწარმი<sup>237</sup>, ე. ი. XVI ს. მეორე მეოთხედით.

ნარდევანის უძველეს ციხე-სიმაგრეზე შუასაუკუნეთა ფენაში აღმოჩენილი ქურქული ქუჩქელი პირ-გვერდის პატარა ნატეხითაა წარმოდგენილი (ნატეხის სიმცირის გამო ქურქლის ფორმა ვერ გაირკვა). მისი კეცი მოთეთროა, მოყვითალო ელფერისა, ნასვერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3—4, დაფარულია თეთრი ანგობის თხელი ფენით და მოხატულია შავი (ნახატის კონტურები), სპილენძის, მწვანე (მოფირუზისფრო) და წითელი საღებავებით. ქურქელს გადავლებული აქვს უფერული, გამჭვირვალე ჰიქურის თხელი ფენა. ჰიქური არაა დამსკდარი. იგი ოდნავ არის ირიზებული.

ქურქელი კოლორიტის<sup>238</sup> მიხედვით, მიეკუთვნება იზნიკური კერამიკის III ჯგუფს („როდოსის“ სტილი). აღნიშნული ჯგუფის ნაწარმი კი 1555—1700 წწ. თარიღდება<sup>239</sup>.

იმავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს გონიოს ციხეზე აღმოჩენილი ერთი ქურქლის მეტად პატარა ნატეხი, რომლის ზედაპირზედაც უფერულ, გამჭვირვალე ჰიქურს ქვეიდან დატანილი ყვავილის ნაშთია შემორჩენილი. ყვავილს მოშავო საღებავის კონტური აქვს შემოვლებული, ფურცლები მოწითალო-მოაგურისფროდაა შეფერილი, გული — ლურჯად.

იზნიკური კერამიკის III ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ციხე სულორზე 1970 წელს აღმოჩენილი ფაიანსის ქურქლის გვერდის პატარა ნატეხები (3 ნატეხი ერთი ქურქლისაა, თუმცა ერთმანეთს არ უდგება). ნატეხთა სიმცირის გამო ქურქლის ფორმა არ ირკვევა. მისი კეცი მოთეთროა, ნასვერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3—4. დაფარულია თეთრი ანგობის თხელი ფენით და მოხატულია (ზედაპირი) შავი (ნახატის კონტურები), სპილენძის მწვანე (მოფირუზისფრო) და წითელი საღებავებით. ორნამენტი მკენარეულია. ქურქელს გადავლებული აქვს უფერული, გამჭვირვალე ჰიქურის თხელი ფენა. ჰიქური არ არის დამსკდარი. იგი ოდნავაა ირიზებული.

იზნიკური კერამიკის III ჯგუფსვე უნდა ეკუთვნოდეს ციხე სულორზე აღმოჩენილი ქურქლის გვერდის პატარა ნატეხი (ნატეხის სიმცირის გამო ქურქლის ფორმა არ ირკვევა. შესაძლოა თეფშის ნატეხი იყოს? ც. ს. № 143—70). მისი კეცი მოთეთრო-მოყვითალოა, ნასვერტოვანი; სიმტკიცე უდრის 3; დაფარულია თეთრი ანგობით, რომელზედაც შემდეგ მოყვითალო-მოყავისფრო საღებავია დადებული და მოხატულია შავი (ნახატის კონტურები), მწვანე და წითელი საღებავებით. ქურქელს გადავლებული აქვს უფერული, გამჭვირვალე ჰიქურის თხელი ფენა, რომელიც მოყვითალო-ყავისფერ საღებავზე ნაცრისფრად გამოიყურება. ჰიქური დამსკდარია და ოდნავ ირიზებული. ფრაგმენტის შიდაპირზე შერჩენილია შავი საღებავის კონტურით შემოხატული, მწვა-

<sup>236</sup> Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 40; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 117; A. Lane, დასახ. ნაშრ., ტაბ. 38, გვ. 49.

<sup>237</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

<sup>238</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 56; Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 40; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

<sup>239</sup> A. Lane, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

ნედ შეფერილი ფოთოლი, რომელიც წითელი და შავი საღებავით დატანილი ხაზებითაა დაძარღვეული.

საქართველოში გვხვდება აგრეთვე უფრო გვიანდელი, XVIII საუკუნისათვის მისაკუთვნიებული თურქული ნაწარმი: თბილისის დედაციხის (ტაბ. XXXI<sub>3</sub>), დმანისისა (ტაბ. XXXI<sub>4</sub>) და ბათუმის (თამარის ციხის) განათხარებში. წარმოდგენილია პატარა, თხელი ფინჯნების პირ-გვერდის ნატეხებით. კეცი მოთეთროა, ნასვრეტოვანი; სიმტკიცე უდრის 2—3. დაფარულია უფერული, გამკვირვალე კიქურის თხელი ფენით. კიქური არ არის დაბზარული, ზოგ კურკელზე ძალზე ირიზებულია. მოხატულია შავი; წითელი, ყვითელი და მწვანე საღებავებით. ორნამენტი მცენარეულია.

ეს პატარა თხელი, ფერადი საღებავებით მოხატული ქურქული თურქეთის ქალაქ ქუთაისის ნაწარმს წარმოადგენს. თურქეთში იზნისის კერამიკული წარმოების დაცემის შემდეგ (XVII ს. მეორე ნახევარში ეს უკვე მომხდარი ფაქტია) ქურქლის დამამზადებელ ერთადერთ ცენტრად ფაქტიურად რჩება ქუთაისი. რომ იქ უფრო ადრეც ყოფილა კერამიკული წარმოება, ამას XVII ს. წყაროები გვაძენობენ. აღნიშნული ნაწარმი XVIII საუკუნის თურქეთშიცა და ევროპაშიც დიდ მოწონებაში იყო<sup>240</sup>.

ქუთაისის ნაწარმი მოხატულობითა და მოყვანილობით ევროპულის მინაბაძია, რათა გასაღება ჰპოვოს იქ. ევროპაში ეს ნაწარმი „აღმოსავლური სევერის“ სახელით არის ცნობილი<sup>241</sup>.

ქუთაისის კერამიკას ახასიათებს წვრილი, მცენარეული ორნამენტი, რომელიც ხშირად შერწყმულია გეომეტრიულთან. იშვიათად ვხვდავთ ცხოველთა და ადამიანთა გამოსახულებასაც. შავი ან მუქი ყავისფერი საღებავებით გამოყვანილია მოხატულობის კონტური, ხოლო თვით მოხატულობა იყო მკაფიო ყვითელი, მწვანე, ცისფერი ან წითელი, რაც ქურქელს საზეიმო ელფერს ანიჭებდა<sup>242</sup>.

ამგვარად, თურქული ფაიანსის ნაწარმი საქართველოში ჭერჭერობით მეტად მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. თურქული კერამიკის სიმცირე აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლთა განათხარებში რამდენადმე ბუნებრივიცაა, რადგან მას, უმთავრესად, ირანთან აქვს კავშირი და მისი ხელოვნებაცა და კულტურაც განიცდის ირანის მძლავრ გავლენას. ისტორიული ვითარების შეზაბამისად სულ სხვა სურათი უნდა გვქონდეს დასავლეთ საქართველოში. ადრე და შუაფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოს მკვიდრო კავშირი აქვს ბიზანტიასთან, ხოლო გვიანფეოდალურში თურქეთთან. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მოკიქული კერამიკა (ისევე როგორც ხელოვნება-ხელოსნობის სხვა დარგთა ნაწარმი) უფრო მეტ მსგავსებას იჩენს ბიზანტიურ, იმავე ტიპის კერამიკასთან, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მოკიქულ ქურქელთან. ჩვენი აზრით, ასეთსავე სურათს უნდა ქმნიდეს მაშინდელი ფაიანსიც. გვიანფეოდალური ხანის ფაიანსის ქურქელში კი უფრო თურქული ნაწარმი უნდა გვხვდებოდეს. მაგრამ იმ მცირე ნატეხების მიხედვით, რომელ-

<sup>240</sup> Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 95; Э. К. Кверфельдт, დასახ. ნაშრ., გვ. 122; А. Н. Кубе, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

<sup>241</sup> Ю. А. Миллер, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>242</sup> იქვე, გვ. 95.



ბიკ დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი, ჩვენი ამ წინასწარი მოსაზრების დადასტურება ჯერჯერობით შეუძლებელია.

ამგვარად, ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარებსა და სხვაგვარ ძეგლთა განათხარებში აღმოჩენილი, გვიანშუასაუკუნეთა ფაიანსის შესწავლა შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებასა და უფლებას გვაძლევს.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედვით, ჯერჯერობით არ შეიძლება საუბარი გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ფაიანსის კურკლის ადგილობრივი წარმოების შესახებ.

გვიანფეოდალურ საქართველოში შეიმჩნევა დიდი მოთხოვნილება ფაიანსის იმპორტულ ნაწარმზე. ამ უკანასკნელის შესწავლა შესაძლებელს ხდის ამ მხრივაც დადგინდეს გვიანფეოდალური ხანის საქართველოს კავშირი ირანისა და თურქეთის საჯაქო-საწარმოო ცენტრებთან. XIII—XIV საუკუნეებში კავშირი ჩანს სირიასა და ირანთან, XVI—XVIII სს. — ირანთან და თურქეთთან.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ირანში ფაიანსის დამამზადებელ ერთ-ერთ უმძლავრეს ცენტრს, რომლის ნაწარმიც განსაკუთრებით მრავლად შემოდიოდა საქართველოში, წარმოადგენს ქ. იეზდი. საქართველოს იმ ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე (ყარადაჯი, თბილისის დედაციხე) ყველაზე მრავლად სწორედ აღნიშნული ქალაქის ნაწარმია აღმოჩენილი.

ამგვარად, ფეოდალური საქართველოს ძეგლების თბრისას თავმოყრილი გვიანფეოდალური ხანის ფაიანსის ნაწარმი ირანთან და თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობის მაუწყებელია. ამ ურთიერთობას ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გაშავალი დიდი მაგისტრალები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებაში, ამავე დროს საშუალებას აძლევდნენ შირვანის, საქართველოსა და სომხეთის ქალაქებს მკიდრო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ სეფიანთა ირანთან, თურქეთთან, ხოლო ალექსის საშუალებით — ევროპის ქვეყნებთანაც<sup>243</sup>.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებიდან, რომლებითაც სეფიანთა ირანი თურქეთის ქალაქებსა და ალექსის უკავშირდებოდა, აღსანიშნავია შემდეგი:

1. შემახა — არქეში — განჯა — ერევანი — ეჩმიაწინი — მანაზკერტი — არზრუმი — ყარაპისარი — ტოკატი — სტამბოლი;
2. განჯა — თბილისი — ახალქალაქი — ახალციხე — არზრუმი — სტამბოლი;
3. შემახა — ყარაბალი — ნახკევანი — არზრუმი — სტამბოლი;
4. თავრიზი — ვანი — დიარბაქირი — ალექსო.

<sup>243</sup> გზების შესახებ მსჯელობა მოგვამქს კ. კუციას ნაშრომიდან „სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, თბ., 1966, გვ. 25—33.

ჩამოთვლილი გზებიდან იმ მარშრუტებს, რომლებიც ქ. შემახაში იწყებოდა. სეფიანთა ირანი არღებილ-შემახას გზით უკავშირდებოდა.

ამიერკავკასიაზე გადიოდა აგრეთვე ვოლგა-ასტრახან-კასპიის ზღვის გზა, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და მთელი XVII საუკუნის განმავლობაში ირანის, რუსეთისა და ევროპის ქვეყნების საეკონომიკური ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

## მოკლე დასკვნები

ამგვარად, ნაშრომში წარმოვადგინეთ საქართველოში არქეოლოგიური თხრით თუ, იშვიათად, შემთხვევით აღმოჩენილი ფეოდალური ხანის ფაიანსის ნაწარმი; მოვახდინეთ მისი ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია; შევეცადეთ გამოგვეყო ადგილობრივი და შემოზიდული ნაწარმი და დაგვედგინა შემოტანილი მასალის სადაურობა.

ამგვარი კვლევის შედეგები განზოგადებულია ნაშრომის ყოველი ცალკეული თავის ბოლოში და, ამდენად, ვფიქრობთ, ზედმეტი უნდა იყოს მათი აქ განშეორებით მოტანა.

მაგრამ, რადგან სამუშაო კრიტერიუმად აღებული კლასიფიკაცია საშუალებას არ გვაძლევდა მასალის შესწავლის შედეგები, არქეოლოგიურად გამოკვლეული სათანადო ქალაქების მიხედვით, ცალ-ცალკე დაგვეკონკრეტებინა<sup>1</sup>, ამ საკითხს მიუძღვნით წინამდებარე დასკვნით თავს. ცალკეული ქალაქის მიხედვით ნაქალაქარებზე მოპოვებული ფაიანსის შესწავლის შედეგების გამოყოფა უფრო რელიეფურად წარმოგვიდგენს თითოეული მათგანის ადგილობრივ წარმოებას, ქალაქის სავაჭრო კავშირს სხვადასხვა ქალაქთან და ქვეყნებთან და თან დაგვეხმარება მათი ისტორიის ცალკეული მომენტების გაშუქებისას.

### კუხეთის რუსთავი

კუხეთის რუსთავის ნაქალაქარისა და ნაციხარის თხრისას<sup>2</sup> მოპოვებული ფაიანსის ნაწარმის უმეტესობა თარიღდება IX—XIII საუკუნეებით. აღსანიშნავია, რომ აქ სრულებით არა გვხვდება XIV—XVI საუკუნეებისათვის მისაკუთრებული ნაწარმი, რაც სავსებით გასაგებია, ვინაიდან რუსთავი მონღოლთა 1265 წ. ლაშქრობის შედეგად ნადგურდება<sup>3</sup>, ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევრის ფაიანსის კურკლის ნატეხთა აღმოჩენა, იმ ხანებში იქ ცხოვრების ნაწილობრივ მაინც აღორძინებას უნდა მოასწავებდეს. ეს ისტორიული ვითარებები თავ კარგად დასტურდება. წერილობითი წყაროების მიხედვით ერეკლე I ანუ ნაზარ-ალი-ხანი (ქართლში 1688—1703 წლებში ბატონობდა)

1 ზემოთ ქალაქების მიხედვით მასალის განხილვა გამოიწვევდა საკლასიფიკაციო ერთეულების განუწყვეტელ განმეორებას.

2 გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები; მისივე, 1959—62 და 1965 წწ. კამპანიათა წინასწარი მოკლე ანგარიშები (საანგარიშო სესიოთა კრებულებში).

3 გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული... გვ. 190; ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 86.

რუსთავში იზენებს სასახლესა და მეჩეთს, ხოლო განათხარის მიხედვით — აბანოსაც<sup>4</sup>.

მიუხედავად რუსთავში მოპოვებული ფაიანსის მცირერიცხოვნობისა და ფრაგმენტულობისა. მაინც შესაძლებელი ვახდა ადგილობრივი ნაწარმის გამოყოფა უცხოურისაგან. ეს არის: სადა, უორნამენტო ჭურჭელი; ჭვირულნაწილებიანი ჭურჭელი; დაბრტყელებით შემკული ჭურჭელი. აღნიშნული ნაწარმი XII—XIII სს. კუთვნილია.

რუსთავში ფაიანსის ნაწარმის დამზადების ხელისშემშლელი არ უნდა ყოფილიყო თეთრი თიხის — კაოლინის უქონლობა. ვფიქრობთ, იმდროინდელი ფაიანსის წარმოება, რომელიც რუსთავში უნდა არსებულებოდა, დაკმაყოფილდებოდა მეზობელი, კაოლინით მდიდარი ბოლნისის ან დმანისის მდამოებლადან შემოზიდული ნედლეულითაც.

საყურადღებოა, რომ რუსთავში აღმოჩენილი ფაიანსის ზოგი სახეობა ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენს განჯაში აღმოჩენილ ფაიანსის ნაწარმთან. ხშირად გვხვდება ერთი და იგივე მოყვანილობისა და ორნამენტის მქონე ჭურჭელი, მაგრამ მათი კეცი განსხვავებულია და ამიტომ მათი ერთ ადგილას ნაკეთობა — გამოირიცხული.

რუსთავში აღმოჩენილ ფაიანსის ნაწარმში აშკარად გამოირჩევა შორეულ-იმპორტული ნაწარმი, რომელსაც პარალელები ეძებნება არაბულ-მესოპოტამიურის (სამარა) და სპარსულ (რეი, ქაშანი) ნაწარმში. გვხვდება სომხეთიდან შემოტანილი ჭურჭლის ერთი ნატეხიც. მაგრამ შემოტანილი ნაწარმის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით რუსთავი ჩამორჩებოდა თბილისსა და მეტადრე დმანისს, სადაც სპარსეთიდან შემოზიდული ჭურჭლის განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნება, და გვხვდება თურქეთიდან შემოტანილი ნაწარმიც. მაგრამ გათხრა-შესწავლილობის იმ საფეხურზე, რომელზედაც სადღეისოდ იმყოფება ეს ნაქალაქარი, ასეთი დასკვნის გამოტანა ნაადრევი იქნება.

აღსანიშნავია რუსთავის სიახლოვე იმ საეპარო გზასთან, რომელიც თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთთან აკავშირებდა (ბარდავ-თბილისის საქარავნო გზა). რუსთავზე გადიოდა მეორე გზაც, რომელიც საქართველოს სამხრეთ რაიონებს (ტაო-კლარჯეთს, მესხეთ-ჯავახეთს, ქვემო ქართლს) აკავშირებდა აღმოსავლეთ რაიონებთან<sup>5</sup>. ცხადია, რუსთავი ამ გზების საშუალებით საერთაშორისო ვაჭრობაში იქნებოდა ჩაბმული, რაც კარგად ჩანს იქ მოპოვებული ფაიანსის მიხედვითაც.

## თ ბ ი ლ ი ს ი

შუასაუკუნეთა თბილისში ხმარებულ ფაიანსის ნაწარმს განვიხილავთ 300 არაგველის ბაღში, ერეკლე მეორის მოედანზე და თბილისის დედაციხეზე წარმოებულ არქეოლოგიური თხრის შედეგად გამოვლენილი მასალების მიხედვით.

<sup>4</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა რუსთავში 1959 წ., სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები, VIII, თბილისი, 1960, გვ. 51.

<sup>5</sup> ლ. კილაშვილი, ქ. რუსთავი, 1958, გვ. 40, 205; მისივე, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 117.

300 არაგველის ბაღში მოპოვებული ფაიანსი თარიღდება ისევე, როგორც იქ აღმოჩენილი მთელი მასალა, XIII საუკუნის შუა ხანებით, აღმოჩენის ადგილის (სამეთუნეო სახელოსნოს) მიხედვით.

ეს სახელოსნო XIII საუკუნის 30-იან წლებში წყვეტს არსებობას. ყოველ შემთხვევაში, მონაპოვარში არ ურევია მასალა, რომელიც მონღოლთა შემოსევის შემდგომ ხანაზე მიუთითებდეს<sup>6</sup>. სახელოსნოს აღსასრულისათვის (განადგურება-გადაწვიპათვის) ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად გ. ლომთათიძეს მიაჩნია ხვარაზმელთა ხანმოკლე ბატონობა საქართველოში (1225—1230 წწ.), ვინაიდან აღმოჩენილი მონეტებიდან უახლესი სწორედ ჭალალედინს ეკუთვნის და მასში სრულებით არ ურევია მონღოლთა მიერ მოჭრილი ფული<sup>7</sup>.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნულ ნაშთებს შორის აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის დიდი უმრავლესობა ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. ამასთანავე მონაპოვარში გამოირჩევა იმპორტული ნაწარმი, რომელსაც პარალელები ეძებნება სპარსულ (რეის, ქაშანის) ნაწარმში. მაგრამ შემოტანილი მასალის სიმრავლით 300 არაგველის ბაღის განათხარი აშკარად „ჩამორჩება“ კუხეთის რუსთავსა და დმანისს. ეს არც მოულოდნელია, ვინაიდან იქ საქმე გვაქვს შემოფარგლული დროის, XIII საუკუნის შუა ხანების ერთ საწარმოსთან, სადაც მოსალოდნელი იყო უფრო ადგილობრივი ნაწარმის არსებობა.

ვერც თბილისში შეუშლიდა ხელს ფაიანსის წარმოების ფართოდ გაშლას ძირითადი ნედლეულის — კაოლინის უქონლობა. ისევე, როგორც რუსთავში, აქაც წარმოება დაკმაყოფილებოდა მეზობელი ბოლნისის ან დმანისის რაიონებიდან შემოზიდული თეთრი თიხებით.

რაც შეეხება აქ აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის ხნოვანებას, იგი, რათქმა უნდა, დადგინდება საერთოდ საწარმოს ხნოვანებასთან ერთად, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, XIII საუკუნის შუა ხანებში მოქმედებდა. ეს კარგად ჩანს მოპოვებული ფაიანსის ჭურჭლის განხილვისასაც. აღსანიშნავია, რომ ამ ჭურჭლის უმრავლესობა აღმოჩენილია სახელოსნოს გადანაყარ გროვებში (VIII, XII და XIII თხრილები). ბევრია იგი აგრეთვე X თხრილში, სადაც II, III, IV და V ქურებიც გამოვლენილი. გ. ლომთათიძის ანგარიშის მიხედვით, ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები II ქურამია აღმოჩენილი<sup>8</sup>.

აღსანიშნავია. რომ გადანაყარისა და ქურის მასალებს ქრონოლოგიურად ერთმანეთს ძალიან ვერ დავაშორებთ (თუმცა გამთხრელი გადანაყარის და გროვებას ათეული წლების მანძილზე ვარაუდობს)<sup>9</sup>, რადგან ორივეგან ერთიმეორის მსგავსი ჭურჭლის ნატეხები გვხვდება. ეს ფაიანსი მსგავსია არა მარტო ორნამენტით, არამედ კეცითა და კიქურითაც. ხოლო დიდი ხნის განმავლობაში ზედმიწევნით ერთნაირი კეცის მქონე ჭურჭლები არ უნდა იყოს ნაწარმოები. მაგალითად, სადა, უორნამენტო, ცისფერი გამჭვირვალე კიქურით

<sup>6</sup> ი. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე. „განჩისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, გვ. 98.

<sup>7</sup> გ. ლომთათიძე. არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, გვ. 161, 162.

<sup>8</sup> გ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 141.

<sup>9</sup> იქვე.

დაფარული ჭურჭლის დიდი უმრავლესობა, რომელთაც ერთნაირი კეცი აქვთ. აღმოჩენილია სწორედ გადანაყარ გროვაში, მაგრამ თითო-ოროლა ნატეხი გვხვდება ჭურაშიცა და მის მახლობლადაც. იმავე სურათს ქმნის დაძვრული რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხები (ხუთი ნატეხიდან ოთხი მომდინარეობს გადანაყარის გროვიდან, ერთი კი II ქურიდან). ამ უკანასკნელთა კეციც მსგავსია სადა, უორნამენტო, ცისფერი, გამჭვირვალე: კიქურათ დაფარული ჭურჭლის კეცისა.

იგივე შეიძლება ითქვას იმპორტული ლუსტრიანი ფაიანსის ნაწარმზედაც: მსგავსი ჭურჭელი გვხვდება როგორც გადანაყარში, ისე ჭურასთან. ეს გარემოება ჭარჭერობით მთლად გასაგები არა ჩანს.

გადანაყარიდან ამოკრებილი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხებში არც ერთი ნამდვილი წუნდებული არ არის. ეს კი იმას უნდა მოასწავებდეს, რომ აღნიშნული ნაწარმი, ჭურაში გამოწვის შემდეგ, მისი გამოლების დროსაა დამტვრეული და ამიტომ გადაუყრიათ.

საწარმოში უკეთებით არა მარტო გამჭვირვალე, არამედ გაუმჭვირვალე, კალიანი ჭიქურით დაფარული ჭურჭელიც, მაგრამ — ნაკლები. მათი კეციცისფერი, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭლის მსგავსია (№ 1—54:2392; № 1—54:163).

იმავე სახელოსნოში უნდა გამოეწვით თითქოს ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭელიც (№ 1—54:557). ეს უკანასკნელი (პირ-გვერდის ნატეხით წარმოდგენილი) დაფარულია სპილენძის გამჭვირვალე ჭიქურით და მოხატულია ლუსტრით. იგი განსხვავდება ყველა სხვა ლუსტრიანი ნაწარმისაგან როგორც ორნამენტით (ლუსტრის ზოლი ამკობს პირს), ისე კეცით, ჭიქურითა და ლუსტრითაც. კეცითა და ჭიქურით იგი თითქოს უახლოვდება ადგილობრივ ნაწარმს.

რაც შეეხება ლუსტრით მოხატული ფაიანსის ყველა სხვა ჭურჭელს (ნატეხებით წარმოდგენილს), მათ ადგილობრივ ნაწარმად ვერ მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ნატეხი ჭურაშიცაა ნაპოვნი სხვაგვარ მოჭიქულ კერამიკასთან ერთად. ლუსტრიანი ფაიანსის გამოწვა კი წითელკეციან მოჭიქულ კერამიკასთან და თუნდაც თეთრკეციან ნაწარმთან ერთად ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან მას განსაკუთრებული ჭურა და აღმდგენელი ცეცხლი ესაჭიროება. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, საკვირველია მისი იქ აღმოჩენა<sup>10</sup>.

საწარმოს ნაშთებს შორის აღმოჩენილი ირანული ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭლის კეცი თითქოს ერთიმეორის მსგავსია და შესაძლოა ყველა ერთი სახელოსნოს ნაწარმიც იყოს. რამდენიმე ჭურჭლის ნატეხი მაინც რეის სახელოსნოს ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ, კეცისა და ლუსტრის ფერის მიხედვით.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის აღნიშნულ სათუნე საწარმოში იწებოდა ადგილობრივი ფაიანსის ჭურჭელი. დასაშვებად მიგვაჩნია ლუსტრით მოხატული ფაიანსის წარმოებაც.

ლუსტრიანი ნაწარმი, წითელკეციან და თეთრკეციან მოჭიქულ კერამიკასთან ერთად, საზიარო ჭურაში ვერ გამოიწვებოდა და ამიტომ სახელოსნოში

<sup>10</sup> ამგვარი ჭურჭელი თბილისის სახელოსნოში არ უწევთ და რომ იგი იქ მხოლოდ ხმაირებული ყოფილა, ამას უნდა მოწმობდეს სახელოსნოში აღმოჩენილი ერთი ჭურჭლის ნატეხი, რომელზედაც შემორჩენილია ნახრები და დაჟანგული მავთულის ნაშთი (ვატეხილი ჭურჭელი მეთუღით გადაუბიათ).

ლუსტრიანი ფაიანსის გამოსაწვავად ცალკე ქურის არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

წითელკეციანი და თეთრკეციანი (ფაიანსის) მოქიქული კერამიკის ერთ ქღრაში გამოწვა კი, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით დასაშვები უნდა იყოს (ოლონდ სხვადასხვა დროს), თუკი ქურაში მოხერხდებოდა 1200° მხურვალების მიღწევა.

ამგვარად, თბილისის სათუნე სახელოსნოს ნაშთებს შორის მოპოვებული ფაიანსის ნაწარმი შედარებით ზუსტად თარიღდება. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, რომ მის მიხედვით ფეოდალური საქართველოს სხვა ნაქალაქარებისა თუ ნამოსახლარების თხრისას აღმოჩენილი მსგავსი ფაიანსი დაეთარიღოთ. ეს მით უფრო ხელსაყრელი და საყურადღებო გარემოებაა, რომ საქართველოს ნაქალაქარებზე, ციხე-ქალაქების რთული ისტორიის შესაბამისად, კულტურული ფენები ძალზე არეულია და ხშირად დათარიღება უმთავრესად პარალელური მასალების მოშველიებით ხერხდება.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის სახელოსნოში აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი ძირითადად XIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, მაგრამ გვხვდება ორიოდე კურკლის ნატეხი, რომლებიც უფრო გვიანდელია. ენდა ვივარაუდოთ, რომ ამ კურკელს, რომელთა ნატეხებიც ქალაქის ზღუდის შიგნით, მის მახლობლად გაჭრილ XIV თხრილშია აღმოჩენილი, შესწავლილ საწარმოთან არაერთი კავშირი არა აქვს.

თბილისის აღნიშნულ სახელოსნოსა და აგრეთვე ერეკლე მეორის მოედნის განათხარებში მოპოვებული ფაიანსის შესწავლა, გარდა იმისა, რომ გვიანდელეს ადგილობრივი ფაიანსის კურკლის გამოყოფას, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ შეაფეოდალური ხანის თბილისის სავაჭრო კავშირი სხვადასხვა ქვეყნებთან.

საქართველოს მაშინდელი სამეფო ფლობდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს, რომლებიც მას ინდოეთთან, სამხრეთის მაკმადიანურ ქვეყნებთან, მეზობელ სომხეთთან, ბიზანტიასთან და ჩრდილოეთით კი რუსეთთან აკავშირებდა. მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო კულტურული ურთიერთობის ცენტრი თბილისი იყო<sup>11</sup>.

უმთავრესი მარშრუტები, რომლითაც თბილისი უკავშირდებოდა სხვა ქალაქებს, შემდეგია: თ ბ ი ლ ს ი — ბ ა რ დ ა ვ ი (რუსთავი, გარდაბანი, ხუნინი, შამქორი, განჯა); თ ბ ი ლ ს ი — კ ა რ თ ა კ ა რ ი (დარუბანდი) (თბილისი — ბარდავი — ბერზენჯი — შემახია — შარვანი — აბხაზი — ქასარ-სამუსი — დარუბანდი); თ ბ ი ლ ს ი — დ ვ ი ნ ი. თბილისიდან დვინს მისვლა შეიძლებოდა როგორც დმანისის გზით ლორე-ბამბაკით, ისე ბარდავის (ბარდავი — კალკატუსი — მეტრის — დავმასი — კილ — კუი-სისაჯანი — დვინი); თ ბ ი ლ ს ი — ა რ დ ე ბ ი ლ ი: თბილისი — ბარდავი — ოუნანი — ბაილაქანი — ვარსანი — ბალხაბი — ბეთხენდი — არდებილი.

ბიზანტიის ქალაქებთან თბილისი არტანუჯის გზით იყო დაკავშირებული, რომლის ტრასაც გაივლიდა სამშვილდეს — ფარვანას — ახალქალაქს — არტანს — არტანუჯს.

<sup>11</sup> დ. გვირიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 152.

აზილიციდან გზა მიდიოდა ასევე ჩრდილოეთისაკენაც და მტკვრის ხეობას აყოლებით დასავლეთ საქართველოში<sup>12</sup>.

თბილისი ამ გზების საშუალებით მჭიდროდ იქნებოდა ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც, ნაწილობრივ მაინც, ჩანს აქ აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმის ზისტდეთაც. XI საუკუნეში თბილისს სავაჭრო კავშირი აქვს სომხეთთან (ერეკლე მეორის მოედნის განათხარის მიხედვით), ხოლო XII—XIII საუკუნეებში ცხოველი ურთიერთობა შეიმჩნევა სპარსეთთან (ერეკლე მეორის მოედნისა და 300 არაგველის ბაღის განათხარებში აღმოჩენილი რეისა და ქაშანის ნაწარმის მიხედვით).

გვიანფეოდალური ხანის ფაიანსის შესწავლისას, ყარაღაჯში აღმოჩენილ ფაიანსთან ერთად, დიდი მნიშვნელობას იძენს თბილისის დედაციხიდან მომდინარე მასალაც, რომელიც სეფიანთა ირანის ფაიანსის ნაწარმის განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი, არაერთი პარალელური მასალისა და, კერძოდ, ყარაღაჯში აღმოჩენილი ფაიანსის მიხედვით, XVII საუკუნით და ნაწილობრივ XVIII საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. მასში გვხვდება აგრეთვე XVI და XVIII სს. თურქული ფაიანსის კურკელი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თბილისის დედაციხეზედაც ყველაზე მეტა სწორედ XVII საუკუნის მეორე ნახევრის კეთვნილი ირანული ფაიანსია. ისტორიული წყაროების მიხედვითაც სწორედ იმ ხანებს განეკუთვნება თბილისას ციხეში სპარსელთა ხანგრძლივი სხდომა. ეს „დიდი ციხე“ ანუ „თავადი ციხე“ დიდხანს იყო თბილისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი. იქ, ვახუშტის სიტყვით, XVII საუკუნის შუა წლებამდე იყო „სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შეენიერნი“. იქვე „მაღალ ციხეში“ ყოფილა ციხის საყდარიცა და სხვა ნაგებობანიც. როსტომ მეფემ (1632—1658 წწ.) სამეფო სასახლე „დიდი ციხიდან“ ქვემოთ, სიონისა და ანჩისხატის მიდამოებში გადაიტანა, ეს ციხე-სიმაგრე კი მთლიანად ირანელთა გარნიზონს დაუთმო. მართლაც, შარდენის სიტყვით, XVII საუკუნის 70-იან წლებში „ციხეში მხოლოდ სპარსელები არიან“. ასევე ყოფილა ვახუშტის დროსაც<sup>13</sup>.

1723 წლიდან ვიდრე 1735 წლამდე თბილისისა და მთელ ქართლს ოსმალები ეპატრონებიან. ეტყობა, სწორედ იმ ხანას უნდა განეკუთვნოს თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი, XVIII საუკუნის თურქული (ქუთაპის) ნაწარმიც. 1735 წლიდან 1747 წლამდე ქართლში ყიზილბაშთა ბატონობის ხანაა. 1747—1748 წწ. ერეკლე მეორე ათავისუფლებს თბილისის ყველა ციხე-სიმაგრეს ყიზილბაშებისაგან<sup>14</sup>.

12 ლ. კილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 80.

13 შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 166.

14 იქვე, გვ. 188—202.



დმანისში აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი XI—XVIII საუკუნეებით თარიღდება, ხოლო, მათ შორის, ადგილობრივად მიჩნეული ყველა ქურქელი XII—XIII საუკუნეებს განეკუთვნება<sup>15</sup>.

დმანისში აღმოჩენილ იმპორტულ ფაიანსში ვხვდავთ სომხურს, სპარსულსა და თურქულ ნაწარმს. შემოზიდული ნაწარმის სიმრავლით დმანისი ბევრად უსწრებს კუხეთის რუსთავსა და თბილისს, რაც მისი ცხოველი საგარეო სავაჭრო ურთიერთობის მუშყუებელია. ადრევე გამოთქმულია აზრი, რომ გადაწყვეტი რილი დმანისის აღზევებაში უნდა მიეწეროს მის მდებარეობას სომხეთთან და მისი მეშვეობით მთელს ახლო აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან გზაზე. დმანისი უმთავრესად სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყო<sup>16</sup>. ეს კარგად ჩანს ფაიანსის მასალის განხილვითაც. XI და XII—XIII საუკუნეთა მასალების მიხედვით დმანისს ურთიერთობა აქვს სომხეთთან; XII—XIII საუკუნეებში ჩანს ინტენსიური სავაჭრო კავშირი ირანთან (დმანისში აღმოჩენილი რეისა და ქაშანის ნაწარმის მიხედვით). XIII—XIV საუკუნეებში ვხვდავთ მკიდრო ურთიერთობას ირანთან და სირიასთან (სულთანაბადისა და დამასკოს ნაწარმის მიხედვით). ისე რომ, იმ ხანებში დმანისი ჭერ კიდევ მძლავრი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ XIV—XV საუკუნეებში იგი, საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, არაერთხელ აუოხრებიათ შემოსეულ მტრებს — ეგრძოდ, XIV საუკუნის დამლევს (1386—87 წწ.), როდესაც თემურ-ლენგმა მთელი საბარათიანო დაარბია ქართლზე ლაშქრობის დროს, და XV საუკუნის დამლევს (1486 წ.), როდესაც თურქებმა იალუბ-ყაენის მეთაურობით დაარბიეს დმანისი და ქვეშის ზევი<sup>17</sup>, დმანისს, ეტყობა, თავისი ყოფილი ძლიერება მთლად არ დაუკარგავს და, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული გაქანების მქონე სავაჭრო ცენტრს მაინც წარმოადგენდა. ამას უნდა მოწმობდეს 1536 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნში ნოსკენებული საბაეო<sup>18</sup> და, აგრეთვე, დმანისში აღმოჩენილი თეთრი, ლურჯად მოხატული, ჩინური ფაიფურის მიბაძვით ნაკეთები ირანული ფაიანსი, რომლის ნაწილი, ეტყობა, აღნიშნულ ხანასაც განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ დმანისში მრავლადაა წარმოდგენილი თეთრი, ლურჯად მოხატული ირანული ფაიანსი, რომელსაც მეტწილად ვერ ეძებნება პარალელი ყარაღაჯში აღმოჩენილ (XVII საუკუნის მეორე ნახევრის კუთვნილ) ფაიანსში და, ამიტომ, საფიქრებელია, რომ აქ უმეტესად უფრო ადრეულ ნაწარმთან გვაქვს საქმე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დმანისში მაინც გვხვდება თითო-ორი ნატეხი XVII საუკუნის მეორე ნახევრისა (კობალტითა და წითელი ანგობით მოხატული, უფერული, გამკვირვალე კიქურით დაფარული,

15 აღსანიშნავია, რომ დმანისს, სხვა ნაქალაქებთან (თბილისი, რუსთავი) შედარებით, უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს ფაიანსის წარმოებისათვის. მისი მიდამოები მდიდარია თეთრი თიხის საბადოებით.

16 ლ. მუხსელიძე, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), გვ. 448.

17 იქვე, გვ. 331.

18 იქვე, გვ. 331.

ქერმანის სახელოსნოდან მომდინარე ქურქელი და სხვ.) და XVIII საუკუნის ფაიანსის ქურქელისა (ქუთაისის ნაწარმი).

შიუხედავად იმისა, რომ დამანისში გვხვდება XVI—XVIII სს. იმპორტული ფაიანსი, მის უწინდებურად ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაზე საუბარი უკვე ძნელია, ვინაიდან, როცა 1578 წელს ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს, მათ დმანისიც ჩაუვარდათ ხელში; 1583 წელს სვიმონ მეფემ ქალაქი დაიბრუნა და, ვახუშტის თქმით, იგი, როგორც ციხე-ქალაქი, სწორედ იმ დრომდე არსებობდა, ხოლო „მიერით მოოქრდა“<sup>19</sup>. XVIII ს. პირველ ნახევარში დმანისი არაერთხელ იქნა დარბეული ლეკების მიერ; დმანისის ხეეში ოსმალებიც შემოსულან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის შუა წლებამდე დმანისში საეპისკოპოსო კათედრა მაინც არსებულა და ორბელიანების მთავარი ციხე და საჯდომიც ყოფილა. საბოლოოდ იგი მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევისათვის გაპარტახებულა<sup>20</sup>.

დმანისის ამგვარ ისტორიას, როგორც ვნახეთ, ადასტურებს არქეოლოგიური მონაპოვარიც, კერძოდ, ფაიანსი, რომელიც წარმოდგენილია ირანული და თურქული XVII—XVIII საუკუნეთა თითო-ორილა ქურქელის ნატეხით.

### უ ქ ა რ მ ა

უქარმაში თხრისას მოპოვებული ფაიანსი უმთავრესად XI—XIV საუკუნეებით თარიღდება.

წარმოდგენილი მასალის სიმცირის გამო ფაიანსის ადგილობრივ წარმოებაზე მსჯელობა არ შეგვიძლია.

მონაპოვარში აქაც გამოირჩევა იმპორტული ნაწარმი, რომლის შესწავლაც გვეხმარება ქალაქის სავაჭრო კავშირების დადგენაში.

XI საუკუნეში უქარმას ასეთი კავშირი აქვს სომხეთთან; XII—XIII საუკუნეებში — ირანთან. აგრეთვე ირანთან ურთიერთობის მაუწყებელია XIII საუკუნის მცირე ნახევრისა და XIV საუკუნის კუთვნილი ფაიანსიც. ირანულივეა წარმოშობით გვიანფეოდალური ხანის ფაიანსის ორიოდე ქურქელის ნატეხი.

### გ უ დ ა რ ე ხ ი

გუდარეხში, XIII საუკუნეში შექმნილი მძლავრი სამონასტრო ანსამბლის ნაშთების თხრისას, ფაიანსი აღმოჩენილია მცირე რაოდენობით და ისიც ძალიან პატარა ნატეხების სახით, რის გამოც აქ ადგილობრივ წარმოებაზე მსჯელობა არ შეგვიძლია (საერთოდ სათუნე ქურის ნაშთებსა და, მაშასადამე, სათანადო სახელოსნოს არსებობას კი გულისხმობენ)<sup>21</sup>.

გუდარეხში აღმოჩენილ ფაიანსში გამოირჩევა იმპორტული ქურქელი, რომელსაც პარალელები ეძებნება XII—XIII სს. და აგრეთვე სეფიანთა ირა-

<sup>19</sup> ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 332—333.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 333—335.

<sup>21</sup> ე. ქაჯარაძე, ქართული კერამიკა, თბ., 1956. გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1969, გვ. 7.

ნის ნაწარმში. აქ ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ სეფიანთა ხანის კობალტით მოხატული და უფერული, გამჭვირვალე ქიქურით დაფარული ირანული ჭურჭლის ნატეხებია აღმოჩენილი. ჩანს, მონასტერი ამ ხანებშიც ვანაგრაობდა არცთუ შევიწროებულ არსებობას.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ნაქალაქარებს, ახალქალაქში აღმოჩენილი ფაიანსის ჭურჭლის ცოტაოდენი ნატეხები შუაფეოდალურ ხანაში, ხოლო თელავში მოპოვებული ორიოდე უმნიშვნელო ნატეხი, გვიანფეოდალურ ხანაში ირანთან ურთიერთობის მაუწყებელია.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, ჭერჭერობით მცირერიცხოვანი ფაიანსის ჭურჭლის ნატეხების მიხედვით, სადღესოდ მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსაც (ბათუმს, სოხუმს) ჰქონიათ სავაჭრო კავშირი ირანთან XIII—XIV საუკუნეებში (იქ აღმოჩენილი სულთანბადის სახელოსნოსათვის მისაკუთვებელი ფაიანსის ჭურჭლის მიხედვით). XVI—XVIII საუკუნეებში ჩანს სავაჭრო ურთიერთობა თურქეთთან.

დასავლეთ საქართველოს შუასაუკუნეთა ძეგლების შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა, ვფიქრობთ, უფრო დიდი რაოდენობით გამოავლენს ბიზანტიურსა და თურქულ ნაწარმს იმ მხარის ისტორიული ვითარების შესაბამისად. ამჟამინაც, იქაც სავსებით მოსალოდნელია ადგილობრივი წარმოების გამოვლენა.

ჩვენი კვლევის ძირითადი დასკვნები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ.

ფეოდალური საქართველოს ნაქალაქართაგან მომდინარე ამონათხარი ფაიანსი უმთავრესად მიეკუთვნება IX—XVIII სს.

საქართველოში, რომელიც XII—XIII სს. მანძილზე ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულსა და მძლავრ განვითარებულ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენს, სათანადო დონეზე უნდა მდგარიყო—მხატვრული ხელოსნობის ბევრ სხვა დარგთან (კერძოდ, წითელკეციანი კერამიკის წარმოებასთან) ერთად—ფაიანსის წარმოებაც. ამას გვანიშნებს ჩვენ მიერ შესწავლილი მონაპოვრები.

ფეოდალურ საქართველოში ფაიანსის წარმოების ცენტრები დადგენილია: თბილისში, კუხეთის რუსთავსა და დმანისში—უმთავრესად XII—XIII საუკუნეებისათვის მიკუთვებულ მონაპოვართა მიხედვით. დასავლეთ საქართველოში იმ პერიოდშიც კი არ დასტურდება ფაიანსის ადგილობრივი წარმოება, რაც, ალბათ, იქაური ფეოდალური ხანის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლილობის უკმარისი დონით უნდა ავხსნათ.

იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში ფაიანსის წარმოებას სავსებით დააკმაყოფილებდა ქვემო ქართლში არსებული კაოლინური თიხის ბუდობები.

ჩვენ ხელთ მყოფი მასალის მიხედვით ჭერჭერობით არ შეიძლება საუბარი ადრე და გვიანფეოდალურ ხანათა საქართველოში ფაიანსის ჭურჭლის ადგილობრივ წარმოების შესახებ. შუასაუკუნეთა საქართველოში შეიმჩნევა ძალიან დიდი მოთხოვნილება ფაიანსის იმპორტულ ნაწარმზე. თხრისას მრავ-

ლად გამოვლენილი ამგვარი ნაწარმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს რამდენადმე შევავსოთ ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქთა ისტორიის ზოგიერთი მხარე.

აღნიშნული მასალის შესწავლა გვამცნობს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ აღრეფოდალური ხანის დასასრულს ჰქონია სავაჭრო ურთიერთობა ისეთ შორეულ ქვეყნებთან, როგორც იყო მესოპოტამია. შუაფეოდალურ ხანაში ქვეყნის სავაჭრო კავშირები უფრო ფართოვდება. ჩანს, საქართველოს ქალაქებს იმ ხანაში ახლო ურთიერთობა ჰქონიათ სომხეთისა და სპარსეთის სხვადასხვა ქალაქთან. XIII—XIV სს. სავაჭრო კავშირი ჩანს სირიასა და სპარსეთთან. გვიანფეოდალურ ხანაში ვხედავთ საქართველოს კავშირს სპარსეთისა და თურქეთის სავაჭრო-საწარმოო ცენტრებთან.

შემოზიდული ფაიანსის სიმრავლითა და მრავალსახეობით აღმოსავლეთ საქართველოს შესწავლილ ნაქალაქართა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დჰანისი. ამაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა მის მდებარეობას სომხეთთან და მთელ ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე.

ფაიანსის ნაწარმის მიღებული თარიღების დაზუსტებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თბილისის ერთ-ერთ (300 არაგველის ბაღის) განათხარსა და სარაღაჯის ფაიანსის მასალას, რომელიც კარგად თარიღდება ვიწროდ შემოფარგლული დროით (ერთი — XIII საუკუნის პირველი ნახევრით, მეორე — XVII საუკუნის მეორე ნახევრით) და სხვა მსგავსი მასალის დათარიღების საშუალებასაც იძლევა.

ფეოდალური საქართველოს ნაქალაქარების შესწავლისას, რომელთა განათხარებში, სათანადო ციხე-ქალაქების რთული ისტორიის შედეგად და შესაბამისად, კულტურული ფენები მეტწილად აშლილია, სტრატეგრაფიის არეულობის გამოსწორება-გარკვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თხრისას მოპოვებულ ფაიანსსაც: იგი, ჩვეულებრივ, უფრო ზუსტად თარიღდება, ვიდრე თხრისავე სხვაგვარი ქურჭელი და ამიტომ ფაიანსის ნატეხებიც კი ხშირად შეიძლება ამოსავალი გახდეს ამა თუ იმ რთული არქეოლოგიური კომპლექსის სტრატეგრაფიის დადგენისას.

Н. Ф. МАМАИШВИЛИ

## ФАЯНС В СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

(Резюме)

В работе исследована фаянсовая посуда, обнаруженная при археологических раскопках и разведках памятников, в основном, городищ средневековой Грузии: Тбилиси, Рустави кухетский, Дманиси. Уджарма, Гударехи, Мцхета, Карагаджи кизикский, Батуми, Сухуми и т. д.<sup>1</sup>

В предисловии излагается цель и предмет исследования; подчеркивается, что данная работа представляет собой первую попытку, возможно, полного и всестороннего изучения фаянсовой посуды, обнаруженной археологами в Грузии<sup>2</sup>, показывается актуальность проблемы, и пути и способы решения поставленных вопросов.

Изучение раскопчного фаянса дает возможность ознакомиться с еще одной отраслью художественного гончарного ремесла феодальной Грузии и попытаться восстановить утраченные местные традиции производства фаянсовых изделий. Не менее важно выяснение вопроса происхождения привозной продукции, что способствует конкретизации внешних торговых связей Грузии того периода, а также уточнению ряда других вопросов.

